

K180.058

3

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
ცენტრი


ქუჩა

სამხრეთ-აღმოსავლეთი

ქუჩის კუთხით

სამხრეთ-აღმოსავლეთი

საქართველოს მწიკრალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და
ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი საადაპციო კოლეჯია



საგვ-2000
მეცნიერებათა





השירה
העברית
בימי הביניים

תרגום מעברית
לגרונזינית מאת
גימל אגיאשווילי

תבליס: 1979

მე

სამეცნიერო ცენტრის

სამეცნიერო ცენტრის

სამეცნიერო ცენტრის



სამეცნიერო ცენტრის

სამეცნიერო ცენტრის

სამეცნიერო ცენტრის

«სამეცნიერო ცენტრის»

სამეცნიერო ცენტრის: 1272



892.4-1

И (изр) + И (Иср)
892.4-1
შ. 93



შუა საუკუნეების ესპანეთში მოღვაწე ებრაელი პოეტების შემოქმედება მრავალმხრივია საინტერესო. ამ პოეტურ ძეგლებში ახლებურად იფეთქა ძველებრათუ ლიტერატურის მოტივებმა, ჯერ კიდევ მსოფლიო ცივილიზაციის გარეგანზე ასე მძლავრად რომ გამოემდინა „ქებათა ქებისა“ თუ „ეკლესიასტეს“ სტრიქონებში, „იობის წიგნსა“ თუ „იერემიას ვოდებაში“.

წიგნში წარმოდგენილია X — XII საუკუნეების უდიდესი ებრაელი პოეტების — შემუელ ჰანაგიდის, შელომო იბნ გებროლის, მოშე იბნ ეზრას, იეჰუდა ჰალევის, აბრაჰამ იბნ ეზრას, იეჰუდა ალხარისის და სხვ. ლექსები.

55081 X

C $\frac{70404 - 059}{M 601 (08) - 79}$ 408 — 79

© ქართული თარგმანი, „საბჭოთა საქართველო“, 1979

Б-60
Библиотека ГСГ
им. К. Маркса

25087

90

წი ნ ა თ ქ მ ა

„...როგორც ვეება სვეტი ნათლისა,
წინ მიუძღოდა დამწუხრებულ ძმათა ქარავანს
და ცრემლიანი სიძღერებით მიიგალობდა
განტყვებათა მგლოვიარე უღაბნოებში...“

3. ჰაინე


იეჰუდა ჰალევისადმი მიძღვნილი ეს ბიბლიური სახეებითა და სულისკვეთებით გამსჭვალული სტრიქონები კარგად მიანიშნებენ შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის ორგანულ კავშირს ძველებრალ ლიტერატურასთან. მართლაც, ესპანური პერიოდის (X — XIII-სს.) ებრაული პოეზია ბიბლიური ლიტერატურის ფესვებზე აღმოცენდა. მაგრამ ეს პროცესი თითქოსდა თავისთავად, გაუცნობიერებლად მოხდა. იმდროინდელი მკითხველისათვის ბიბლიას არ ჰქონდა დამოუკიდებელი ლიტერატურული ღირებულება. იგი, უწინარეს ყოვლისა, ებრაელთა რელიგიური ცხოვრების საყრდენი იყო. ამან განაპირობა მისი ტექსტებისადმი თავისებური დამოკიდებულება: ბიბლია იკითხებოდა და ისწავლებოდა სინაგოგებში, მის ფურცლებზე რაბინები დაფარული ჰქმნებოდათ ბის აღმოჩენას ცდილობდნენ, ერთსა და იმავე დროს იგი იყო ფილოსოფია, ისტორია, სამართლისმცოდნეობა და მორალური კოდექსი. ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ებრაული ცხოვრების წესი. ბიბლიის კომენტატორები უმეტესად თეოლოგიური ინტერპრეტაციებით კმაყოფილდებოდნენ, ნაკლებად აინტერესებდათ ნაწარმოების მხატვრულ-ლიტერატურული ასპექტი. ბიბლია, როგორც ლიტერატურულ-ესთეტიკური ფენომენი, შედარებით გვიანდელი მოვლენაა. მაგ., დღეისათვის ექვს აღარ იწვევს ის გარემოება, რომ კანონიკური ტექსტების მნიშვნელოვანი ნაწილი, თავისი ძირეული მიზანდასახულობით, ებრაული მხატვრული ლიტერატურის უძველეს ნიმუშებს განეკუთვნება და შორსაა იმ რელიგიურ-თეოლოგიური დანიშნულებისაგან, რაც მას მომდევნო საუკუნეებში მიენიჭა. ამის საილუსტრაციოდ, ალბათ, „ქებათა-ქების“ მაგალითიც გამოდგებოდა: მსოფლიო სამიჯნურო პოეზიის ეს სწორუპოვარი ძეგლი (რომელიც თითქოს არავითარ საფუძველს არ უნდა იძლეოდეს მისტიკური აღქმისათვის — იმდენად ცხადი და თვალსაჩინოა მისი მიწიერი სულისკვეთება) ბიბლიის კომენტატორთა ხანგრძლივი პოლემიკის შემდეგ ალეგორიულად იქნა გავებული: მიჯნურთა სულის დაღადისი ისრაელისა და ღმერთის დიალოგად შერაცხეს. კიდევ უფრო შორს წავიდნენ გვიანდელი ინტერპრეტატორები. მათი თვალსაზრისით, ნაწარმოები სცილდება ჩვეულებრივი სამიჯნურო პოეზიის ჩარჩოებს და ადამიანისა და სულის ურთიერთობათა სფე-

როებს განეკუთვნება. ასეთი შეხედულებების გამოძახილი ხშირად გვხვდება ესპანეთის ებრაელ პოეტთა შემოქმედებაში (განსაკუთრებით იეჰუდა ჰალევის ლექსებში). თავის მხრივ, არც ეკლესიის მესვეურები დარჩენილან ვალში თავიანთი ებრაელი კოლეგებთან წინაშე (შესაბამისად: ქრისტესა და ეკლესიის დიალოგი). იმავე თვალსაზრისს იტყობენ დენდნ მოგვიანო საუკუნეების პროტესტანტი თეოლოგები; თვით ლუთერიც ნაწარმოების სიმბოლურ-ალეგორიულ გაგებას ანიჭებდა უპირატესობას. სხვა შედეგებს იძლევა ბიბლიის მეცნიერული კვლევა-ძიება: თანამედროვე ბიბლიოლოგიის მონაცემებით, „ქებათა-ქება“ სხვადასხვა დროს შექმნილი, ჩვეულებრივი სატრფიალო-საქორწინო სიმღერების კრებულია, რომელთაც მრავლად დაეძინება ანალოგიები ძველევგებულ სიმღერებსა თუ შემარულ-აქადურ საგალობლებში. თვით სულამითიც (ებრ. ჰა-შულამით) სასო-გალო სახელოდაა შერაცხული და, თავისი წარმომავლობით, კონკრეტულ-გეოგრაფიულ ცნებას (კერძოდ, შულემის დასახლებას) უკავშირდება. მართალია, პოემის ასეთი გაგება ადრეც არსებობდა, მაგრამ შუა საუკუნეების ებრაელის აზოკალიფსური წარმოდგენებით დამძიმებული გონება, მისი ზემოწრაფი ფანტაზია ვერ შეურიგდებოდა ნაწარმოების ჩვეულებრივ, კონკრეტულ-მიწიერ ინტერპრეტაციას. ამას განაპირობებდა მისი სოციალურ-ისტორიული ყოფა. ამიტომაც იმეამინდელ პოეტურ ნაწარმოებებში არცთუ იშვიათადაა უგულვებლყოფილი ყოველდღიურ-მიწიერი გარემო, იგრძნობა პოეტის დაუოკებელი ლტოლვა ღვთაებისაკენ. ბუნებრივია, ასეთი შემოქმედებით ეგზალტაციები ირეალური საწყისების სიჭარბესაც გულისხმობდა: ლექსებში ხშირად ირღვევა მიჯნა რეალურსა და მოჩვენებითს შორის, სინამდვილეს სიზმარის ცვლის, ყოველდღიურობას — გამოცხადების იდემალება. თითქოს მოკვდება მანძილი ღვთაებასა და ადამიანს შორის, იქმნება უზენაეს სფეროებთან მიახლების ილუზია. საგალობლებში შემოდის ნეფისა (მესია) და ცით გადმომავალი დედოფლის (განახლებული ტაძარი) პოეტური სიმბოლიკა, „პოეტის სული სამყაროულ სინათლესთანაა შერწყმული, — და ესაა სწორედ შემეცნების უმაღლესი საფეხური“ (გებიროლი). სამყაროს ასეთი იმპულსურ-ინტუიციური წვდომა უმეტესად ბიბლიურ წინასწარმეტყველთა წიგნების ლიტერატურულ ტრადიციებს ეფუძნება და მათი პოეტური ანტირაჟითაა შეზავებული. მეორე მხრივ, იგი ავითარებს ძველებრაული აზოკალიფსური ლიტერატურის ძირეულ ტენდენციებს და კაბალისტური თეოსოფიის (კერძოდ, „სეფირთების“ მოძღვრების) ერთგვარ პოეტურ წინაპირობას ქმნის... მაგრამ წუთიერი აღტყინებით მოგვირე ილუზიას ისევ ყოველდღიური სინამდვილე ცვლის, ღმერთთან მოჩვენებითი კავშირი დარღვეულია, თუმცა მცდელობა მისი აღდგენისათვის მაინც გრძელდება. ლექსებში ისევ იჭრება დაკარგული მიჯნურის თემა — დიდია სურვილი მასთან ხელახალი შეყრისა და ღვთაებრივი ქორწინებისა („ქებათა-ქების“ რემინისცენციები). სტრიქონებში გაიყვებს პოეტური ხატება სებისას, რომელიც ხან თითქოს ბეატრიჩესა და ლაურუს ტყუპისცალად წარმოგვიდგება, ხანაც ნეობლატონიკურ-სუფიურ ასპექტშია გააზრებული და პოეტის დაკარგული იდეალის მიუწვდომელ მშვენიერებას განასახიერებს. ამა თუ იმ პოეტურ ვარიანტში გამოკრიის გაპარტახებული ვენახისა და დანგრეული ტაძრის თემატიკა, — გაუქმებულია სახლი უფლისა (თალმუდის პარაფრაზი: მიწიერი ტაძარი ზეციურის სწორისა და ტოლფასი). დატარებებში ვაისმის იერემიას გოდების გამოძახილი, რომელიც, არცთუ იშვიათად, ნაწარმოების წინაპირობრივ სტრუქტურასთან ერთად, მის კომპოზიციურ ადნაობაშიც ვლინდება... ხშირად ბიბლიური ფრაზეოლოგია უცვლელადაა შემოტანილი ლექსებში (ვ. წ. „მუსიკურ-მოზაიკური“ სტილი), მრავლადაა ტრადიციულ ლიტერატურულ სახეთა პოეტური სტილიზაციის შემთხვევებიც. ზოგი ავტორი სათაურშივე მიუთითებს თავისი ნაწარმოების ბიბლიურ პირველწყაროებზე. მაგ., „ბენ თეჰი-

ლომ“ (ფსალმუნთა ძე, ანუ ახალი ფსალმუნნი), „ბენ მიშლე“ (ახალი იგავნი), „ბენ კოპელეთ“ (ახალი ეკლესიასტე) და სხვ.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად საყოველთაოდ დაკანონებული აეოლოგიური-რელიგიური თვალსაზრისისა, ბიბლიურმა წიგნებმა დიდი როლი შეასრულეს შუა საუკუნეების ებრაელთა ლიტერატურულ-მხატვრული აზროვნების განვითარებაში. ესპანეთში მოღვაწე ებრაელმა პოეტებმა თავიანთ მხატვრულ ქმნილებებში თვალნათლივ წარმოაჩინეს ძველი აღთქმის წიგნების პოეტური ნაკადი, თავისებურად განავრცეს და განავითარეს იგი, რითაც ბიძგი მისცეს მოგვიანო საუკუნეების მკითხველებს, ლიტერატურული ფასეულ თხზენი ექიათ ბიბლიაში. ასე დაიწყო ბიბლიის, როგორც ლიტერატურული ძეგლის, „აღმოჩენა“...

მაგრამ მხოლოდ ბიბლიური პირველწყაროები როდი განაპირობებდა შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის თავისებურებებს. იყო მეორე ფაქტორიც, რომლის უგულვებელყოფა ალბათ გადარიბებდა ჩვენს წარმოდგენას ესპანეთში მოღვაწე ებრაელი პოეტების შემოქმედებაზე. ეს იყო არაბული კულტურის ცხოველყოფელი გავლენა. ებრაელებისათვის განსაკუთრებით იბლიანი გამოდგა ესპანეთში არაბთა ბატონობის ხანგრძლივი პერიოდი (VIII — XIII სს), როცა მათ მინიჭებული ჰქონდათ რელიგიური თუ მოქალაქეობრივი უფლებები, სარგებლობდნენ არაბი მმართველების მფარველობით და, არცთუ იშვიათად, მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობაც ეკავათ. მოწინავე არაბულ ცივილიზაციასთან მჭიდრო კონტაქტში მყოფი ებრაელები ხარბად ეწაფებოდნენ ისლამური კულტურის მონაპოვრებს. მათი სასაუბრო ენაც, მეტწილად, არაბული იყო, არაბულადვე ქმნიდნენ სხვადასხვა ხასიათის სამეცნიერო ტრაქტატებს. ყოველდღიური პრაქტიკისაგან მოწყვეტილი, მწიგნობრული ებრაული ენა მხოლოდ პოეზიაში იხმარებოდა, ისიც იმიტომ, რომ ლექსების დიდი ნაწილი ლიტურგიულ მიზნებს ემსახურებოდა. არაბული ფილოსოფიის გავლენით, რომელიც რაციონალურ საწყისებს ეძიებდა რელიგიაში და დაბეჯითებით ცდილობდა სარწმუნოებისა და მეცნიერების ურთიერთმორიგებას, ებრაელებმაც ახალი ელემენტები შემოიტანეს იუდაიზმის მოძღვრებაში, დროის მოთხოვნილებათა კვალობაზე განავრცეს და გადაახალისეს იგი, რითაც ბევრად განაპირობეს მისი შემდგომი გამძლეობა და სიცოცხლისუნარიანობა. ზოგჯერ ეს სიახლედები მკვეთრად უპირისპირდებოდა ორთოდოქსალური იუდაიზმის მონოთეისტურ დოქტრინას (მაგ., გებიროლის ნეობატონიკური პანთეიზმი) და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ატრიბუტებით იყო აღბეჭდილი. ასეთი ტენდენცია, არცთუ იშვიათად, პოეტურ ნაწარმოებებშიც გამოკრთის. მაგრამ ეს განსხვავებული მსოფლმხედველობრივი საწყისების ეკლექტიკური თანხვედნა კი არ იყო, არამედ კონკრეტულ-ისტორიული ფაქტორებით განპირობებული რეალობა: ესპანეთი იყო ერთადერთი ქვეყანა, სადაც ერთდროულად მომწიფდა მუსლიმური, ებრაული და ქრისტიანული რენესანსი. კულტურული ძვრების ეპიცენტრში მოქცეულმა ებრაელებმა სისხლხორციულად გაითავისეს სამი დიდი ცივილიზაციის მონაპოვრები და ორგანულად შეაზავეს კიდევ თავიანთ პოეტურ ქმნილებებში. ერთი მხრივ, ნაწარმოებთა თემატურ-მინიარსობრივი ვაზრება ბიბლიური ლიტერატურის ტრადიციებს ეფუძნებოდა, მეორე მხრივ კი, იგრძნობოდა არაბული პოეზიის გავლენა ლექსების ფორმალურ-ვერსიფიკაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. ერთმანეთს შეერწყა ბიბლიური ტრადიციების ტრაგიკული სულსკვეთება და არაბული ლექსის კეთილზმონავნება. საგრძნობლად გადახალისდა თვით ლიტურგიული ლექსების (ე. წ. „ფიუტების“) ფორმალური აღნაგობაც. თუ ტრადიციული „ფიუტი“ მეტწილად ურთიმოდ იწერებოდა და ზოგჯერ რიტმული არათანმიმდევრობით ხასიათდებოდა (რის კომპენსაციასაც ლექსების მუსიკალური აკომპანიმენტი ასდენდა, ასე ხშირი რომ



იყო ძველებრაველთა საწესო-სარიტუალო პრაქტიკაში), ესპანეთის ებრაელმა პოეტებმა არაბული სალექსო ფორმების გავლენით, ლიტურგიული პოეზიის აღწევებულნი მკაცრად რაფინირებული ლექსთწყობის ჩარჩოებში მოაქციეს. ზოგიერთი სალექსო ფორმა (მაგ., დაზალი, კასიდა) უკონკრეტოდ იქნა მიღებული. ამის პარალელურად, გვხვდება სხვადასხვა ვერსიფიკაციულ პრინციპებზე აგებული ლექსები, შეინიშნება ფორმათა მრავალფეროვნება. პოეტურ ნაწარმოებთა ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელია განსხვავებული რიტმული ელემენტების ერთობლიობა — სალექსო საზომების თვალსაზრისით დასაშვები იყო ნებისმიერი ექსპერიმენტი... ასე, არაბულ სალექსო ფორმებთან მეზობლობაში, მასთან კეთილმყოფელ ურთიერთობაში გამდიდრდა და დაიხვეწა ებრაული ლექსის მუსიკალურ-ეფფონიური სტრუქტურა, ჩამოყალიბდა თვისობრივად ახალი ლექსთწყობა, რომელიც შემდგომში მთელი საუკუნეების მანძილზე ბატონობდა ებრაულ ლიტერატურაში. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ხალხური ინტონაციების სიჭარბეც, რაც ხშირად ესპანური სიმღერების სიტბოთი და უშუალობითაა აღბეჭდილი. სწორედ ამ სამი ნაკადის — ძველებრაულის, არაბულისა და ესპანურის (ზოგ შემთხვევაში პროვანსულისაც) ორგანულმა შერწყმამ განაპირობა შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის ფრიალ ახლებური და თავისებური ხასიათი.

ესპანური სკოლის ებრაული პოეზიის ზეობამ სულ ორ საუკუნეს გასტანა. ამის შემდეგ იწყება მისი დაცემის ხანა. მართალია, შემდეგშიც აქა-იქ გამოკრთებოდა პოეტური ნაპერწკალი, მაგრამ ეს მაინც შორეული ანარეკლი იყო იმ დიდი და თვითმყოფადი პოეზიისა, შუა საუკუნეების ანდალუსიამ რომ უანდერძა შემდეგდროინდელ ებრაულ ლიტერატურას.

შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის კრებული პირველად გამოდის ქართულად; წიგნში, ძირითადად, ესპანეთში მოღვაწე პოეტებია გაერთიანებული. ვფიქრობ, მათ შემოქმედებაში ყველაზე მკაფიოდ წარმოჩნდა შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის საერთო ნიშნები და ტენდენციები. ჩემი მიზანი, ძირითადად, ლექსის შინაგანი განწყობილების გადმოტანა იყო. ამა თუ იმ ნაწარმოების თარგმნასაც მხოლოდ ერთი სურვილი განაპირობებდა: შეძლებისდაგვარად გამეოცხლებინა იმდროინდელი პოეტური ნაზარევი, შემექმნა ლექსების სადღესო ადექვატი. ნაწარმოებთა შინაარსობრივი გააზრებისას, ვცდილობდი, იმხანად გავრცელებული ინტერპრეტაციების კვლობაზე, სტრიქონებში სიმბოლური ორასზოვნების ნიშანკვლი მომეძია; თვით ვედონისტური შეფერილობის ლექსებიც ასეთი თვალთახედვითაა წაკითხული. ავტორს თავისი სათქმელი ზოგჯერ სანახევროდ თუ აქვს გაცხადებული და მისი უფრო გამოკვეთილი, უფრო თვალნათლივი წარმოჩენა მხოლოდ პოეტურ პოტენციაში, ერთგვარ ასოციაციურ წიაღსვლებშია ნავარაუდები. ლექსის საერთო სულისკვეთების ასეთმა გააზრებამ, ცალკეული პოეტური პასაჟების თავისებურმა გავრცობა-ინტერპრეტაციამ, ბუნებრივია, განაპირობა ორიგინალის სიტყვიერი ქსოვილისადმი ლაღი დამოკიდებულება, თუმცა ეს სილაღეც მეტწილად გარეგნული ხასიათისა და მთლიანობაში ლექსების შინაგანი ლოგიკით არის ნაკარნახევი. რასაკვირველია, ეს ერთგვარი შემოქმედებითი წიაღსვლები ხორციელდებოდა სათარგმნელი ლექსის ძირითად შინაარსობრივ-სახეობრივ კონტურებში, ნაწარმოების ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტის გათვალისწინებით. მთავარი დასაყრდენი კი მაინც ძველი აღთქმის წიგნების პოეტური ტრადიციები იყო. შევეცადე, თარგმანშიც შემენარჩუნებინა ბიბლიასთან მიმართების დენდისეული თანაფარობა, შეძლებისდაგვარად გადმომეცა ბიბლიური ლექსის სურნელი, მისი განუმეორებელი იდუმალება. მაგ-

რამ ეს არ მოხერხდებოდა ორიგინალის გარეგნული ფორმის შენარჩუნებით, რომელიც მეტწილად არაბული ლექსთწყობის ჩარჩოებშია მოქცეული. ებრაული და, საზოგადოდ, სემიტური ენების ბუნება ისეთია, რომ შესაძლებელია დიდი ზომის ლექსიც კი ერთ რითმას ეყრდნობოდეს. ვფიქრობ, მსგავსი რეციდივები ზედმეტი იქნებოდა დღევანდელი ქართული ლექსისათვის, მით უმეტეს, რომ ჩვენმა პოეზიამ რა ხანია დააღწია თავი არაბულ-სპარსული პოეტური ფორმების გავლენას. ასეთ სალექსო ყალიბებში ბიბლიური ფრაზეოლოგიის მოქცევა, ალბათ, ერთგვარ უხერხულობასაც შექმნიდა. ებრაულ პოეზიას თუ ვიტყვით, ბიბლიური სულისკვეთების შენარჩუნებისათვის მნიშვნელობა არა აქვს სალექსო ფორმებსა თუ საზომებს, ებრაული ლექსი, რა ფორმისაც არ უნდა იყოს, თავისთავად ბიბლიური კოლორიტით იქნება აღბეჭდილი. ასეთი თავისებურება თავად ებრაული სიტყვის, ებრაული ენის წიაღშია მოქცეული: ებრაელთა სამეტყველო ენა ბიბლიურ ნიადაგზე აღმოცენდა. ბიბლიური გამოთქმები, ესა თუ ის ფრაზეოლოგიური ერთეული იხმარებოდა და იხმარება ყოველდღიურ სასაუბრო ებრაულში. ამდენად, ბიბლიური კოლორიტის აღდგენა დიდად არ არის დამოკიდებული ლექსის გარეგნულ მხარეზე, ზოგჯერ უბრალო მინიშნებად კი საკმარისია, რომ მეტ-ნაკლები სიტყვით წარმჩნდეს ბიბლიური სახე. სხვა მდგომარეობაა ქართულში. ამიტომ, თარგმანებში შეგნებულად ავიღე ხელი ლექსის ზედაპირული ატრიბუტების შენარჩუნებაზე და შევეცადე შუა საუკუნეების პოეტური ნააზრევი თანამედროვე ვერსიფიკაციის მიღწევათა გათვალისწინებით წარმომედგინა. ამით ვცდილობდი, შემექმნა ერთგვარი ადექვატი იმ მელოდიურობისა, რაც, საზოგადოდ, დამახასიათებელია შუა საუკუნეების ებრაული პოეზიისათვის და რაშიც ყველაზე მკაფიოდ ჩანს არაბული ლექსისა თუ ესპანური სიმღერების გავლენა. ამასთან, ბიბლიური ტონალობის მისანიჭებლად მივმართე ძველი აღთქმის ქართულ თარგმანებს და ჩვენი ჰიმნოგრაფიის უმდიდრეს ტრადიციებს.

კრებულში წარმოდგენილი პოეტები თითქმის ერთდროულად მოღვაწეობდნენ. ხშირად ისინი ერთი და იმავე თემის დამუშავებაში ბიპეტრობოდნენ ერთმანეთს, წერდნენ ერთმანეთის წაბაძვით, ერთსულოვანნი იყვნენ ბიბლიის ენის სიყვარულში, ერთნაირ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ ძველი აღთქმის ტექსტებისადმი. ამიტომ, ვასაგებია მხატვრული სახეების ერთგვარი მსგავსება, რაც არცთუ იშვიათად გვხვდება სხვადასხვა პოეტის ლექსებში. რაჟი ბიბლიური წიგნების უმრავლესობა თეოლოგიურად იყო გააზრებული და კანონიკური ლიტერატურის ნაწილს შეადგენდა, მისი პოეტური რემინისცენციებიც კანონიკის ფარგლებს ვერ გასცილდებოდა. დადგენილი ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევა ნაწარმოებს გააუფასურებდა იმდროინდელი მკითხველის თვალში და საეკვოს ვახდიდა მისი ავტორის ლიტერატურულ შესაძლებლობებს. ასეთი იყო ტრადიციის ძალა და ინერცია. ამის გააზრება, ალბათ, ძნელია ისტორიულ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გაუთვალისწინებლად; დღეისათვის უცხო და მიუღებელი ზოგი ლიტერატურული ხერხი იმ დროის კვალობაზე ცხოველყოფელი აქტუალობით ქდერდა... თუმცა ეს წესი მართო ებრაულ პოეზიაზე როდო ვრცელდება. ასეთია, საზოგადოდ, აღმოსავლური ლიტერატურის სპეციფიკა: „მიუხედავად დიდი დროისა და მანძილისა, რაც სხვადასხვა პოეტს ერთმანეთისაგან აშორებს, მათ შემოქმედებაში არცთუ იშვიათად შეხედებით ერთფეროვან პოეტურ ხერხებს, იგრძნობა შემოქმედებითი მოტივების იგივეობა, ერთგვაროვანია სიუჟეტური ხაზები, უნივერსალურია პეიზაჟი, წინასწარგვა მონიშნული ფილოსოფიური თუ ზნეობრივ-ეთიკური რეზიუმე“ — ვკითხულობთ რუსულ ენაზე გამოცემული შუა საუკუნეების არაბული პოეზიის ფრიად ავტორიტეტულ წინასიტყვაობაში. ასეთივე ტენდენცია შეინიშნება სპარსულ კლასიკურ პოეზიაშიც, კერძოდ, სუფიური ლექსების პოეტურ სიმბოლიკაში, რომელმაც დროთა განმავლობაში ლიტე-

რატურული კანონიკის ფორმა მიიღო და მთელი შუა საუკუნეების სპარსული პოეზიის განუყოფელ რეალობად იქცა. ებრაულთან მიმართებაში ამას ისტორიული ფაქტორებიც განაპირობებდა: ერთ ქვეყანაში ერთსა და იმავე დროს განთესილი ებრაელობა ერთსულოვანი იყო როგორც სოციალურ, ასევე სულიერ სფეროშიც, რაც, ბუნებრივია, მხატვრულ ნაზრევშიც იჩენდა თავს. ძირითადი თემა, ყველაზე მეტად რომ აახლოებს ამ ავტორებს ერთმანეთთან, — ესაა ღმერთთან დაკარგული კავშირის ძიება, ბრძოლა მისი აღდგენისათვის... ამან განაპირობა ლექსების უკიდურესად ტრაგიკული სულისკვეთება.

სწორედ ამ ნიშნითაა გაერთიანებული კრებულში წარმოდგენილი ლექსები.

შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის გეოგრაფია ვრცელია. შემორჩენილია მრავალი ლექსი იტალიაში, საფრანგეთსა თუ სხვა ქვეყნებში მოღვაწე ებრაელი პოეტებისა. მათი პოეტური მოღვაწეობა, ცხადია, ამ ქვეყნების ლოკალურ ლიტერატურულ პროცესებშია ჩართული და ამა თუ იმ ძალით ექვემდებარება ამ პროცესთა გავლენას. მაგ., სხვაგვარ პოზიციაზე იდგნენ იტალიაში მოღვაწე ებრაელი პოეტები. მათი შემოქმედებიდან კრებულში იმანუელ რომეელის ერთადერთი ლექსია წარმოდგენილი, რომელიც, ვფიქრობ, ნაწილობრივ მინც წარმოაჩენს ამ ლიტერატურული სკოლის განსხვავებულ ნიშნებსა და მისწრაფებებს... მაგრამ მთავარი ნიშანი, ყველა ამ პოეტს რომ აერთიანებს, არის სწორედ ის ძირითადი სულისკვეთება და საზიარო ტენდენციები, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ და რაც ერთ დიდ, თვითმყოფად პოეზიად ამთლიანებს შუა საუკუნეების ებრაელ პოეტთა შემოქმედებას.

დასასრულ, ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებ ებრაული ენის ჩინებულ მცოდნეს მორდეხაი მამისთვალიშვილს, რომელმაც წიგნზე მუშაობისას სხვადასხვა დროს გამიწვია მეტად ფასეული დახმარება.

ჭ ე მ ა ლ ა ჭ ი ა შ ვ ი ლ ი

შემუქლ პანაგიდი*

პოეტო, ფილოლოგი, თაღმუდისტი, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა 982 წ. კორდოვაში. სწავლობდა ცნობილ მეცნიერთა სელმდვანელობით, მიიღო მრავალმხრივი ფილოლოგიური, თაღმუდისტური თუ საბუნებისმეტყველო განათლება, ფლობდა რამდენიმე ენას. 1013 წელს, გრენადაში ბერბერების შემოჭრის შემდეგ, მალაგაში გადასახლებულა, გაუსხნია პატარა სავაჭრო, თუმცა ძირითად დროს ლიტერატურულ საქმიანობას ასმარდა, სრულყოფდა თავის თაღმუდისტურ ცოდნასა და გამოცდილებას. დიდად გაწაფული ყოფილა არაბულ კალიგრაფიაში, რითაც ადგილობრივი მოსახლეობის ყურადღება მიუქცევი. ამან გადაწყვეტი გავლენა მოახდინა პოეტის შემდგომ ზედ-იღბალზე: მისი კალიგრაფიული ნიჭით აღფრთოვანებულმა ვეზირმა აბუ-ლ-კაჰიმ იბნ ალ-არიფმა იგი თავის კარზე ისმო, ჯერ პირადი მდივნობა უბოძა, შემდეგ კი სახელმწიფო მმართველობის საქმეებშიც გარია და მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას ხშირად ვერდნობოდა მის რჩევასა თუ მითითებებს. 1027 წელს ვეზირი ლოვინად ჩავარდნილა, სიკვდილის წინ იგი გაუტყდა გრენადის სალიფას ხაბუსს, რომ მისი წარმატებები სახელმწიფოებრივ მმართველობაში პანაგიდის ჭკუისა და გამჭრიახობის შედეგი იყო. იმავე წელს პანაგიდს ვეზირის სალათი უბოძეს. გრენადის ებრაელები პოეტს თავიანთ მეთაურად (ნაგიდ) და მთავარ რაბინად ირჩევენ. იწყება პანაგიდის მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა: მშვიდობიან წლებში იგი მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნავს, გულმოწყალეა და ქველმოქმედი (ამას ერთსმად აღნიშნავენ მისი თანამედროვე ებრაელი თუ არაბი პოეტები), მფარველობს მწერლებსა და მეცნიერებს, თანხმს არ იშურებს ძვირადღირებული წიგნების შესაძენად, თმში კი წინ მიუძღვის მუსლიმთა გაერთიანებულ ჯარებს და მნიშვნელოვან გამარჯვებებსაც აღწევს. პოეტის ლექსებშიც ჩანს მისი მრავალმხრივობისა თუ პიროვნული გაორების კვალი: ზოგი მათგანი გამარჯვებული მთავარსარდლის ადტიყნიებულ სულისკვეთებას გვიხატავს, ზოგში კი გამჟღავნებულია ბიბლიური სევდა წუთისოფლის რაობაზე ჩაფიქრებული რაბინისა, რომელიც ამ მოჩვენებითი, მსწრაფ-წარმავალი დიდების მიღმა მხოლოდდა საწუთროულ ამოებას, ადამიანური ყოფის ტრაგედიას ჭერეტს. შთამბეჭდავად გვიხატავს პოეტი ბუნების სურათებს, მისი ელევები

* ცნობები წიგნში წარმოდგენილ ავტორთა შესახებ ეკუთვნის ნი სან ბაბალი-კაშვილის.

საინტერესო კონსტრუქციითა და მდიდარი პოეტური ფანტაზიით გამოირჩევა, ფილო-
სოფიურ თხზულებებში ჩანს ბიბლიური ლიტერატურის კეთილმყოფელი გავლენის
კვალი. ასეთი სულისკვეთებითაა გამსჭვალული, მაგ., „ბენ მიშლე“ (იგაფთა მე-1-ე
ასალი იგაფნი), „დივანი“, აფორიზმების კრებული, აგრეთვე ნაწევრები პოეტის
დე მოუღწეველი ნაწარმოებებიდან: „ბენ თეპილიმ“ (ასალი ფსალმუნნი) და „ბენ
კოპელეთ“ (ასალი ეკლესიასტე).

პანაგიდის კალამს ეკუთვნის სამეცნიერო თხზულებებიც: შეუდგენია ბიბლიის კო-
მენტარები, დაუშუშავებია თაღმუდის მეთოდოლოგია, დაუწერია წიგნი ებრაული ენისა
და გრამატიკის საკითხებზე და სხვ. დიდი ნაწილი მისი სამეცნიერო შრომებისა დაკარ-
გულია.

გარდაიცვალა 1055 წელს.

* * *

ქება ვით გყადრო, ყოვლადქებულო, ამ საოცარი შესაქმისათვის!..

იკმევა კვამლი,

იწვის ნათელი,

კვლავ სამიჯნუროდ გვიხმობს ბატონი,

ცას გაჰყურებენ მესტროლაბენი,

ცის გუგუნებენ საგუმბათონი.

ავხვდავ ზეცას: ლაქვარდებიდან მესათნოება უცხო სახება,

დავხვდავ მიწას: — მწყევლის მავანი...

ზე — სიყვარული გვეჩარდახება,

ქვე — გვემდურება ქვეწარმავალი.

ვინ აღაჩინა ქვეყნის ხატება,

ვინ მოათვალა აგურს აგური:

ბჭეს ხმელეთისას ეგუმბათება

ცა —

ვარსკვლავებით მოჩარდახული...

ჰე, მზეო, მზეო, — ძალო ნათლისავ, უფლის მწეო და თანამდგომელო,

ცად აზიდულო ოქროს მტევანო!..

მაინც მძლედ ბრწყინავს ტახტი მეფუფის,

მზით განბანილა სატახტრევანო.

გარე-მოდგება შუქი მეფუფრად, წყალს განუმზადებს ცათა მხეველი,

რომ მოასხუროს კვლავინდებუთრად


და მოგვაწიოს მოსაწევეარი...

დისკო მთვარისა ბრუნავს ნებაზე... რამ აღაჩინა ნათლის ტაგანი?

ან უსავნოთა გასავნებაზე

ვინ გაისარჯა,

რომელთაგანი?



ცაო, გენუკვი, — ფიქრი გამანდე!
 პა, გარდმოეგო შენი ნათელი, ხელთადმპყრობელმან ხელი დამადო!
 მაინც... უნდო ხარ უამით-უამამდე,
 მაინც უტკბო და უანდამატო...

თუმცა... რად გყვედრო,
 რისთვის გედაო, —
 რას ბულრაობენ მტვერში ბუზები,
 შენც... ნაშიერო იქედნეთაო,
 რა შემპარავად მეფუსფუსები!..

სერზე გარდავდექ,
 ჩქამი მომესმა:
 „სულთა საოხად გვივის რომელი?
 ან ქვემოურსა, —
 ქვემოქდომელსა,
 ვით განიკითხავს ზედამდგომელი?“


ზოგი მართლად ვალს,
 ზოგი ცდუნებით:
 ხე განფენილა ვაშლის რტოებად...
 ხან ითვრებიან გოლეულებით, ხან — მხალეული
 ესაზრდობათ...

ვლენ საწუთროის დღესასწაულზე,
 რა უბადოა მათი ქადება!..
 მტვრად მესახება ქვეყნის საუნჯე, ცის საგანძურიც
 მეალქატება:

გზა გაუყვება ვიწრო ხვეულებს,
 კვლავ განირთხმევა ძლევის კედელი
 და გაჰყვებიან ათასწლეულებს
 კირითხურო და...
 ოქრომქედელი...

გარნა ვინ მღერის მოაქამომდე, ვინ ახმიანებს სადარბაზოებს?..

აღსდგე, მუტრიბო, ჩანგი მომართე!..
 კვლავ გაესიტყვე ცათა საუფლოს, კვლავ ამიმღერე ბაღში ქედნები,
 მეც... შუალამის უკუდგომამდე
 ჩრდილს მეთუფისას შევეკედლები:



— გული ისევ ხმობს, სულიც გინატრის,
 კვლავ სამსჯავროში განსჯად შეველი:
 ვინ დაუსაზღვროს ზღვარი სინათლის,
 ვინ განარჩიოს განუჩვევლი?

ვინ განარჩიოს... ითხოვს მთხოვარი,
 თუმცა საქნელოა ზესთა მხილება...
 აღარც მწყემსი ჩანს,
 აღარც ცხოვარი,

არც საცხოვრისი გვემორჩილება.
 მზის სასახლეში სუსხი შემოდის,
 სრა-სამყოფელი დაშთა უდაროდ
 და აღიძვრიან ძალნი ქვემოთის სულთან სამტროდ და
 საქვებუდანოდ.

შორს კი... კვლავ ბრწყინავს უცხო საგანძე,
 ცას გასცქერიან მესტროლაბენი
 და ჩვენებათა თავშესაყარზე კვლავ გულსაკლავად
 მოსთქვამს აბელი...

... თუმცა ...რად მაკრთობ, ბინდო ღამისავ, რა იქედნურად
 მეჩუჩულები?..


ხმობენ მთიებნი:

„— აღსდევ, აღივსე!..“

მთვარე მწყემსივით განუდგა კარვებს
 და სიყვარულის იალაღებზე
 გაღაღებული მიუძღვის არვეს...
 მთვარეს — უძმოს და უამხანაგოს, მთვარეს — ფარვიდეს
 ძალი მფარველი,

ცამან შობა და
 ცამან განავოს,
 ცამ განუქარვოს განსაქარველი!..

მიიმღერს ქალი, როკვენ წულები,
 ბაღში გაწვიმდა ღრუბლის წინამო...
 — ხვატში, ხორშაკში მოგვერწყულები,
 რომ ყვავილები გარდაგვინამო...
 — მთვარე ნავია... ფიქრი მიანდე!..
 ცად მინანაობს ფიქრის ნაფოტი...



— გეჰენიდან

გეჰენიამდე

შენს შესაყრელად მოვისწრაფოდი...

ცად კიღობანი ეძებს საყუდრებს,
თუ მიძღერის ველზე გუთანი?

— შენც... საუკუნოდ მივისაკუთრებს,

შენც... შეგიფარებს ნავსაყუდარი...

ბრუნავს,
ცა ბრუნავს,
ბრუნავს სამყარო,

ბნელში მიგორავს თიხის ქოთანი

და მიყრუებულ ნასახლარებზე

ვლენ მესიტყვენი უდაბნოთანი...

გალმით ხმა ისმის:

„ — მკლავი შემართე!“

გარნა სხვას უბნობს წყარო ცხოველი:

სცემს იქცევისი მისაქცევარზე

და მისაქცევად მივალს ყოველი...

ხმობს შორეული ნავთსაყუდელი,
იქ განქარდება ყოველი ცდუნება:

მიდის, —

დღე მიდის,

მიდის ღრუბელი,

მი დ ის,

მზეც მიდის,

მიიწურება...

მიღელავს ყამი — მიწყვიტ მედინი,
მიდის:

— რა მგამა,

დაშვრით ამოდ!

ცხოვარს მიდენის მწყემსი კეთილი

და სალამურზე ბრწყინავს ს ა ბ ა ო თ...



ქალი აღმოქვამს, დამბადებელი, ამ უჩვეულო წყალობისათვის...

ცის დასაყალბან მიღვა დაისი,
კვლავ აღმოენთო

სალამოს უტყვი მშვენება...
ზმა მესიტყვება აღონისი,
თუ ანგელოსი მესიმღერება?

— სები, სადა ხარ! —
როკვენ სეფენი...

კვლავ ამღერდება ჩემი ოცნება,
მზით შეიესება შესავსებელი,
ცა — ვარსკვლავებით შეისოსნება...

მე კი შენს ბილიკს დავემგზავრები,
— გზა განმიბანე, ნათლის ნაკადო,
რომ გამარჯვების საგალობელი ცის დარბაზებში
ამოვღალიალო:

850058
3
K


— მტერმან ვერარაი მოიმაქნისაო,
მძღეობს კიპარისის ღერო,
ფრთეო ნათლისაო,
ფრთეო მადლისაო,
შარავანდისაო ჩემო!..

აჰა, ტრედს ვუხმე ჩემი კარვიდან...
ხრმლით მოვუწინე ცათა შორეთი, ქვე განუფინე მზე და მთოვარე,
ფრთე დავუშვიმე ეპისტოლეთი
და ღრუბლებისკენ ავაფრთოვანე...

გარნა ფიქრი ჩნდა,
აღსდგა ღრუბელი,

კვლავ აღუღუნდა სულში ღაღარი
და საღმობათა ნაფეხურებზე ჩნდნენ მესიტყვენი
გულისთქმათანი:

2. შუა საუკუნეების ებრაული პოეზია



ეჭა, სად მიფრენ, ფრთეო ტრედისაე!
სად დაეშვები, რომელ მხარეში, გზა შენეული
საით დახდება:

ზღვა გაგეგება სატახტრევანოდ,
თუ კაკანათი დაგეტახტება?..

...ყრუდ მილივლივებს ქარში ქედანი,
ცად განიხსნება ბნელი თაღები,
ძალს მომაგებენ ძალნი მძლეოთანი და საკრებულოს
შევევზრახები:

— ასრე უენომ ვისთან იენოს,
ტრედმან ვით შესძლოს თავის ტერება:
ბაზი დააგდებს საბაზიეროს, ან ბაზიერი
დაემტერება...

ვიხმე სხვა ტრედი... ისიც ვაფრინე...
ფრთეო, ამზიდე, ამამზიანე, ხელთაღმპურობელო, ხელი გამომდე!
ხამს დამავიწყოს ღღემან ღღეისამ,
რაც შევიჭირვე მოაქამომდე...

— გასწი, გაფრინდი, ჩემო უსტარო,
ჩემო კუშტო და ჩემო უშტარო,
რომ ზენაარის საუფლოებში
ამამზევო და
ამამუშთარო.

ტრედო, წარუძიხ ქროლვას ფიქრისას!..
ცის საკრებულოს შეატყობინე, რა სასოებით ვნმობდი აქამდე
და ღვთაებრივი ენამზეობით

ამჭევრე და
აალაქარდე...

და, როცა გზებზე გასრულდება შენი თარეში, —
ბანს გარდაევე იოსებისას, გაეხმე ჩემს ყრმას
და ეაბეზრე,

რომ განთიადის სინეტარეში
საუწყებელი ეუწყოს ესრე:

„— შეილო, განვიგდე მძიმე უღელი,
სახარებელი უნდა გახარო:
გუნდრუკს გვიკმევენ მეგუნდრუკენი,
ნავარდალო და
ნაზამბახარო!





საყუდარს ჩვენსას მზემან მოხედა,
 ლხინი მოვქარგე ბედის ქარგაზე
 და სარბიელი მემამოხეთა მოვირბიე და მოვიდარბაზე;
 კვალად აღმართე მკლავი ნაცადი, კვლავ გულმაგარმან
 უამი ვიგულე,

კაცი კაცს ვტყორცნე,
 კაცად-კაცადი

ბრმლით ბედაურზე ვამანდიკურე...

„სისხლი სისხლის წილ!“ —

რეკდა მთიები,

თვალში ჩამიდგა უცხო სიალე,

ბზეს შევეუსართე გადამთიელი,

ბზე — ქარიშხალში ავაბზრიალე.

ბრმალი ჩამოვკარ,

დავჭერ ზარადი, —

ისევ შემწედ მყვა ჩემი უფალი,

კვლა დავითრიე ძალისძალათი,

ჩამოვაგლიჯე კაბა-ჯუბანი.

კემსი მივეც და...

გაქრა მკემსავი,

კათხა მივეც და —

ღვინო ემწართ...

მწყემსმან დააგლო დასამწყემსავი,

ცხვარი გარბოდა დაუმწყემსავად.

გარნა თვისი გზა ველარ განიგნო,

ბნელში ვერ ჰპოვა ძალი მფარველი,

მე კი... ვერ ვკადრე სიტყვა სალიქნო, ვერ განუქარგე

განსაქარველი...

თვალით გაგტყორცნე ცეცხლის ისარი, ვაშად მენიშნა

ესე ნიშანი

და მოშულართა ნასახლარებზე ვცან მედროშენი სალმოზისანი.

ბრმალი დავლესე, დაულესავი, და, რაც დავლესე,

ვაშად დავლესე:

ციხე დავლევწე,

დავეც ბეჭედი

საჭურჭლესა და

სანადავლესე.

მზე გამქრალიყო...

გლოვდა ტაძარი

თვისი მრევლით და

თვისი მლოცავით,

კერის პირს მივდექ, — ვპოვე ნაცარი, ჯდა ხამლიანი
უხამლოსავით.

სისხლში ჩავახსე მთელი სოფელი,

შესავს უმტყუნა თვისმა სასომან:

ველარ შეესწრო შობას მშობელი,

ველარ იტვირთა თესლი საშომან;

ცამდე აღზევდა სისხლის ღრეობა,

ბნელი ვარსკვლავი აღჩნდა სანიშოდ...

დედა შვილისკენ მიიქცეოდა, — ძრწოდა უგზოდ და
უანგარიშოდ.

მაგრამ გაცუდდა მისი მცდელობა:

სისხლი წთოლავდა ჩვილის ბაგეზე...

გლოვად შეიქცა მათი სერობა,

მე — სიხარული მოვიტრაპეზე.

მოვიტრაპეზე, შვილო ჩემო, მოვიტრაპეზე...

რბევად ეწადათ უპოვართა სათვისტომონი,
გარნა, ღმერთს მადლი, —

მისაგები თვითვე მიეგოთ!..

გულბორგნულუმან მოვარღვიე მათი ბომონი

და მარბიელი გარდავაგე

უსარბიელოდ.

თვალწინ განმერთხა მთელი კრებული, ახლაც წინ მიდგას მათი
სახეება:

მტერი ისევ გლოვს თავდაღებული,

ისევ ვაებს და

მევახვავება.

მგონი, ქვაც მოლბა,

გალმობიერდა,

მე კი ვერ ჩავკალ ძღვევის ცდუნება

და სალმობანი სალმობიერთა კვლავ სასოებად

მესალბუნება.

აჰა, ჩამიცხრა მწველი იარა,
ცამან მომაგო რძე და შაქარი,
თუ სარწყულეებმა ამაწყლიანა —

ნასიცხარი და ნახორშაკალი?..

მზემ შარავანდი დაითავისა, ისევ დღე მოდგა — შუქთა მკმეველი...
ძალმან ვერ სძლია ძალი მკლავისა,

ვერ დაგვირბია დაურბეველი.

ისევ გაბრწყინდა ოქროს ლატანი,
ასრე აცხადდა შენი ზმანება:

მტერს გაუმწარდა ნაშარბათალი და გოლფულიც

ესამსალება.

ვაშად აღსრულდა ჩემი გუმანი, მომხდურს მიეუგდე შუბის ნატეხი,
ნაომარი და
ნააღლუმარი

ისევ მთის კიდეს გარდმოვადექი.

მე მწყალობებლმან
ღამამწყალობა,

მათი გოდება ქვესკნელს შთაესმა,
გმინვად გარდიქცა მათი ვალობა, მე — ამამღურა
უზეშთაესმა.

უზეშთაესმა, შვილო ჩემო!.. უზეშთაესმა...

აღარც ქსელი ჩნდა, აღარც — მბეჭველი,

ჯავრი გულისა ასრე ვიქარვეთ,

ღამთორგუნველი და

და-ცა-მღეწველი,

ღვთის სადიდებელს წარვთქვამ —

ვითარმედ:

— მტერმან სიხარული მოინაკლისაო,

მძლეობს კიპარისის ღერო...

ფრთეო ნათლისაო,

ფრთეო მადლისაო,

შარავანდისაო ჩემო!..

.
.

...მოვალ მთის ქიმზე,
 დროშა ქანაობს,

ხელში მიპყრიეს ოქროს სანათი,
 მაგრამ ვისი ხმა თანისთანაობს,
 ვინ მესიტყვება სულთათანათი?
 თუმცა რა მგამა!..
 ვისთან ვიდავო, —
 ბნელში ჩავკრიფე მათი სულები,
 სრულად დავლაშქრე არე-მიდამო
 და შინისაკენ მოვეშურები.

მოვეშურები, სიხარულო, მოვეშურები!

მზის სინათლეში განფენილა ჩვენი ტყე-ველი,
 იქ კი... მტერი გლოვს, —
 სიტყბოება მოგვეშხამაო...

აჰა, ესერა,
 დავათხიე დასათხეველი,
 გარნა გული ხმობს: —
 ესეც ამაო!

...საზღვარს ყოვლისას დაუსაზღვრებს ცათა უფლება,
 ცათა უფლება...

ჰაი, ავაჰმე!..
 მაგრამ ყოველი სიბნელეში ჩაიმწუხრება,
 ჩაიმწუხრება...
 აჰავაი, ვაი, ავაჰმე!..

გული კი დაობს, მრავალფერი უჩანს სადაო:
 „ვინ მოვიხელთო,

სადაური მოვისადაო!“
 შენ ხმობ: — მამაო,
 უბედობა არა მგამაო,
 ესეც ამაო, შვილო ჩემო!..
 ესეც ამაო!..

.



მაგრამ... რად ვმონებ პირქუშ დროებას, მღერად რად მიჩანს

ბრძოლის წუთები

ნიკოლოზი

თუ ამათა ამათებს ველაროდეს ავეზლუდები?

თვალი ცრემლებმა რატომ დაბურდა, ტაძრად რად მოვდექ

შენდა მლოცველი,

დაბა თუ მაინც გაუდაბურდა, თუ წარიხოცა წარსახოცველი?

.
.

...მხოლოდ შენ გელტვი,

შენთვის ვიგალობ,

შენს საფიხვნოში ვჯდები მეფურად,

ჩემო ციხევ და, კლდეო პიტალოვ, შენ გესიტყვები

კვლავინდებურად;

შენთვის ძალს მძაღლევს ძალი ძლიერი, შენსკენ მომაქცევს

ჩემი ოცნება

და სიხარული სულისმიერი

კვლავ სიმღერებად შეგეფროთოსნება.

გაღმით გიხმობდა შენი მშობელი, შვილო,

გულისთქმა გინატრიდაო,

ნათლად გიძლოდეს მანათობელი,

სვეტო, —

ნაზარდო სინათლითაო!

სხივი შენსკენ რბის, თავზე გევლება, მზემაც მოასწრო თვალის

შევლება

და სასოების საკურთხეველზე

გესანთლება და

გესაკმეველება.

წამოდექ, შვილო, —

გიხმობს მისანი, —

მრევლი არწყულე ლექსის წყაროზე,

მკლავზე ინიშნე ესე ნიშანი და სამკლაურად

იავეგაროზე!

სულმან თუ გკითხოს:

— ვინ ვარ,

რა ვარო,

ან სადაური საით დავალო! —

გულს ჩაიჭედე ჭავარდენულად,

გულჯავრიანო მამეს ჭავარო!

მე კი... ჩემს მცნებას სისხლით დავიცავ,
შენც მოგიწოდებ — მამებს წარბაძო,
ბჭეო სახლის და სალოცავისავე,

სულის ბურჯო და ციხე-დარბაზო..

თორემ ხომ გესმის, — დრტვინავს შავეთი,
ბნელ ტალანებში მრევლი გროვდება
და უხილავი მალახ-მავეთი ყრუ ნაბიჯებით გვიახლოვდება..

ცისკრის გაღობა

ცაო, მობრუნდი,
მოაქციე შენი კანდელი!
ნეტავ, დას მამცნობს ძალი დღეისა, დილა რას მეტყვის
ამდილანდელი?..

...ვინ მესიტყვება ვარსკვლავეთის უღაბნიოდან,
სხივი რად მიხმობს —

მეუფესთან ღამენათევი?..

ნათელი,

ნათელი, —

მალლით გარდამონაფენი —

რაისტვის

მეზრახება

ნათელი..

— აღსდევ, დღეო, ეტლი მოდგა, ჩქამი მესმა
მეუფისა,

სულთა შიგან სიხარული დავანდაო...

ოსანა,

ოსანა,

მზეო ნათლიერისაო,

ოსანა —

მედროშეო აღმოსავალთაო!

ვაშად აღიძრა ზესთა კრებული, ცათა ტაძრებში აღსდგა ცხოვრება,
ცარგვალს მზე ელტვის აცისკრებული,

მზეს —

ასპიროზი ეცისკროვნება...

— აღსდგე,

აღსდგე,

დასნი ხმობენ —

მხარებელნი ხარობენო,

ძალმან ცისამ შარავანდი მოიცაო...

ოსანა,

ოსანა,

განთიადის მგალობელო,

ოსანა —

მესიტყვეო ზეგარდმოისაო!..

მალე მიწყდება ყვავთა გნისი, შენც... მიმგებელო, ყველას მიაგებ...
ჩქამი არ ისმის მელამიასი...

ხმა აღიმალღე,

მეგანთიადღე!

—აღსდგე, გარე-მოაქციე კარი,

მიღმა მიგმანული,

შუქთა წიალ გარდაფინე ჩერო!

აღსდგე,

ისევ განვადვიძოთ ძველთაძველი სიყვარული,

აღსდგე,

სულთა საესაგო ჩემო!

მთას პირონი ვცხოთ, მაღლი ვაფინოთ, ყურად არ ვილოთ

მოთქმა ღამურის,

რომ უამიერთა საპირდაპიროდ

ჩნდეს საყუდარი მარადუამულის...

— აღსდგე, ისევ განვადილოთ ძველთაძველი

სიყვარული,

აღსდგე —

სულთა ხარებაო ჩემო!

...დუმს დედამიწა ძველი სკივრივით, ისევ ყრულ ისმის

დროის დინება, ანუ
გინეპროტეა

ქარს მიუყვება ნელი ლივლივით
და სივრცეებში მიეფინება...

ნათელი...

ნათელი!..

მალღით გარდამონაფენი,

რაისთვის

მეზრახება

ნათელი!..

ცის საწვეულო იკრებს წვეულებს, დღემ ჩამოიხსნა ღამის ფარღული,
ბნელ საწიერებს აძოწულებს

მზე —

ლაქვარდებში მიმოქარგული.

— ოსანა,

ოსანა,

მზეთ ნათლიერისაო,

ოსანა —

მედროშეო აღმოსავალთაო!..

ღისკო მთვარისა ჩქერში შევარდა, უკვე ჟამია — ჩანგი დავლესო,
რომ მზეობანი ანამზევართა

ცად აღვავლინო, აღმოსავლეთო!

— ოსანა,

ოსანა,

განთიადის მგალობელო,

ოსანა,

მესიტყვეო ზეგარდმოსაო!..

მღესავს კვლავ უხმობს ცელი ულესი, ფშვენს ბროწეულის

ნაზი სურნელი

და განთიადის სიქალწულეში

კვლავ სამიჯნუროდ მომესურვები...

— აღსდევ, ისევ განვალვიძოთ
ძველთაძველი სიყვარული,
აღსდევ —
სულთა საესავო ჩემო!



მადლით ხმა მესმა: მწყემსი ვიცანი... შენ დაგძახოდა, ზღვათა
ჭავლეტო: —

ჰა, საკლიტენი ოქროისანი,
კლიტე იღეთ და ინადავლეთო!

ოსანა,
ოსანა,
საჭურჭლეთა განმგებელო,
ოსანა,
მეუნჯეო ჩვენო!..

აჰა, მთის კიდეს კვამლი მოება: მწყემსმან ისურვა ცეცხლის დანთება
და საცხოვართა უბიწოება ცის საწიერებს შეესართება.

შეესართება, ნათელივით შეესართება...

ყრულ შებრუნდება ზამთრის ტაროსი, ცას მოსწყინდება
ძველი კირთება,
მზე შებრძანდება საბაღნაროში და სიყვარულად აიკვირტება.

— ოსანა!
ოსანა!.. —
მივუმღერებ სასოებით,
მენიშნება შეწყალების ნიშანი.
მზეო, ცისკენ წარმიძეხი
შენი სადარბაზოებით,
ბჭენი განმინათლე სათნოებისანი!..

დაბლით მადლი მდევს ამდილანდელი, მე მივუყვები ცათა მდებლოებს,
რომ შევეუსართო ჩემი კანდელი

მზით გაბრწყინებულ საკანდელოებს.

საკანდელოებს, სიყვარულის საკანდელოებს...

აჰა, ლოცვად დაყუდებულს
ჩქამი მესმა მრევლისაო,
შუქთა წიად განკიდევდა ჩერო!
შენის ლოცვა-კურთხევითა,
ბჭეო საკურთხევლისაო,
შენის —
სულთა საესავო ჩემო!

შუქში ნისლი ჩნდა ნელი ტივტივით, სულმან გაიღო თვისი ბეგარა
და მზეასხმული იაკინთივით
მზეში გაკრთა და
გაისპეკალა.

— შენის ლოცვა-კურთხევითა,
ბჭეო საკურთხევლისაო,
შენის —
სულთა საესავო ჩემო!..

მაღლით ხმა ისმის ჩანგთა ჟღერისა, ისევ მორთხმით მღერს
ცათა მსახური,
სახეც კვლავ სახობს სახიერისა —
ასე უხვი და მრავალსახური...
ისევ გვიგალობს ბერი ქადაგი,
ერმან კმევა სთქვა,
ბერმან — სხურება,
ჟამით თაფლი მწადს,
ჟამად — ბადაგი,
რძეც ჟამიერად მომეწყურება.
...დრო კი... კვლავ მიდის ნელი რონინით,
სულსაც კვლავ უმძიმს ჩრდილში გაძლება
და საკმეველთა წმინდა ბოლივით ცის კალთებისკენ მიიზღაზნება.

გარნა... რას გალობს
ნათლიერის თეთრი კანდელი?
რად მესიტყვება ძალი დღეისა, დილა რას მითქვამს
ამდილანდელი?..



ნათელი..
 ნათელი
 მაღლით ვარდამონაფენი —
 რაისთვის
 მერხაახება
 ნათელი?..

ნ ა ქ ა ლ ა ქ ა რ ი

ზარმა დარეკა შებინდებისამ, ცაზე გაბრწყინდა ცეცხლის მახვილი...

...ისევ აღიძრა ჯარი მაშხლებით.
 აჰა, უამი ხმოვს: უნდა ვიომო, სისხლი ვაწვიმო სისხლთა
 ზედაო.

თუმცა... ვის კარზე მივილაშქრებით,
 თქვი,
 მოთავეო მოლაშქრეთაო!
 ნეტავ, ვის ველტვით საწუთროულ სიმარტოვეში,
 უღელს ბედისას საით ვეწევით,
 სად გავექცევით სრბოლას უამისას,
 ვის საუფლოში გავეხვეწებით!..

.....
 აჰა, ბჭეს ვტყორცნე ცეცხლის ისარი, კვლავ მოგეახლე, უცხო ქალაქო,
 რომ შემხედრენი მხედრობისანი

შენთან დავსხა და
 დავაბანაკო.

ბნელში ვილაც ძრწის, უნდა გავექცე!..
 წინ მიმაქანებს სისხლის მორევი
 და მოსისხართა ციხე-ქავებზე ცის მერეხივით მივიტბორები.

გადი, გამიძებს, ჩემო მახვილო, — ჩემო წიგნო და ჩემო ანბანო,
 რომ ზღუდეები დამალახვინო
 და მოსისხარი სისხლით განზანო!..

მაგრამ რად იძვრის ნისლის საბანი, რად მელანდება მგზავრი უსახო,—
 დადის უნდო და მიუსაფარი,
 რა სატკივარი შემოვუძახო?

ხელში რკინის ფხაც გამომედნობა, მაგრამ ვინ არის... ვისთან ვიომო:
აღარც ჯარი ჩანს,
აღარც მხედრობა,

ძილს მისცემია სამხედროონო...

ყრულ მივუყვები ნაცნობ სანახებს,
აწ ყოველივეს ბინდი განაგებს
და ღამიეთის ციხე-კოშკიდან

ვკვრებ მიძინებულ ძვალშესალაგებს.

გაღმით რომ ბრწყინავს, ბჭეა კლდოვანი, სიზმრის დარად კრთის
ძველი დროება:

აქეთ კოშკი ჩანს, ნაოქროვალი,

იქ — გაღავანი მეოქროება.

მაგრამ მრევლი კი...

თვლემენ მეფენი,

აღარც მოყმე ხმობს,

აღარც ბებერი

და მეთესლეთა სანათესაოს მუცლად ვერ იღებს მუცლადმღებელი.

— სად ხარ, მეფეო,

თვალი გეძებდა;

მოლზე გაბრწყინდა ცრემლი ეწერთა...

გახსოვს? — მზე გესვა სულთა მეოხად,

ცა სიტკბობას გიოცკეცებდა.

ოცად არ გიჩნდა ნაოცკეცარი, ოცეულის წილ დაგშთა ნაოცი,

ძოწეულის წილ — ბნელი ზეწარი...

წინ ღუმილია სასაფლაოსი.

აღარც ვედრება,

აღარც ყვედრება...

ოდენ კვამლი თრთის თხემთა ზედაო,

არც მხედრონის ამომხედრება, არც მოძახილი მოლაშქრეთაო.

არც მოსაობა კეთილმოსავის... ყოველი გამჭრალა,

როგორც ზმანება,

ზარის ხმას ერთვის მოთქმა მოზარის

და სივრცეებში მიიბზარება...

მიიბზარება, მიაქვს წუხილი, ბნელ ბაირაღებს მიაფრიალებს,

თუმცა... ვინ დაძრწის შუალამეში,

ვინ ეწაფება დაცლილ ფიალებს?



— აღსდგე, მეღვინე, კათხა აღავსე!
 ...ყრუდ დუღუნებენ ვაზის მტევნები
 და მიყრუებულ ნაპარტახალზე კვლავ უპასუხოდ მივიცრემლები...

თვალთ, რად დაბრმი, რატომ დაბეცდი, ქუშად რად დაგცქერს
 ცათა ტატნობი,

აქ ძეგლი იდგა —

ვერცხლით ნაბეჭდი
 და ოქროსით გამონადნობი.

...ისევ ხელს ვიკრეფ ხელუწიფარი,
 ძველ ნასახლარებს ძრწოლვით ვედები...
 მახსოვს ბჭის კარი, კარზე ტვიფარი,

წინ — მოტვიფრული ნიშანსვეტები.

ველარც ტვიფარს ვცნობ,
 ველარც ტვიფრულებს,

საშომ მიწისამ შთანთქა ყოველი,
 საშო ბადებს და საშო იბრუნებს, შობილს უკუ შობს
 უკუმშობელი...

მე კი... რად ვებრძვი მოდგმას კაცისას, რად ვეტოქები ზღუდე-პალატებს?

რად ვეტოქები... წარვალს დრო-ჟამი, სული გასცდება
 თიხის გალიებს

და სივრცეებში სამოგზაუროდ

დღეისს დასთმობს და გაიხვალეებს...

ხვალაც მოდგება უცხო მხედარი,
 სეფე-კარვებში მორთხმას ინებებს
 და ღინებანი მდინარეთანი კვლავ წარუყვება

წარსადინელებს.

კვლავ მობრუნდება მწყემსი გალობით, დრო მოიძიებს ნაცნობ
 სანახებს

და მისებური ამირბარობით

ლაშქარს დასხავს და
 დააბანაკებს...

ან კი რა დაგშთა მტერთან სადაო,
 სიდან სადაო!
 სიდან სადაო!

ახლა წადი და ზღუდე დალაშქრე,
წა, წინამძღვარო მხედრობათაო!..
გარნა, ვიღრემდე ლაშქარს შეყრიდე, მაღლა მახვილს სჭედს
ბედის მჭედარი:

აღარც კლიტე ჩანს,
აღარც მეკლიტე,
არც საკლიტენი კარიბჭეთანი.

...მაგრამ ვინ იშვებს ყოვლის კიდევან საუკუნოდან საუკუნომდე?..

მაინც ვინ იშვებს!.. მიჯნებს გავხედავ, ფიქრის გორგალი აღმა იგორებს
და ვარსკვლავეთის სიახლოვეში

ვჭვრეტ შეჩერებულ ქორონიკონებს.

ვჭვრეტ საწიერთა უსაზღვროებას, ეტლი მიცურავს

ღრუბლის კარბაზე,

კვლავ გადავხედე თვალსაწიერებს

და შიშნეულად წავიბარბაცე:

იქ განმგებელი სხვაფრივ განაგებს, სხვისი მსჯავრით სჯის სხვათა
გონება

და მხედრობათა ზღუდე-ქალაქებს სხვა მხედრიონი ეპატრონება...

დაბადებიდან აღსასრულამდე

ტირილით ვიშვით,
ჭაპანს ვეწევით,
ჩვენვე გვამძიმებს ჩვენი წოდება;
კვლავ განტევებად განვეწესებით,
მუნ მიგვაცილებს სხვისი გოდება,

სიზმარი ესე

ხელის ცეცებით

ამ იწროებში მიებლოტება...

სიკვდილის ელვები

(ძმის დატირება)



დარი არ დარობს,
ავდრის ბილიკზე

ვლენ მედროშენი მეავდრეთანი...

...კვლავ სიბნელეში ჩაიკრიფა შენი ტყე-ველი,
შეჭირვებული ჩემი სული დიდხანს გეშურვა...
მანც ვერ სძლიე უძალომან დაუძლეველი
და იქცევისი ჩამოსწიე უკუქცეულმა.

მშვიდობით, ძმაო, წაღმა იარე! ძალი გფარვიდეს —

ძალთა მფარველი,

სხვამან სხვას უთხრას ბედის სიავე,

წა,

განიქარვე განსაქარველი!

უხნესს რა გკადრო მე —

უმრწემესმა,

გულზე მატყვიეს ცრემლის ნიშანი...

სულად რა მოვე, შესხმა შემესმა:

ვცან მედროშენი მიმწუხრისანი.

ზარი რამ მოდგა სამგლოვიარო, შუბლზე დაგადგრა უცხო სიალე,
ზენას შეგვედრე, ზესთა ზიარო,

და მისაქცევად მიგატრიალე.

მიგატრიალე, აჰავი, მიგატრიალე ..

გარნა ვუწყოდი, — ასე ანაზდად რომ წარხდებოდა ჩვენი ღრგობა,
რომ გაქრებოდა ჟამი სიამის,

მზის შარავანდი განიმქრეოდა.

რომ საწყევლად ვარდმექცეოდა ჟამი ჩასახვის,
ძაძა-ფლასებით შეიცვლებოდა

ჩემი ბისონი,

მომერღვეოდა კარი სასახლის,

ჩამექცეოდნენ

საყუდარნი დიდებისანი...

3. შუა საუკუნეების ებრაული პოეზია

...გულმან შენი სვე გაითავისა, ლოდს საფლავისას ველარ ვცილდები,
ზეგაც წამყვება ცრემლი ხვალსა,

როგორც გუშინ მყვა
გუშინწინდელი.

ისევ ისე ვტირ,
როგორც ვტიროდი,
რად არ მოგხედე, — ვაი, ავაჰმე!
რად დავაქციე სამარტვილონი,
რტოი პალმისა რატომ გავახმე!..

რატომ გავახმე, აჰავაი... რატომ გავახმე!..

ცრემლით გავყურებ უცხო სანახებს, ცად დარბაზობენ
ცეცხლის დასები,
მეც, სადარბაზოდ გარემოსილი,
ბნელ მოჩვენებებს ვედარბაზები.
მაგრამ ვინ გოდებს: ნისლის კალთებზე თრთის ცხედრონის
ჩუმი ვედრება
და საცხედრეში ჩემი სულისა კვლავ სინანული ჩამეცხედრება...

დედაისი მესიტყვება:
გული რისთვის დაისრეო,
ძილსა შიგან მელანდება შამაი...
ვაი, ჩემო სიჭარმაგვე,
ჩემო სიდარბაისლეო,
ავაი, სიბერეო,
ავაი!..

II

ვდგავარ მთის ქიმზე, ფიქრებს ვიუნჯებ:
ალარც ოქრო მწადს, გულო ჩემო,
ალარც რვალეზი!..
სხივს ვესიტყვები საღამოსას,
ცას ვაკვირდები ნამტირალევი.
როკვენ მთიებნი თიკანთა მგვანად, მწყემსად მთოვარე მიუძღვას არვეთ,
ვილოდნენ,
ვლენ და...

გარდავლენ კვალად,

წა, წარმავალო, მშვიდობით წარვედ!

კვლავ მომტირიან ქარში ბინდები,

რა მეყვსეულად წარხდა ცხოვრება!

თუმც შეჭირვება იმჟამინდელი გულს სამუდამოდ ემასხოვრება:

მიწა ლღვებოდა, — ეჭა, სოფელო! —

შენი სისხლით და

შენი სითბოთი,

„ავაი შენდა,

შეუნდობელო!“ —

ყრუ სინანულით აღმოვიტყოდი.

„ავაი შენდა!“ — ცარგვალს გავცქერდი: მზის მაყრიონი ჩანდა მეფურად,

„ავაი შენდა!“ —

ღონემიხდილი

გზას გავტიროდი კვლავინდებურად.

მაგრამ ვინ იყო მაშვრალის შემწე: საკუთარ ხელით —

ნისლოვან თქორში

გორიდან — გორზე,

თხემიდან — თხემზე

მომქონდა შენი დამზრალი ხორცი.

შორს კი კრთებოდა სხივთა კრებული, ხმობდა ასპიროზ —

ჩემდა მეოტი,

„ავაი ჩვენდა!“ —

შეძრწუნებული

კვლავ ქადაგივით მოვირთხმეოდი.

მოვირთხმეოდი, მოწამეო, მოვირთხმეოდი...

ზღვაზე წყდებოდა ნისლის თარეში,

ქარს მიჰყვებოდა ჩემი იმედი

და მწუხარების ოკეანეში

სულს უნუგემოდ ვატივტივებდი...

ხმობდნენ მთიებნი ცხოვართა მგვანად,

მწყემსად —

მთოვარე უძლოდა არვეთ...

ვილოდნენ...

ვლენ და...

გარდავლენ კვალად,

— წა,

წარმავალო,

მშვიდობით

წარვედ!..

ბოლოს ცა მოწყდა, მოსკდა ისხარი... ცრემლი დაეცა მყუდრო სამარეს
და ფრთებშესხმულმა მელამიებმა

მზის საუფლოში შეიფრთამალეს.

გავხედე ცარგვალს: გრგვინვა გაისმა...

თვალთ აღმებეჭდა უცხო ნიშანი,

ქვე დამახედა აღონაისმა:

ვცან მესიტყვენი ქვეშეთისანი...

შენც შეიხურე კარი შეოლის, ცის ხვაშიადი ცრემლით გამანდე,
ჟამი დასთმე და

გაუჟამურდი,

მეც განმიტყევე მოაქჟამამდე...

აწ კი სად მიხვალ, საით მიგელავ, სად მივიხმობენ ბნელი ფარდები,
ვაშად აწვილო უფლის ბარძიმო,

ვის სავანეში მიიწვართები!..

მალე გასცდები მღვრიე ტრამალებს, სულს დაირწყულებ

საღვთო წყაროზე,

წინ წარგიძღვება უფლის მემინდვრე,

მისი მეზვრე თუ მესანდალოზე.

მაშ, მიეწიე, მიჰყევ კვალდაკვალ,

ცის კარიბჭესთან პირქვე დაეცი!

ვაშად მოხველ და...

ვაშად გარდახვალ,

მხნედ შეგეყრება უზეშთაესი, —

ვინაც ყოველს სჯის,

ყოველს განაგებს,

ვინაც მადლს მოსცემს სოფლის ბინადრებს

და მოწამეთა ციხე-ქალაქებს

დაფნით მორთავს და

მოასინათლებს...

III

დედა მეტყვის:

— კარვის კალთა ქარაშოტმა დაგლიჯაო,
ბნელსა შიგან მელანდება მამაი...
ავაი, ძირო სახლისაო, —
ავაი, ნაპარტახლისაო,

ავაი!..

ავაი!..

ავაი!..

...კვლავ ამეტყველდნენ მექულბაქენი:

— ბაგე ვინ დახშო ლაქარდისაო,
რა ვინ დაშრიტა შენი ნათელი,
ბნელი რომელმან აღანთისაო!
გაღმით მზე მოდგა,
მომენებისა,
მე კი შენ გიგლოვ, ზესთა ზიარო,
თუმც გარდაეგო ჟამი ტყებისა,
დღე გარდავიდა სამგლოვიარო.

დღე გარდავიდა...

სერზე აღვედი,

ყრუდ მიმაცილებს ცათა ნათელი,
გზად მიმოვხვეტე მიმოსახვეტი, —
შენს ნასახლარზე მივებლატები.

დუმს შენი საძვლე...

შენი სახავსე...

ბნელში ყრუდ მოსთქვამს მწუხრის მისანი,
ჩვენს მიძინებულ ნავენახარზე
ვლენ მეუფენი სალმობისანი.

როკვენ მთიებნი თიკანთა მგვანად, მწყემსად მთოვარე მიუძღვის
არვეთ...

ვიდოდნენ...

ვლენ და...

გარდავლენ კვალად,

— წა, წარმავალო, მშვიდობით წარვედ!

გარნა რად ჩაცხრა ცეცხლის თარეში, რად ჩაინავლა შენი სიადგი
მაინც... ვინ ჰპოვე უცხო მხარეში,
რა საიდუმლოს შეეზიარე?

სად ჩაიდრიკე, ბჭეო კლდოვანო, თვალმა საიდან ვინაკლისაო,
ძალო,
ცის ძალო,
შეიდძალოვანო,

ძალო მზისავ და
სინათლისაო!..

რად შეიხურე კარი სინათლის, ბჭე სიცოცხლისა რისთვის შერაზე,
ცისას რას გამცნობს წერამწერალი,
ბედი რას გეტყვის
ბედისწერაზე?

„— ისევ თუ გიხმობს საქმე საქველო!“ —
ბაგეს დასცდება შენი სახელი...

„— ზრახვად რას ითქვამ,
დაუზრახველო!“ —

კვლავ ნადვლიანად შეგეზრახები.

„— იქნებ, გულს გიმღვრევს ჯავრი ხვალისა, — ხვალეც გარდავალს,
ნულა გეშინის, —

სისხლი გწადს,
სისხლი
მოსისხარისა, —

სისხლით გადარწყულ-გადათქეშოლის!..

გარნა ამოდ: უკვე ქარი გლოვს,
ჩვენო ურჩო და
ჩვენო უდგრეშო, —

შენი ფუტკრის წილ
საფუტკრეებში

მუმლი მოსხეს და მოაფუტკრესო!

ცეცხლი ქრება და...

ცეცხლი ინთება...

აქ კი ვასრულდა შენი კირთება
და მიფერფლილი შარავანდედი ცის კიდეებში მიიბინდება...

მიიბინდება, აჰავაი, მიიბინდება...

IV

ისევ სერზე ვზი,
ისევ ვლალადებ,

 ისევ გზას გავცქერ შეჭირვებული...
...ცა იცრიცება, იალადებზე როკვენ ვერძები,
 რა იქნებოდა, — დამშთენოდა შენი ნიშანი,
 ან სიტყვა რამე, ნაანდერძევი, —
 არ შემეჭამა ჯავრი მტრისანი.

 რა იქნებოდა, აღთქმა დავგედო: მტრისთვის გვემტვრია ციხის კარები,
ახლა ვის შევძრავ,

 რომელ სამკვიდროს,
 ვის სათვისტომოს გავემკლავები!..

 რა იქნებოდა, ომი გვესურვა, — ძალი გვესინჯა ძალთა ზედო,
ან მოშულლეთა გაცამტვერება,

 ან გადაგება მოხარკეთაო!..

 ვაზი გესურვა, ზეაღმავალო, —
ზვარში მიმღერდა წყვილი ქედანი...
განძი გესურვა, —

 მქონდა სალარო,
 კვლა — საკლიტენი საჭურჭლეთანი.

 ჩქამი გავედო ნაჩუმათევად, ჩემთვის გეწვდინა შენი ლაქარდი,
სულს გავიღებდი,
დავლას დავთმობდი,

 ბჭეს შავეთისას გადავლახავდი...

 აწ კი რა მეთქმის:
მობრუნდნენ ცანი,

 გარემოიქცა გორგალი ღრუბლის,

ფხა წარმეკვეთა,
წამერთვა ძალი...

 აწ —
 აღესრულოს უფლება უფლის...



გარნა... ვით დავთმო გვემა სულისა, როგორ ვითნო როკვა უქამო
 ვაი, სინანულის ცრემლო უშრეტო,
 ვაი, საღმობაო მოუშუშარო!

ძმაო, ძმის გული მოამკვდინარე, — ველარც სტავრას ვჭკვრეტ,
 ველარც ბისონებს,

იქნებ, ჩაგვიდის ცეცხლის მდინარე,
 ან ოკეანე გვაშორიშორებს.

იქნებ... ვინ უწყის, ბინდიც გაშინებს, —
 ვაი სინათლეო, ჩრდილში რხეულო! —

თორემ რა გქონდა მეკვლეს დღეისას
 დღესთან სამტრო და
 საუდღეურო!..

ისევ შენ გიხმობ მოღმა ნაპირზე, ისევ შენ გვედრი
 მომცე მალამო,

რა უარეა —
 გაგინაპირდე

და შორეულად მოგესალამო?

რა უარეა, დავგმო მშობელი, არ დავიდაფნო დასადაფნავი,
 აღარ შეგინდო შესანდობელი, —

ძმამან არ ვიძმო შენი საფლავი.

მაშინ მტვრად მექცეს ხე და ხევანი, მტვრემან გამრიყოს,
 რაკი მტვრისა ვარ...

ცამ დამაწიოს დასაწევარი,
 მზე დამიბნელოს ხელმან მტრისამან!

კლდემ შემაგებოს ძალნი კლდისანი, — ვერდა ვაფრინო ცეცხლის ისარი,
 ველარ აღემართო ჩემი მარჯვენი,

ვერ შევიმტკიცო
 შესამტკიცარი!..

მაგრამ ნუ იგლოვ, გული შენსკენ რბის, სულიც სულს ეტყვის —
 ჭმუნვა გალიოს,

დღემან არ დასთმოს საქმე დღეისა,
 ხვალეც აღუდგეს
 სადღეხვალიოს.

მე კი მტერს ვემტრო,
 მლალავს ველალო,
 წყევით ვაქციო შენი მწყევარი,
 წერას ნუ მიქცევ, წერამწერალო,

შო,
მოაქციე
მოსაქცევარი!..

თუმცა ვინ დამშთა, ვისლა ვეღაო... ისევ შენ გკითხავ —
შენდა მესავი:

ვინ შეივედროს სანათესაო,
ვინ განმითესოს განსათესავი!..

მაინც ნუ ნაღვლობ, ღვიძლო, ღედისავ,
ისევ უქმად დგას სერზე ბომონი,
მაცნემ ვერ მოგწყლას შებინდებისამ, ვერ მოგიოხროს
სათვისტომონი.

თუ მიგიჭირდეს, სისხლით დაგიცავ, ბნელმან თუ შეგძრას —
ნათლად გებურო,

დედაის ძეო,
ძეო მამისავ,

ძეო —

უძეოდ გარდაგებულო!

ძეო, უმზეოდ გარდაგებულო!

გარდაგებულო... აჰავაი!.. გარდაგებულო!..

V

ჭვრეტ საწუთროს საქონდაქაროს, ეჰა, დაცლილა შენი ტაგანი!..
მზე აღარ მზეობს,
ქარი არ ქარობს,

კაცად არ კაცობს ადამთაგანი.

აღარც მეხრმლის სწამთ,
აღარც მეგუთნის....

ძმებშიც მრავლად ჩანს ძმათა მკიცხავი,
მე კი... ჩემი ძმა ჩემად მეყუდნის,

სხვას მოეკითხოს

მოსაკითხავი.

ღვარძლიც რომ გემყნო ძმათა საფლავზე, დის საძვალეში მიწა
გებელტა.

ვერ შეგკადრებდი მაინც უკადროს,
ვერ მოგაგებდი მოსაგებელთა.

ვერ შეგკადრებდი...
ანდა რა მეთქვა,
როგორ შემეღო კარი შეოლის,
ანლაც... მეწადა ფიქრი გამეთქვა,
მაგრამ არ გვესმის ერთიმეორის...

შეუვალია, ძმაო ჩემო, დუმილის ფარდა...
კუპრი გადმოდულს ჩემთა თვალთაგან,
ბლანტად იმწოთოღვარებს წუთხი და ლორწო,
დავცქერ შენს საფლავს, ძვალთაგანო მამაის ძვალთა,
დედაის
ჩემის
სისხლო და
ხორცო!..

რად შეგაქციეს, რისთვის გაოტეს... ავაი ჩემდა! — სდუმან ბელტები,
ვერ მომაცურებ ველაროდეს,
ვერც საპასუხოდ ამეტყველდები.

ველაროდეს... ველაროდეს... ველაროდეს ამეტყველდები!..

ხმა არსაიდან...
მიმძიმს ლოდინი,
თუმც დამაშვრალმა სადღა ვიარო!..

ცას შევეზრახე გულდაკოდილი,
ხმა
აღვუვლინე
სამგლოვიარო;
მაგრამ ვინ მოსთქვამს: ღმერთო, დამიცავ!—
დედაის ლანდი მოდგა წინარე,

მოდექ, ძმის ჩინო,
ჩინო მამისავ,
მოდექ, ჩინო და მოგვემჩინარე!..
ზრახვა გულისა ისევ მომანდე, კვლავ მომაგებე ზესთა გუნდები,
მეც... ნათლიერის წამოდგომამდე
ლანდს სიზმარეულს მივუბრუნდები;

მივუბრუნდები:

— სული შეჭირვებას ველარ გადაურჩა,
ველარ გადაურჩა,

დედავ,

დედაისი!

სადით აღუფხვრია ძირი სადაურსა,
ვაი, სადაურსა! —

დედავ,

დედაისი!

ცამან მწუხრისამან ფიქრი მოიცაო,
ფიქრი მოიცაო,

დედავ,

დედაისი!

ვაი, საფიქრალო უნათლოისაო,
უნათლოისაო!..

დედავ,

დედაისი!

— დედავ, დედაისი!..

— დედავ, დედაისი!..

კვლავ დავემხოზი ლანდის წინარე, ქვა სატყეებელად მიჩანს თავისად,
სისხლი მდის,
სისხლი, —

სისხლის მდინარე

დის მდინარეთა შესართავისად...

შესართავისად, აჰავაი... შესართავისად!..

VI

ავაი, ჩემო სისხლო,

სისხლო აღრეულო,

ფიქრო, —

გულში ჩახვეულო,

ავაი!..

ავაი, ჩემო საყდარ-სახლეულო,

ავაი, ტაძრეულო,

ავაი!..

.

ვერღა შემოვდგა სამუსიკოდ ჩემი სანთური, ---
 ცამ მოიბურა საღამოსი საპირბადენი...

მზემან ვერ მოსცეს

ბრწყინვალება შარავანდული,

ვერცა მოიღოს მთოვარემან თვისი ნათელი...

მაგრამ... ვერ შემძრავ, ყრუო შავეთო, ვერ შემაბრკოლებს
 შენი ჩრდილები,

კვლავ მოვიწვიე სავარსკვლავეთო

და გამორჩევით ვეთათბირები:

— ჩამოარიგე საკლიტენი საუნჯეთანი,

სასმელი იგი ვაზისაი

ჩამოცვარეო!

სენაკსა ჩემსა

გარდმოავლე უუქი ნეტარი,

სენაკსა ჩემსა,

მ ო წ ყ ა ლ ე ო!..

ვენახსა ჩემსა,

მ ო წ ყ ა ლ ე ო!..

მოწყალეო, კეთილმორწმუნეთა მოწყალეო...

ყოვლი ვასარჩევი

შენგნით განირჩევის,

შენგნით განიმქრევის ჩერო;

სრულყოფილებათ სიხარულის ჩემის,

სულის სიმაგრეო ჩემო!

სულის სიმაღლეო ჩემო!

სიმაღლეო ნათლისაო, ჭეშმარიტო სიმაღლეო!..

.

...როკვენ მთიებნი ცხოვართა მგვანად, მწყემსად მთოვარე მიუძღვის
არვეთ... ზივლირთუა

ვიდოდნენ...

ვლენ და...

გარდავლენ კვალად,

— წა, წარმავალო, მშვიდობით წარვედი.

მე კვლავ ვენახს ვსხლავ, ვენახს ვაშენებ,
შენ — მიუყვები უცხო ხვეულებს
და იმუამინდელ კეთილდღეობას

დღე ზვალინდელი
გიუდღეურებს.

მძლავრობს ჩემი ბჭე, —

მზისკენ იწევა,

ძალი კვლავ შემწევეს

ზღუდეს ვიცავდე...

შენ კი არ ძალგის გამოღვიძება,

თვლემ უკუნითი უკუნისამდე;

ბნელში მწარედ გლოვს გული დაჭრილის, ღრუბლებს შესტირის
ჩვილი თიკანი...

შავად ვინ მორთო კიდე მაშრიყის,

მაშრიყია თუ

ნამაშრიყალი?

წარხდა შენი ჭა,

შენი კუტალი,

შენი სახრე და

შენი საგუთნე...

რად დაუტევე ნავსაყუდარი,

ბნელს რანაირად მისაკუთრე.

ქარი ისევ ძრწის, ისევ ვალალებს, კვლავ მიუყვება მღვრიე ტრამალებს
და ქვესკნელიდან უკუქცეული

ხმას ზესკნელისკენ მიაფრთამალებს.

სულიც ასე ცდოს, — ცასთან გაუბნოს, ქვებს საფლავისას

დაშთეს ხავსები,

შენ განუდგები კაცთა საუფლოს,

თესლს

ადამისას

განემსგავსები.

ქვე დაგვიტოვებ მტანჯველ იარებს,
თვით მიადგები ცათა ლიბოებს
და ასპიროზი აგიხმიანებს მზის მიძინებულ სამუტრიბოებს.

ერთნი გეტყვიან:

— სულო ცხოველო,

სული გარდმოვალს

სულთა ზედაო!

სხვანი გარქმევენ:

— დაუდგრომელო,

მზის შარავანდი დაგადგრებაო.

ქარი წარხვეტავს მთვარის აღმასებს, გარნა ციერი

მაინც ციერობს,

სულიც მუნ შევალს,

შეიდარბაზებს,

მზესთან გალობს და თანახმიერობს.

ღირსად ჰმსახურებ საღვთო სერობას, ზე მიგაქცევენ ზესთა ზესები,
სჯი უკეთურთა განუსჯელობას

და ანგელოზებს ეტრაპეზები...

მე კი... წინ მიძევს სისხლის მდინარე,

აწ განიხვნება ბნელი ზევენები...

კვლავ შემოვდგები ნათლის წინარე

და მლოცველივით შეგეცრემლები.

შეგეცრემლები, სასოებით შეგეცრემლები:

რისთვის განმერიდე,

სულთა საესავო,

რისთვის განმიძარცე

კალთა კვართისაო;

ფრთეო ნათლისაო,

ფრთეო მადლისაო,

ფრთეო, —

სახებაო შარავანდისაო!

— შარავანდისაო...

— შარავანდისაო!..



გესავ, დამიოკო ჩემნი გულისთქმანი,
 ფიქრნი სულისანი
 ისევ დამიზაო...
 სულო, სასოებით ვარეშემოსილო,
 სული შეივედრე
 ღვთისმოსავისაო!

სული შეიკედლე
 ღვთისმოსავისაო!

— ღვთისმოსავისაო!..
 — ღვთისმოსავისაო!..

...მზის ძოწეულებს ნულა დაცრიცავ, ისეც მრავლად მაქვს
 ცრემლი სათხევი,

ისევ შენ გელტვი,
 ბჭეო ტაძრისავ,
 შენს საკუთხეველებს შემოვადგები.
 ძალას მომაგებს
 ძალთა მგებელი,
 რომ დღენიადავ დამეს გითევდე,
 რომ წუთისოფლის საგოდებელი

ცას განვუფინო კიდი-კიდეშდე, —
 ვიდრე ჩაქრება სხივთა კრებული, ცას შესტირებენ ზამორის ველები
 და სიმართოვით შეიწრებული
 მტერის საუფლოში ჩავიმტვერები...

ჩავიმტვერები...

.....

უკვე უამი ხმობს, — მორღვეულა ჩემი გომური,
 მსთველნი ძაფს სთვიან,
 სუდრეულიც მალე მოისთვის,
 მალე მოდგება მარბიელი შემოდგომური
 და მწუხარებას ვარდმოავლენს
 მიდამოისთვის.

რას ვხმობ,
ვის ვყვედრი, —

წარმხდომია ძალი მოისარს,
უკვე შორსა ვარ, უკან დაშთა სრათა რიგები.
სალამოისხანს
საყდრეული ნათელს მოისხამს
და მწუხრეული განტეგებად მივიდრიკები...

შელომო იბნ გეგირთაი

პოეტი, ფილოსოფოსი, მოგვიანებით „გებრაელთა პლატონად“ წოდებული. დაიბადა 1021-1022 წწ. მაღაგაში. ცხოვრების ძირითადი ნაწილი სარავოსაში გაატარა. ადრე დაეღუპა დედ-მამა და ძმები. ბავშვობიდანვე უკურნებელი სენით ყოფილა დაავადებული. თერაპეტი წლის ასაკში უპოვია მეგობარი და თანამგრძნობი ისპაკ იბნ პასანა (იეკუთიელი), მაგრამ მალე ისიც გამოსცლია ხელიდან: 1039 წელს იეკუთიელი სიცოცხლეს გამოასალმეს პოლიტიკურმა მტრებმა. ასეთმა ბიოგრაფიულმა ფაქტორებმა გაუძლიერეს პოეტს გარემოს აღქმის უნარი, გაამძაფრეს მისი შინაგანი სამყარო. იგი სრულყოფისაკენ ილტვის, იხვეწება და საბოლოოდ ყალიბდება მისი ფილოსოფიურ-რელიგიური მრწამსი.

გეგირთაის ფილოსოფიური ნააზრევი იმ დიდი კულტურული ძვრების შედეგია, რომლითაც იმდროინდელი ანდალუსია იყო გარემოცული. არაბი ფილოსოფოსების გავლენით, ერთი მხრივ, კლასიკური ფილოსოფიის მონაპოვრებს რომ ითვისებდნენ და თავისებური კორექტივები შექმნიდნენ პლატონისა და არისტოტელეს შესედულებებში, მეორე მხრივ კი, ლოგიკური აზროვნების შესაძლებლობას პოულობდნენ რელიგიურად, — გეგირთაიც, წინააღმდეგ იმსანად გავრცელებული სქოლასტიკური თვალსაზრისისა („ფილოსოფია ღვთისმეტყველების მსახურია“), ახალი, ნეოპლატონიკური იდეები შემოიტანა ორთოდოქსალური იუდაიზმის მოძღვრებაში და ტრადიციული რელიგიური დოქტრინები ფილოსოფიის შეუვალ კანონებს დაუქვემდებარა. მისი ძირითადი ფილოსოფიური ტრაქტატი „წყარო ცხოვრებისა“, რომელიც არაბულ ენაზე დაიწერა, მსოფლიოდ ღვათაურმა თარგმანმა შემოგვიინახა. თხზულების ავტორად საუკუნეების მანძილზე ითვლებოდა ვინმე ავიცებრონი თუ ავენცებროლი, რომელსაც ზოგი ქრისტიანად მიიჩნევდა, ზოგი მუსლიმანად (მხოლოდ 1845 წ. ფრანგმა ორიენტალისტმა ს. მუნკამ დაადგინა ავიცებრონ-ავენცებროლისა და ბრწყინვალე ებრაელი პოეტის შელომო იბნ გეგირთაის იდენტურობა). ნაწარმოები ნეოპლატონიკური პანთეიზმისაკენ აშკარა მიდრეკილებით სსიათდება, თუმცა მკვლევართა ნაწილი დაბეჯითებით ცდილობდა, თეორია ღვთაებრივი ემანაციისა — თავისებურად გაგებული და გააზრებული გეგირთაის მიერ — სამყაროს შექმნის ბიბლიურ მოძღვრებასთან შეეთავსებინა. თხზულება დიდი პოპულარობით სარგებლობდა შუა საუკუნეების ქრისტიან სქოლასტიკოსთა წრეებში, მისი გავლენის კვალი შეინიშნება, მაგ., ალბერ დიდის, თომა აკვინელისა და სხვათა ნააზრევში. ცოტა მოგვიანებით გეგირთაის ფილოსოფიური დებულებები კაბალისტური თეოსოფიის ერთ-ერთ ქვაკუთხედად იქცა. შემდგომშიც, მისი შესედულებები, მეტნაკლები კორექტივებით, გაიზიარეს ჯორდანო ბრუნომ, ბარუს სპინოზამ და სხვ.

4. შუა საუკუნეების ებრაული პოეზია

გებიროლის ფილოსოფიასთან ორგანულ კავშირშია მისი მხატვრული შემოქმედება, სადაც ბუნებრივადაა შერწყმული მგრძობიარე პოეტისა და მოაზროვნე ფილოსოფოსის პიროვნული თავისებურებები. ნაწარმოებთა უკიდურესად ტრაგიკული ჟღერადობა, ზეაწეული და ამაღლებული პოეტური ინტონაციები კარგად ესამებოდა და გამოხატავდა მათი ავტორის შინაგან განწყობილებას, მის გამაფრებულ სულიერ ცხოვრებას. საგანგებო აღნიშვნის ღირსია გებიროლის რელიგიურ-ფილოსოფიური ლექსები (მათ შორის, მისტიკური პოემა „გვირგვინი ხელმწიფებისა“), რომელთაც ტრადიციულ სასულიერო პოეზიაში შემუშავებული აღსარების ფორმა და ხასიათი აქვთ, თუმცა, ამის პარალელურად, მძლავრადაა წარმოჩენილი ჭეშმარიტების მაძიებელი პოეტის ლაღი და შეუბოროტავი ფანტაზია.

გარდაიცვალა ვაჟენსიაში. მისი გარდაცვალების სავარაუდო თარიღად 1053-1058 წლებია მიჩნეული.

...სად ჩაიცალა ნათლის ჩქერალი,
 ცათა მისნებო, დროა, გამენდოთ!..
 ისევ ზამთარს წერს წერამწერალი,
 მიწა გაშლილა საპერგამენტოდ...

აღსდგე, გრიგალო, ღრუბლებს მიმართე, —
 კვესას ელვისას კალმად მოიტან...
 მელნად წვიმა წვიმს დანაწვიმარზე, სიტყვად — თოვლი თოვს
 სათოვლოიდან...

მზეო, სად მიხვალ, მიგაქვს ნათელი, დისკოს მიღრეკ და მიადაისებ...
 სხვას მოუწიე სავენახენი,
 შენი ვენახი ველარ დაიცევ...

ჩაქრა იგი დღე, იგი ნათება... აღარ ღუღუნებს ქარში ქედანი,
 კვლავ სიძულვილი გვეგუმბათება, ვლენ ნაშიერნი იქედნეთანი...

უსჯულოება ვითლა ვარჯულო,
 ვერლა ვალობენ დასნი დასურად,
 მიწავ, სამოსელ-შემოძარცულო,
 ცაო, —
 გაშლილო ფიანდასურად...

თუმცა... უსმინეთ თრთოლვას ირისას:
 ბაღში კვლავ დავალს ძველი დროება,
 მოდის მებაღე გამთენიისას, ნათელს ელტვის და
 ესათნობა...

მალღით იღვრება საღვთო შარბათი, ზვრებს აამტევენებს
 ცათა სავსება
 და ყვავილების სეფე-დარბაზი მზის სანთობოს დაემსგავსება;
 იყავნ ნათელი! — იტყვის მავანი... შენ განმიდგები,
 ყრუო შავეთო,

ქვე მობრუნდება ზეაღმავალი, ხმელს ენივთება სავარსკვლავეთო...
 ხმელს ენივთება... დილა ისახვის, კვლავ აღივსება
 ნათლის ტავანი,
 ამ საოცარი შესაქმისათვის რის მაქნისია მოკვდავთავანი!..

— არარაისი, სულ ჩემო, არარაისი..

შენ კი... უჩუმრად განასრულებ მწუხრის სერობას,
მზის საუფლოში წარგიძღვება ცათა მისანი
და გამიკვლევენ ტირისდენის ღამებნელობას
თ ვ ა ლ ნ ი შ ე ნ ნ ი —
ტ რ ე ღ ი ს ა ნ ი...

მერმე მოდგები, ნათელს მოიტან... შენს მტილოვანში ოქრო ისახვის,
ქარს გადმოსძახებ სამრეკლოიდან:
— აწ განემზადე უკუსვლისათვის!..

— უკუსვლისათვის!..
— უკუსვლისათვის!..

აქ კი უამი ხმობს, მაცნეს მოელის...
ჰა, გარდმოეგო სვეტი მაღალი!..
ჩნდა მაყრიონი ზეგარდმოელის, ცად ახმიანდა მუტრიბთავანი.
ხმა ზესკნელისა
ქვესკნელს შთაესმა,
ისევ ამღერდა ჩემი ვარდეთი,
კვლავ გარდმოიღო უზეშთაესმა გაუქმებული შარავანდელი...

მწუხრის საბოღმბელი

მე ვდგავარ ლოცვად; სად არის მრევლი?... შემოღამების ღაღადისი
მიწყნარდა ტაძრად...

აქ სასიმღეროდ ხმობდნენ მხევლები
და ცათა მიმართ სათნოებად მიიკმეოდა



კვამლის ღრუბლებად დახვეული აღსაკმევლებში.
 აწ კი ვის ჰყვედრი... ნგრეულა ვანი, წყალში ლივლივებს ლიბო სხლნის,
 დადის სიკვდილი — უნდო და ფიცხელ...
 მზემ სასოება მოგინაკლისა, თუ სიხარული გაფრინდა ცისკენ?..

გამოვედ მზისკენ, დააგდე სორო,
 მოეც ნაყოფი სიკეთის მარცვლით,
 ძეო კაცისა, — უხანო მძორო,
 ამძუენებულო ვნებათა ღვარძლით!
 ვიწროა ქოხი? — ღმერთთა მალლით,
 ასწორებს დისკო ქოხსა და ციხეს...
 სურვილის ტყვე ხარ, მეტყველებ ბავით,
 გარნა ზნეობით პირუტყვად იქეც.
 უამით ლიზლობ და უამად იურვი,
 ძალი უბოძე რომელმან ძალვას,
 რომელმან ბოროტება არჩიე კრძალვას,
 ხვეჭე ცადვის პური,
 განძი მოიხვეჭე...
 გარნა ვინ ჰპოვოს ნეტარება მარადიული
 მზისა ამის ქვეშე?..

— მზე გარდახდების, წარმავალ წარვალს, კვლა — მომავალიც მოვალს
 და წარვალს.

მზე გარდახდების... მიდგები შენაც, ძალი მიმდგარა სადაც ძლეული,
 ყრუდ იწირება წამების დენას წამისყოფა თუ ათასწლეული.
 ჰა, ლოფოროქინა... აღახვენ თვალნი, ვაჟ, შებილწულო სისხლო და
 ხორცო:
 იყო, რა იყო? — წაშლილა კვალი, ბრწყინავს ეწერში ბინძური ლორწო.
 თვლემდა უჩუმრად, არჩევდა სარჩოს, მზეს თუ მიენდო,
 ანუ სჯეროდა
 ცისა და მიწის... მსაჯულმან საჯოს ესკვითარი განუსჯელობა...

...მე კვლავ მუნ ვდგავარ, — აღსავლის კარად, ჰოი, მოიღე რამე ნიშატი,
 ცას — სასოებად,
 სიკეთეს — ფარად,
 მზეს სიხარულად მოგვანიშნავდი.

გესავ,
გველები,
გენუკვი მყოვარ, —

ლაფში მოთხვრილნი დავალთ მლილები,
დავიხშობ ხმას და უსიტყვოდ მოვალ, ბაგემდუმრიად გავემხილები.

და ძრწოლვით გარქმევ — შევბილწეთ რარიგ,

ვითარ დავამხეთ წმინდა კედელი:

ძირს ქვესკნელია, ღრუბლებში — მარის, წინ — სამუდამო
წარსაწყმედელი.

მძიმეა, მძიმე, მიგების ტვირთი,

საბედისწერო — სიმრუდე გზათა...

სად ხმობ, სად დაძრწვი, საითკენ ილტვი,

გადმოხვეწილო საიდან სადა!..

ვის ემუქრები: ჩაქრა სანთელი... რას მოგძახიან ბნელში ლანდები,—

ამაოება მოგელის ბოლოდ,

რამეთუ ხორცის ზეციური შარავანდედი

სულისმიერი ნიჭია მხოლოდ.

სული მზე არის, გასცქერის ცარგვალს, მზეს ეზავება — მზისად
მლოცველი,

ხორცი მოვალს და მტვერივით წარვალს —

წარმავალი და წარსახოცველი.

მარქვი, რად ბორგავ, რუდუნებ მაინც, სად მიგაქროლებს უნდო
ფიქრები,

გარნა ისა ხარ, იყავი რაიც, რაიც იყავი, იგივ იქნები:

ადმოუტევებ სინათლეს მზისას,—

ცისკენ ილტვიან მიწყვი სულები,

შენ, მიწიერი, მიმართავ მიწას, კვლავ მიწიერად აღესრულები...

მძიმეა, მძიმე, მიგების ტვირთი,

საბედისწერო — სიმრუდე გზათა,

სად ხმობ, სად დაძრწვი, საითკენ ილტვი,

გადმოხვეწილო საიდან სადა!..

ძირს ძნიად დახვალ, მიელტვი მზეს და


გწადს, ლაყვარლების მიჯნას მიადგე?

— შეუვალაია, მწვალებელო, საუფლო ზესთა,

დუმს შორეული მეხვაშიადე...

მე კი მოგძახი, გენუკვი, გესმას: გეჰენიაში გმინავენ დაბლა,
სამარადისოდ მიუგდე ეშმას ფარისევლობით ნაკურთხი ტაბლა.

თორემ მზე მიდრკეს, უამი განლით,
ბოლოს დაცხრებით ზმით და ქადებით,
მიდგებით მუნ და სალიტანიოდ ყრუ სიმძიმლით განემზადებით...



რაბი ჰაის ლატირმა

მზეო, რად ვაკრთი ასე უსხივოდ, რა მწყევარივით გაიხმიანე!..

სერზე ჩრდილი ძრწის —
შებინდების უტყვი ხიზანი,
ნეტავ, რად გველტვის უდაბნოს შორი ნათელი..
სადით-რას ხმობენ მეჩანგენი მიმწუხრისანი,
რას ვვაუწყებენ
ბედისწერის მედაფდაფენი?

სრა-სასახლენი გაგვიპარტახდა, თქმა ადვილია:
გაგვიპარტახდა!..


კვლავ გარდაეგო გარდასაგები,
გარდასახლომიც უკვე გარდახდა.

ვერ დაიტროს რაბი ჰაი მისმან მშობელმან,
ვაი,
ავაი,
აჰავაი! —
მისმან მშობელმან!..
ვერღა მოუღოს სუღრეული მისანდობელმან,
ვაი, ავაი... აჰავაი! —
მისანდობელმან!..

მოისხით ფლასი, —
მოიფლასენით:

დავალს სიკვდილი ცრემლის თასებით...
მოიფლასენით, — წარხდა ბისონი, დარი არ დარობს, —
მოიფლასენით!

მოიფლასენით, მოზარენო, მოიფლასენით!..



სახესაჩინო ჩანგოსანო, ჩანგი დალეწე! —
კვლავ სასოების აღსავლენად გვიხმო ქადაგმა,
ბნელი ვარსკვლავი
აღმოენთო იორდანეზე,
გულდარდიანი ასპიროში დაშთა გადაღმა...

აღარც მშვილდი გვყვა, აღარც კაპარჭი, ყრუდ ჩაიშრიტა ცეცხლი
აპრილთა,

მზემ შემოგვტირა ღამის ზღაპარში,

ცა —

ყორანივით შემოგვაფრინდა...

გაუძელ, გულო, გწყლავდეს იარა... სულშიც ვარდის წილ
ღვარძლი ჰყვოდეს,

უკვე, რაც იყო, გარდაიარა,

ვერ მივეწვევით ველაროდეს.

ველარც მზის ნათელს შევეღირსებთ, მნათნო, ჟამია, —
შუქი მილით,

ასე უკვამლოდ რატომ ვივსებთ,

ცეცხლით რად ვიწვევით უსახმილიოდ!..

სრა-სასახლენი გაგვიპარტახდა,

— გაგვიპარტახდა!..

— გაგვიპარტახდა!..

აწ გარდაევო გარდასაგები,

გარდასახლომი უკვე გარდახდა...

აჰა, ზუალიც ჩამოეშვა,

ჩამოციავდა,

გოდებდე, მზეო, აძრწუნებდე ძალთა ცისათა...

დიდი მნათობი გარდაევლო უცხო წიადთა,

წიადთა ბნელთა —

ბაბილონისათა!..

მთქვით: ვაი, ვა, მოიფლასენით, გარემოდექით ცრემლის თასებით,
მოიფლასენით —

წარხდა ბისონი,

უამი არ უამობს... მოიფლასენით!..

მოიფლასენით, მოწამენო, მოიფლასენით!..

ვერ დაიტვიროს რაბი ჰაი მისმან მშობელმან,
ვაი, ავაი, აჰავაი, —
მისმან მშობელმან!..
ვერღა მოუღოს სუდრეული მისანდობელმან,
ვაი, ავაი... აჰავაი! —
მისანდობელმან!..

...გალმით კვლავ ისმის დაღადისი საეკლესიო,
მე კი... სად ვპოვო დაკარგული ჩემი საგანძე:
დიდი რაბინის
მიდრეკილი სული ვეძიო,
თუ აღვეყუდო
საყდრიონის თავშესაყარზე...

ზამთრის ლიტანია

ჰოი, სით მოდის, გულთამზილაგო, სით მოიქცევა ძახილი ესე!..

ისევ და ისევ დაშლი თუ შერთავ,
დღეო ნათელო, ღამეო მქისევ!..
ისევ და ისევ... გარნა სით მოდის, სით მოიქცევა ძახილი ესე!..
მთვარე გარდმოხდა ნისლიან სერთან,
მთვარემ სერობა გამართა სერზე...

სით მოიქცევა, სით მოიქცევა, სით მოიქცევა ძახილი ესე!..

... სდუმან ხეები, დგანან უძრავად,
ბარში დაეშვა ჭირხლი მალლობთა
და მშვენებათა შესამუსრავად გზებს დეკემბერი მოუახლოვდა.

ჰა, საზღაურთა მძლავრი მიგება: სუსხი ცეცხლის წილ, გულზე —
ნაღველი

ციტ განტევებად მიიდრიკება მზე — სამდურავთა ამომძრახველი.
ვინ ხმობს ამგვარად?... — მოდის სიკვდილი, ბალებს მუსრავს და
ხეგებს სცილდება...
თუ სილამაზის აღსაზევებლად კვლავ სიცოცხლეზე დაიწინდება?..

და, ჰა, მთებს იქით შეიძრა ცარგვალი,
შუქი აღავლინა ღამეთა უკუნმა,
ძალთა მეუფემან შემართა არგანი,
ცამ შემზარავად დაიგრუხუნა.
ცრემლი უეცარი შეიმრეს ველებმა,
ცაზე იღუმალი ნათელი დადის,
სით მოიქცევა უცხო მშვენება? —
მეწამულ ცაზე ნათელი დადის!

ჰოი, ნ ა თ ე ლ ი!..

ძალთა საუფლომან, ცათა მეუფემან
ვითარ მოავლინა ნათელი!
თვალთ შეუვალ და მთვართ შეუფერავ
ციტ გარდმოავლინა ნათელი!..

ნათელო,
ნათელო,
ნათელო ციერო,
მეოხად ექმენ დაცვენილ შტოებს,
ღღე მოავლინე საბედნიერო
და სახლსა ჩვენსა მშვიდობა მოეც!
მზეო ხანიერო, მოგვეცი ხანი, ზვარში, მზვარეში ხმობდეს ფრინველი,
მიწას და ველებს მოაგე წყალი,
ცავ, — წყალობითა შესაწირველი!

მპყრობელო ძალთა,
აღმის და დაღმის,
სულს, მინელებულს ღველფისა მგვანად,
და სულთა შიგან მიჩქმალულ სახმილს მზის კვლავტარი აღუნთე კვალად!
თორემ კვლავ აღსდგა, აღიმართა ბნელი კედელი,

ცას განეფინა ბინდი ვრცეული,
ვით უჩვეულო განსაწმედელი, — განახლებისად შემოქცეული...
ხმაი რად მიწყდა!.. ვინ აღესრულა... ცით გარდმოეშვა

სხივი პირველი,
აჰა, ლაყვარდი აღენთო მზისებრ
და შუქი იგი — ხარებისად აღსახილველი,
ცად აღმოხდების ისევ და ისევ.
ისევ და ისევ აღდგენილი სიცოცხლის შესხმად
აღიმართება სვეტი აღსავლით,
ცა, ბორგნეული, იზვავებს ზესხმად
და მოინთხევა მანანასავით...

* * *

ნათელო ჩემო, მიწყვი მადლიან ლოცვებს ვბუტბუტებ,
თავზე გველები,
ხმას მოგაწვდენენ დილაადრიან მზით განბანილი საკუთხეველები.
კამკამებს სული, შუქში კანკალებს... კვლავ აღმიტაცებს ჟამი ნეტარი,
მზის სამკვიდროებს მივემძლავრები
და აღიძვრიან ძალნი მძლეთანი.

ცის სფეროებში მინელდება ნისლის თარეში,
მზის სურნელებად ჩამედვრება სულში კინამო
და ხარებათა უჩვეულო სიმხურვალეში
შენ მოანათებ, გულთამხილავო!

მოდხარ ცეცხლად... ყრუ და ძაბუნი — ცას განეხენება
ბნელი ფარდები,
მე—უსიტყვო და სულგანაბული, შენს შესაყრელად, მოვემართები.
ო, შერთვა იგი!.. ჰანგი ქებული!..
ცად აღავლინეთ ძლევის აღმები,
კვლავ საგანგებოდ განდიდებული საგალობლებით მოგესალმები.

სულო, რა ხელყრი, — ყოფნა კაცისა კვლავ მარტოობის სევდით შებურო?..
 სადით სად დაგაქვს ღვთაებრივი შენი სინათლე!
 მობრუნდი, სულო,
 დაობლებულო,
 შენს სამკვიდროში დაებინადრე!..

წარსულან წლები, გარდაუვლიათ...
 დროა ადავსო შენი ჭურჭელი!..
 მაინც სად მიხვალ ასე მდუმრიად, ვის საუფლოში მიიძურწები?
 გახსოვს იგი დღე? — უხმოდ აინთე, ქარი დაძრწოდა ზღვიდან
 ვლატემდი,

არარაიდან
 არარაიმდე

ყრუ სიმძიმით დაფარვატებდი...
 გარნა უეცრად აღჩნდა ნათელი,
 დამბადებელმან
 თავისავე ხატად მოვიცა;
 გარესამოსად შემოგახსა ბნელი ჭურჭელი
 და განგარიდა კაეშანი უსაგნობისა...

...მაინც სად გამწევ, საით წამიტან, სად ჩაიშლება თიხის გორგალი,
 მწვრთელი ბევრს გწრთვიდა დასაბამიდან, —
 უდრეკ იყავ და შეუბოროკალი.
 მარქვი, რას გარგებს გზებზე ბარბაცი,
 მაინც გარდავალს შენი დროება...
 მცირედ თუ გიჩანს ქვეყნის დარბაზი, — სრა-სამყოფელი
 გევიწროება?..

გაღმა ვილაც გლოვს, შემწეს მოელის...გარნა კვლავ იმდერს
 ჩანგი მოსავეთა,
 რომ სიყვარული ზეგარდმოელის შენს დაბადებას ვარემოსავდა...

ეჰა, რად მიფრთხი, რისთვის მეკრძალვი,
 ვერას ვერ გავნებს შენი მწყევარი...
 მალე მოაწევს უამი სთვლობისა, ჩვენც მოგვეწევა მოსაწევარი...
 რკინას მტვრად აქცევს ძალი ძლიერის, სეფე-დარბაზი უჩანს ახურად,
 გზა მოიძიე აღსალიერის,
 ცას შეუდღეჟი შინამსახურად, —

რომ სივრცეები ნათლით შეებურო,
მზეს შეუხსართო შენი სინათლე...
მობრუნდი, სულო,
დაობლებულო,
შენს სამკვიდროში დაებინადრე!..

იეკუთიელის დაბრუნება

დღე აღარ დღეობს, ჩაქრა მნათობი, ცით გარდმოვიდა მაცნე გლოვისა...

...მწუხრის ვარსკვლავი შემობრუნდა ძალთა მპყრობელად,
კვლავ ძოწეულით იმოსება დასალიერი...
და გარდასული სასოების
გამომხმობელად
გარე-მომდგარან მწუხარების ასაბიები...

ცას იღუმალი ბინდი აშინებს, მზე გაკრეფილა
ჩრდილში მალიად
და საღამოს უჩინმაჩინებს ბნელ წიაღებში მიუჩქმალიათ...

მიუჩქმალიათ, აჰვაი, მიუჩქმალიათ!..

...რა არის ჩვენი ყოფა: — სულთქმა წუთიერი,
ბნელთა შიგან
გამომკრთალი ჩვენება...
მიწად მიიქცევა იეკუთიელი,
მიდის,
მზედ მიდის...
მიესვენება...

ვინ გამოიხმო მედროშენი ვაებისაი,
ცრემლი რომელმან ინატრისაო?
ვარსკვლავთმისანო, მიტყე გზაი,
მოვედ, მორბედო სინათლისაო!

მზეო, მობრუნდი,
მზეო, მოიქეც,
სისწლით შეღებე შენი ქიტონი,
გუმბათიონით გარდამოიღეს გაუქმებული პარაკლიტონი...

ცათა ნათელი მიღმეთში მიეფინება,
უფლის ტაძარში დაიშრიტა დიდი კანდელი;
დრომან შესწყვიტა თვისი დინება,
ღამე არ ღამობს ამაღამდელი...

მზეო, მობრუნდი,
მზეო, მოიქეც,
წითლად შეღებე შენი ქიტონი,
კვლავ სინანულით გარდამოიღეს ცის მგლოვიარე პარაკლიტონი...

კვლავ დაუქროლა ქარმა ზამთრისამ,
დრომ მიითვალა სითბო მკათათვის,
კვლავ შეტრიალდა ბედის ბორბალი, ცა განემზადა
ცვალებათათვის...

ცვალებათათვის, სულო ჩემო, ცვალებათათვის!..

ღვთის ასაბიამ
ალამდარი მოინაკლისა,
ყრუდ მიიქცევა სიბნელეში მისი ჩვენება;
მავრამ სად წავა სვეტი ნათლისა,
ვის საუფლოში ჩაიწვევრება?

ძალი რა უყავ, ძალთა მძლეველო,
სად ჩაიშრიტა შენი მთიები?

— ცრემლთ მარგალიტებს მოამცვრევენო, —
აღესრულაო, აეკუთიელი!..

აღესრულაო, ვაი, ავაჰმე!
განასრულაო ყოფნა წუთიერი...
აღესრულაო...
აღესრულაო...
აღესრულაო იეკუთიელი!..

მზეო, მომხედე,
მზეო, დამიცავ!..

უნდა მის ხსოვნას ლიბოდ დავედო,
გარნა რად მაკრთობ, ბინდო ღამისავ,
სადით სად მოხვალ, მალახ-მავეთო?

...მზის შესაყრელად მოდგა ლანდეთი,
ისევ გაცუდდა ძალი მძლეველის,
ეჭა, სად მიდის შარავანდედი

იეკუთიელ ნათლისმცემელის?
რას გვაუწყებენ ბნელი ნიშები, გაღმით ვინ მოსთქვამს:

„—ვერღა ეწიოთ!..“

რად აღიძვრიან პარაკლისები

სააღლუმოდ და
საეკლესიოდ?..

ცად აგუგუნდნენ საგუმბათენი,
მეგუმბათენი შემოკრბნენ ვაით...

სად გარდაეგო მისი ნათელი,
მზე საღაურნი გარდახდა საით!..

მოდგა ჩრდილოით შავი გრიგალი,
სამხრეთს უმტვრია სრაოთა რიგები,
მალრიბს მოღიხარ წამაშრიყალი და ნაღვლიანად გვეშიკრიკები.

გარნა არ გვესმის შენი ძახილი,
მრევლი აწვიმებს ცრემლთა ნაკადებს
და მწუხრეული სულის საოხად ხმა ქვეშეთიდან
ამოგვღალადებს:

— ხელმან მტრისამან ცეცხლი ჩაუქრო,
უნდა მიწაში ძვლები ჩაკრიფოს,
მზემან დააგდოს თვისი საუფლო, მაშრიყს გასცდეს და

გაიმალრიბოს.

ვაჲ, საყდრეულო გადაბუგულო,
ვაჲ, საწუთროის ცრუო ზმანეთო!
გზა უბადოა, მწყემსი — უგულო, ხალხიც უნდო და

უერთმანეთო!..

იეკუთიელ!
იეკუთიელ!
ჟამი ფიცხელ არს, ყოფნა — წუთიერ...

უფლის ვანში დგას შენი კარავი,
გარე-გივლიან ვარსკვლავები
წყნარი გალობით...
მაგრამ, რაც დაგშთა მიუთვალავი,
დრო მიითვალავს თანდათანობით.

თანდათანობით...
თანდათანობით...

„ყოფნა სიზმარს ჰგავს!“ —
მჭევრობს მავანი,
ყურად არ იღებს სხვათა საბუთებს,
ჩვენ კი გულს გვიკლავს სიტყვის ჯავარი, გზასაც გვიბნევს და
გვიბლაბუდებს.

„ყოფნა ყოფნაა!“ —
ბჭობენ მეფენი,
გარნა ხმა გვეტყვის ზესთა კრებულის:
ვინ ინიშნაო სანიშნებელი
არსებულის თუ არარსებულის?
და მიგვაცილებს კითხვა ცისმარი,
ისევ ისე ჭირს ბნელში გაგნება,
აღარც ცხადი ჩანს, აღარც სიზმარი, გზაც — უსასრულოდ
მიიკლაკნება...

.

ცამ სინანულის დაგვლო ბეჭედი, მზე შემოგვადგა
გლოვის წერილით,
ისევ ყრუდ ღრტვინავს ცათაქვეშეთი, დროც მიიქცევა უწინდელივით...
ძალნი რად გლოვენ, ძალთა მძლეველო,
რას გადმოგვძახის შენი მთიები?
— ცრემლთ მარგალიტებს მოამცვრევენო, —
აღესრულო იეკუთიელი...



იეკუთიელ!
 იეკუთიელ!
 ჟამი ფიცხელ არს, ყოფნა — წუთიერ...

...მე კვლავ მარცვალს ვთეს, ნახირს მივდენი, დრომ მიითვალა სიტკბო
 იმდენი,

შენდა არ მზეობს იგი სამზეო, ჟამი არ ჟამობს
 იმჟამინდელი.

გინდა მზეს შეხვდე,
 შეეჭილიყო?
 — ნაცვლად ჩაგისხვევს მიწის ბელტები;
 სიდან სად ჩახვალ, სოფლის ბილიყო,
 ვის ჯურღმულეებში ჩაიფერდები?..

ჩაიფერდები, აჰავაი, ჩაიფერდები!..

ვერღა აღანთო შენი ტაძარი,
 იყოს, რაც არი, — იეკუთიელ!
 ცეცხლი მინელდა, დაშთა ნაცარი,
 იყოს რაც არი, — იეკუთიელ!
 გახსოვს? — კედლებზე ჰანგებს შეფენდა
 შენი ებანი, — იეკუთიელ!
 აწ ვინ გვასმინოს მქადაგებელთა
 ქადაგებანი, — იეკუთიელ!..

ვინ განადიდოს მისი სახელი,
 ვინ ამჭევროს კვალად ბაგენი,
 ვინ შეავდროს მექულბაქენი,
 იეკუთიელ!..
 იეკუთიელ!..

მზეო, მობრუნდი,
 მზეო, მოიქეც,
 სისხლით შეღებე შენი ქიტონი,
 გუმბათიონით გარდამოიღეს გაუქმებული პარაკლიტონი...

...რა არის ჩვენი ყოფა: —

სულთქმა წუთიერი.

ბნელსა შიგან გამომკრთალი ჩვენება...

მიწად მიიქცევა იეკუთიელი,

მიდის, მზედ მიდის...

მიესვენება...

მოშე იბნ ეზრა

პოეტი, ფილოსოფოსი, ფილოლოგი. მისი ბიოგრაფიის შესახებ მცირე ცნობებია შემონახული: დაბადებულია 1055 წელს გრენადაში. აქვე გაუტარებია ცხოვრების პირველი ნახევარი. შემოკრებილი პეკოლია თვალსაჩინო პოეტები და მეცნიერები, მათ შორის, ასალგაზრდა იეპუდა პალეეცი, რომელთანაც შემდეგში ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. როგორც მისივე ნაწარმოებებიდან ირკვევა, მეტად მძიმე და გაუსარელი ცხოვრება ჰქონია. ამან გავლენა მოახდინა პოეტის ფილოსოფიურ მრწამსზე, რომელიც თავისებურად აირეკლა მის პოეტურ ქმნილებებშიც.

იბნ ეზრას თხზულებები ფორმისეული სისადავითა და სტილის დახვეწილობით გამოირჩევა. განსაკუთრებით საინტერესოა მისი საერო ლექსების კრებული „თარში“ („1210 სტრიქონი“), რომელიც არაბული პოეტიკის კანონებზეა დაფუძნებული და ათი თავისაგან შედგება. ლექსებში ლაპარაკია ღვინოსა და სიმღერაზე, სიყვარულსა და სოფლური ცხოვრების მშვენიერებაზე, სიბერესა და განშორების სიმძიმეზე, ბედის სიმუხტელსა და მეგობრების გაუტანლობაზე, სიკვდილსა და ღვთისმოსაობაზე... მაღალმატერულად აგვიწერს პოეტი ბუნების სურათებს, თუმცა ასეთი ფერწერული ხატის მიღმა ყოველთვის სერიოზული ფილოსოფიური თვალსაზრისი გამოკრთის. სამყაროსა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების ფილოსოფიური გააზრება ყველაზე მძაფრად გამოქვდავანდა მოშე იბნ ეზრას რელიგიურ-ფილოსოფიურ ნაწარმოებებში, რომელთა უმრავლესობას ე. წ. „სინანულის საგალობლები“ შეადგენს. ლექსებში სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული პრობლემა წამოჭრილი, აღწერილია ამქვეყნიური ყოფის ამოება, რომელსაც ყველაზე ცხადად სიცოცხლის მიწურულში თუ შეიგონოს კაცი, როცა მარტოდმარტო რჩება უზენაესი სამსჯავროს წინაშე... იბნ ეზრას რელიგიურ-ფილოსოფიური თხზულებების უმრავლესობა ებრაული სასულიერო პოეზიის საუკეთესო მიღწევათა რიგს განეკუთვნება და მტკიცედაა დამკვიდრებული ტრადიციულ ებრაულ ლიტურგიაში.

გარდა პოეტური ნაწარმოებებისა, მოშე იბნ ეზრამ, პირველმა ებრაული ლიტერატურის ისტორიაში, დაწერა ტრაქტატი რიტორიკისა და პოეტიკის საკითხებზე, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება. ასე მაგ., თხზულების IV თავში გაანალიზებულია ბიბლიის პოეტური ნაწილების ვერსიფიკაციული სტრუქტურა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ებრაული სალექსო ფორმების ისტორიული განვითარების შესასწავლად. ასევე საინტერესოა ნაწარმოების V თავიც, სადაც აღწერილია ესპანეთში ებრაელთა დასახლების ისტორია, განსილულია ესპანეთის ებრაელთა

ლიტერატურული მოღვაწეობა, დასახიათებულა ცნობილი პოეტების შემოქმედებითა
თავისებურებანი და სხვ.

მოშე იბნ ეზრას კალამს ეკუთენის ფილოსოფიური თსზულებებიც, სადაც დედალ-
ნათლიე ჩანს ბერძნულ-არაბული ფილოსოფიის საფუძვლიანი ცოდნა, ავტორის მრავალ-
მხრივი განათლება.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სწორედ მოშე იბნ ეზრას იხსენიებს რუსთაველი
თავის პოემაში: „ამ ამზავსა მემოწმების დიონოსი ბრძენი, ე ზ რ თ ს“.

გარდაიცვალა 1139 წელს.

I. დ ი ლ ა

იმღერე, ჩანგო, გარდაეგო მწუხრის ნიშანი,
 ქარი მიმქრალია,
 ღვარი — მიღვარული...
 ცამან გარდმოსხა მედროშენი სინათლისანი,
 ალამი მათი ჩვენსა ზედა:
 ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი!..

კვლავ გაბრწყინდება საქორწინო ქადა-ხმიადი,
 ჰანგი სტვირისა ამღერებს ღელის შროშანებს,
 ფრთებშეკეცილი ყორანივით
 წავა წყვდიადი
 და განთიადი ქედანივით შეიფრთოსანებს.

გაღმა გარდავა მწუხრის მისანი, სადმე ცის პირას ობლად მიჭდება,
 მზე მობრუნდება ნაყირმიზალი
 და ფიალებში ჩანარგიზდება.

მალე მიწყდება ბინდის თარეში,
 დღე გადმოდგება ოქროს შვილდებით,
 ს ე ბ ი ა!
 და სიყვარულის ოკეანეში
 ჩაეზვირთებით,
 ჩაეზვირთებით,
 ს ე ბ ი ა!..

... ჰა, სიხარულიც გარდამოიღეს, ცამან მოგვაგო მაღლი უღევი,
 შეყრის ჟამია...

მწდეო, მოიქეც,
 კვლავ მოგვაწოდე სამწდეურები!
 ცათა მნათობო, მიწყვი ნათობდე,

კვლავ ნანაობდეს ოქროს ჭევლები, —
ცას აფუყვები საგუმბათომდე,

მზის სამკვიდროებს შევემჭვებები.
როდის-სად მოხვალ, — ვკითხავ უჩუმრად, — შუქთა ხარებას
ვისთვის მოიტან!..

და გამენდობა ჩემი მიჯნური ცის იღუმალი სამკვიდროიდან.
მზე შემერთვება, შემეშველება,
შუქს გარდმოაფენს დამზრალ ახლებს
და აამზევებს მისი მშვენება ჩემს ამღერებულ საზამბახობს...

II. შ უ ა ლ დ ე

მიუყვება მწვერვალს მწყემსი, —
ძირი ელტვის თხემს...
ოქროცურვილ პალატებში
სიყვარული თვლემს,

— სიყვარული თვლემს...
— სიყვარული თვლემს...

თვლემს სიყვარული... მთებზე სხივი თრთის, სხივში ბრწყინავენ
ოქროს სკივრები,

მე კი შენ გიმღერ მეჩანგესავით,
ისევ გესავ და
გესატკივრები.

მაგრამ ამაოდ: განიგანობს მოყუროიადე,
ყურად არ იღებს მლაღადებლის უხმო გალობას...
რისად განმელტვი, ჩემო მიჯნურო,
მარქვი — რად არჩევ კიდეგანობას?

მომხედე, გესავ,
ძველებურად მომემცინარე,

უკვე ჟამია —

ვანი სულისა შენი უშრეტი ცეცხლით შებურო...

კვლად განმიხვევენ კარიბჭენი თვალთა წინარე,
რომ წამიერად შემოგხედო,
ზეარსებულო!

მო, მოწყალო, ყოვლადქებულო, კვლავ გარდმოაგე შენი მწეობა,
კვლავ განმარიდე მწუხრის ტყვეობა,

მომეც ძალი და
კეთილმძღებობა!

კვლავ განმიბანე უცხო სინათლით ჩემი კოშკი თუ ჩემი ახორი,
გესმის? — რას გიმღერს გუნდი მნათობთა,

რას გიგალობენ ზოდიაქონი:

სებიაო,

სებიაო,

გალმა ბნელი გზებიაო!..

მოგიერთვია სხვათა მღელო,

მოგინარგისებიაო,

მოგინარგისებიაო,

ს ე ბ ი ა!..

...ისევ ელტვის მწვერვალს მწყემსი, —

ძირი უხმობს თხემს...

სიყვარულის დარბაზებში

ნანდაური თვლემს,

ნანდაური თვლემს...

ნანდაური თვლემს...

...რატომ გამირბი, ჩემო მიჯნურო, მარქვი, — რად არჩევ კიდევანობას?..

ცის სამკვიდროებს განეთვისები,

ხან გადმოდგები, კათხას ამივსებ სიხარულის და ცრემლის ნაზავით

და ძილბურანში ზეგარდმოულ ძალთა წყალობას

მოალივლივებ ნათლიერის გალობასავით...

...საით განმელტვი, ბედის ვარსკვლავო, მარქვი, — სად არჩევ

კიდევანობას?..

ბრწყინავს, კვლავ ბრწყინავს უღაბნოში კარვის ნაკვეთი,
შენ კი რად ამბობ —

გასრულდაო ჩვენი გართობა
და აღმოდებულ ზმანებათა სიხორშაკეში
ჩაინავლაო სიყვარულის იავარდობა:

„— გაფიცებ, სულო,
შენლა დამშთი ჩემლა საფიცრად, —
არ ამომღერო ქანაანის თეთრი ვარდები,
აღარ დამიწნათ გვირგვინები,
აღარ დამიწნათ,
არ განმიღვიძოთ სიყვარული ამდილანდელი!..“

...ასე რად მელტვი, ჩემო მიჯნურო, მარქვი, — რად არჩევ კიდევანობას!..

ისევ ცრემლით ვზნობ,

ჩოქზე ვეცემი,

ჯამზე ჯამსა ვცლი, ღვინოს — ღვინოზე,

ვა, გარდმოიღე აზარფეშები,

მზის სასმურები გადმომილოცე.

თორემ ეტლი რბის, იწვის შუადღე, წამი წამს მისდევს,

ჯამიც იცლება,

სძალი ისევ თვლემს,

ისევ ძილქუშობს,

კვლავ ეძნელება გამოფხიზლება...

მოთქმით ვეტყვი:

— სეზიო,

ზღვათა გაღმა ზღვებიაო,

მოგიქარავს სევდის სახლი,

მოგიდარბაზებიაო,

მოგიდარბაზებიაო,

ს ე ბ ი ა!..

— სეზი, სეზია, — ვკითხავ თავიდან: თუ იესებთან ჩვენი კათხები,
კვლავ შემოვძახებ ძლევის სიმღერას,

კვლავ სამიჯნუროდ შემოგადგები.

ღერო ლერწმისა უნდა გავთალო, ჩემო დარო თუ ჩემო ავდარო,
რომ სიყვარულის საგალობლები

შენთვის შევკრა და
შევათავთავო.

რომ გავაბრწყინო ჩემი ტაროსი შენი კვესით თუ შენი მკვესავით
და სიყვარულის საბაღნაროში

კვლავ შევიმღერო მებაღესავით.

მაღე გაუწყებს ჩემი გალობა, რომ შენმიერი ჰანგი შემესმა,
რომ სამუსიკოდ დამამწყალობა

ცის მუტრიბთაგან უპირველესმა.

მაშინ... სად წახვალ, ჩემო მიჯნურო, მარქვი, — სად არჩევ კიდევანობას?..

ისევ აღმოვალს ნისლი დაბლობით,
ისევ იმღერენ ვაზის ლერწები,
ს ე ბ ი ა!..

კვლავ მწიფობისთვის ბაგეთაფლობით
მეაღერსები,
მეაღერსები,
ს ე ბ ი ა!..

თუმცა რას ხმობენ ბნელი ტევრები,
სული რად იგლოვს: ჩრდილში ვწევარო,
ს ე ბ ი ა!..

კვლავ ხვავრიელად დაიმტევნები,
ძუძუ-მტევანო,
ძუძუ-მტევანო,
ს ე ბ ი ა!..

კვლავ სიყვარულის მწყემსი იქნები, მზეს უმღერებენ შენი თიკნები,
ს ე ბ ი ა!..

კვლავ გაზაფხულის ენამზეობით
მომელიქნები, მომელიქნები,
ს ე ბ ი ა!..

მაგრამ... თუ კარი სიკეთისა გარდამიკეტე,
უკეთურის წილ
მოაკვდინე შენი მოკეთე,
თუ სიბნელის ქვეშ განმიფინე

ყოვლი სიკეთე

და მორჩილის ვანს უსულგულოდ გარდამოხედე,
თუ განთიადის სიწრფოება გამიშავფერე,

ძალნი ღამისა შემომარტყი უცხო კრებულად, —
მაშინ, მუტრიბო,
ხელმეორედ სული შთამბერე
და საკრავივით ამამღერე კვლავინდებურად!



კვლავ აღმიდგინე რუმენის ბურჯები, ამიხმიანე თიხის ჭურჭელი,
თუმცა... რად შეგთხოვ: ჭერეთ ცოცხალ ვარ,
ჭერ — სინათლეში დავიძურწები.

ჭერეთ არ ყივის ყამი უცები,
ჭერეთ არ ხმობენ ბნელი ქუჩები,
ს ე ბ ი ა!

არც საღამოსის სახემქისობით
მეპირქუშები,
მეპირქუშები,
ს ე ბ ი ა!..

ჭერეთ აღმოდის ნისლი დაბლობით, ჭერეთ მღერიან ვაზის ლერწები,
ს ე ბ ი ა!

ჭერ მწიფობისთვის ბაგეთაფლობით
მეაღერსები,
მეაღერსები,
ს ე ბ ი ა!


მაშ, აღმიტაცე, აღმა ვიაროთ, ელვა მოვტაცოთ მთებს და ფრიალოთ,
ს ე ბ ი ა!

და სიყვარულის საგალობლები
ავამზიანოთ... ავამზიანოთ,
ს ე ბ ი ა!

III. საღამო

აწ ფიქრითაა ჩავმანული ცათა კარები,
თვალნი მთოვარისა —
ცრემლით მინამული...
აჰა, გარდმოსხდნენ საღამოსის აღამდარები,

ალამი მათი ჩვენსა ზედა:
ს ი ნ ა ნ უ ლ ი !..



... ცაო, დამსეტყვე,
ცაო, დამავსე,
დისკო მთვარისა ჯამში ქანაობს,
მწუხრის ჟამი ხმობს ჟამთა სამანზე
და მწუხარებაც თანისთანაობს.

ცამან გარდმოსხა შებინდების ალამდარები,
ალამი მათი ჩვენსა ზედა —
ს ი ნ ა ნ უ ლ ი !..

ცრემლის წვიმა წვიმს, ქარობს ქარცივი,
ქმნა სიკეთისა ვილას უფლიედ!
მზეს დავეუცალებთ ოქროს ბარძიმი,
ცას —
ვარსკვლავები მიმოვუბნიეთ...

...ს ი ნ ა ნ უ ლ ი, გულო ჩემო, განშორების ს ი ნ ა ნ უ ლ ი !..

კვლავ შემოგარეს ბინდით მოიცავ, მტვრით აღივსება ჩვენი კათხები,
შენც... ხარებაო ზეგარდმოისავ,

კვლავ განტევენად გარე-გადგები.

კვლავ მოგაწვდიან მწუხრის ბარძიმებს, შიგ ჩაიცლება შენი სავსება,
მზეს შეაყრუოლებს,
შეაქარცივებს,

ცა —

მგლოვიარეს დაემსგავსება.

მეც გამოხმობენ ზესთა დასები, აღარც სტავრა მწადს, აღარც ზეზები,
კვლავ ჯვალოებით შევიფლასები
და უდაბნოში გავიხვეწები.

გავიხვეწები,
გავებლატები...

აბა რა ხელეყრი — ფუჭად ვზრუნავდე!
გარდამოხდება უცხო ნათელი
და ჩამიძიებს გულისგულამდე.

სუსხი მეწვევა სხივთა კვდომისთვის, ქსელს მომიქსელავს,
სასთველს მომისთვის
და განტევების გზაჯვარედინზე
კვლავ შემამზადებს უკუდგომისთვის.
აშლის ჩემს ფიქრებს,
ააქარავნებს,
ზე აღმიტაცებს ზესთა სავანე,
ყრულ მივადგები ცათა გალავნებს
და ჩავიმუხლებ მისვლისთანავე...

საით ილტვიან სოფლის მდგმურები


საით ილტვიან სოფლის მდგმურები? —
მიიდრიკება სული ვანთავან...
მიწყვი გზად ყოფნა,
სივრცე ულვევი,
ზღვარი იქ ჩანსო —
იტყვი ხანდახან;

ნავს მინდობიან მეზღვაურები,
ნავკოსალარი
მიჰქრის ქარდაქარ...

გ ე დ ი ს წ ე რ ა

ეს მოხდა უცხო ზმანებათა გარემოცვაში...

...ცად ამზიანდა ფარდა — ზარქაში,
გალმა ზარების ატყდა ქლარუნნი
და სიზმარეულ გარდასახვაში გზა შემეცვალა პლანეტარული.



მე დავიბადე... ბედის ვარსკვლავი ცაზე აღენთო უცხო ზმანებდა...
 ის მომყვებოდა, მე მივიღოდი

და კელაპტრების წყვილი ღეროთი
 დიდ სინათლეში განსაზავებლად მზის შესაყრელად მივიმდგროდი.
 მზე იყო მაღლა ...მიჯნათა მიღმა უსაზღვროების მირიადი მოჩანდა
 ზღვარი...

დავლახე გზანი — სხვანი და სხვანი, ბევრი ვიარე თუ...
 ცოტა ვიარე, —
 უცხო მხარეში ამექცა მხარი,
 დავახანე და დავაგვიანე.

...დავაგვიანე... დავაგვიანე... სამარადისოდ დავაგვიანე...

აწ ვზი მამვრალი, ვინ ხმობს, ვინ მიცდის... წარხდა ოქრო და
 წარხდა რვალები,
 წინ სიკვდილია, ერთია მისთვის ნატერფალი თუ ნამწვერვალები...
 როსმე ცა ენთო, ბრუნავდა ჭერი, როკვით ვილოდა გუნდი მთიებთა,
 მუნ სევდიანი ოცნება ჩემი ყრუ სამკვიდროებს მოიძიებდა,
 რომ აქ დამეგდო ხორცი მზრუნველი
 და არაოდეს მეხილა, ვინძლო, —
 რა სატანჯველით აღესრულები, მზედაბინდულო ადამის ღვიძლო!..

.

ნელი ღაღადით ავეყუდები აღსავლის კართან...

„მიიტეც უკან! — მაუწყებს იგი — ღამეა, ღამე, თვლემენ ვარდები,
 აღმოვალს მზე და აღსავლის კართან კვლავ ამნაირად აღიმართები“.
 მე მოვიტყევი, ღამეს ვეურვი, გულში ვიუნჯებ უხმო წადილსაც,
 რომ ღამისაგან უკუტყეული კვლავ მოვიძიებ განთიადისას.
 აჰა, მოვსულვარ!.. ბოლავს რიყრაყი, ჟამნი მყოვარნი
 წამად რბიან და
 ამ გამუღმებულ წამთაღრიცხვაში კვლავ უნუგემოდ დამაგვიანდა...

...დამაგვიანდა, დამაგვიანდა... კვლავ უნუგემოდ დამაგვიანდა....

გავცქერი ცარგვალს, სად მიდის, სადა, ჩემი ღაღადი, გმინვა, გნისი,
 იქნებ, მეუფე არარად აქნევს

და სტიქიონთა უჩვეულო ჰარმონიაში
განუკითხავად განაგებს საგნებს...



ვინ ხარ, გიწოდო ძალი რომელი, ბედი გერქვას თუ ბედის გელაზი,
მზედ მოიქცე თუ თოვლად გვებურო...
ზღვად განისუფევე, მინდვრად მოგველი, თუ მოციაგე ცისარტყელაში
ცხენს დააგელვებ, ყოვლადქებულო!..
გზის გასაყართან დგახარ სახავსე შენი ლოდით და შენი ხაროთი,
თუ დიდებულთა ნაპარტახალზე ტყის სურნელებად ამოწყაროვდი...

დაწყნარდი, სულო, ეძიებ ნულარ, მიჯნებს იღუმალს მისწვდა
რომელი:

ხმა დაიდუმე,
მობრუნდი უკან,
კარს მოგდგომია სულთამხლომელი...

ს ე ბ ი ა ს ა დ მ ი

კვლავ აღიძვრების ჩემი გულისთქმა, კვლავ სამიჯნუროდ შეიმსჭვალეზის...
ცის დარბაზებში
სიყვარული დადის მეფურად...
ს ე ბ ი, მასმინე
იდუმალი სუნთქვა ჭალების
და მტილოვანში წარმიძეხი კვლავინდებურად...

მთვარემან შუქი გვაფრქვიოს,
ცამან მოირღვიოს ბჭენი,
მარჯვენმან ღვინო გასმიოს,
მარცხენი
მოგეხვეოდეს ჩემი...

ხელში მიპყრიეს შემართული ჩემი ლახვარი,
ფარად დამყვება მცხუნვარება შენი თაკარის...

მაგრამ კვლავ მზარავს უკეთურთა ბნელი ზრახვანი
და ორპირობაც შემიტყვია
მრავალთავანის...



რაციფს კვლავ შერჩა ძველი ქომაგი, ისევ მრავლად უძს ოქროს ქისები,
ისევ ლაღად ფშვენს მისი სტომაქი, —

ნასმურევი ჩანს,

ნამაძღრისევი...

გარნა რას ვაქნევ მდაბიორთა მოშურნეობას:

აღარც ფიცი მწადს,

აღარც მტკიცება,

ძალი თუ მოსცემს თავის მძლეობას,

და სამეგობროდ შემემტკიცება:

მოდგეს იგი მზე, ცასთან მაუზნოს, ჟამით ღვინო ჩნდეს,

ჟამად ხემსები, —

ხრმლით მივადგები ცოდვის საუფლოს

და სიკვდილივით დავემწყემსები.

თუმცა... რას ნიშნავს ზენაართა განურჩევლობა,

სხივი რად ქრება

სალამელ გეპენიაში?

რას მოასწავებს ყვავის მჭევრობა,

ან ღამურების ჩუმი ვნასი?

ბაგეს რად ბილწავს სიტყვა უშვერი, რად ეტოქება გული საგულეს?—

ისევ შენ იხსნი,

შენვე უშველი

შენგნით მოწყულულს და მოჭირნახულეს.

თორემ ვინა მყავს, ვისკენ შევიქცე, ჩემო მწყემსო თუ ჩემო ფარეშო,
წყარო უწყლო მაქვს, ზეცა — უმზეო,

მიწაც — უგზო და უასპარეზო.


ვეღარც ღვინო მათობს,

ს ე ბ ი,

მშვენიერო,

ვეღარც სიყვარული შემიღირსებია...

კვალად აღმადგინე,
ამაზეზეურე,
მოდექ, სიყვარულო,
მოიქეც, ს ე ბ ი ა!..



ცრემლით გენუკვი, ნისლი გარიყო, ჩემო მზეო თუ ჩემო მარიხო,
რომ ჩამოვკრიფო შენი ნათელი

და კელაპტრებად ჩამოვარიგო.

ს ე ბ ი, დავეხსნათ სხვათა პურობას, ჩვენი ჰანგები დავაგუგუნოთ,
გულმან ვერ სძლია
უსულგულობას,

გულითუძრავი დავშოი უგულოდ...

კვლავ შევიყაროთ, დავჯდეთ წყლის პირად, დავჯდეთ, გულო და
ცრემლით ვილოცოთ,

თუმცა რად გიმღერ: ცაზე ბინდია,

ბანი ვინ გვითხრას უასპიროზოდ.

ცაზე ბინდია... ვაგლახ მინდობას: შენ დაგიგდია ბნელი ხნარცვები,
მზით განიკვალავ უამინდობას,

სხვის კარიბჭესთან განიძარცვები.

მე კი მოვდივარ, მომაქვს სანთელი... შენ მიუყვები გაღმა ნაპირებს,
წყვილიდს მაგებებს შენი გამდელი,

გზის იწროებას მიპირდაპირებს.

დაღმა ხრამია და...

უვალი გზებია,

ძმათა საკრებულოს კერა დავსებია.

ბალი განძარცულა,

წყარო დაბეჭდულა,

მოიქეც,

მოიქეც,

მოიქეც... ს ე ბ ი ა!

შენთვის ვიგალობ: ჩემი სასო ხარ... სისხლის ტბორი ხარ,

ცრემლის მორევი,

მაინც შენ გიმღერ, ყოვლადქებულო,

შენს საკურთხევლებს ვეამბორები.



რა ღქნებოდა, ხიდი განედოთ, ხიდს შევყვებოდი მგზავრი პირველი,
რომ მოგვეცალა საერთმანეთოდ,

კვლავ მოგვეხილა
მოსახილველი.

წარუდგებოდი საყდარს მეფისას, მზეს დავლანდავდი—მზისკენ მეოტი,
სახლს ავიგებდი სიწრფოებისას,

სხივს მეუფისას შევერწყმეოდი.

მაგრამ სად ვპოვო ტაძრის კარიბჭე —

ალარც მწყემსით ჩანს,
ალარც მოსავით

და გაზაფხულის ნიაქარებზე

ვგლოვ დამიეთის უდაბნოსავით...

უგზოდ განმიცია

უფლის ბოძებული,

განძი უთავბოლოდ განმიბოძებია:

ტახტი ჩემი — მოხატული,

სახლი — მოდარბაზებული...

დავჯდეთ, ძველო სიყვარულო, დავტიროთ,

ს ე ბ ი ა!

ხრმალი წარმიხდა, გაცვდა ბექთარი, მაგრამ კვლავ მომდევს შენი
ნათება,

თაფლად მეღვრება ბაგის ნექტარი,

სიტკბო პირისა მეშარბათება.

ისევ გიგალობ: ჩემი სასო ხარ, სისხლის ტბორი ხარ,

ცრემლის მორევი,

მაინც შენ გიმღერ, ყოვლადქებული,

შენს საკუროთხვევებს ვეამბორობი:

ამოდ მშვენი ხარ,

ტკბილსასურველი,

ალვის ტანს მორწყავ, ფესვებს და-ცა-ბან,

სულმან შეითნო შენი სურნელი,

ნაყოფი იტკბო ჩემმა სასამან.

იტკბო ნაყოფი, მაგრამ ამაოდ: ვერ განვირიდე სოფლის ზაკეები,
აწ ყავარჯენზე ჩამოყრდნობილი

ბნელ საყუდარში მივიკაკეები...



ცაზე ღრუბლის ფლასებია,
 ჭალებს მუშლი დასევია,
 მივდექ ქარებს მიმწუხრისას, გაღმა
 ნადარბაზეცია,
 შორით ხმობენ ახოები,
 მივეშორიახლოები,
 სად ხარ, ჩემო სიყვარულო, სად წასულხარ,
 ს ე ბ ი ა!..

გულმან ჩემი დროც მოისაკლისა, უხმოდ ჩარიგდა ჟამთა კრებული,
 კვლავ მოვიძიე ზღურბლი სახლისა
 და ჩამოვჯექი შეჭირვებული.
 შენ კი... სხვისთვის გრჯის ცათა კრებული: თესლი ვერ ხარობს
 თვისი მოესავით,
 სხვის საძოვარზე გამინდვრებული
 ცხვარს მიადოვებ მემინდვრესავით.
 მე გამოღმა ვარ... გაღმით შენა ხმობ, შუქში ფარფატებს მინდვრის
 პეპელი,

შენ მესიტყვე ხარ გაზაფხულისა,
 მე — შემოდგომის მავედრებელი.
 შენ შეჩანგე ხარ სიყვარულისა, სიკვიდის უგალობს ჩემი ჩაღანა,
 შენ ნათელი გცხო ძალთა მეუფემ,
 მე —
 ნაღვენთალი შემომავარა.
 ნეტავ, ვინ მოვა ჩემდა შეწევნად, ვინ შემამტკიცებს მტვრისგან
 აგურად,

რომ მოშიებულს ტაბლა მომიდგას
 და მიმითვალოს თანამსახურად?..
 ვდგავარ შენს კართან,
 ზარებს ვარისხებ...

ჰოი, მოუზღე კეთილს სიკეთე,
 კვლავ შემობრუნდი ჩემი ვანისკენ და მოწყალებით
 გარდმოიხედე!

დაბლა მწირი ლიტანიობს,
 მაღლა — ცეცხლის დასებია,
 მოგიხატავს უფლის ბალი,
 მოგიფიანდაზებია,

სანთელი ხარ ანთებული,
ამოშარავანდებული,
მოდექ, სულთა სინათლეო,
მომეახლე, ს ე ბ ი ა!

ხმა სიმღერისა ისევ ზასმინე, თორემ სიცოცხლე აღარ მეთნევის,
მზის შარავანდით შემაკაზმინე ასაბიები შენი ეტლების!..

ან მომანიჭე ძალი ულევნი,
რომ ვარსკვლავების დასში ვბრუნავდე,
ან გარდმოილე ქეიბურები
და განმიწონე გულისგულამდე!

ასე გიგალობ... ჩემი სასო ხარ... სისხლის ტბორი ხარ, ცრემლის მორვენი,
ახლაც... შენ გიმღერ, — ბინდის სამანზე,
შენს საკურთხევლებს ვეამბორკბი.

მაშ, განმიახლე კარი აღსავლის, მალაღებლის წინ აღსდეგ მეფურად,
აღმინთე ცეცხლი,
ვანი აღმიგე
და აღმადგინე კვლავინდებურად!..

ხილვა ნათლისა, სიზმარეული...

...რა ხილვა იყო, ცაო მაღალო, — რა მოლანდება ჯერარნახული...

... საღამოისხანს
გადავლახე სიზმრის დირენი, —
უხმოდ მივდევი ბინდის ბილიკებს, ჩქამი მესმოდა ზართა რეკვისა,
წარვსდექ წყლის პირად, წარვადინე წარსადინელი
და უხილავის ნაპირებთან გამომეღვიძა.

ჩემს არსებაში მეყვსეულად გალღვა ყინული,
უცხო სახმილმა განმიქარვა ყრმობის იარა,
სხეულს ეწვია დაუნჯება დილისპირული
და მოთენთილი გულისთქმანი ამიმზიანა.

ცათა ძალებმა ამიმღვრიეს ფიქრის მორევი,
სიზმარ-სიცხადის იწროებში მიჯნა განავლეს,
გარე-მომარტყეს ოცნებათა მალემსრბოლები
და სურვილები გასაფრენად ამიქარავნეს...

ვცან სახლი იგი —

საბრძანისი ყოვლისმპყრობელის,

მიმოდოდა სინათლეში უფლის მსახური...

რა ხილვა იყო, ცაო მაღალო,

რა მოლანდება ჯერარნახული!..

მთვარეულივით წაგებარბაცი მწუხრის სამანზე,
გავდახე სერებს, — სივრცე განათდა, შენ, მეუფეო, ფიქრი გამანდე,
მეც ვადვისროლე ლაქვარდებში ჩემი ოცნება
და ზენაართა ხვაშიადი მოვიქამანდე.

მაგრამ ვერ ვცანი სასწაული ამაღამდელი,
თვალი ამაო მოლოდინში ღამეს ათევდა...

ზოგჯერ ფიქრის წინ გაკრთებოდა უცხო კანდელი
და უხილავის ბრწყინვალეობას განმიცხადებდა.

ისევ შორს იყვნენ მესულმნათენი, შორს ციმციმებდი, ჩემო მარხო,
ბნელს წარეტანა ცისკრის ნათელი,

ელვა დილისა გადამქრალიყო.

ეჰა, რა მექნა: ავყევ გულისთქმას, ცის სანთიობოს ცრემლით

გავენდე,

სხვა გზა არ ჩანდა: უნდა ვმდგარიყავ

და მეგალობა შუალამემდე.

უნდა მეტირა: ვაი, ავაჰმე! — ცისპირ მარტოკას უნდა მეურვა,
შევდემქ ტაძრად და ჭრაქი ჩავაქრე,

დილას გავტირე

სალამეულმა.

დილას გავტირე, შუქი აღმოხდა, ცად ახმიანდა უცხო სანთური
და ალივლივდა ჭავლი ნათლისა —

ცის სინათლიდან ჩამოწვართული.

გაგხედე მინდვრებს, წყალი დავლანდე, აქეთ ნავი ჩნდა, იქით — სანავე,
ისევ მივდემქ და ცეცხლი ვიხილე

და ჩავიჩოქე მისვლისთანავე.

დიდხანს ვიწექი... დღემდა საღამო, მხოლოდ სამრეკლო რეკდა თავისით:
„— უსასრულო და

დაუსაბამო —

თავიც მე ვარ და შესართავისიც.

მე ვარ ნათელი აღონანისი, მისი სხივი ვარ, მისი სინათლე, შენც შეესართე შესართავისებს,

სხივს

მარადიულს

შეებინადრე!“

„— შეებინადრე!“ — ცეცხლი ღუოდა, „ — შეებინადრე!“ — ხმობდა
სანთური,

და ნანაობდა ჭავლი ნათლისა —

ცის სინათლიდან ჩამოწვართული.

...კიბეს ავყევი, — ფიქრით ანაგებს, ცამ ზენაარის აძსი გამანდო
და შემეყენა სიბრძნის ჭალაკებს —

მწირი უგზო და

უმისამართო...

ასე გასრულდა ბედისწერის ბნელი იგავი,
უკვე ცას შევწვდი,

ზენაართა ტოლი ვიყავი...

სამხრეთს არ ვთხოვდი დამაშვრალი სულის საყუდარს,
არც მალრიბისკენ ვიქცეოდი ნამაშრიყალი.

ვიდექ ტაძრის წინ... ხმობდნენ მთიებნი, — ბურვა ვერ შევძელ
მოსაბურავთა,

ოდენ შუქი ვცან: რეკდა ნათელი

და მარადისი ცეცხლი ბრუნავდა;

ბრუნავდა ცეცხლი, ქანაობდა თეთრი კანდელი,
საყდრის კარებთან მიმდგარიყო ვინმე გრძნეული
და ლივლივებდა უხილავის შარავანდელი —
კეთილმოსავის შესაყრელად შემოქცეული.

ალბათ, ეს არის მოკვდავთათვის ბოლო ნუგეში,
ოდენ სულს ძალუძს ჟამიერად მისი კვსება:
ნელი კიაფით

გაიეღვებს სიჭაბუკეში

და წუთისოფლის გასაყართან გვეორკეცება.

გვეორკეცება, გვესამკეცება, — ზენას რომ ვთხოვოთ შესათხოველი,



რომ ზეარსების მოსახილველად
 კვლავ შემობრუნდეს არსი ყოველი.
 რომ ერთსახებად განსახიერდეს ყოვლი სახე და წარმოსახვანი,
 ერთად შენივთდეს მოგზაურთა ბოლო გზა-კვალი
 და სიმაღლიდან მოვიხილოთ უფრო საჩინოდ
 ხსოვნის ბურანში ჩაკირული ჩვენი აკვანი.

ასეა, სულო: აღმა მიილტვი, ზე მიგიხმობენ ზესთა გუნდები,
 ცას აუყვები შესართავამდე
 და სათავისკენ ჩამობრუნდები...

ახლაც იმ შუქმა შემომანათა, ხსოვნა იმა დღის გაკრთა ნინველად,
 გულო, კვლავ გაბრძნობს სიბრძნე მამათა,

წილიც კვლავ წილობს განუწილველად.
 იქ დაფრენს ჩემი ფიქრის ფუტკარი, ვაზიც იქ მწიფობს დაუწურველი,
 მზე იქაური დღენიადაგ თავზე მეველება,
 თაფლად მეღვრება მოლივლივე მინდვრის სურნელი
 და გაზაფხულის სიტკბოება მესაკმევლება...

.

მამ, აღმავლინე, ეტლო დროისავ, კვლავ მომინიშნე უცხო ნიშნები, —
 ფეხს აღვიკვეთავ საწუთროიდან,
 სხვა სამკვიდროებს შევეხიზნები.

წავალ, ჟამია, შეყრა ვინებო, — ცის პაემანზე სანთლებს წარვიტან,
 ნურას ნუ მერჩით, ქერობინებო,
 რისხვით ნუ დამცქერთ სეფე-კარვიდან.

გზები მოვლიე, მოვითარეშე, — ახლა ბრალია, კარი შეხუროთ...
 მალლა მივიწვევ კიბის გარეშე,
 ფეხი
 მალღდება
 უსაფეხუროდ.

სული აღარ ძრწის, აღარ ვალალებს, — დაბლა დავაგდე ქვეყნის
 დავლები

და ქვეშეთიდან ზეაღმავალეხს
 აწ სასოებით დავემგზავრები, —

რომ სურვილებმა სული მოიდგან, ცას შევუყუდო ფიქრის ფრიალო
 და ოცნებათა საუფლოითგან
 შუქს მეუფისას შევეხმიანო.

ცამ უმეაგებოს ზესთა გუნდები,
სულს ღვთაებრივი ცეცხლი მიაგოს, —
მზის საუფლომდე ავზეურდები

და შევერევი საზოდიაქოს.

უხმოდ წარვსდგები სულთა წინარე:

„— აჰა, ესერა, თქვენდა ვინანე!..“

და ჩამოსტირებს ყრმობის ბილიკებს

ცრემლი, —

ჭალის-პირ ჩამომდინარე.

ბოლოს შესტირებს სული ჩრდილოეთს, ყრუდ გაკრთებიან ქარში

ჭალები,

ვცნობ გაუქმებულ სამარტვილოებს

და მლოცველივით შევეზრახები...

ს ა ს ა უ ლ ა (ო ნ ი

გზაო, ვზივარ და დუმლით გიცქერ,
უქმურ მიწაში თვლემენ ლანდები;
დუმს სასაფლაო... სიკვდილის ფიცხელ
ხელს წარუხოცავს განძი რამდენი...

იყუჩე, მგზავრო! — უკეთურ მხრისკენ
შენც ამავე გზით წარემართები.

ჰიზნი მზისადმი

განუზომელი ფერების ზოლი...

ზოგი ზღვას მოსავს, ბილიკებს — ზოგი, სამკაულია ზოგი ახოსი...

მზემ ლაყვარდებში მოისროლა აღმასის ზოდი

და უზრუნველად შემოიქცა ზოდიაქოში...

ჭოი, მოსულხარ საიდან სადა, შენ, გაზაფხულის მწვანე სამოსო,
ცით რომ იღვრება, ზეთია ცათა, თუ სურნელია სავალსამოსო...
ყვავილთ აღავსეს მთების უბე და

ტყე — გათოშილი ზამთრის სიცივით,
ზარს არისხებენ... მოაღლუმეთა ხმა აღავლინეს პარაკლისივით...

ტყე იმოსება — კეთილი ნიშნა, ხმობს ნაკადული — ცელქი ნინველი,
ხე — საკვირველი, ხეზე ფრინველი, დღე — ხარებისად
მოსახილველი...

...შე მოვალ მალლით, ბარში ვეშვები, მითთ მომაქროლებს ჩემი იაბო,
რომ ლალისფერი აზარფეშები მზის სინათლეზე ავაკიაფო.

სერზე შველი ხმობს... ხმაურობს წყარო, ბაღში ბილილა ყვავილობს
საღლაც,

დროა, მოყვასო, შენც რომ ზრუნავდე:
განუკითხავად აღავსებდე კათხაზე კათხას

დასაბამიდან აღსასრულამდე.

თორემ დრო მოვალს — თაფლიან ბარძიშს
გესლით აღავსებს მეყვსეულად

ჟამი უნასი...

ხარებაც თოვს და ცრემლებიც გაწვიმს მზის უთავბოლო
ნათელბრუნვაში...

მეც ამაღ ვილტვი, მალლით ვეშვები, მითთ მომაქროლებს ჩქარი იაბო,
რომ მთვარეული აზარფეშები მზის სინათლეზე ავაკიაფო...

ჰა, ჭალეებიდან გამორბის რემა, ცეცხლი გაიდეს კლდეზე კაყებმა,
თვალს ზარხოშების უხარის თვლენა, ჯამს — იაგუნდის
მოზარქაშება...

აწ განვედ ჩემგან, მთვარეო, ლიზლო,
შენც აღიგავე, ბნელო ღამეო, შენი მისნობით და

უგვანი მოგვით,

ცას ერკინება ნათელი დისკო და ერკემლები მოდიან როკვით.

მოიქეც, მზეო, მოგვესალბუნე, კვლავ მოგვესარკე შენი ოქროთი,
მზედ ბობოქრობდი, ვაშად მოქროდი, თუ ტოლუმბაშად
მოჯადოქრობდი...



მოჯადოქრობდი, რეკდა სამრეკლო, ზვარში მღეროდნენ ოქროს
მტევნები

ახლაც შუქს გვიმცვრევ, შუქთა მცვრეველო,
ნათელს გვიკმევ და გვესაკმევლები.
მოიმღერ მაღლით, მიჯნებს მოარღვევ, გარდამოდიხარ,
ცეცხლო ზვიადო,
რომ დამაშვრალი სულის ფსალმუნად
კვლავ სიხარული მოგვიმზიანო.

მიდის მდინარე, მიეფინება...

მიდის მდინარე, მიეფინება...

ცაო, შენ გესავ — სევდა მინელო!..
მითთ მომდინარე ტალღის დინება სად წარადინე,
წარსადინელო!
წყლის წიაღთაგან მესმის ლალადი, აღმით დაღმა ვალს
უცხო ჩვენება,

მძიმედ მიქშუთს,
მიდის ნაკადი, —

ზღვის უდაბნოში მიესვენება.

„— წყალო, სთქვი რამე ყოფნა-არსობის!“

ისევ ყრუდ ისმის ტალღის თქაფანი,
კლდეზე მკრთალად ჩანს კვალი ღვარცოფის, მიწაც ქაფს იშრობს,
ნაღვართქაფალი.

„— უხმოდ რომ ილტვი დანამღურვივით, გვარქვი, რას გვითქვამს
ცათა უფლებას!..“

ყურად არ იღებს,
მიდის ღუმელით,

ბნელ წიაღებში მიიმწუხრება...

„— უნდა მოგვწყლა თუ

უნდა გვახარო? —

რაო, რას ბჭობენ ზესთა ტახტები!..

ვენახს ვერ მოსცემ, ნავენახარო, თუ ხელმეორედ
დავენახდები?..“

...ისევ მზე მიაქვს, მიაკიაფებს... ისევ უტყვია მისი ღინება,
მიდის მდინარე,
ზვირთებს მიაფენს, —
ცხელ უდაბნოში მიიჩრდილება...

„— მაინც რას ამბობს ცათა კრებული, ჩემო მთაო და
ჩემო ტრამალო, —
უნდა ქვე დავხდე გაოგნებული,
თუ ლაყვარდებში შევიფრთამალო?
მალე მივალწევთ ცათა წიაღებს, თუ გაგრძელდება ჩვენი კირთება?“...
მიდის მდინარე,
ტალღებს მიაფენს, —
ბნელ სივრცეებში მიიზვირთება...

აჰა, ლოცვად ვღეჟ, ხამლი ვიძარცე, მაინც უბრად დგას
ბნელი ტინები,
ისევ შევდგები სჯულის ფიცარზე, ისევ შეგძრავ და
შეგეტირები:

„— სადით სად მოხვალ, მწუხრის ზეწარო, მარქვი — როდემდე
უნდა ვეწამო,
ვამ, საყუდარო ქვეშეთისაო, —
გაუვალო და გაუხვეწავო!..
სევდამ ხელი გვყო,
ურვამ მოგვიცა...
უხმოდ განგვიდგა იგი დროება,
ალარ გვეთნევა ჟამი როკვისა, არც სინარული გვესათნოება.

წყალი ურწყულს ჰგავს, დაბა — უდაბნოს... ვკოცნი, რას ვკოცნი,
ღმერთმა დაწყევლოს:
სახეს უგვანს ვჭკრეტ,
ბაგეს — უთაფლოს,
ძუძუს — უტკბოს და
უნელსაცხებლოს...

იწვის, —
ტყე იწვის,
იწვის ტაძარი,

ტყისკენ გარბიან სათნო კრავები,
მოყვას მტრად ვიხდი ნამოყვასარი
და სათვისტომოს ვებულრავები.

ცეცხლი ედება დაცლილ ხანაგებს, ცრემლად იცლება ვაზის მტევანი
და სიბნელესთან მამხანაგებს ჩემი მეკვლე და
თანამდევარი.

წყალო, კვლავ გკითხავ: წერას ბედისას როდის მოვდრეკ და
მოვისადავებ!..

სიდან სად მოვდექ,
საით გადაველ,
კვლა — სადაურსა მიხმობს სადაველ...“

...ისევ მზე მიაქვს, მიაციაგებს... ისევ უტყვია მისი დინება,
მიდის მდინარე,

ტალღებს მიაფენს,
ბნელ სანახებში მიიჩრდილება.

ტყეს გამოვცილდი ჩუმი გალობით,
აღარც ბოლო ჩანს,
აღარც სათავე,

ბნელში გზას მიკვლევს თანდათანობით დროის მეკვლე და
მეთანდათანე...

„— ჩემო დღეო თუ
ჩემო შავეთო,

მაცნე ბედისა თავზე მეველება:
ყმად დამიდგება სავარსკვლავეთო, თუ ჯოჯოხეთი
დამემხველება?...“

...ისევ ყრუდ ბრუნავს მღვრიე მორევით, ძნელად არ უჩანს
ძალის მოკრება,

გარე-მოვლით ვალს,
მიდის ზმორებით —
ზღვის წიაღებში მიიფოფრება...

გეტყვი:

„— რად კვდება ჩემი ნუგეში,

რატომ ვერ გულობს გული საგულოდ?

თქვი: ყანობირთა სითავთუხეში რად დამიტყვევს უჭირნახულოდ?..

გულზედ რად მოხვდათ ჩემი სიბეცე, ბჭე სინათლისა

რატომ შეხურეს?..

მეგუჟრს თუ ვნახავ ცათა კიბეზე,

ფეხი თუ ჰპოვებს

მესაფეხურეს?..“

...ისევ ჩრდილში რბის — უხმოდ მედინი, ჩალად არ უჩანს

ჩემი ბრალდება,

ისევ ქარს მისდევს ტანასხლეტილი, ბნელ წიაღებში

მიიწვართება...

ასე მიღმა ხმობს ჩქამი ხმიერის, ასე შორით მჭვრეტე,

ცაო მდუმარო,

რომ ხვაშიადი ცათამიერის მიწყვი ახშო და აიდუმალო...

გული მაინც გთხოვს,

მაინც გასასოებს...

გარნა უქმად რბის დღეთა რიგები

და წუთისოფლის საჯამბაზოებს კვლავ საძრახისად ვეციგლიგები...

ისევ ყრუდ ელტვის სული ჩრდილოეთს,

ველარც წიბოს ვგრძნობ,

ველარც წიბურებს,

ველარც ქარი შლის სანაპიროებს, —

ვიღა გვიძმობს და გვიმოციქულებს?

ვინ ჩამოჰყვება საღვთო ბილიკებს,

სად გაბრწყინდება სისხლი ტარიგთა?..

მზეს რანაირად ჩამოგვირიგებს, თუ ყველაფერი

ბნელში ჩარიგდა?


„— რაკი თქმას შეგთხოვ, ესეც მითხარი: ხმა მიჯნურისა

როდის ჩაგესმა?

ენამ ვით გამცნო მოსაკითხავი,

ბაგემ რა გითხრა,

უბაღაგესმა?



რით წარუდგებით ცათა გალავნებს, სად გასრულდება
ჩვენი კიროტება?..“

ისევ ყრუდ მიაქვს,
მიაქარავნებს,
ბნელ წიაღებში მიიზვირთება...

„— ფრთეო ნათლისავ, თავზე გველები, გარნა რას სმობენ
ბნელი ხეგნები?..“

რომელ წყალს ერტყმი,
რომელ მდინარეს,
ვის სადინარებს ესათხვევლები?..

აჰა, გასრულდა ესე ზმანება, აწ აღასრულე საქმე საქველო,
სცან სახიერის საზოვანება,
მზეს წარესახე,
წარუსახველო!

ამცნე: ძალი მცენ, სული ჩამიდგან... ჩემი სჰსო ხარ, ჩემი ნუგეში...
გულო, წყალს ჰგავდი დასაბამითვან,
უხნეს იყავ თუ...
უჭაბუკესი.

— წყალო, სთქვი რამე ყოფნა-არსობის!..“
ისევ ყრუდ ისმის ტალღის თქაფანი,
კლდეზე მკრთალად ჩანს კვალი ღვარცოფის, — მიწაც ქაფს იშრობს,
ნაღვართქაფალი.
მიდის, მზედ მიაქვს ოქროს თაველი, მაგრამ კვლავ ბურავს ბურია
საბურეს

და შესტირიან შესართავები
ზღვათა სიღრმეს და სიუდაბურეს...

ისევ ყრუდ ელტვის მყუდრო წიაღებს, ისევ უტყვიან
მისი ღინება,

მიდის მდინარე,
ტალღებს მიაფენს,
ბნელ წიაღებში მიიჩრდილება...

ხმა მეუფისა შემეზრახება, —
მან დამადგინა სოფლის მსახურად
და იღუმალი თვისი სახება

აქ განმიცხადა მრავალსახურად.

ცამ დამისაზღვრა ბედის სამანი, ქვე მომაქცია ზეადმავალი
და ვივლი ასრე ცათაქვეშეთში,

როგორც ვიდოდნენ ჩემნი მამანი.

ვივლი სამოსელ-შემონაძარცი, მეც აღმანთებენ ბრძოლის წუთები,
შებინდების ჟამს —

მწუხრის ტაძარში

მეც უღრტვინველად დავეყუდები.

დავეყუდები, დავთმობ ზვაობას, ზე აღმიტაცებს უფლის სანთური,
ქვე დავუტევებ არარაობას

ცის რაობაში მიმოფანტული.

კვლავ აღიძვრიან ჩემი ფესვები,

რომ გარდასულთან ხიდი განიდოს,

სიბრძნის ზღვას ვნახავ,

გარდავეშვები,

ჩქერს შევუყვები სამარგალიტოს.

შემინდე, ცაო, ვიცი, ვბერდები... ცით მომედვრება ცრემლის ღვეთები,
სჯულის სკივრს ვბოვებ,

სჯულის კიდობანს

და ქადაგივით ავმეტყველდები.

მაგრამ ვინ აქნევს მწირის მუნათებს: დრო გარდასული

ვერღა იდროებს,

ვერც მოყურადე მოაყურადებს

ჩემს ატირებულ სამემკვიდროებს.

სიზმარს ცხადი სჯის,

ცოდვას — ბრალდება,

მე კი მიმგვრიან ვინმე საქუროის

და განსასჯელად აღიმართება

ხელი მონის და

ხელი მსაჯულის

მალე მზე ჩავა,

ჩაიბნინდება...

ეჰა, ჩემი გზაც დაღმა დაქანდა,
მაინც არ მშურის სოფლის დიდება,

არც განდიდება მოკვდავთაგანთა, —

თუნდაც დრომ დამდოს თვისი ბუჭედი,
ცამ სამკლაურად მომცეს ასპიროზ,
ქვე განმიფინოს ცათაქვეშეთი,

მზე დიადემად გარდმომასხივოს...

მხოლოდ ერთს ველტვი დასაბამიდან, მაგრამ შორია მისი კარები...
კარებს რად მიხზობ,
უანკარესო,

რა შორი-შორად მეკამკამები!

ცას შემოგუდგი შემოსადგმელი,
კიბედ დავსახე სხივი მთოვარის,
მაინც ვერ გავთქვი ჩემი სათქმელი,

თხოვნა ვერ გკადრე შესათხოვარის.

და ჩავებრუნდი ტაძარს სულისას:
ზის კარიბჭესთან უამი ბებერი,
ვით მწირი ვინმე, მეუღაბნოე,

ვით მარადისი მქადაგებელი.

ზის უხმაუროდ... წყალი მიღელავს, მიდი-მოდიან ჩრდილში მგზავრები,
მეც... მოლივლივე დილის ნათელში

მთის ბურუსივით მივიკვამლები.

ის კი... ისევ ზის ნეტარ ბურანში, ჰანგად ჩაესმის ტალღის დინება
და მოგონებით დაუნჯებულ

სხვა სივრცეებზე მეთათბირება...

სულთა რონინი უღაბნოეზში

(დამწუხრებულის სამღურავი საწუთროსადმი)

რა უამი იყო, როგორ დავლანდე, — დმერთმა აკურთხოს მათი სახელი, —
თანამდგომელნი ჩემი სულისა

და გულისთქმათა მეთახენი!..

მე მივდიოდი... მომყოფა ველი ნაოში,
გაღმა მთა ძრწოდა აღმოდებული, დახორშაკობდა ქარი უნამოდ...

ბნელში მომდევნა მეძილქუშე სასაფლაოსი
და სარცელთან მიმიხმობდა საძილბურანოდ.

რა უამი იყო: როგორ დავლანდე,— ღმერთმა აკურთხოს მათი სახელი,—
თანამდგომელნი ჩემი სულისა
და გულისთქმათა შეინახენი...

ცას ვავედრიდი დაფიონის ამონათებას,
მაგრამ ჩამიქრა მეყვსეულად ცეცხლის სიალე...
ბნელში წავაწყდი მიტოვებულ ძმათა ხატებას
და მეგობართა მოჩვენებებს შევეხმინანე.

ასე დავლანდე საღმობიერმა, — ღმერთმა აკურთხოს მათი სახელი, —
თანამდგომელნი ჩემი სულისა
და გულისთქმათა შეინახენი...

ქერუბიმა ხმა მოისმოდა დასალიერით,
შორს, უდაბნოში ჰვირვალეზდა ცეცხლი ჰიოტი
და მეგობრების მგლოვიარე ასაბიებით
კვლავ მწუხარების საუფლოში მიმოვდიოდი.
კრთებოდა მთვარე, ხეობებში ნისლი მოჩანდა,
გავცქერდი ღამეს: მთების კალთებზე
ჩამომსხდარიყო გუნდი ფრთოსანთა
და სიზმარულ ჩვენებათა უხმო სერობას
ჯერეთ-უთქმელი კაეშანი გარემოსავდა.

როგორ დაძრწოდნენ უდაბნოურ სიმარტოვეში,
როგორ სწყუროდათ უფლის მწეობა!
და გაყინული ცრემლის ციაგი
მათ ნაკვალევზე მიიმცვროდა...

ვიდოდნენ უხმოდ, თავჩაკიდულნი, გარე-სამოსად ბინდი ებურათ,
გარდავლეს მთები, გარდაიარეს,

შორი ნათლის წინ წარსდგნენ მეფუტრად...
მე კი ტლუდ ვდევდი უარსოთა უცხო არსებას
და დაფარული მესახვოდა ცხადარსებულად.

მაგრამ განიხვნა მეყვსეულად ნისლის ბადენი,
ყრულ გარდაიხსნა სიბნელეში ფარდა წილთა,
ცით გარდმოეშვა
იდუმალი ცრემლის ნათელი
და მწუხარების სარეცელთან ამიციაგდა...

გავხედე სერებს, ხილვა მეოცა: ვაღმა დავლანდე ცეცხლის კიანთი
და ნათლიერის სინათლისაკენ

ყრუ ლაღადისით შემოვტრიალდი.

მაგრამ ველარ ვცან საღმობიერმა, — ღმერთმა აკურთხოს მათი
სახელი, —

თანამდგომელნი ჩემი სულისა

და გულისთქმათა მეინახენი!..

ქარს აღეკვეთა ბინდის თარეში, შენც მინაბულხარ, უფლის ტარიგო,
და მოლივლივე შემოგარეში

კვლავ გარიჟრაჟი ჩამომდგარიყო...

რალა შემეძლო: მივდექ წყლის პირას და ჩამოვჯექი ატირებული...

ადრე რომ ეთქვათ,

გაქრებოდა ხილვა მეოტი, —

დავდრეკდი თავს და

უსხეულო მოჩვენებათა

სამარადღეამო სარეცელთან მოვირთხმეოდი.

ასე მასურვა მეუფემან მოუსურველი,

ბნელში მიჩუმდა ზმანებათა ლურჯი ხეობა...

მხოლოდ ჟამი-ჟამ მეწვეოდა მურის სურნელი

და საკმეველთა

სიტკბობა შემეფრქვეოდა...

მსურდა მეყვირა:

„ — ჰოი, სადა ხარ!..“

თვალზე მეკვროდა ბინდის ფათალო,

ოდენ კვამლი მყვა ჩვენებათაგან, — გზებზე ცეცხლის წილ უნდა ვატარო...

ეპა, რად დამთმეთ,

ზმანებათა ალამდარებო,

რად დამიტევეთ, მედროშენო გულისთქმათანო!..

უხმოდ გასრულდა სიბნელეში თქვენი სერობა,

მე კი თვით ხსოვნაც ხილულისა

დღემდე მაპურებს,

მაგრამ ვერ ვსაჯე უწიფართა განუსჯელობა,
ვერ ვავეჩეცი მწუხარების გამოქვაბულებს.



II

თიბათვე ჩაქრა, მიიწურა ჟამი მკათათვის,
მე კვლავ ცას შევგლოვ, შეჭირვებული,
იმ გარდასული ჩვენებათათვის...

ეჰა, რად დამთმეთ, ზმანებათა აღამდარებო,
რად დამიტევეთ,
მედროშენო ოცნებათანო!..

რად დამიტევეთ... მივალ ტყის პირას, ზამთრისპირია... სძინავს
სადათვეს...

ვის დაუზამთრეს ძალთა ძალებმა,

ვის — ტირისდენი გაუმკათათვეს!..

ზამთრისპირია... წარხდა ტაროსი, ცრემლით შებურა ჩემი არსობა,
თქემად მიქცია ჭევლი წყაროსი, ტყის ნაკადული გამიღვარცოფა.

ქარმა ჩაშრიტა ცეცხლი მნათესი, ბნელში ჩაინთქა ჩემი ბუხარი,
აღარც თესლი ჩანს,
აღარც ნათესი,

აღარც ნამჯა და ნათავთუხარი.

დაშრა ჩემი ჭა, ვაზი ჩამოხმა, ბაღში გველნი ვლენ,

ზვარში — მხეცები,

ჟამით აღმა ვძრწი,

ჟამად —

ჩამოღმა,

ხან — მიღმიეთში მივიხვეწები.

ნათლიერის ხანს უშქი მაშინებს, მწუხრის შემყურე ძრწოლოვით ვილევი
და შუაღამის უჩინმაჩინებს

ყრულ განელტვიან თვალისჩინები.

რატომ განმელტვით, ზმანებათა აღამდარებო,

რად მიმეჭცევით,

მედროშენო ოცნებათანო!..

ისევ მარტოდ ვზი... მოვალს იქედნე, მე გავეცლები უნდო ღმრთობით
და განტევების უღაბნობებში

ცას შევღალადებ განდგილივით.

ველარც მზე მართობს, ველარც მთიები, — ვერლა ნიშობენ ჩემი ნიშები,
მოდმედ არ მსახავს გადამთიელი,

არც სათვისტომოს ვევარგისები.

ჩემგნით ალერსიც უჩანთ ბრალდებად, მზედ ესახებათ სხვისი ყინული,
სიყვარულის წილ —

ქამარ-ბანდებად

გულზე ბოღმა აქეთ შემორკინული.

აქეთ სუსხი მდევს, იქით — აღმური, შუა — შენ ბრუნავ, სისხლის
ნაკადო,

მაგრამ ვის ვამცნო სულის ფსალმუნი,

ვის სამკვიდროებს ამოვღალადო? —

ზღვებს გავემიჯნე,

გავინანავე,

თრთოლვით გავლიე ქვეყნის ზღუდენი,

მაინც ვერ ვბოვებ მყუდრო სავანე,

ვერ მოვიძიე ნავთსაყუდელი.

ზოგჯერ გული მთხოვს შემოვუძახო, მაგრამ პირს მიხშობს ყოფნის
ზღაპარი,

ასე უხმო ვძრწი,

ასე უსახო,

ასე უგზო და მიუსაფარი.

ხანაც გარდავალ, გარდავეგები, ყრუდ გამიხმობენ ბინდის მძევლები, —
კვლავ გავენდობი სულთა საუფლოს,

ბნელ მოჩვენებებს გავეცრემლები:

— რისად დამაგდეთ, ზმანებათა ალამდარებო,
რად დამიტევეთ,

მედროშენო გულისთქმათანო!

დამძახის სული: — ჟამიანო ქარებს წარბაძო,

რომ განამქრიო ცეცხლი ყოველი,

შუქდაშრეტილო ჩემო დარბაზო...

მაგრამ სად წარვთქვა განტევების საგოდებელი,
ვის გაუქმებულ პალატებში შევიბარბაცო?..



— მარტო ვარ, მარტო, მიატოვეს ჩემი ცხედარი...

ოდენ შენ გიმზერ, ბინდო ღამისავ, ცრემლით გასასოებ — შენდა მესავით,
და მწირი ვინმე,

გაღამთიელი,

თავს დამტრიალებს შეურვესავით...

ძალი რომ მქონდეს, სათქმელს ვიტყოდი, — გაცუდლებოდა მკლავთა
მძლეობა,

მთებს შეარყევდა ჩემი საყვირი,

ცათა ბორბალი შეინძრეოდა.

კარს ქვესკნელისას ამოვქოლავდი მწუხარების და ცრემლის ნაზავით,
მაგრამ ფსკერზე თვლემს ჩემი ხომალდი, —

ყოფნა ფუჭია

არყოფნასავით...

ოდენ გზებს გავცქერ შეჭირვებული, — ბნელ სარბიელზე რბიან
წუთები,

ოდენ გზებს გავცქერ შეჭირვებული

და ბედისწერას ვებუტბუტები.

ჩრდილში ხარი თვლემს — მჭლე და ბებერი,

ტყე უფოთლოა,

ყანა — უნაღო,

მაგრამ ვის ვკადრო უკადრებელი,

ვის უცოდველი დავამუნათო?..

— ეს მე ვარ, მე ვარ, — ჩემი ბრალია, მე გავიმრუდე ჩემივ გზა-კვალი,
ეს მე —

თვითონ მე, ვანვიწონე გულში ლახვარი,

მე აღვადგინე სერზე ბომონი,

რომ სიმდაბლისთვის მეცა თაყვანი.

მე ვქმენ, — მე ვხადე ოქრო აღიზად, ხარჯად მე ვხარჯე დაუხარჯველი,
უფლის თვალი მყვა შემწედ თვალისად,

მომუღლედ ჩემდა — ჩემი მარჯვენი...

უამად მოგიხმობთ, მაგრამ ამაოდ: წყალნი გარდავლენ ნელი დინებით,
და თქვენც გარდახვალთ,

ჭალებს გასძახებთ,

ბნელ ილაღებს გაეტირებით.

ეჭა, სად მიხვალთ, ზმანებათა აღამდარებო,
სად მიიქცევით,
მედროშენო გულისთქმათანო!

სად მიიქცევით... ქვესკნელს ჩავძახებ, ქვე ჩამისმობენ ბნელი კედლები,
ისევ ჩავტირებ ჭურჭელს სულისას,
გვამს
მინელბულს
ჩავეყვედრები:

— ვანო, მზის ვანო, ვანო სულისავ, მოძმედ ვინა გყავს, არსი რომელი,
რად მოიხილე ძმათა სამკვიდრო,

რად შეაჭირვე მეთვისტომენი?
რად შეგაძრწუნა ქვეყნის რაობამ, მისმა ბრუნვამ და სხვადასხვაობამ,
რად გეუცხოვა ნათესავთა ლიქნა-აბრუნდი...
ოდეს შეიქეც — იყავ მზვაობარ,

გლახას გამსგავსე — ოდეს დაბრუნდი.
ოდეს შეიქეც, შმაგი იყავი, უკან დაბრუნდი, როგორც სნეული,
იქით კლდე იყავ განუდრიაკვი,
მტვერს გვაგონებდი — უკუქცეული...

კრულ იყვნენ ძმანი: ისე ვიზარდე, დროის მონა ვარ,
დროის მიქვალი,

წყეულიმც იყოს უკუნისამდე

ჩემი მომტრე და დამაწყევარი..

კრულ იყვნენ დანი: ვალმა იარეს, აქ შემატოვეს ცეცხლის სიაღეს,
ჭა დამიგმანეს განუკითხავად,

სრა-სასახლენი ამიმტვრიანეს.

კრულ იყვნენ ძენი... ვაი დედასა, ნეტამც დავხსნოდი მრწემთა

ჭკრეტასა:

შხამში გარიეს სისხლი მამისა —

სისხლი სისხლს შერთეს მესისხლეთასა.

ვწყევლი შობის დღეს, ეჭა, შავბედო! — ნეტავ, რად მშობა ჩემმან

მშობელმან,

მოძმედ არ მიძმო სანათესაომ,

არცა მიმინდო

მისანდობელმან.



ახლა რაღა ვარ: ქარში ყამი-ყამ ძრწის განჯობილი ჩემი სხეული
 გულ-გვამს მიბუგავს თესლი შხამისა —

გეჰენიდან ამონთხეული.

უნდა დავთხოო ჩემი ნღველი, გზის-პირ ვათრიო ხორცი ნაგვემი, —
 გავალ კლდე-ღრეში,

ხერელში ვავძვრები,
 ბნელ ნაპრალებში გავიზაკვები.

ვერღა გარდავალ ძმებში სალიზლოდ, ვერც მეზობლებში გავიბაქიებ,
 ნეტავ, ჩავეხშე მამის სათესლეს,

შხამად ვენთხე თესლის მაგიერ.

ჩამოვწყვეტოდი საშოს დედისას, — წმიდას გასცლოდა უბილწესობა,
 ღვარძლი მოეცა იფქლის სანაცვლოდ,

ჩემი სისხლის წილ თხრამლი ეშობა.

ნეტავ, შერთვოდი სიუყამურეს, ჩემო ყამო და ჩემო თარილო,
 ცას მორღვეოდა ბნელი ვარსკვლავი,

მზე საწყევარად ჩამომწყდარიყო!..

ან შევეფარე ბედის გამრიგეს, — მზეს შევერწყმოდი მზისკენ მეოტი,
 და უშფოთველი სიამტკბილობით

დედის საშოში ჩავინთქმეოდი...

მაგრამ რა ძალმიძს: დავალ ცათა ქვეშ, მიდი-მოდიან სოფლის
 სტუმრები,

აქ ვეფინები ცოდვის ზვაობას,
 იქ — ბოროტებას ვესასთუმლები.

ასე ვშობილვარ,
 ასე გარდავალ, —
 გამიძღვებიან ბინდის მხეველები

და მხედავსილი იქედნესავით მტერის საუფლოებს შევეწყევლები...

.

ისევ შენ შეგთხოვ, შემბრალო, შენდა მარები,
 არ დამიგმანო შეწყალების შენის კარები,
 ისევ შენ შეგთხოვ,
 საესავო ჩემი სულისა,
 კეთილმოსავის კარებიდან გემუღარები.

მოწყულულ ვარ, მოწყულულ... მოკეთემან აღარ დამინდო,
ვაა, შემოდგომის ბნელო ამინდო!

ძოწად ვიგულო ღამის ბურუსი,

თუ სუდრეული გავიქლამინდო?

აღმიგე სახლი, აღმიჩინე ნადარბაზალი,
თორემ მზის ჩინი

უჩინომან დაითავისა...

კვლავ აღმიბრწყინე სათნოების წმინდა ტაძარი
და ძვალთაგანი აღმიდგინე ჩემი ძვალისა!..

აჰა, ცრემლით გთხოვ, დავრდომილი ჩოქზე ვეცემი,
ამიზეურე, მეუფეო, ზესთა ზესები,

მეც დავუტევებ სანათესაოს

და უდაბნოში განვითესები...

მაგრამ... მაინც გთხოვ — ნულა წამიტან, ნუ შემატოვებ მწუხრის
ობობას!

თუმიცა ბედს ვყვედრი დასაბამიდან,

მაინც ყოფნა სჯობს

არამყოფობას.

იშვებდეთ, ყრმანო, ილხენდეთ, ყრმანო, თუ სიჭაბუკემ გაგაჩაუქათ,
მეც ჟამი-ჟამად მომიგონებდეთ

დამწუხრებული სულის საოხად, —

რომ ბორგნეული სიკვდილს ვეღაო, ჩემო ფუძევ და ყრმობის
ადგილო,

რომ... მ ე უ ფ ე ო მ ე უ ფ ე თ ა ო,

კვლავ ნათელივით აღმომადგინო.

რა სანახებშიც ვიშვი პირველად, მუნ შემოვდგები ძღვენთა
მწირველად, —

ვერღა დამშალონ ჩემთა კავშირთა,

ვერ გამიმეტონ განსაწილველად...

განვერიდები ქვეყნის რაობას, მაგრამ ჩემი დრო მაინც იდროებს
და სტიქიონთა სხვადასხვაობას

ისევ შერთავს და

შეამჭიდროებს.

ცა გაწვიმდება შუალამისას, გვრიტი გადირენს მყუდრო ჭალაზე,
შენც... მიაყურე სუნთქვას ჟამისას,
ხმას ბუნებისას მიუდარაჯე!

აღიღე ჩანგი,
აახშიანე,

კვლავ აღასრულე საქმე საქველო,
— მო, სიყვარულო, მხოლოდშთენილო, —

უფლის შემწევ და თანამზრახველო!..

მო, სიყვარულო!.. ირგვლივ ღამეა... ბნელ დარბაზონში სძინავთ
მსახურებს...

ვინ შემოდგება კარის ღირეზე,

ვინ კურთხეული დამიკაკუნებს!..

ვინ შემოდგება... მარქვი, ღამეო, ვინ შემომიქცევს ჭმუნვას ხალისად,
თუმცა... ვინ მორბის მწუხრის ბილიკზე,

ვინ მოისწრაფის დამაშვრალისად?

ვისი ხმა მღერის:

მობრუნდიო, ძალო ძალოთაო,

კვლავ გაბრწყინდაო მეფის დარბაზი,

შიგ სიყვარული შემობრძანდაო!

ვისი ხმა მღერის: — აღსდევ, მაშვრალო, კვლავ იტვირთეო თრობის
სიამე

და საღამეულ უგზოობაში

გზას

მიჯნურისას

შეეზიარე!

გზა ბევრი ვიცი: ზოგი ნათელი,

სხვა —

მოკამული, როგორც ბრალდება...

გზა — სიყვარულად სახელნადები,

ცის სინათლეში მიიწვართება...

მაშ, განერიღე მღვრიე ხეობას, მზე გამოიხმე გაშლილ მდელოზე
და ნანდაურის სახემზეობას

ცისკენ უძებ და
უანგელოზე.

ბაგეს დაგიტკბობს, —
სიტკბოშეუჩვევს,
წესად არ უძეს ცოდვის მხილება,
უღელს ტანჯვისას კისერს შეუშვერს, —

შენს
ზეადსელაში
შეგეწყვილება.

იშვებდე, სულო, —
განიხარებდე,

ვაზო,
მთის წვერზე ამონაშენო,

რომ სიყვარულის სავენახობებს შენც გამოსტყუო წილი საშენო.

მიხვალ ღვთის კარად,
საზრდელს მიიტან,

მზედ დაგადგება ლოცვა ბატონის

და ქვეყნიური გეჭენიდან

გზა გაბრწყინდება ქოჰენ-გადოლის;

ზღურბლზე დაკიდე ქარვის მტევანი, პურის ბარაქით

ვარცლი აუვსე, —

რაც მოიწიე მოსაწევარი

ამ წუთისოფლის
დღესასწაულზე.

წესად ასრეა დაწესებული, ხაშს, მოყვარესაც ასრე უწესო,
მწყემსო, დალოცე საყდრის კრებული,

სახლი აკურთხე,
სახლთუხუცესო!

გზა ბევრი ვიცი: ზოგი ნათელი, სხვა — მოყამული,

როგორც ბრალდება,

გზა — სიყვარულად სახელნადები, ღვთის საუფლოში მიიწვართება.

მაშ, ამობრწყინდი,
ამოზეურდი,

ცას შეაფრქვიე ცეცხლის სიაღე
და საღამეულ უგზობაში

გზას მეუფისას შეეზიარე!..

... გალობს, კვლავ გალობს უცხო მეჩანგე. სულს ეფონება
სიტყვის მარცხს

და ზეურდება ჰანგი საზეო —

უზენაესის ნაუბარივით...

გალობს, კვლავ გალობს... გარეთ გავდივარ, კვლავ გამიხმობენ
ნათლის ჩქერები,

— მო, სიყვარულო!... — ცნობამინდელი

გზას

სალამელს

გავემღერები...

მაგრამ ვინ მოსთქვამს:

— გაბრუნდიო, ძალო ძალოთო,

ქარს გადაჰყვავო მეფის დარბაზი

და სიყვარულიც გადაბრძანდაო!

ვინა, ვინ მოსთქვამს!.. მაცდუნებელო, ვისი ხმა გაკრთა, ვისი ჩვენება?..

ვინ შემაჩერა საწუთროულ ქარში მეოტი!..

რად მჭირდებოდა წუთიერი ამომზევება,

ბოლოს თუ მაინც სიბნელეში ჩავინთქმეოდი?

იქნებ, ბურანში გახმიანდა ჩქამი ციერთა,

ან ოცნებამან მოიღვაწა თვისი საღვაწი

და ღამიეთის ზმანებებად განსახიერდა

უღაბნოელის მიძინებულ წარმოსახვაში?

განსახიერდა, გაკრთა წამიერ, კვლავ განმიწონა ელვა ციაგთა

და გადაქარდა ჩვენებასავით,

ცის ვარსკვლავივით გადაკიაფდა.

მე კი უბრად ვზი... ჟამი-ჟამად ცრემლი მერევა:

გული რომ ფიქრობს,

დავლანდეთ უცხო მშვენება, —

გადივლის უუქი ღამიეთის სივარდახეში,

უღაბნოეთის სიბნელეში გაიმტვერება...

„ — მოდი!“ — გავძახებ, მესმის დასტური:

„ — შენი მონა ვარ, შენი მხევალის...“

პირად უნდო ჩანს,

თვალად — მაცდური,

გულად — ღიზი და შემაქცევარი...

„ — გადარჩი, მზეო, — ველიქნები, —

მზეო, გადარჩი:

ახლაც ვერ ვიტყბე გოლეული შენთა ბაგეთა,

ნეტავ, ერთი დღით შემამღერა ნათლის ტაძარში,

ქეშმარიტების საფანეში შემომახედა!..

ნეტავ, დაგენდო ჩემი კარავი, ნეტავ აგენტო, ცეცხლად აგენტო,
რომ მიმეწია ძუძუს სიტკბომდე

და ბაგეების სიბადაგემდე.

ასე მეგონა — ცისპირ დამსვამდი, კვლავ დამნაცრავდა შენი სიალე,
მაგრამ ნათლის წილ, მანათობელო,

სხივს

მინელებულს

შეგეციალე...

ისევ ხელი მკარ სევდამორეულს, შემომაცვითე რწმენის ბეგორები,
ველარც ხილს ვიტკბობ,

ველარც გოლეულს,

ვერც სიყვარულით დავინექტრები...“

ახლა ღვარად მდის ცრემლის რუები, — მე მივაბრუნე ძველი ხატები
და ასე —

იმედ-განაცრუები

კვლავ ღამიეთში მივებლატები...

ხმა კი... კვლავ ვალობს:

„დაცხრი, ქადავო! —

მალე დასტოვებ მწუხრის გალიებს,

შემოგეყრება ბოლო მიჯნური

და სასახლეში წაგიძღვანიებს.

შემოგეყრება ბოლო მიჯნური, მზით გაგიბრწყინებს კლდეს და
ფრიალოს,

რომ მიმწუხრიდან მარადისამდე
შუქს მეუფისას შეგაზიაროს.

გესმის? — უკვე ზმობს,
მაცნეს აგზავნის...

აწ დაუტევოს გულმან საგულე,
შენც... მოიხილე კარი აღსავლის და მოკრძალებით დააკაკუნე!..

ზღურბლზე მზე მოვა,
მზესთან იმღერე,

მზეს განეზავე, მწყემსო ეულო,
რომ სიყვარულის პირველქმნადობა შენს არსებაშიც განასხეულო.

რომ იგალობდე,
განიხარებდე,

ვაზო, —
ცის წვერზე ამონაშენო,
რომ სილამაზის სავენახობებს

შენც გამოსტყუო წილი საშენო.
სამწყსოს შენ მწყსიდე სიყვარულისას, მის საცხოვარსაც
შენვე იცავდე:

და სალამურით მიაცილებდე

მარადისიდან
მარადისამდე!..“

...გალობს, კვლავ გალობს უცხო ებანი, თითქოს განცხადდა უფლის
ნებანი

და დამისახა ცხადარსებულად

სიზმრის ნაშთი თუ
ნაოცნებარი.

გალობს, კვლავ გალობს... თრთოლვით ვინოები, მინანაობენ
ქარში ბინდები,

მეც... სიყვარულის მესაყდრესავით

მის მოლოდინში გავირინდები...

თუმცა ვინ მოდის: იწვის ცარგვალი, მთებზე შუქი კრთის მინანქარული
და ღამიეთის საუფლოიდან
ქარებს გადმოაქვთ ეტლის თქარუნი.

მოდის!.. ის მოდის!.. მოდის, მოგელავს!.. ცას მოანათებს
ოქროს არილით



და სფეროების მრავალფერობას

წინ მოუძღვება წინამძღვარივით.

ელვით ნათდება ღამის ბურანი, ბედი ცელს იქნევს, ნაავგულარი,
და აღმოდებულ უდაბნოებში

გზებს მოამტკერებს მისი ქურანი...

.
.
.

...გარდამოეშვა მნათი ვანთაგან,

ცეცხლის დარად მწევავს მისი ნათება,

რიდვ ვერ მფარავს მისთა თვალთაგან,

ვერც ჩრდილოვანი მეპირბადება.

ხან ჩამოდგება მწუხრის მანდილით, ქვე ამიტირებს ქვეყნის ბინადრებს,

ხან სერაფიმთა შარავანდივით

გზებს

ზესუნელისას

მოასინათლებს.

ბედის მეგზური მომდევს კვალდაკვალ,

რას მომძახიან ჩემი ფესვები...

მზეო, სად ილტვი,

საით გარდახვალ,

ვის საუფლოში გარდაეშვები!..

სული აღმა ფრენს უცხო ფრინველად, —

მე მოვიწიე ქვეყნის დავლები

და მოწეულის განსაწილველად ჩემს მეუფესთან მივემგზავრები.

წინ მიმიძღვება უფლის მახვილი, — ნუვის უფლიედ მისი ჩაგება!..

ტანზე მედება ცათა სახმილი,

მზის მხურვალეება მეხორშაკება...

მნათო ცისაო,

გესავ, მინათო,

ჰყავ სამართალი, წმინდა პინაკო,

რომ განწილული წილი შვებისა

ჩემს წინამძღვარსაც მივუწილადო.

საძღვნოდ ძღვენი მყვა სიყვარულისა, — მისი თაფლის და
მისი მადლისა,

ვერა შემკადრა დედამ უარი,

ვერც პატარძალმა მიუკადრისა...

გზა ბევრი ვიცი: ზოგი ნათელი, სხვა — მოყამული,
როგორც ბრალდება,

გზა — სიყვარულად სახელნადები,
ცის სინათლისკენ მიიწვართება.

ზღვაო, იმღერდე, მთაო, როკვიდე, ცაო, ილხენდე —
შუქთა მზირველი,

რომ სიყვარულად გარდამოხვიდე
და შეიწირო
შესაწირველი.

ნეტავ, ამეგო ოქროს თაღები, კარიც ოქროს მტვრით შემომეგლისა!..
ცისპირ კოშკი ჩანს, ქვითკირნაგები, —

დგას განმგებელი მ ი ს ი ბელლისა.

ცა საკმეველმა მოაბურუსა, თვალს საწირავთა ხილვა უხარის, —
ჩემი ღვინის თუ
ჩემი პურისა,

ჩემი ნამჯის თუ
ნათავთუხარის.

მაგრამ... სად არის, გამრიგეო, შენი სათავე,
რატომ ვერ ვიტკებ შეყრის სიამე,
ვერც სიხარული ვითანდათანე!..

რატომ ვერ ვიტკებ, დამატკობელო,
რატომ ვერ ვიცებ შენი სიალე,
მთა-მთა ვიარე, ზღვა-ზღვა ვიარე,
ცხრა კლდე,
ცხრა კარი ამოვიარე.

მარქვი, სადა ხარ!.. ღრუბლებს ავძახებ, მზე გადმოიწვდის
ოქროს ფიალებს

და უფლებათა მეხვაშიადე
ცის საიდუმლოს გამიზიარებს:

— შეყრას რად შესთხოვ, აღუვსებელო,
შენდა შორია მისი საესება,
ოდენ წილს მოგცემს სასიყვარულოდ, მზის ნაწიბურად
შეგეთავსება.

ნეტავ, რა გქონდა მისი წვდომისთვის, —
ძალი არ გაჩნდა, არცრა გებადა:
არც ზეალსვლათა საფეხურები, არც ბილიკები
ამაღლებათა.

— ა მ ა ლ ლ ე ბ ა თ ა ! ..
— ა მ ა ლ ლ ე ბ ა თ ა ! ..

მაშ, შეისვენე, ზღურბლზე ჩამოჯექ, შენთვის გასრულდა ლტოლვის
სამანი,

აწ ნებისაებრ გარდამოხდება, —
თვით გარდამოვა გარდმოსავალი;
უკვე განიხვნა ბჭენი ნათლისა, — გზად შეგეყრება მისი ხატება
და ხვაშიადი
ზეგარდმოული
ამ პაემანზე განგეცხადება...

იესუს პალებო

იესუს პალები ბიბლიის შემდგომდროინდელ ებრაულ ლიტერატურაში ყველაზე დიდ პოეტადაა მიჩნეული. დაიბადა ტოლედოში 1080—1086 წლებში. განათლება მიიღო არაბულ ესპანეთში (ანდალუსიაში), რომელიც იმ დროისათვის მსოფლიო კულტურის ცენტრად ითვლებოდა. შეისწავლა ღვთისმეტყველება და მედიცინა, გაეცნო ბერძენულ-არაბულ ფილოსოფიას. სრულყოფილად ფლობდა რამდენიმე ენას. ბავშვობიდანვე იტაცებდა პოეზიას. ჯერ კიდევ ცამეტი წლისა იყო, როცა მისი ლექსებით განცვიფრებულმა მო-შე იბნ ეზრამ განაცხადა: „მზე ამობრწყინდა კასტილიიდან—ქვეყნიერების მანათობელი“.

პოეტის შემდგომი ბიოგრაფიისათვის ერთადერთ სანდო წყაროდ მის თხზულებებში მიმოხილული მცირეოდენი ცნობებია მიჩნეული: განათლების მიღების შემდეგ დაბრუნებულია ტოლედოში, სადაც სამედიცინო საქმიანობისათვის მოუკიდია ხელი. მატერიალურად საკმაოდ უზრუნველყოფილი ყოფილა, რაც კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა მის იმდროინდელ ლიტერატურულ მოღვაწეობაზეც. ლდი და უდარდელი პოეტი თავის გრძნობებს მგზნებარე სატრფიალო ლექსებსა და ბუნების მაღივებელ პიმნებში გამოხატავს, ადგენს გონებამახვილურ გამოცანებს და, არსებული ტრადიციის თანახმად, თხზავს ოდებს თავისი მეგობრებისა და თაყვანისმცემლების პატივსაცემად. ბიბლიური „ქებათა-ქების“ შემდეგ ებრაულ ლიტერატურაში ასეთი ძალითა და მიძინველობით აღარ აუღერებულა სიყვარულის პანგები. მკითხველს იზიდავს ნათიფი ლექსი, მხატვრულ სახეთა სიმშვენაიერე, სიასლის ცხოველმყოფელი ძალა, —ასეთია ახალგაზრდა პალების პოეზიის დამახასიათებელი ნიშნები. დროთა განმავლობაში მისი სიცოცხლით აღსავსე პოეზია რელიგიურ-ფილოსოფიური სულიკვეთებით იმსჭვალება. იცვლება ნაწარმოებთა თემატურ-შინაარსობრივი კონტურები, ლექსებში იჭრება ბიბლიური გამოცხადების პოეტური იდუმალება, ჰედონისტურ განწყობილებას მძაფრი ტრაგიზმი ცვლის, სიჭაბუკისდროინდელ უზრუნველობას — სიჭარმაპეში გადასული ღვთისმოსავის მიღმიერი ბნელმეტყველება. სიდაიდე ღმერთისა, დამოკიდებულება თავისი ერისადმი, სურვილი უზუნაეს მამასთან შეყრისა და შეერთებისა —აი, ის მოტივები, ასე მკაფიოდ რომ წარმოჩნდა დაბრძენებული პოეტის მხატვრულ ქმნილებებში. დაახლოებით 1141 წელს პალები პალესტინისაკენ მიემგზავრება. აღმოსავლეთისაკენ მიმავალმა პოეტმა მრავალი საუკეთესო ნაწარმოები შექმნა. მიაღწია აღექსანდრიამდე, სადაც უამინდობის გამო დაყოვნდა 2-3 თვეს. კაიროში იგი შეხვდა თავის უფროს მეგობარს, იმსანად კაიროს კარის ექიმს, შემუეღ პანაგიდს. პალების შემდგომი ცხოვრების შესახებ არავითარი ცნობა აღარ არის შემორჩენილი. ხალხურმა ლეგენდამ პოეტს მიაღწეინა სამშობლომდე, სადაც იგი ტრაგიკულად დაღუპულა.

პალების პოეტური შემოქმედებიდან დღემდე ათასამდე ლექსია შემორჩენილი, ამათ-

გან დაახლოებით სამახი რელიგიურ-ფილოსოფიური ხასიათისაა. ღმერთის ცნება პალევის ლექსებში შორსაა სამყაროს პირველმიზეზის აბსტრაქტული გაგებრიდან „დაივიწყო ღმერთი, ეს ნიშნავს—დაივიწყო თავი შენი“—აცხადებს პოეტი და ამით ხშირად ბოლურად მიანიშნებს იმ გავრცელებულ შეხედულებაზე, რომელიც საკუთარი თავის შეცნობას ღმერთის არსის გაგებასთან აიგივებდა. მსგავსი თვალსაზრისი მეტნაკლები სახესხვაობით გამოკრთა პალევის ფილოსოფიურ თხზულებებშიც. ამთავან ყველაზე მნიშვნელოვანია „საზარი“, რომელიც, პლატონის „ნადიმის“ კვალობაზე, დალოგის ფორმიითაა დაწერილი. ნაწარმოებმა დიდი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების თეოლოგიურ აზროვნებაზე, კერძოდ, კაბალისტურ თეოსოფიაზე („ზოპარი“ და სხვ.). არსებობს მისი მრავალი კომენტარებული თარგმანი, ათობით სხვადასხვა ინტერპრეტაცია და ა. შ.

პალევი სკეპტიკურად უყურებს შემეცნების ლოგიკურ-ფილოსოფიურ მეთოდებს (მათ შორის, აკრიტიკებს ნეოპლატონიკურ მოძღვრებასაც; თუმცა ამ უკანასკნელში ბევრად უფროა წარმოჩენილი ინტუიციის როლი და მნიშვნელობა, ვიდრე, ვთქვათ, არისტოტელეს ფილოსოფიაში) და ღმერთის შეცნობის ყველაზე თვალსაჩინო გზად დვთაებრივი შემთავონება მიანიჩა. პოეტის აზრით, მთელი მოძღვრება ემანაციისა, მისი იდეა უზენაეს სულსა და მატერიალურ სამყაროს შორის არსებულ აეიარქიებზე, აღმაიანური არასრულყოფილების შედეგია და ვერავითარი ფილოსოფიური მსჯელობა ვერ ამთავებს იმ უფსკრულს, ღმერთსა და აღმაიანს რომ ამორებს ერთმანეთისაგან. აქედან გამომდინარეობს პალევის საყვარელი თეზა წინასწარმეტყველო ინტუიციის შესახებ, რომელიც შემეცნების ბევრად უფრო ხანდო და საიმედო წყაროა (მხოლოდ მორწმუნე კაცს შეუძლია ამაღლდეს ღმერთის უსაზღვრო და ყოვლისმომცველ სიყვარულამდე...), ვიდრე ფილოსოფოსთა ლოგიკური ბრტყელსიტყვაობა. მათი მცდელობა პოეტს იმ ლიტერატორთა გარჯას აგონებს; თავგამოდებით რომ ადვენენ პოეტის კანონებს, მაშინ როდესაც ჭეშმარიტი შემოქმედი არად დაივდევთ თეორეტიკოსთა შეხედულებებს და მხოლოდ საკუთარი გულისა და გენიის კარნახით მოქმედებს... მაგრამ, მაინც, უმართებულო იქნებოდა იმის თქმა; თითქმის პალევის ფილოსოფიურ თხზულებებში საერთოდ არ შეინიშნებოდა ლოგიკური არგუმენტაციის ნიშანწყალი. იგი თავისი ეპოქის შეილი იყო და ზოგჯერ ძალაუვნებურად უნდა გავზიარებინა იმდროინდელი ფილოსოფიის ზოგადი კონცეფციები. ასე მაგ., ზოგიერთ თავის დებულებაში (კერძოდ, ფორმისა და მატერიის ურთიერთობის საკითხი) პალევი ბერძნული ფილოსოფიის პრინციპებს იხიარებს, ხოლო სულის რაობის განსაზღვრისას მისი თვალსაზრისი იბნ-სიანს (ავიცენას) შეხედულებებს ემთხვევა.

იქმუდა პალევი დიდი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდა როგორც შუა საუკუნეების, ისე ახალი დროის პოეტებს შორის (იბნ ეზრა, ალხარაზი, ჰაინე და სხვ...). მისმა შემოქმედებამ უდიდესი გავლენა მოახდინა ებრაულ პოეტურ აზროვნებაზე და ძირეულად განსაზღვრა მისი შემდგომი განვითარების გზები.



გამოდი გარეთ, ჰოი, გამოდი, მზეო, სალბუნო სალმობიერთა,
ცა, რომელზედაც მოკამკამობდი, საგანთიადოდ გალმობიერთა.

უკვე მთოვარე ჩამზიანდა ტბათა ზოლებში —
ხილვად ამო და მშვეენებითა ბროლთა მბაძველი
და დარბაზობენ მოზეიმე დარბაზონებში
აღზევებული მოდარბაზენი.

შენ კი სადა ხარ!.. ჰოი, გამოდი, მზეო, სალბუნო სალმობიერთა,
გზა, რომელზედაც მოიგალობდი, საგაზაფხულოდ გალმობიერთა.

მღერის, ცა მღერის, აღესრულა ღამე ხენეში,
ფიანდაზოვან დარბაზებში შედის მზეობა
და მძლიანდება მოციაგე ცისარტყელებში
უზენაესის კეთილმძღვობა.

მღერის,
ცა მღერის,
მღერის დარბაზი,
მღერის ქოხი და
მღერის ახური,
ცა არნახული,
სრა — ჩინარების

ჩრდილოვანთაგან მოჩარდახული...

შენ კი სადა ხარ... ჰოი, გამოდი, მზეო, სალბუნო სალმობიერთა,
ცა, რომელზედაც მოიგალობდი, საგანთიადოდ გალმობიერთა.

...სრა ვალურსულა, პალატნი სდუმან, სადარბაზორნი დაღმა დაყურსა,
შენ მგლოვიატე ასულთა შორის

კომქსა ჰზი — ეგზომ მოფარდაგულსა,
ვერ მოგვიხილავს ხატებე ბროლისა.

გამოვედ, კმარა!.. გელის სავარდე, თვალს ნუ დაქუშავ
უამინდობით,

უკვე შუქი აღჩნდა იმედის სამაზზე,
მეფე და მიჯნური მოგივალს მშვიდობით...



ჰა, მოჭირითობს დინჯი ეჯიბი,
 მოდის მაყრონი, გრგვინავეს თავალებით,
 შხუიან ამფორები ლალისფერ შხეფებით...
 მოდექით, დასნო, მოსარკეთ თასნი მზეგარეული დასტანაგებით,
 თქვენ კი, შუტრიბნო, ჰანგთა შეფენით
 მზეს გვირგვინოსანს მიეგებენით!

აჰა, მოირღვა გალავანი,
 ჰოიდა,
 ნეფე მობრძანდება ატმის რტოითა!

გიხაროდენ, გიხაროდენ, სძალო, უფლის ხარებაო!

ო, გიხაროდენ! — მოდის ყამარი, მზე მოგევლინა როდის და როდის,
 მოდის მეჯვარე, მოდის ჯავარი, გამარჯვებული მეუფე მოდის!
 გამოვედ ხილვად!.. ყოვლგნით გჭვრეტენ და...
 კვლავ მარმარილოს კიბეს დაყევი,
 ხე ლეროვანი, ოქრომჭედელთა ფერადოვნებით ნაქანდაკევი;
 განაძე კრძალვა, თვალთა ზოლებში კვლავ აღიბეჭდე
 ცეცხლი ზვიადი
 და მოზეიმე დარბაზონებში გაზაფხულივით შემომზიანდი.

* * *

წუხელ მეზმანე, ეჰა, ს ე ბ ი ა, თმა შეგმოსოდა უცხო არილით,
 წინ ასპიროზი მოგიძღვებოდა
 სხივშემართული წინამძღვარივით.

ბრუნავდა დისკო,
 ხმობდნენ გუნდები,
 ყრუდ გუგუნებდა ბინდი მუხთალი,
 ოქრო...
 ოქსინო...
 იაგუნდები,

ნაფარჩალი და
ნაზურმუხტალი...

ო, ხილვა იგი! —
თითქოს აღსავლით

ცა სტიქიონთა შესძრა ხმაურმა
და უნაპირო მშვენებასავით მზის სილამაზე შემეცნაურა.

განმკურნე, ღმერთო

ენა აღარ მაქვს,
ვითლა ვიენო,
სად განვაცხადო ჩემი ურევები,
განმკურნე, ღმერთო,
ყოვლადძლიერო,

და უჭირველად განვიკურნები.
ყურმან შენი ხმა დაისაკუთროს,
თვალმან ითნიოს ნათლის სვეტები,
თორემ დავადღებ ცოდვილ საწუთროს
და გალმითში გავეხეტები.

თუმცა... რად ვუფრთხი წარმავალობას,
რად მაძრწუნებენ მწუხრის ზარები? —
ხან სალბუნად ჰხდი ცათა წყალობას,
ხან უმოწყალოდ გვესამსალები.

ნუთუ ცის თალი მხოქუფრება,
თუ უმეცარმან წარვთქვი სადაო...
გარდამოეცი შენი უფლება,

მოდექ,
უფალო უფლებათაო!

სული შენგნით მყვა,
შენგნივ მკვდარი ვარ,
ჟამით ყრმა ვარ და... ჟამად — ბებერი,
ხან მესჯულეთა აღამდარი ვარ,
ხან — უსჯულობის კანონმდებელი.
ბრიყვნი სწუნობენ წმინდა შენობას, —



ერთმან ესაო,
სხვამან — ისაო,

მაინც განსჯა სჯობს განუსჯელობას,
საჯე, მსაჯულო სიმართლისაო!

საჯე, მსაჯულო სინათლისაო!

ს ი ნ ა თ ლ ი ს ა ო ! ..
ს ი ნ ა თ ლ ი ს ა ო ! ..

აჰა, აღმოხდა ცეცხლის მნათობი,
მზემ შემიფერა ჩანგის სიმები;
ისევ შენ გელტვი სინათლესავით,
ისევ გესავ და გეციმციმები.

გული შენსკენ რბის,
სულიც გინატრის...

მაგრამ რად მაკრობს შენი კიანთი?
შორად რომ დაფრენ, ფრთეო სინათლის, — ჩემს მტილოვანშიც

თორემ ვინ უწყის, ბნელეთს შევეერთო, ვერღა იდღეოს ღღემან
ხვალემდი,

მახსოვს იგი დრო:
მჭვრეტლი ზემოით,

გზას ყარიბისას უთვალთვალეზდი.

მაგრამ რად დამთმე, უნეტარესო, რად დამიმწუხრე ცისკრის სანთური,
ხმა უძლურია,

მკლავი — უმწეო,
გზა —

წინატკმო მიმოფანტული...

რა შეცოდებამ გაგაგულისა,

რისთვის დამავდე ასე მტირალად,
ან გულთაგანი ჩემი გულისა

რად გაიმეტე ვასაგმირავად?

მიწყვიც შენ გიმღერ,
შენდა მოვილტვი,



არც მიფიქრია გვერდის აქცევა,
 მაგრამ წუთი მღვეს საწუთროული და შესაცდენად
 მეთვალთმაქცება.

დაბლა ცოდვა დულს, —
 ცეცხლადქცეული,
 შე მივუყვები ვიწრო ბოვირებს
 და დამაშვრალი ჩემი სხეული
 სულს სიბნელისკენ მიაბოვინებს.
 მომხედე, გესავ: სცოდავს ცოდვილი და ზადიერიც ისევ იზადვის,
 შენ აღმადგინე კვლავინდებურად,
 შენ შემამზადე ზეაღსვლისათვის...


ფრთეო სინათლისავ,
 მოდექ მეფურად;
 ცხოვარს მოხედე, მწყემსო კეთილო,
 მომმეს რომ მაძმო კვლავინდებურად,
 მტრის სასოება წარმაკვეთინო!..

კვლავ აღასრულე საქმე საქველო, თორემ ნუგეში მომმესაკლისა,
 ზრახვებს მიმწიე, კეთილმზრახველო,
 მოეც კლიტენი შენი სახლისა.
 ცის საუფლოში უნდა მივიქცე,
 აღარც ოქრო მწადს,
 აღარც — სტავრები,
 შენ წარმიძღვები ყველა ბილიკზე,
 ფრთედ სინათლისად დამემგზავრებო.

მაშ, ჩამობრწყინდი,
 ჩამომხეურდი,
 კვლავ განმიჩხრიკე თვალნი თვალთანი,
 კვლავ ჩამეძიე გულისგულამდე,
 კვლავ განარჩიე ტყუილ-მართალი!..

ნათესავიდან
 ნათესავამდე
 ამომიძირკვე ღვარძლი თავნება,
 თორემ წარხდება ჩემი სავარდე,
 მეც —
 ქარაშოტი მომემძლავრება.

მომმადლე ყრმაი —
 უუქში მიზარდე



ჩემი წიბო თუ ჩემი წიბური,
რომ უკუნითი უკუნისამდე ვჯდე სინათლეში ხელმოწიფული.
გარნა... რომ ჩაქრეს თვალთა მზეობა, ბნელი ვარსკვლავი გაგროვს
მოშაოდ

და სიბერეში —
ხანმოთეულმა

ხანი ვერ დავთმო საღვთისმოსაოდ,
ნაშთიც არ დამშთეს შენაქმნისაგან,
წარხდეს ნათელი ჩემი ტყე-ველის, —
მუნ შემეფედროს ხელმან ღვთისამან,
ძალიც იქ აღჩნდეს ძალთამძლეველის,
რომ დაღმაურმან
აღმა ვიარო,
ქვე დაფუტევი კლდე და ფრიალო,
ყმად შევემტყიცო ზესთა სამკვიდროს, —
შენს საკრებულოს შევემთლიანო...

.
.

მზე მიიდრეკია... ბინდი ჩამოწვა, ცას შეეტირა ჩანგის სიმები,
მე კი კვლავ გელტვი სინათლესავით,
ისევ გესავ და გეციმციმები.
გული შენსკენ რბის,
სულიც გინატრის,
თუმცა... რად მაკრთობს შორი კიანთი?
აქეთ მობრუნდი, ფრთეო სინათლის,
ჩემს მტილოვანში შემოფრთიანდი.

ცთოვილება და ჭეშმარიტება

სარწყულს ვავსებდი... მსურდა ავსება,
გარნა რას ვაქნევ: ბალი გადახმა...
ჟამი ჟამს მისდევს, გვიჯობს გაქცევა,
ჟამი უნდოა! —
წართქვა ქადაგმა,

აქ — ცთომილება გვეთვალთმაქცება,
ჭეშმარიტება
გვიცდის გადაღმა...

ქამგადასული სიხვარულის საბალობელი

მზეო, სადა ხარ, აღაბრწყინე შენი კრებული!..
განდექ, ღამეო, პირდაბინდულო, ცას გაეცალე, ნისლის ნაფლეთო,
თორემ სული გლოვს შეჭირვებული: რატომ დამგმეთ და
დამამდაბლეთო!..

...ისევ ცრემლი მზრდის, ცრემლი მაპურებს,
ისევ ქარი სძრავს მღვრიე ქვაბურებს
და მხურვალემა უდაბნოეთის დაბებს მიხშობს და
მიუდაბურებს!..

...როგორ ვგალობდი,
როგორ ვხარობდი
შენი მინდვრით და
შენი წყაროთი
და სიყვარულის საბაღნარომდი რა სასოებით მოვიჩქაროდი!..
მოვიჩქაროდი!..
მოვიჩქაროდი!..

მთებს ეკმეოდა კვამლი დაბლობთა...
მე ვუვალობდი სეფე-ქალწულებს, სულში ღვიოდა შენი ღადარი...
ო, რა დრო იყო: ბაგე თაფლობდა,
პირიც მზედ კრთოდა —
ნაშარბათალი...

როგორ ვგალობდი,
როგორ ვხარობდი
შენი მინდვრით და
შენი წყაროთი

და სიყვარულის საბაღნარომდი რა სასოებით
მოვიჩქაროდი!



...ტყისპირ ხვიდოდი...
ხმობდა ფრინველი,
ქარვად ღუოდა თაფლი მდელოთა,
მზე ვერ მზეობდა შენი მზირველი, მთვარეს — უკუნი
გარდაჰქვენოდა.

...როგორ ვგალობდი,
როგორ ვხარობდი
შენი მინდვრით და
შენი წყაროთი
და სიყვარულის საბაღნარომდი რა სასოებით
მოვიჩქაროდი!

შენ კვლავ გეწადა
უხილავის ცეცხლით დაგვესე...
მე —
გაზაფხულის ნელსურნელებას კარს, სურვილისას კრძალვით ვუღებდი
და სიყვარულის იალაღებზე
მზის ყვავილებით გათავუთუხებდი...

როგორ ვგალობდი,
როგორ ვხარობდი
შენი მინდვრით და
შენი წყაროთი
და სასოების საბაღნარომდი რა სიხარულით
მოვიჩქაროდი...

რა სიყვარულით მოვიჩქაროდი...

მოვიჩქაროდი...
მოვიჩქაროდი...

გახსოვს? — მღეროდა შენი ვარდეთი,
მთების გადაღმა ფშვუნდა მინდორი

და საღამეულ სილაყვარდემში კრთოდა ლალი და

იაკინთონი.

გალმა მზე ენთო, —

შუქთა მკმეველი,

შორს,

ნისლოვანში, თვლემდა ტყე-ველი ძოქტელ ცაობას ზე ელვ,

და მიღმიეთის სამიჯნოსაკენ

ყრულ მიმაქცევდა მიმაქცეველი.

ისევ შორით ჩნდი,

შორად მელლოდი

შენი მინდვრით და შენი მდელოთი

და მიწიერი საუფლოიდან

ცის დარბაზებში მიიმღეროდი...

რეკავდა ჟამი:

„— უნდა დახანდე!..“

შენ გაკრთებოდი იალალამდე,

ბოლოს შესდექ და საკურთხეველზე

აღუნთებელი ცეცხლი აღანთე.

გარდმოდიოდა ცათა ძირონი,

ქვეშ უღრტვინველად თვლემდა ლანდეთი

და წრიალებდა ნასახლარებზე მზის მგლოვიარე

შარავანდელი.

მზე ქანაობდა ციდან ბაომდი,

შენ, —

აღრეული, მზესთან დაობდი

და რინდაობდი...

ისევ დაობდი

და სინათლისკენ მიშვილდაობდი.

არ ვაფიქრებდა ცრემლი სოფლისა,

ქუდად ცა გიჩნდა,

ხამლად — ქვემოთი

და გალიაკში შენი მშობლისა

ყრუ ნაბიჯებით წარმიძღვებოდი.

მატლა იშვებდა ცათა ბატონი, ძირს სიყვარულის

ენთო დადარი,

ცას ერღვეოდნენ საგუმბათონი

და გუგუნებდა ნაგუმბათარე...

შევდექ დირეზე,
ფუძე დავლოცე...

შენ აღმიმართე ზღურბლზე ძუძუნი,
დავლა მოეც და
სანადავლოზე

კვლავ დამისართე ცეცხლის ზუზუნი.

„— გზა მიტეო!..“ —

ჩქამი გამეცი,
მზის დასავალთან აღჩნდა მინდორი
და სალამოის სიკამკამეში გაკრთა ლალი და
იაკინთონი...

გაღმით ხმა მესმა:

„ — აღსდეგ ცათამდე!..“

მეც სამიჯნუროდ თავი გადავდე
და ბაგეებით გაშარბათებდი
განთიადიდან განთიადამდე.

ციდან წოლავდა რძე და შაქარი, ვაშად გალხენდა ქვეყნის თამადა:
ღვინო ჭეამა, ნაბადაგარი,
თაფლიც გეტკბო და
გეანდამატა...

...როგორ ვალობდი,
როგორ ხარობდი,

ჩემი მინდვრით და
ჩემი წყაროთი

და სიყვარულის საბალნარომდი რა სიხარულით მოიჩქაროდი....

ხან აღიოდი... დისკო ბრუნავდა, მძლედ აღიძვროდა გუნდი მნათობთა,
ცად მაღლდებოდა ტაძრის გუმბათი,
ცაც მიფრინავდა,
მიგუმბათობდა...

ისევ ყრუდ ფშვენდა შენი ვარდეთი, მთების გადაღმა
თვლემდა მინდორი,

კვლავ —

საღამეულ სილაყვარდეში

კრთოდა ლალი და იაკინთონი...



ასე დაობდი, ასე ზვაობდი
ციდან ბაობდი,
მზიდან ბაობდი,

და რინდაობდი...

ასეც დაობდი

და სინათლისკენ მიშვილდაობდი...

დრო კი არ სთმობდა ლტოლვას მეყსეულს...

ცას ერღვეოდა კალთა ჩეროთა

და სიცხადისკენ უკუშექცეულს კვლავ ასპიროზი

გადმომცქეროდა.

ისეც ყრუდ ვგრძნობდი თრთოლვას დროისას...

რას ჩურჩულებდა ტოტი ლედვისა?..

ტყეის გამოვცილდი კინამოსას

და ლელიანში გამომეღვიძა.

გამომეღვიძა: ბალი დავლანდე, ბალში ბრუნავდა სვეტი ნათელთა

და ნარგისიდან

იასამნამდე

დღე ფუტკარივით დაფარფატებდა.

თავზე მზე, მადგა გამოღმიეთის, მთების ვად აღმა

დაშთა მინდორი,

აღარც წყალი ჩნდა,

აღარც მინდორი,

აღარც ლალი და იაკინთონი...

ხმა, ზეგარდმოით შებონებული....

ცით ჩამომესმა ჰანგი ქებული:

— ნეტავ რად გინდის ოქროს ხამლები,

თუ მავანთაგან განქიქებული

კვლავ სიბნელეში ჩაიკვამლები!..

მიეთ-მოეთთა ზრუნვის საგანი

კაბას ვამსგავსე — მორთულს ფაქიზად:



ტოტს იგრძელებდა ვიეთთაგანი
და შიითრევიდა დასაძრახისად.

ხოლო ვიეთნი — თითქოს ხავერდისა
ცხრაკლიტულებში ტანჯვით ვლიდიან,
ვერ იგუებდნენ ოქროქსოვილებს
და მტკივნეულად განელტვიდიან.

მაგრამ ამოდ... მოვალს მოზარე, ბნელ სასახლეში სანთლებს ამინთებს:
ველარც სტავრას ვჭვრეტ,
ველარც ჭვალოებს,
ვერც სამეფო დიბა-ქლამინდებს...

...აჰა, გაბრწყინდა ფარჩა ველების,
ჟამო, კვლავ ჟამობ —

უთქვამთ დროისთვის;
მაგრამ მოდგება გუნდი მსთველების
და მწუხარებაც მალე, მოისთვის:

რომ დამაშვრალი დისკო მთვარისა ბნელ კორტოხებზე
შედგეს უძრავად,

რომ ბანოვანთა ძუძუ-თაფლობა

მტვერს შეენივთოს შეუსურდრავად,
რომ მწვერვალებზე ნისლი შექანდეს,
დგეს მსაჯულება მსჯავრის მიგებად,
რომ განეთვისოს განძი მეგანძეს,
მზე განუტევოს თვისმა დიდებამ,

დრო სივრცეებში განკიდევანდეს,
მშვენიერება —
დაშთეს კიდევან...

ზ ლ ზ ა

დაბადებიდან მოაქჟამამდე მდევს მოგონება იმჟამინდელი...

.....
ღამეულ ჩრდილში ირხეოდა მინდვრის ალერდი,
გასცქერდი ცარგვალს: კიბე ნათლისა
ყრულ ქანაობდა მზიდან მთვარემდი



და სიყვარულის მიძინებულ საბაღნაროებს
 ჯერეთუთქმელი სიმღერებით ათავთავებდი.
 და იყო ჟამი: ცათა ნათელი ბნელს განელტვოდა ცეცხლის ისრებით
 და ნათლებოდა არე-მიდამო

სამარადისო გამოფხიზლებით.
 მახსოვს იგი დღე, ოდეს ცარგვალი მზის ციაგებით შეაციმციმეს:
 უენ, მეუფეო, სითბო დაბადე
 და შეუესართე ხორცის სიმწიფეს
 სულის სილბო და
 სიანდამატე.

რა ჟამი იყო: სიტყვა გამანდე, მეც — გავიძახე ქარში ბინდები,
 აწ... ჩასახვიდან
 მოაქჟამამდე
 მდევს მოგონება იმჟამინდელი...

გზებზე წყდებოდა ნისლის თარეში...
 დღე მიდიოდა, მილივლივებდა, ყრუდ მიიღელავდა ჟამი ნოესი
 და ნათლიერის სინარნარეში
 სულს ეთნეოდა უსათნოესი.

ო, რა დრო იყო: მღერდა სავარდე, კვლავ ნანაობდნენ ქარში ბინდები,
 მეც... შესაქმიდან მოაქჟამამდე
 მდევს
 მოგონება
 იმჟამინდელი...

ვინ იფიქრებდა — ბინდის წიაღში კვლავ აღიძვროდა დისკო ნათელთა-
 და უჟამურთა განსაკითხავად
 ჟამს განკითხვისას განამზადებდა.
 თითქოს ყრუდ ვგრძნობდი ცოდვის ზვაობას: ცას შესტიროდა
 მინდვრის ალერდი
 და საღამოს უსაძრაობას

კვლავ მოლოდინით ვუთვალთვალედი.
 მართლაც ზღვა აღსდგა, ალაპარაკდა, ცამან მომავო მწველი იარა,
 სერზე შეჰყარა მრევლი ქალაქთა
 და ზანზალაკი ააწკრიალა.

ცამ საქანელნი გახსნა ცისანი, მძლედ გადმოქანდა ცეცხლის ძსარი,
აღმან ცა წარღვნა,
ღვარმან — ქვეყანა,

ფსკერნი ვერა ვცან უფსკრულისანი.

მივდექ ზღვის პირას,— სისხლი დავლანდე, ცის კიდეებზე გაკრთა დაისი
და დასავლიდან
აღმოსავლამდე

ხმა აგუგუნდა აღონაისი.

აჰა, დღე იგი: სივრცე შექანდა...

მთა განერიდა თვალსაწიერებს, გარე-მიბრუნდა გუნდი ზეგანთა,
ცის ასაბია გაკრთა კიდეგან,

მზეც სიბნელეში განკიდეგანდა.

ცამ გარდმოიღო გლოვის წერილი, თვალი თვალს გასცდა
ღანამღურკით

და სერაფიმი,

ფრთებდასერილი,

სერზე შემოდგა ცივი ღუმილით...

ო, რა დრო იყო: მიწა ბორგავდა, ცად გუგუნებდნენ ბნელი ტაძრები,
აწ... გარდასულის მოსახილველად

ძველ ზმანებებში გავიზლანები.

გავიზლანები, ღამეს გავძახებ, კვლავ აღიძვრიან ქარში ბინდები,
რომ ზმანებათა სივარგაბეში

ჩნდეს სიმძიმისი იმყამინდელი.

შენც აღენთები, ჩემო სანთელო, რომ უცადელი სცადო საცდელი
და ზენაართა სამკვიდროებში

ყრუ ღაღადისით შებარბაცდები:

— ეტლო, დაგეძებ, მარქვი, სადა ხარ:

აღმა ბრუნავ თუ

ღალმა დაგორდი,

როგორ აზვავდი, ზღვაო ცოდვისავ,

რა უთავბოლოდ ამომთავორდი!

როგორ აზვავდი!.. ზღვაზე ქარი ქრის... კვლავ გუგუნებენ ქარში
ბინდები

და... მიმწუხრიდან განთიადამდე

მდევეს

სინანული
იმყამინდელი...




ჰომ, განგებო!.. სული აღმა რბის, კვლავ ზენაართა ვანში ვალალებს,
ცად უცნაური როკვენ ციფრები...
ისევ დაღმა მწევს ტვირთი დაღმართის
და უილაჯო ნავკოსალარებს
ყრუ სიმძიმით ვესამძიმრები.
...აქ თავს იყრიდნენ ადამის ძენი, — დამძიმებულნი ყამთა დინებით,
ბნელ გალავანთან გლოვდა შროშანი...
ქრებოდნენ გზანი,
ჩნდებოდნენ გზანი
და გზათა ზედა ძალმოსილებით
ზვაობდნენ მგზავრნი საწყუროსანი.

ზვაობდნენ მგზავრნი, ღუმდა მისანი... ცას აძრწუნებდა სისხლის
ღრეობა
და ვალობანი ბნელეთისანი
მზის სინათლეში მიინქრეოდა.
მე კი კლდისპირ ვწექ მკლავდაძაგრული, სხივს ვაურვებდი ზამთარის
გრილოთი
და მწუხარების ლოდზე აკრული
ბნელ
სანაპიროს
გადავტიროდი...

გადავტიროდი, უნუგეშოდ გადავტიროდი...

თითქოს ახლაც ვგრძნობ ძილის ბურანში: კვლავ ბულრაობენ
ქარში ბინდები,
იგივე ქარი ქრის,
იგივე გრივალი,
ზვავეც კვლავ ზვაობს იმყამინდელი.
ისევ აღზევდა ცოდვა სოდომის, შობილს განუღვა თვისი მშობელი,
ძრწოდე, ქვესკნელო, გრგვინვა ჩაგესმა:
ცაზე შებრუნდა გუნდი მნათობთა
და განტევების სამადლობელი

9. შუა საუკუნეების ებრაული პოეზია



ცას შეჰღალდა უსპეტაკესმა...

ისევ იქუხა, ისევ იელვა: გველმან დალესა თვისი ნესტარი,
ცა წარიტანა ცათამიერმა,
ხმანი ვერ ხმობენ უხუცესთან.
ველარც ქარი სძრავს ნისლის ტრამალებს, ოდენ ზღვის თავზე ზვირთი
ვალალებს

და განელტვიან სამკლაურები
მკლავგაცუდებულ ნავკოსალარებს.

შენ კი სადა ხარ, შეგთხოვენ შველას:
შედრწუნებული ქრისტიანენი გმინვით უმზერენ ვარსკვლავთა ცვენას,
შველას შეგთხოვენ მუსლიმის ძენი...
მიწად გართხმული იუდეველნი,
უზენაესო, შეგთხოვენ შველას!

შეგთხოვენ შველას, მაგრამ ამაოდ: რა სამძიმოა მსჯავრის მიგება!..
ნავი მაინც ძრწის,
სივრცეს მისტირის,
ბნელ წიაღებში მიიზნიქება.
მაგრამ სად წავა, იძვრის ცარგვალი, ბნელში მიცურავს ტაძრის კედელი,
გზებს მიამტვერებს ზვირთი თავნება...
და სამეგზუროდ მიიწეული ნიშანსვეტები
უკიდევანო სივრცეებში მიინავლება.

აღარც ზღვარი ჩანს, აღარც სამანი, ვინ აღუმართოს ლელვას ზღუდენი,
ზღვას გადაჰყურებს ნავკოსალარი,
რომ მოიძიოს ნავთსაყუდელი.
შე კი ცას გავცქერ ბინდის ბურანში: კვლავ შეუტცნობი
როკვენ ციფრები
და სამყაროს არამყარობას
ყრუ სინანულით ვესამძიმრები:

ჰოა გულისთქმაო მენავისაო, სრბოლას რად გირჩევს ცათა რჩეული,
რას მოგძახიან ზესთა გუნდები...
წახვალ ჩრდილოეთს, სამხრეთს ჩაუვლი,
თუ მალრიბიდან უკუქცეული
კვლავ მაშრიყისკენ შემობრუნდები?

...დამშვიდდი, სივრცეს ნულარ ეხლები!..

შენ წახვალ ისევ და მოწყენილი

კვლავ ოკეანის წყევას მოიტან...

მზე ჩადის უკვე...

მეწამულ შუქზე მარტოსულ მგზავრად აირეკლები
წყლის მგლოვიარე უდაბნოიდან.

იელვებს ხილვა: ტრედი ნოესი, რომ გარდაეგლოს ტალღებს

ხივლით

და ნათლიერის სისათნოეში

მზე მოაქციოს ზეთისხილივით...

მაგრამ... რად დრტვინავს ლევიათანი, რად გუგუნებენ ძალნი

ზღვათანი,

რად მიუხლტება თევზი ფაცერებს?

წინ წარგიძღვება ჭეშმარიტება, თუ ჩაგიქრება ბნელში ლადარი

და ცთომილება გილმაცერებს?

ეჰა, ვინ გვეტყვის: ირგვლივ წყალია, იქნებ, არც ქარი შემოგვეშველოს,

იქნებ, ღამემაც ცეცხლი წარიღოს!

იქნებ, გზას ავცდეთ ამდენ ლელვაში

და ჭეშმარიტი მცდარად გვეჩვენოს,

ან ცთომილება გვეჭეშმარიტოს?..

აწ ამათა რჩევა-მტკიცება, ცამ განითვისა ყოვლი თვისება,

აღარც მრუდე ჩანს,

აღარც მართალი,

გზა — ქაოსებში მიიმქისება.

მე კი ზღვარს გავცქერ გაღმიეთისას, ვით ჩაძიების ბნელი მსახური,

შორს ქვეყნიური მიჯნა ილევა...

გაღმა რა არის: ბინდის საუფლო,

თუ მოკვდავთაგან ჯერარნახული

მზის ხელახალი აღორძინება?..

მაინც, რა არის: მარქვი, ზეცაო, წარსაცემელი რისთვის იცემა:


იქ ღავივანებ მარადისამდე,

თუ ჟამი-ჟამად გამეღვიძება?..

ნავო, სად მიხვალ, მენავისაო, ცეცხლი ვის კვალზე მიისიცხება,

წა, უმჯობეა სივრცეს ელაო!

სად, სად მთავრდება მიჯნა მცდარობის, გზა ჭეშმარიტი სადით იწყება,
თქვი, —
გამრიგეო სიმაართლეთაო!



თუმცა რას შეტყვი: ბევრი გამანდე, კვლავ გაუნდობი დაგშთა იმდენი
და შესაქმიდან
მოაქეჟამოდ
მდეეს ხეაშიადი იმჟამინდელი...

მაინც შენ გესავ,
შენდა ვიგალობ,
შენ გიმღეროიან ჩემი მხეველები,
კვლავ სათნოების აღსაყუდარზე შენს საკუროთხეველებს ვესაკმეველები.
ახლაც შენ გეტყვი, ნათელმეტყველო, — კვლავ განადიდე შენი დიდება,
ცის სინათლეშე განდექ მეფურად...
მზით განანათლე ბჭენი სიბნელის
და დაფარული ჭეშმარიტება
კვლავ გარდმოსახე ცხადარსებულად!..

ზღვაზე მიწყდება ნისლის თარეში, შორს აღინთება ოქროს კანდელი
და ზურმუხტოვან სინარნარეში
ცის ციაგვიით აკამქამდები.
და მეც კვლავ წავალ, ძრწოლვით გავუტევ, გადიხრებიან ქარში ანძები,
ცათა ვანს ვბოებ,
ცათა საუნჯეს,
ცის საგანძურით დავიგანძები.
იყოს, რა მგამა, კიდევ გამწირო, ჩემო ბალო თუ ჩემო ვენახო,
გზა საქნელოა,
ტვირთი სამძიმო,
საქმეც — საფრთხო და საფათერაკო...
მაინც მივდივარ, მივიკვამლები, ძალს მაგებებენ ძალთა ძალები,
დედის სახლს დავმობ,
მამის სამკვიდროს,
ძმის სათვისტომოს გავეკრძალები.
გარნა, რომ მემეტროს კეთილმყოფელი, მტვერმან წარხვეტოს ჩემი
ტყე-ველი,

მამამ ძე დაჰგმოს,
ძემან — მშობელი,

იუდეველმან იუდეველი? —

კვლავაც ჩამოვკრეფ წმინდა ასოებს,
მადლი ზეცისა ბადაგს მაწოებს,

მკლავებს დავიკრეფ — ძმასთან სამოყვროს, მტერთან — სამტროს და
სამამაცოებს.

ზღურბლზე მიმღერდეს ცისკრის ქედანი, შენც იქედნეთა
ხვრელებს ჰხურავდე,

რომ გალობანი მოხარკეთანი

გწვდეს

უზენაეს

საფეხურამდე;

რომ შემოგადგე, შემოგაშურო, გზა ზეციური შუქმან შებუროს,
მეტი რა ძალმიძს:

საჯე, მსაჯულო,

მართალს ვამბობ თუ უმართებულოს.

ოდენ შენ ძალმიძს, შუქთა ზიარო, ცის სავანეში ღირსად დავანდე
და სამართალი აამძლიანო

ნათესავიდან

ნათესავამდე...

თორემ ჩამოვწყდი... დაშვრა სხეული, სულმან ისურვა ზორცის მხილება
და სხეულიდან გარე-ქცეული

შენს სათათბიროს

ეთათბირება...

გესავ, კვლავ გესავ... ჩრდილში ცხვარი გლოვს, ღამეს შესტირის ნოეს
კამეჩი,

გთხოვ, მეჩანგეო, ჩანგი გაღესო...

ციო ანგელოსი გადმონათებს

და ნათლიერის სიკამკამეში

შენ შეგეყრები, უნაქარესო!

და შეგიმღერებ: „მოვედ მშვიდობით!..“ წინ შემეგებე,

ბჭეო კლდოვანო,

რომ მეჩანგეთა ბაგემზეობა შენს შესამკობად ავანმოვანო.

ვაშად აღმოვალ, აღმოვენთები... მზით აღივსება ღრუბლის ქისები

და სასოების საკურთხეველზე

კვლავ სიმღერებით შეგემტკიცები...

დილით ავსებულს ბინდისას დაცლის,
რა სამძიბოა ამის ყურება!..
მიწამ მიწუროს სუფევა კაცის,
ცამან მზე მოწყლას, მზემან — წყლულება...

ასე გვაბრუნებს ზეგარდმო აზრის
უზენაესი მართლმსაჯულება.

სიმაღლა სულამითისა

მიბრუნდი, სულო, დამწუხრებულო, მზის სავანეში დაებინადრე!..
.....

მაღე მეუფე მოადგება დაშლილ გალაგნებს,
ყოფნა-არყოფნის საწიერზე მიჯნას განავლებს...

შენც აიკეცე

სამეუფო შენი კარავი
და წარუყვევი ზეგარდმოს სეფე-ქარავნებს.

წარსდგე, ჟამი ხმობს, —

სახლეულმა მოგინაკლისა,
ღვთის საუფლოში ახმიანდი, ჩანგო ხმიერო!
ნურას ნუ იგლოვ,
მოწეულა ჟამი გაყრისა
და მომგებელსაც მოუგია სამაგიერო.

ასეა, ასე: წყალი ზღვისკენ რბის, თავი მიილტვის შესართავისად,
ზვარი მეზვრეს და

სტვირი მესტვირეს —

ყოველს მიეზლოს ღირსად თავისად...

ქმედებას ჩვენსას
შემოქმედი ჩვენვე გვაყუდნებს,

მიადგებიან მესაყდრენი ბოლო საყუდრებს,
სულსაც მიიწვევს მაწვიერი
სადვით ტაბლაზე
და წილს თავისას უდრტვინველად მიუსაკუთრებს.



მაინც ნუ შიშობ:
აჰა, საგზალი,
გზად წარგიძღევა უფლის მხევალი,
ყრულ მიიქცევა ჟამი როკვისა,
შენც მიაქციე
მისაქცევარი.
უკვე მზე გისმენს, ბაგელაქარლო, —
კრთის ძოწეულის პირსაბურავით,
მე კი რა გიყო,
რითი გაგართო...

სთველი გასრულდა, ჩემო სულამით!
სთველი გასრულდა, ქარობს ქარცივი, ცას დასათხევი
დაუთხევია...
შორით ციმციმებს უხილავის წმინდა საღარო,
თხემის გადაღმა კიდევ თხემია,
თხემს ფარდაეველე,
გარდამავალო!


მაშ, განემზადე!
უკვე მინელდა
შენი კანდელის ჩუმი კიანთი,
წყალო, წარუყევ წარსადინელთა,
მზევ,
სამზეოში შემომზიანდი!..
მარცხნით წყევა გღევს, მარჯვნით — კურთხევა, ხმამ მსაჯულისამ
გინმთ სამთავე,

ნულა ახანებ: წარსდევ ნათლის წინ
და სიმღერებად შეეთავთავე!

წარსდევ, რას აქნევ,
შეიბურე რიდე-მანდილით,

ჰკითხე: რად ქმედობს ხელი მქმედელის, სად მიიქცევა
ყოველი ქმნილება...

შენი ცხოვრების მიწურვილიც მიდის ლანდივით,
ყრუ ზმანებათა საუფლოში მიიჩრდილება.



მიიჩრდილება, ცისკენ მიღელავს, იქ განცხადდება ნება ბატონის,
ზღურბლს მოადგება არსთაგამრიგე
და ყოველივეს აწონ-დაწონის.

ბრძანებს — მზე ჩავა,
ჩაიღრუბლება,
სათნო ბატკნებად აქცევს ტყიერებს,
თხიერს მყარად ზღის მისი უფლება,
მყარს —
წამისყოფით განათხიერებს...

ასეა, ასე: წყალი ზღვისკენ რბის, თავი მიილტვის შესართავისად,
ზვარი იმეზვრეს და
სტვირი მესტვირეს...
ყოველს მიეზლოს ღირსად თავისად...

შენ კი... ვის ელტვი, დაუდგრომელო, სად მიგაქროლებს ცნობის-
წადილი?

სრბოლა ყამისა დაგოკებს ასრე უბადოს;
ნებამან მი ს მ ა ნ
განელოს შენი ქადილი
და საუკუნო სიბნელეში მიგაჩუმათოს...

ნეტავ, ვინ გირჩევს, — არსი რომელი, ჩემო სახლო და ჩემო ახურო,
რომ აღონაის გარე-მდგომელი
ძეს ადამისას მოემსახურო!
ძრწი დალდასმული, ლაფში გასვრილი, შენდა არ უფლობს ცათა
უფლება,

სად მიიქცევა შენი გზაწვრილი,
ვის საუფლოში მიიმწუხრება?
ცამან მიტომ გშვა,

მიტომ იზარდე,
რომ შეგედწია ზესთა მხარეში
და ყოფილიყავ უკუნისამდე მზის მშვენებათა პირისფარეში.

მიუახლოვდი, ბრწყინავს სალარო, თხემზე მინელდა ნისლის
თარეში,

მწირო, —

შორი გზით გარდმომავალო,
მთას მოსდგომია უნეტარესი.

სხივს გადმოვითვლის, გადმოგიწონის, ნაყოფს ვაზისას გისტვლის
მეზაღე,

შენც... განიბრწყინე კალთა ბისონის,
კვართი სულისა განისპეტაკე!

მამ, განემზადე! — უკვე მინელდა შენი კანდელის ჩუმი კიანთი,
წყალო,

წარუყვე წარსადინელთა,
მზევე, —
სამზეოში შემომზიანდი!

შემომზიანდი:

უკვე ჟამია მწუხრისა,
ამა სოფელში ღირსად სახლობდი, ს უ ლ ა მ ი თ!

აჰა, გაბრწყინდა
კრეტსაბმელები უფლისა,

მიუახლოვდი,
მიუახლოვდი...

ს უ ლ ა მ ი თ!

ნულა აყონებ: გახსენ საჭურჭლე, წარსაცემელი უხმოდ წარეცი,
მზემიწურვილმან მოიხილე შენი მშობელი
და მთოვარეთა მოვანების სინეტარეში
აღმოუტევე
სალამოსის საგალობელი.

თორემ მზე წავა, წაიქილიკებს, სერზე მოდგება ბინდის მოზარე,
შენც შეემღერე ნათლის ბილიკებს,

შუქს

ზეგარდმოულს

შეფერთოსანე!

გზა საშურია, წასვლა დროული... წა, მოიძიე მრევლი ციერის,
სთქვი მარადისთან საწუთროული,

ვალმელს უამბე
გამოლმეილის!

...ასეა, ასე:

წყალი ზღვისკენ რბის, თავი მიილტვის შესართავისად,
ზვარი მეზვარეს და
სტვირი მესტვირეს...
ყოველს ეგება ღირსად თავისად.

თუმცა... ვინ გალობს დილის ნათელში, სხივში ვინ იშვებს შუალამისას,
ვინ გარდამოდის შუქთა კრებულად!..
აღსდევ, სულამით,
დაუბრუნდი კერას მამისას,
მის სავანეში მოივანე კვლავინდებურად...

აჰა, ზარიც ხმობს, ბრუნავს მახვილი... ჩარიგდებიან ბნელში მღვევრები,
შენც შეერთვები შესართავისებს,
ზვარს მეუფისას შეემტევენები.

მაშ, განემზადე! —
უკვე მინელდა
შენი კანდელის ჩუმი კიანთი,

წყალო,
წარუყვე წარსადინელთა,
მზევე, —
სამზეოში შემომზიანდი!..

მ ე გ ო ბ რ ი ს ა დ მ ი

მზის მიღრეკისას ამეტყველდა ჩემი წარსული,
მოგონებებით შეჭირვებას სული მინებდა:
...ცხოვრება ჩემი — უსიამოდ შემოძარცული,
ყრუ ზმანებათა საუფლოში მირონიწებდა.

ვის მოვუხმობდი, დავდიოდი საიდან სადა,
ეჰა, ვინ უწყის, მათურვებდა სევდა რაზომი!..

რისად დამიხსნე, სასურველო, კარები სრათა,
რად დამიგმანე დიდებულთა სადარბაზონი!..

მე ვდგავარ ველზე, ვლუმვარ და ვლუმდი... მწირს რა მეზადა, ან ახლა
რა მაქვს,

ტრაპეზობიდან ბრუნდება გუნდი: გვამს — საკმეველი,

გუნდრუკი — სტემაქს!..

ქანაობს ქარვა, ვცერავ და ვცერავ... ჰომ, ნებიერნო, იშვებდეთ ესრეთ,
მე კი გამწირა უღმერთო წერამ, მენამლედ მყო და დამავლო მეზვრედ.

მიაფრიალებს ნიავი აფრას

და მე რას ვაქნევ — ქოლვას მოვეშვი,

ყრულ გადავცქერი სევდიან საფლავს ჩემს საღამეულ სიმარტოვეში.

ბაღში ალვების ჩამდგარა ჩერო, სულში წარსული მოწვეთავს უხამად,
შენც... დაკარგული მოყვასო ჩემო, შენც მოგიგონებ ჟამიდან ჟამად.

სად ხარ,

სად გალობ,

დაგნათის საით

მზე — სანატრელი და აბეზარი:

შენ ჰზი მზვარეში, ერთობი ნაით — ნაღვინევი და

ნატრაპეხალი.

იშვებ ვარდებით და საფირონით, გარნა ვინ უწყის, სანამდე გასტან...

იყო სერობა და ჩვენ ვტიროდით

და ვიყრებოდით ნისლიან გზასთან;

იყო სერობა... მღეროდნენ საღდაც, ცა მუქდებოდა, დუმდა ქვეშეთი,
მე სევდიანად გაწვდიდი კათხას,

შენ — უზრუნველად მანუგეშებდი.

ჰოი, მოყვასო, ლიზლობდი ისე, თითქოს ტანჯვის წილ შვებვას

ვთესავდით,

უღერდა პირობა — ფიცავით მტკიცე და შეუვალი —


სიმართლესავით...

ბოლოს მზე შედგა, შებრუნდა სვეტი... მე შემოგარენს შევერთე ვაით,
შენ კი გარდახველ;

გარდავლე ქედი,

გარდაიხვეწე საით და საით...

...აწ კი ძმა დამშთა სიკეთის ფარად, ძმა — მოკითხვა და ტკბილი ბარათი,
მე კი მეგონა, ჟამიდან ჟამად შენც ღირსეულად დამიფარავდი...



სადა ხარ, სადა!.. ზმობს თებერვალი, დუმს საწისქვილე... დაცლილა

ვარცლი. ვარცლი. ვარცლი.

სული გქონდა თუ სულის ბერგარი, — ღველფევით გენთო უღონო
ღვარძლი...

მზეს ვფიცავ, ვფიცავ, ვფიცავარ მთვარეს, ვერ მომაღხენდა შენი
ხავერდი,

ვერც ქსოვილებით მომპრიდი თვალებს, ვერც სამკაულით დამაბრმავებდი.
გარნა, რომ აღჩნდეს სასოდ გუმანი, — მოდის უსტარი, მოფრინავს
ტრედით, —

მე, ნამარხი და ნალუსკუმარი, კვლავ აჩრდილივით აღვდგები
მკვდრეთით...

ჟამიდან ჟამად გიგონებ ასე, გარნა სად არის შენი ბარათი,
რაროგ მეგონა, სიბერის გზაზე შენც ღირსეულად დამიფარავდი.

აწ კი... რა დამშთა — ცრემლების თქემში,

შენ დამიფარე, ღმერთო ციერო!

გზა მიიქცევა ნისლოვან წრეში,

გზა — უმზეო და უხორციელო.

აჰა, მთა იძვრის, ირყევა თხემი, ვალმით ხმა მესმის დასალიერთა,

ცავ,

შეიწყალე ვენახი ჩემი,

თუ საწყალე დაცარიელდა.

ვინ არის, ვინა!.. ქვითინებს ბაო...

ეჰა, მომძახის ჟამი უხანო,

მშვიდობით, ტყეო,

მშვიდობით, გზაო,

ნავარდალო და ნათავთუხარო!..

ესე სიზმარი ესრე გასრულდა,

უქვე ფარული ბინდით ვივსები

და მომიხმობენ ჟამგადასულთა მზედაბინდული

საბრძანისები...

جمال ابياتشوي

...შენ კი შემოხვალ... ეზოში მრევლი კვლავ შემოგყვება ნელი რონინით
და ლაქვარდების ციმციმა ცრემლი ცით ჩამოწყდება საფირონით.

წინ ბზა დაგხვდება,

ბაღში — სათარჯე,

ატირდებიან გზებზე რცხილები

და მეგობრობის ნაგუმბათარზე კვლავ უგუნებოდ აღებრწყინები...

ოფრას სამღურავი



ო, რა მზე მწვავდა — ჯერეთ უბიწო, დაუბინდავი ღრუბლის ჩეროთი,
მის სილამაზეს — მუხლმოდრეკილი
რა სასობით შემოვცქეროდი!..

.
.

...მე ის მკოცნიდა, მაბრუებდა მისი ალერსი
და ნდომისაგან მესობოდა გულზე ლახვარი,
კვლავ ჩამკოცნიდა, ჩამხედავდა ზღვისფერ თვალებში,
რომ საკუთარი მშვენებისთვის ეცა თაყვანი...

ასეა თურმე: შეხვედრისას სატრფოს ვნებიან
თვალში კიაფებს განზავების ფიჭვი მზაკვარი,
იმ თვალებისკენ უთავბოლოდ გვეზიდებიან
სახეთა ჩვენთა
უჩვეულო წარმოსახვანი...

ბამოცხადების სამედრეხელი

...როდის გარდმობვალ, ცათა ნათელო, სასოს სულისას როდის მოიტანი!..

ცის კარიბჭესთან ავეყუდები,
არსით არ მოჩანს

სხივმოსილი შენი სახება...

მხოლოდ ჟამიყამ სიყვარულის საუფლოიდან
ხმა მეუფისა
გულმოწყალედ შემეზრახება:

- ქარში რად სტირი, ვაზის მტევანო, სჯობს სავანეში ღირსად ევანო!..
- ისევ უცვროა ბაღი სულისა,
ისევ უწყლო და
უშადრევანო.

...როდის გარდმოხვალ, ცათა ნათელო, სასოს სულისას როდის მოიტან!..

წარხდა ძველი დრო, განქრა ქარდაქარ, — კურთხეულ იყოს მისი
ხსენება!..

თაფლის სიტკბო მცემს იმა უამთავან,
ვაზის სიმწიფე მესურნელება.

მახსოვს იგი დღე: ჩრდილში ვტიროდი... ცაზე ამღერდა უცხო მბრონი
და მგლოვიარე იორდანეზე
მზემ აღაბრწყინა სანაპირონი.

და ანგელოსთა ციურ როკვაში
უცებ აღმეძრა საწადელი მისი ნახვისა,
მაგრამ თვით მოდგა ჩემი მოყვასი
და ნეტარებამ გამომადვილა:

შუქში ბოლავდა უცხო დრო-ჟამი, თეთრი შროშანი ფშვენდა დეღეში
და ძალი იგი, კელაპტროსანი,
უტკბეს იყო და...
უსულგრძელესი.

დამძახდა მრევლი:

„— უნდა დალოცო!..“

შენ მაყოვნებდი, სამთრის ტაროსო:
ველი უწყლო ჩნდა, ბაღი უვარდო, ჭალაც — უბზო და
უსანდალოზო...

ველარც თესლი ვცან,
ველარც სათესი, —

ზვრებს მიწურვოდა სიტკბო ნაყოფთა
და უდაბნოთა სიხალვათეში კვლავ ქარიშხალი დახორშაკობდა.
მიწურვილ იყო ჟამი სთვლობისა...

მეც მივტიროდი დღეებს ყრმობისას, ჩემი ცხოვრება მიჩნდა სთვეულად...

მან კი მკლავებზე
მეყვსეულად დამდო ბეჭედი
და სიყვარული განმიღვიძა ანაზღეულად.

მაშინ აღიძრა რისხვა ბომონის, ვცან მოშულართა შეუთვალობა:
უღირსი ვინმე, კეთროვანი, მოდგა გლახურად,
მაგრამ მეუფემ

შეიწყნარა ჩემი გალობა
და სასახლეში შემიწვია შინამსახურად;

საზრდო არ მქონდა, არცრა მებადა... მან მომაწოდა თაფლის ფიალა,
თვალწინ დამიდო წიგნი მცნებათა
და შემეცნება ამიფრთიანა.

ალარც მაწვიმდა,
ალარც მათოვდა,
ვაშად ბრუნავდა გუნდი მნათობთა
და ნათლიერის სიკამკამეში ცის ანგელოსი დაფარფატობდა...

...ხალხიც ილტვოდა გულთა საოხად, სასოს სულისას მოიძიებდა...
და მაშრიყიდან მრევლი დაიძრა,
გარე-მოიქცა ჯარი მლოცავთა,
მრევლს მოუძღოდა გუნდი მთიებთა, ცათა ნათელი
გარე-მოსავდა.

მე კი ცხვარს ვმწყსიდი,
ვთლიდი სალამურს,
ხან მივუძღოდი არგეს ღელემდი
და მოლივლივე ათასწლეულებს ცის ჩრდილოვანში მივამღერებდი.
შემწედ ვზა მიჩნდა სათნობათა, სულთა საოხად ჩანგი მებადა...
და აღიძვროდა ზეციერის სადიდებელი,
ცის გუმბათებში მალღდებოდა
ქება-ქებათა:

ქებას გკადრებ, საქებარო,
ქება ჩემი — კანდელიო,
ჰალელუ!
შეგვეყრები შორიახლო,
შეგვეშარავანდებო,
ჰალელუ!

ჰალელუ და უგალობდეთ უფალსა!

მღერდე, უფლის უფლებო,
ლამეს ცეცხლი უქრებო,
ჰალელუ!
მიირხვეა ღრუბლის კალთა,
ბნელში მიიქუფრებო,
ჰალელუ!

ჰალელუ და ადიდებდეთ, ჰალელუ!

დამსაზღვრელო სამანთაო,
მზემან შუბი ამართაო,

ჰალელუ!

ბინდის მაცნე მოიხელთა,
ნისლი მოაქამანდაო,

ჰალელუ!

ჰალელუ და, გიხაროდენ, ჰალელუ!..

მოეც სულთა სიამეო,
კვლავაც ცეცხლად იაღეო,

ჰალელუ!

გარდმოაგე ნათლის სვეტი,
სული აგვიმზიანეო,

ჰალელუ!

ჰალელუო, ძალთა ძალნო, ჰალი, ჰალი, ჰალელუო!

კვლავაც: „ჰალელუ!..“ — აღმა ვიარე, ცას შევესართე

ცეცხლის სიაღე

და სამეუფო საგალობლები

შვის საუფლოებს შევემზიანე.

მის წიაღებში დავიბინადრე,

დავიბინადრე: ფშვენდა ვენახი, ყრუდ ნანაობდა კალთა ნიავეთა,

მაგრამ განმიდგა უცხო სინათლე

და შემოქცევა დაუგვიანდა...

დიდხანს ველოდი, გარნა ამოდ: ვერ მოუბრუნდა წყალი სათავეს,
ველარც მზემ მორთო ცათა სამრეკლო,

ვერც აისებმა ითანდათანს.

გასრულდა ღზინი,

დარბაზები დაცარიელდა,

ბნელში ჩარიგდნენ სეფეწულები,

მიწყდა ძახილი ჩემი ირმისა

და კიდევები დასალიერთა
ჩამავალი მზის

ბრწყინვალეზამ მოაყირმიზა...



მამინ გავძახე ტაძრის გუმბათებს, ველარც თალი ვცან, ველარც სათაღე
და განშორების საგოდებელი
ცის სამკვიდროებს ამოვქადავე:

მეუფეო უამისაო,
მტერმან ციხე დამიცაო,
ავაი!
სასოებამ განმირიდა,
კმუნვამ მიმითავისაო,
ავაი!

ავაი, ზარო მოზარეთაო, ავაი!

გელტვი, ნათლის სახეზაო,
მიმძიმს ჩქამის ვალეზაო,
ავაი!
ზაგე კეთილმოსავისა
კრძალვით შეგეზრახეზაო,
ავაი!

ავაი, ძალო მოძალეთაო, ავაი!

სინათლეო,
სინათლეო,
ისევ ძრწოლვით გინატრეო,
ავაი!
წარმიძეხი უფლის ვანში,
შუქში დამაბინადრეო,
ავაი!

ავაიო, ძალოა ძალო, ცრემლით გეტყვი: ავაიო!

...
...
...კვლავ კარიბჭესთან ავეყუდები,
მაინც არ მოჩანს სხივმოსილი შენი სახება;
მხოლოდ უამიყამ

სიყვარულის საუფლოიდან
ხმა მიჯნურისა გულმოწყალედ შემეზრახება:
— მზე გარდავაო, დისკოს გადახრის,
გარნა ნუ იგლოვ,
ფუჭიაო ბედის ბრალდება...
კვლავ განიხვნება ბჭენი სასახლის
და დარბაზებში

სიყვარული შემობრძანდება;

მე კი აქ ვდგავარ, ცრემლით მოგიხმობ, ცით მომძახიან ნისლის
ტბორები,

ისევ შენ გიმღერ,
შენთვის ვიგალობ,
შენს ნაფეხურებს ვეამბორები...

...როდის გარდმოხვალ, ცათა ნათელი, სასოს სულისას როდის მოიტან?..

* * *

ისევ შორად ხარ, შორით მინათებ, შუქმოიფე ქარში შუქლები
და სასოების უდაბნოიდან
ზღვის ციაგივით მეზურმუხტები...

...
...
...სალამოისხანს სიზმარულ ვანში შეველი,
შენ ვიგალობდა ღამიეთის ლურჯი ტყე-ველი:
რწმენის ფარი ხარ,
დაკიდული უფლის ტაძარზე,
მშვენიერების გოდოლი ხარ, მოურღვეველი.

ლამის ჩრდილი ხარ, შარავანდიც შენგნით ინთება,
ქამით შვება ხარ, მეუფეო,
ქამად — კირთება...
დილა-სალამო შეიყრება ქამთა სამანზე,
გზა მაშრიყისა
მალრიბისას შეენივთება.

შენ ტაძარი ხარ დიდებისა, შეუწერელი,
ჭეშმარიტების სახმილი ხარ, დაუცხრომელი;
შენ ხარ მახვილი მესიისა, გაბრწყინებული,
მშვენიერების ნათელი ხარ, ჩაუქრობელი.

დაბლით მწირი ხმობს, მბრძანებელი მალა ბრძანდება,
ქება ვით გკადრო, უსაგნოა ჩემი ბრალდება:
გზა დაბნელდება უთავბოლო სამკაულებით,
ჭეშმარიტების ბილიკებიც დაიბლანდება.

შენდა მოვილტვი, გევედრები, ურვა მაკმარო,—
განვედ, ფარჩავ და დიბაქსოვილო,

ოქრომკედო და რიდე-მაქმანო,
თორემ, ვინ უწყის, უადგილო სამშვენისებით
მშვენიერების ხელთუქმნელი კარიც დაგმანო!..

ცეცხლი შენა ხარ, — ჩირადდანი რისთვის ავანთო,
რად შემოგწირო ყვაგილწნულები, —

შუქში ღიღინებს შენი სავარდო...

ვინდ განიძარცო სამეუფო შენი პორფირი,
ვინდ სინათლეში ძოწეულით შეინავარდო:

კვართს გაიძრობ და...

სილამაზე შეგეშველება,

მაგ სიშიშვლეშიც გაბრწყინდება შენი სავსება;
შემოისხამ და:

ხორციელი შენი მშვენება
ზეარსებულის სიდიადეს დაემსგავსება.

ვერას შეგმატებს მზეასხმული შენი ბისონი,
ვერც სამკაულთა სინაკლებით დაიძრახები...
მალა ბრწყინავენ

მშვენებანი მეუფისანი,
ჩაუქრობელი სინათლეა მისი სახელი.

მაშ, განმიცხადე გზანი ციერის,

გასანდობელი დღესვე გამანდე,
თორემ ვერ ვითმენ, უსაზღვროა ჟამი ზვალემდი;
სულთა საოხად მივიჩნევი ჟამით-ჟამამდე,
ქერუბიონის სათნობას შეგადარებდი.

განივდე ძოწი, განირიდე სამშვენიესები,
ისეც გამშვენებს, მეუფეო, ელვა მეფური:
შენ მშვენება ხარ მშვენიერების, —

უსამკაულოდ დამშვენებული.

შენ ხარ ტაძარი გაბრწყინებული, შარავანდი ხარ ზესთა კრებულის,
ხარ რაობა და არარაობა,

არსიც შენ ხარ და

არარსებულებიც.

შენ ხარ დიდება დაუბინდავი, ვერცხლის სილბო ხარ,

ცეცხლის სიალე,

იჩქარე ჩემდა, ხელთადმპყრობელო,

თორემ ზეალსვლა დავაგვიანე!..

იჩქარე ჩემდა, უკვე ჟამი ხმობს, ბინდის სამანზე ვითლა დამიცავ!..

ვით განმალავიძებს მოძახილი პალმის რტოების,
დღეო ღამისავ,

სისავსეო ჟამთა ჟამისავ,

სრულყოფილებავ ხორციელი უმანკობის!..

გადუფრენს ტრედი მინდვრის ყვავილებს,
კვლავ გაბრწყინდება ხელთუქმნელი შენი ქმნილება

და აღდგენილი წყაროს სიმღერა

ველს სარონისას შეეფინება;

შენ ტაძარი ხარ დიდებისა — შეუწერელი,
ქემპარიტების სახმილი ხარ — დაუცხრომელი,
შენ ხარ მახვილი მესიისა — გაბრწყინებული,
მშვენიერების ნათელი ხარ — ჩაუქრობელი!..

* * *

რ, მშვენიერო,
მთიების, შვიდის,
შვიდფერადოვან გვირგვინს გიკონი
და მიდის,
მიდის,
უკვალოდ მიდის,
მზეს მინდობილი ქორონიკონი.

სად ხარ, მოგძახი,
რეკვენ ზარები,
ნეტავ, ვისი ხარ, ვისკენ მარები,
ხვადებს ძუ უხმობს ძუძუდაჭრილი, მზეს უგალობენ
შემუნვარები.

ვიცი, კვლავ მოსცემ საზრდელს სულისას, კვლავ განგელტვიან
ლამის ჩრდილები,
ძნებს მოახეავებ სიყვარულისას,
ძნებს — მეძნეურად მოვევინები.

მაგრამ უნდო ხარ... ჰოი, გამენდე, ჩემო მწყემსო თუ ჩემო მსახურო,
რომ მიმწუხრიდან შუალამემდე შენთან ვილმო და
ვიჭირნახულო.

ზღურბლზე მოვდგები მწყემსი უდები, ყრუდ გამიხმობენ ბაღში
თუთები,


შენ კი აიკრავ ძუძუს აზღუდით
და ციხესავით ამეზღუდები.

და იჭვენულად მზერას მომპაპრობ,
თითქო აქამდე არსად გეხილო,
ჩემო ძირო და ჩემო აკვანო, სულის ზღუდეც და
ულელტეხილო!..

ვაი, რად დავთმე ყრმობის კედელი, რისთვის ვილმე და
ვიასპარეზე,
გახსოვს იგი დრო: თვლემდა ედემი,
წლები ვიდოდნენ ზრუნვის გარეშე.

ვიდოდნენ წლები,
ნისლი ებურათ...
მაგრამ აგორდა სამოთხის ვაშლი,
ქალნი მზედ მოდგნენ კვლავინდებურად,

„მზეო, ამოდი“, —
მღეროდნენ ვაჟნი.



„მზეო, ამოდი!“ —

ფშვენდა იფანი, ხმობდა მთოვარე ნისლოვან ჩქერში,
მზე ბრუნდებოდა ნამაღრიბალი

და ბულრაობდა სამყაროს ღერძი.

მზე ბრუნდებოდა... თრთოლვით ველოდი, გულს ვიოხებდი სანთლის
ღეროთი

და ნათლიერის უღელტეხილზე

სხივს

აღმომავალს

გადავცქეროდი.

მაგრამ ვერ ვპოვე ცისკარს ქედანი, ვერ გავანელე ზამთრის ზუზუნი,
ველარც გზანი ვცან მევამლეთანნი, —

ვაშლად ვერ ვიტყბე შენი ძუძუნი.

შენდა ვილმოდითანაღმობისთვის, გარნა რა დამშთა:

ამაოდ ვილმე!

ვინ არის შენი ზრუნვის საგანი, —

ვიეთთავანი,

რომელი ვინმე...

ხელთაღმპრობელმან ხელი ამაღო, ვაი გარჯავ და ვაი ამაგო,
სრა უფანჯროა, ზღუდე უკარო, კოშკიც — უთვლო და
უარდაბავო.

ცრემლით გიხმობდი მაისის დარში,

შენ სივრცეების გადაღმა დარჩი

და მოწყენილი დღეების წყებას მიაქარავნებ უდაბნოს ქარში.

მიგაცილებენ პალმის რტოები ფერისცვალების ქარებად ქროლილს
და გარსკვლავებით ეოქროები

ქორონიკონის უაზრო რონინს...

მაინც თაფლად ფშვენს შენი სახელი, მაინც მეთნევი სამოთხის
მთვარედ,

ძლივს სინათლისკენ გამოვაგენი,

ვა, გამრიგეო,

გამოვედ გარეთ!

...ისევ მოვდგები მწყემსი უღები, კვლავ გამიხმობენ ბაღში თუთები,

შენც კვლავ აიკრავ ძუძუს აზღუდნით,
კვლავ კანდიერად ამეზღუდები.
მე კი შენს შუქში დავინაცრები,
— შენი ჩრდილი ვარ! — გეტყვი ბეჩავად,
ისევ ვაშლობენ შენი ვაშლები, გარნა რა ხელეცყრი გაუქბეჩავად.
და მიწყვი ასე:
მთიებძის, შვილის,
შვიდფერადოვან გვირგვინს გოკონი
და მიდის,
მიდის,
წვალეებით მიდის,
მზეს მინდობილი ქორონიკონი...

საქორწინო სიმღერა

სვედის ვანსა ვზი, ისევ მოგიხმობ, შენ კი შორად კრთი, შორით ინთები...

— ო, რა მშვენიერ ხარ,
რარიგ ეროვანი!..

ღამეა ქოხში, გარე-გარეც ხმობენ ბინდები,
მე მოგენდობი,
სასოებით მოგერინდები...

რად მეკრძალვიან, მშვენიერო, შენი თვალები?
მარქვი, ვისი ხარ, ვისკენ მარები!
სხვათა ვანს ჰპოებ, სხვისკენ გაუტევე, სხვის პალატებში
ჩაიგმანები;

ჩაიგმანები...
ჩაიგმანები...

— მე კი შენსკენ ვილტვი, სულთა საესავო,
რისთვის დამაწიე კრულვა ამისთანა:

მზემან განმიახლა
დღენი ურვისანი,
ცამან სინანული გამითანისთანა.

გამითანისთანა...
გამითანისთანა...

მარქვი, რად დაგმეს ჩემი სახელი, მზის საუფლოდან
რატომ გამრიცეს,
ცად ქერობინებს გავფრახები, ყრუდ შევღალადებ არსთაგამრიცეს;
გარნა ამოდ: დარი არ დაროზს, ვარდის ფურცელი ქარმა დაცრიცა...

მხოლოდ ჟამი-ჟამ განიხვნება ცათა კარები,
თუმც სავალალოდ მორღვეულა
ყელი ტაძრისა
და სიბნელეში მითვლემილან
ნატაძრალები...

ტყეც მითვლემილა, თვლემენ ბაღები, მაგრამ კვლავ მძლეობს
ძალი მეფურად:
კვლავ მესანთლები, მეზაზმაკები, — გზას განმინათლებ უწინდებურად.

...და სულთა შიგან აღმენტება შენი ღადარი,
მესმის შენმიერი ჩქამი...
გარდმოავლინე მშვენებანი მშვენებათანი,
რამეთუ ახლოა ჟამი!

ახლოა ჟამი, სასურველო, ახლოა ჟამი!..

ჰა, გარდმოსულხარ,
მოგყოლია მიმწუხრის სევდა,
ოქრო,
ოქსინო —
მოგიღიეს მადლით სკივრებად,
გარნა კვლავ წარხვალ წარსახვეტად სასოთა ჩემთა,
კვლავ განმიდგები
სალმობათა გასატკივრებად;

მე კი... შენ გვედრი, — ისევ მალხინო, ისევ მეტკბო და მეანდამატო...

ისევ შემიხიზნო,
ისევ შემიფარო,
ისევ შემივედრო —
შენგნით უვედრები...

ყოვლად უცნაურო,
ყოვლის მეცნიერო,
კვლავაც გაგენდობი,
გაგეუმეცრები.

და შეგლალადებ: — წყალი გაეცი, რომ კვლავ მზარდო და
მატანკენარო,

სხივს აზეურებს უზეშთაესი,
მეც აღმაზევე, ზესთა ზენარო!

მეც აღმაზრწყინე, ზესთა ზენარო!..

ზესთა ზენარო!..

ზესთა ზენარო!..

ფრთეო ნათლისავე,
გადმოფრინდი უცხო ფრინველად,
ზეარსებულის განმიცხადე არსი პირველად,
რომ უმეცარმან
საცნაური გავიცნაურო
და მოგეახლო უხილავის მოსახილველად.

შენ კი... სადა ხარ, საით მიგელავ, მარქვი — სად იშვებ განთიადამდე!..

— ხეო, ედემს დანერგულო,
მორჩო ხეო ვარდისაო,
განმარიდე ძველთაძველი სევდა!
სულთა შიგან შე-რა-შენდეს სვეტი
შარავანდისაო,
იჩქარე, მოახლებად ჩემდა!

...რამეთუ ახლოა, რამეთუ ახლოა, რამეთუ ახლოა ქამი...

...ქვლავ მომიბრუნე ბედის გელაზი; უცხო ზმანებად ისევ მიზმანე;
მო; ცისიერო, ცისარტყელაში

მომეცისკრე და
მომეცისმარე!

...რამეთუ ახლოა, რამეთუ ახლოა, რამეთუ ახლოა ჟამი!..

გარდმოდგი კიბე, —

მშვენიერი იგი ლატანი,
ნუეის უფლიედ მოიხილოს შენი ხატება...
შენდა უფლობენ
უფლებანი უფლებათანი,
გარნა ვის ძალუძს დაფარულის გამოცხადება?

— მოდექ, მოდექ, მომაგებე
სურნელება ნარდისაო,
წამისყოფით განმარიდე სევდა!..
სულთა შიგან შე-რა-შენდეს სვეტი
შარავანდისაო,
იჩქარე მოახლებად ჩემდა! —

...რამეთუ ახლოა... ახლოა, ახლოა... რამეთუ ახლოა ჟამი!..

ნაზია შენი რხევა, —

ნაზთაგან უნაზესი,
შენდამო ითქმის მუტრიბთაგან
შესხმა პირველი...

და დაფარული მშვენებისადმი
მზირად დამდგარა შენი მზირველი.

...შენ კი... სადა ხარ, საით მიგელავ, მარქვი, — სად იშვებ განთიადამდე!..

სად ხმობ, —

ვარდი ფშვენს...

წყალი ვაპყუროთ,
დაუდგრომელო, რომელს უდგრები!
მეც მოგიმღერებ საგაზაფხულოდ, ბადაგს მოგცემ და
მოგეფუტკრები.

მოგეფუტკრები, სიყვარულო, მოგეფუტკრები!..

თუმცა — ვინ მბოჭავს ანდამატივით, მღერად ვის უჩანს
ჩემი გოდება!

ძალი შემწვესო, —

მომდევს ქადილით,

თან უსიამოდ მექოთქოთება.

მაგრამ რას ვაქნევ: ზესთა კრებული ძალს გარდმომივლენს
მალლით ფარულად,

შენ — სინათლეზე ამხედრებული,
ქვე მოისწრაფი ნიავექარულად.

იჩქარე, მეუფეო განთიადისაო,
იჩქარე მოახლებად ჩემდა!

მეც მოვისწრაფი,

მალლა მოვილტვი,

რომ ამოვლახო კიბე ფრიალო

და მწუხარების საუფლოიდან

ფრთეს მეუფისას შევეხმიანო.

ისწრაფე, მეუფეო სიყვარულისაო,

ისწრაფე მოახლებად ჩემდა!..

... ჰა, ჩამობრწყინდა შენი ნათელი, ხელში გიპყრიეს
ლერწმის ღერები,

ცის განიხვნება საგუმბათენი და მეყვსეულად მომემღერები:

— გიხაროდენ, ძმაო ჩემო,

მიწყდა ეტლის ჟღარუნი,

სძალი შენი სანეტარო ძილმან მიაძილისა,

რამეთუ ტკბილია შენი სიყვარული,

უფროს თაფლისა და

უფროს ღვინისა...

გიხაროდენ,

გიხაროდენ.



სხივი მოდგა,
ჰოიდა,

ანგელოსი მოირხევა ზეთისხილის რტოითა.

მაგრამ... რას გვიმდერს ოქროს ლატანი,
რას გვიგალობენ
უფლებანი უფლებათანი:

— მხემან დიდებულმან ძალი მოიცაო,
ძალი მოიცაო...

ჰოიდა, გიხაროდენ!
ბნელი განანათლა მიდამოსაო,
მიდამოსაო...

ჰოიდა, გიხაროდენ!..
ძმამან მოიხედა,
დამან მოიხედა,
ცამან —

სიყვარულით გარდამოიხედა,
ჰოიდა, გიხაროდენ!

სძალი გამობრწყინდა ცათა გალავნებით,
ცათა გალავნებით...

ჰოიდა, გიხაროდენ!
სძალო, მოვჯარდებით, მოგექარავნებით,
მოგექარავნებით...

ჰოიდა, გიხაროდენ!..

გიხაროდენ,
გიხაროდენ,

სხივი მოდგა,
ჰოიდა,

ანგელოსი მოირხევა ზეთისხილის რტოითა!..

— გიხაროდენ, სძალო ჩემო,
მიწყდა წვიმის წკარუნნი,
შუბლი შენი სიყვარულის დაფნამ მოადაფნისა,
გიხაროდენ, —
სულმან იტკბო შეუღლების სიხარული,

უფროს ღვინისა და
უფროს თაფლისა.



გიხაროდენ, გიხაროდენ:
სძალი მოდგა, ჰოიდა,
ანგელოსი შემოიქცა ზეთისხილის რტოითა!..

...დღეს გასრულდება ცასთან კამათი, აწ შემობრუნდი,
ჩემო თიკანო,

მოიღეთ ღვინო,
მოდგით ჭამადი,
შზით ამიმღერეთ საოსტიგანო!..

ილხინე, მაყრიონო მექორწილეთაო,
განიხარე ხარებათა ზედა!..

...გარნა ვიეთნი სხვათა ქარვიან ღვინის ფიალებს გესლით ფარვიან,
პირს აღაპყრობენ განსაქიქებლად
და უსჯულოებს განეკრძაღვიან.

— ნუ შეიჭირვებთ, მოდარბაზენო, ნუ შეიჭირვებთ! ილხენდეთ,
იშვებდეთ და განიხარებდეთ! —

რომ საზღაური იზღოს ყოველმან,
ყველამ მიიღოს წილი თავისი, —
გულით უნდომ თუ მისანდობელმან კვლავ მოიხმაროს
მოსახმარისი...

ილხინე, მაწვიერო მექორწილეთაო,
იგალობე მგალობელთა შინა!

ღვინით აკურთხე ძალთა მძლეველი, შვების ყამია, სიტკბოს ეწიე,
სარკინოზი ხარ,
სადუკეველი,
მემიზგიეთე თუ მეეკლესიე!..

იმღერდე, მესიტყვეო მექორწილეთაო,
იგალობდე მგალობელთა შინა!

— აღავსეთ კათხა! — ბრძანებს ბატონი, — ხემ სიკეთისამ ისევ იკეთა,
კვლავ ამზევეთ სადარბაზონი,
დასნი ამღერეთ მემუსიკეთა!

დასნი აღხინეთ მემუსიკეთა!..

— მემუსიკეთა...

— მემუსიკეთა...

შემოდექით, მუტრიბებო,
დასნო, კვლავაც იამეთ!
ამღერეთ სანთურები, —
ცამდე აახშიანეთ,

— ცამდე აახშიანეთ!

— ცამდე აახშიანეთ!..

ადიდებდეთ მზესაო, —
ყოვლის გამრიგესაო,
ჰანგთა შესხმა-შეფენით,
გალობათა შეფენით,
სინათლიდან სინათლემდე
მეფეს მიეგებენით,

წართქვით: — ჰ ა ლ ე ლ უ ი ა!

წართქვით: — ჰ ა ლ ე ლ უ ი ა!

წართქვით: — ჰ ა ლ ე ლ უ ი ა!

ვანი მომეც, მთოვარეო, ვანსა შიგან მოვანეო,
— ვანსა შიგან მოვანეო,

ჰალელუ!

შეფრთხილდით ვარსკვლავებო,

მზეო, შეიფრთოვანეო,

— მზეო, შეიფრთოვანეო,

ჰალელუ!

დასწო: — ჰ ა ლ ე ლ უ ი ა!

ისევ: — ჰ ა ლ ე ლ უ ი ა!

ჰოიდა: — ჰ ა ლ ე ლ უ ი ა!

...დიდებანი ძალსა შენსა, ძალო, — ყოვლად დიდებულო!..

აჰა, გაბრწყინდნენ კაბა-ჯუბანი,
ვაქოთ: — ჰალელუ, ჰალელუ!
ჰალელუია! — მოვალს უფალი,
ჰალელუია, ჰალელუ!..

...ისევ შენ გვედრი, — შევება მომაგო, უკეთურის წინ აღსდგე
მთებურად,

ჩემო მწეო და

ჩემო ქომაგო,

შენ გეაჯები უწინდებურად.

გული შენსკენ რბის, სულიც გსასოებს...

შენ დაგიგდია ცათა რიგები,

ყრუდ განუდგები სადარბაზოებს, —

მზეს უხმატორდ განედრიკები.

მე კი კვლავ გესავ, — ნათლად მებურო,

გულმან გული სცნოს,

თვალმან — თვალიო...

თუმცა... ვინ მოდგა, ყოვლადქებულო, ვინ მოგიმღერა

სალიტანიო?

— „ჰალელუია!“ —

დასმა გიმღერა,

თუ ანგელოსმა წართქვა ოსანა!

— „ჰალელუია!“ —

ჩემი სიმღერა

შეგემერცხლა და შეგეფრთოსანა...

ხმა გესათნოვა შეწირულისა, — „ჰალელუია!“ — წარვთქვი

თავიდან,

— „ჰალელუია!“ —

ლოცვა სულისა

კვლავ აღვავლინე სალოცავიდან.

შენ კი... ცის კარვებს რიდე ახადე,
ისევ გაბრწყინდა შენი სახატე
და მარტოობის უდაბნოიდან

მე — დამაშვრალმა შემოგლადადე...

მოძღვრის პასუხი მოწაფისადმი

დავებრდი, შვილო, ველარ ვიგალობ, დამეს ვერ მუსრავს ჩემი ისარი,
მიტომ არ მღერენ სამუსიკონი,

ხმანიც არ ხმობენ მეჩანგისანი.

შენ კი რას აქნევ: ღიმილით უცქერ

გზას,

რომელზედაც ლექსის წყაროთი

ვიკრებდი ძალს და

სასურველ ძუსკენ

ამძუნებული მივიჩქაროდი;

აწ სხვაგვარია ნათება მნათის, ბნელ ხვეულებში მეუფე დადის,
ძუ შორია და ღორღიან გზაზე

ისმის ხადილი ბებერი სვადის...

სიყვარულის სიმღერა

ღამეა, ღამე, დამეძებ მღედრი — აღბორგებული, ნაყოფით სავსე,
დღე, რიოშია, ღამე — თვისტომი...

და ნებიერად დაცურავენ დაბინდულ ცაზე

მზით შემოსილი ამეთვისტონი.


ხან დასარბევად დარისხულისა — ცის ნათელი თუ ქარმა წაიღო,
სევდით დამცქერის ვანი სულისა —

ცა, უმზეო და უმოზაიკო.

უმზეო დღით და უმთვარო ღამით

შენც მოგეძალვის სევდა ტიალი,

მოგაქვს მახვილი — ალღესული მტანჯველი შხამით,
მარიხის ლანდი მოგიძღვება ჩაფხუტიანი.



გარნა მე გესავ, ჩემგნით წარიღო შენი სეფქა თუ შენი ბოძალი,
ჩემო მკვლელო თუ ჩემო ტარიგო,

შეყრის უამია, იღერის სოსანი.

შეყრის უამია, ჩამოდი ჩუმად, ჩავირონინოთ გზებზე ულამპროდ,
მთის სუსამბარი მოვირგოთ სურმად, თმა ღიღილოთი

დავიღულამბროთ.

ტყეს შევეერიოთ, შევწიროთ ძღვენი, ზღვით სასურველი

ხმოზღეს ზეფიროს,

მზემ აღიტაცოს ზეიმი ჩვენი,

ცამ

აზარფეშა

ალავსებინოს...

...სად ხარ, უამი ხმოზს, სურნელეზა იღვრება მთიდან...

გახსოვს საღამო, — ვიშვებდით ორნი, ხეს მოწვეთავდა

ნარდი წებოთი,

რძეს და იგოლეულს გასმევედი ვითარ,

რა ნეტარებით წარგიძღვებოდი!..

მო, ქარიშხალო, მომბერე მძლავრად, მძლედ აღებრწყინე, მზეო

ორწილო,

რომ სიყვარული მოიღო დავლად და სარეცელზე აგვიღორძინო...

* * *

ძილში ხმა მესმა: „— აღსდგე, აღენთე! მზემ მოიწია ოქროს მტევნები,
უფლის თვალი ხარ,

სხივი მესიის,

მ ზ ე —

სინათლეში დაუტევნელი...“

ჰოე, სახეზაო, ბრწყინავ დღესავით, გიგალობს მრევლი:

ძ ა ლ ო ძ ა ლ თ ა ო ,

ცამ ვაიკვესა გასაკვესავით

და ცისარტყელაც გაიწვართაო.
მეც განვუდგები ბინდის ხაროებს,
უკვე გულისთქმა მეგზურს მოელის,
რომ სიყვარულის საბაღნაროებს სცხოს საცხებელი
უდაბნოელის...
„—მაშ, აღიმართე, ამოზეურდი!.. ჩრდილში ბზა მღერის,
ტანდაკორძილი,
და დალივლივებს დილის ნათელში
სიზმარ-სიცხადის ნელი ქორწილი...“
...დასალიერზე აღმოხდა მნათი, შორს ზანზალაკის
მიწყდა წკარუნი,
გულების კრთომა,
თრობა ფარული,
გზა — ზმანებებით მიმომთვარული...

შაბათის საბაღოვლები

ვინ მოიფიქრა შენი სუფევა, — შევება რომელმან მოისაზრისა,
ვინ გაანელა მაშვრალის სევდა!..
მშვიდობა შენდა,
მედროშეო შვიდი ტაძრისა, —
შვიდძალოვანო, მშვიდობა შენდა!
...გაღმა სახლი ჩანს მოჩარდახული, ექვსი მხევალი ცხოვარს აძოებს,
ექვსი მონა რთავს,
ექვსი მსახური,
შენს გაბრწყინებულ სადარბაზოებს.
შენ კი მოდიხარ, მოგაქვს სანთელი, მზეს მოამღერებ,
ჩემო გამდელი,
რომ სიყვარული ამაღამდელი
ნათლით მორთო და
მოაკანდელი...

გარნა... ვინ მოგცა ძალი ნათლისა, ცრემლი რომელმან მოგინაკლისა,
ვინ გაგინელა მიმწუხრის სევდა!..

მშვიდობა შენდა,
მესანთლეო შვიდი სახლისა, —
შვიდსახოვანო, მშვიდობა შენდა!..

...შენ აღჩნდი, ოდეს უფლის მინდვრებზე ამოთავთავდა ოქროს თაველი:
ცად ალაბრწყინე უცხო სინათლე
და მღინარეთა შესართავები
ზღვასთან დასხი და დააბინადრე...

შენ აღჩნდი,
აღჩნდი,
შუქი ალანთე,
ბნელს გაესიტყვე:

ჰაი, აჰანდე!..

და განეფინე თვალსაწიერებს
იალალიდან
იალაღამდე...

ვაშად ამღერდი მოსვლისთანავე, შუქში გაბრწყინდა კვართის ნაკეცი:
ისევე უვრცეს ჩნდა მისი სავანე, —

სევ უტკებს და
უსპეტაკესი...

...წყლისპირ მეხრე ჯდა, ლამენათევი, მქსელავს ეწადა
ქსელვა ფაცერთა,

თუშც იღუმალი შენი ნათელი კვლავ შორიელად
დაბარბაცებდა...

შენ აღჩნდი,
აღჩნდი,
შუქი ალანთე,
ლამეს გასძახე: ჰაი, აჰანდე!..

და საცხოვარი გარდმოაფინე
იალალიდან
იალაღამდე...

წყალს ატოკებდა ქროლვა სიოთა, ცისპირ ბრუნავდა დისკო მნათობის,
ჯერეთ კვდომის წილ ჟამი რბიოდა, —
ჟამი შობის და
ჟამი ქმნადობის.

ცა კი ყრუდ ფშვენდა,
ფშვენდა სოფელი,

მზე: გაშლილიყო ცეცხლის მანტიად,
უკვე უამს ჰყოფდა უამთამყოფელი, —
იყო მწუხრი და...
იყო განთიად...

გადმა მზე ენთო, მნათი ნათობდა, როკვით ვიღოდა გუნდი მნათობთა
და ვარსკვლავეთის სიმარტოვეში
ზმა მეუფისა დახალვათობდა.

შენ აღჩნდი,
აღჩნდი,
შუქი აღანთე,

ცას გაესიტყვე: ჰაი, აჰანდე!..
და განეფინე თვალსაწიერებს

იალალიდან
იალალამდე...

მერმე ცაც აღჩნდა, აღჩნდა სოფელი, მზე აღეფინა ოქროს მანტიად,
კვლავ ყოფად მოდგა უამთამყოფელი, —
იქმნა მწუხრი და
იქმნა განთიად...

იქმნა მწუხრი და...
იქმნა განთიად...

იქმნა განთიად, მეუფეო, იქმნა განთიად!..

II

იქმნა განთიად: ცეცხლი ინთება, ფრთე ღამეული გაკრთა მიმინოდ,
მოდის,

მზე მოდის, —
მოიშვილდება,


მოდის უმტროდ და უსიმძიმოდ...

„რაიც ყოფადი,
იგივე ყოფილი!..“ —

ცათა სარქველი მიწას დაეცო,
ისევ მაღლს გწირავ ქვედამნობილი, ქვეშით გიგალობ, უზეშთაესო!

— მშვიდობა შენდა,

მეუნჯეო სისავსეთაო,
აღმავსებელო, მშვიდობა შენდა!..



გაღმით სხივი კრთის, — ბროლში ნავლები, ცის საწიერთან
სმობენ მამლები,

ბაღს შევუყვები კინამოისას

და სურნელებით შევიკვამლები...

— მშვიდობა შენდა,

მესიტყვეო ხარებათაო,
მახარობელო, მშვიდობა შენდა!

მალა ვინ გალობს:

„ — იყავნათელი!..“

...და იქმნა ნათელი: დღეი პირველი!..

მოვალ შენს გზაზე, მოვებლატები, მომაქვს საძღვნო და
შესაწირველი...

დიდება შენდა,

მეურვეო მოხარკეთაო,

— დიდება შენდა!..

— დიდება შენდა!..

აჰა, ტაძრად ვდექ, ხაშლი ვიძარცე, სხივი დამადგრა

თვალთა ზედაო,

სდექ მლაღადებლის გულისფიცარზე,

სდექ, მესაყდრეო სინათლეთაო,

სდექ, მესანთლეო სინათლეთაო!

— სინათლეთაო!..

— სინათლეთაო!..

თორემ ცეცხლი ჩნდა, ისევ თენდება, ისევ ჟამია, —

მრევლი ვაპუროთ,

თუმცა... დღეც მიდის,

მიითენთება,

მიდის საენოდ და საუღაბუროდ...

...ისევ იწყება ჩემი მგზავრობა, ისევ ოფლით ვხმობ,
 დღეო მზიანო,

უქმად არ მტოვებს საქმემრავლობა, —
 უნდა ვილმო და ვისაქმიანო.

ძალს ეშმაკეულს მხრებზე შევესვამ:

„ — ვიდრე ცოცხალ ვარ, უნდა გატარო!..“
 ვაჲ, გულისთქმად დანამშევისავ, —
 ნაოხარო და
 ნაალქატარო!..

დედამ ცოდვით მშვა,
 ცოდვით ვიზარდე,

ახლაც თან დამაქვს ცოდვის ჭურჭელი
 და ჩასახვიდან უკუნისამდე ბნელ სანახებში მივიძურწები.
 ესაქმობ ექვსი დღე, ძრწოლვით დავდივარ... გარნა რა ვბოვე,
 ღმერთო ციერო,

რაიც ვიყავი, იგივე ლანდი ვარ, იგივე —
 უგზო და უსარბიელო...

შემწედ ვინა მყავს: შენლა გინატრებ!.. ვიცი, მოხვალ და
 ვაშად დამიცავ,

შაბაშ, ცის ძალო,
 შაბაშ, სინათლე,

შაბაშ, სიწმინდე შენათლამისავ!

წარვალ პირველ დღეს, ჭურჭელს წარვიტან, რომ მოვაქუჩო მწიკვი
 ყოველი

და მოვიწიო ბედის კარვიდან შენი საზრდო და
 შესამკობელი.

შენ კი მოდიხარ, მოგაქვს სანთელი, მზეს მოაგელვებ, ჩემო გამდელი,
 რომ სიყვარული ამაღამდელი

ნათლით მორთო და
 მოაკანდელი.

ისევ შენსკენ რბის ლოცვა-ვედრება,
 დღე ჩასახვისა რითი გედრება? —
 შენგნით იწყება სულთა გარდასვლა

და ცხედრონის
გადაცხედრება.



...შენ აღჩნდი, აღჩნდი, სხივი აღანთე, ცას გაესიტყვე: ჰაი, აპანდე!..
და განეფინე თვალსაწიერებს

იალადიდან
იალადამდე...

საყმოდ ექვსი ყმა დაისაკუთრე, ექვსად განწილე ჟამთა კრებული,
ექვსი სახრე გაქვს,
ექვსი საგუთნე —

ერთ გუთნეულში ჩარიგებული.

ექვსი მწყემსი გყვა, ექვსი გრძნეული, ექვსჯერ ამზევდა შენი სახელი,
მეც... სინათლისკენ გამოღწეული,

ექვსჯერ შეგძრავ და შეგეზრახები:

დღეო, იზარდე,
მზეო, იზარდე,

კვლავ მოგიძიებს გული საგულოს,
რომ უკუნითი უკუნისამდე ასე გეყმოს და გესამსახუროს.

თორემ ვინ დამშთა... შენდა გინატრებ!.. ვიცი, მოხვალ და

ვაშად დამიცავ,

შაბაშ, მზის ძალო,

შაბაშ, სინათლევ,

შაბაშ, სიწმინდევ შაბათლამისავ!..

მოდგა ექვსი ყმა, წყარო დამიშრო... ოდენ შენ მწყალობ, დღეო ციერო,
ისევ უზღვროა შენი სამიჯნო,

ისევ უგზო და უსაწიერო...

მაშ, აგვამზევე,

ავგათავთავე,

ხეი უვარჯო კვალად შევარჯე,

რომ ნაწყურევზე წყალი გვასმიო

და დაგვაპურო დანამშევარზე!..

თორემ ზომ გესმის? — შედგა მთოვარე, ისევ ბნელში ვდექ —

ბედზედ მგლოვარე,

თუმცა... სად გაკრთი, ფრთათ დილისავ,

რა სანთურევით გაიხმოვანე!..

ცად ამეტყველდნენ ბჭენი სიონის, მზე შეუსართეს ზესთა სიალღეს,
ფრთე გამოიხმეს ქერუბიონის
და სიხარული გაუზიარეს:

- გზანი ტაძრისანი მზემან შებურაო,
— ჰშვენი ტაძრის ბჭეს, დღესავით ჰშვენი,
ჰოი და, მეუფეო!..
- ბაღში სიყვარული დაუნჯებულაო,
— ჰშვენი ტაძრის ბჭეს, მზესავით ჰშვენი,
ჰოი და, მეუფეო!..
- ცამან ძალი მოსცა ჭირთა თმენისაო,
მეცნო უფლის საცნაური, მისი ნიშიმენიშაო,
— კურთხეულ იყოს სახელი შენი,
ჰოი და, მეუფეო!..
- ისევ აღმა მიმაქროლებ, ფრთეო
აღმაფრენისაო,
— კურთხეულ იყოს სახელი შენი,
ჰოი და, მეუფეო!..
- მეუფეო ნებათაო,
შუქთა მოვანებათაო,
უფლებათა ჭეშმარიტო უფალო!..

IV

ზეცა კვლავ მძლეობს, მძლეობს სოფელი, ისევ მზე ბრწყინავს
ოქროს მანტიად,
ჟამსაც ისევ ჰყოფს ჟამთაჟყოფელი, — არის მწუხრი და
არის განთიად.
არის განთიად:



დღეი პირველი...

დღეი მეორე...

დღეი მესამე...

მზეო, რად წირე გაუწირველი, რატომ გაკრთი და
გამომეცალე!...

შუქში დავდნები,
დავიშანთები,

მაგრამ სად მზეობს უენი სახება,
სანთლად არ მიჩანს კვირის სანთელი, არც ორშაბათი
მეგაზმაკება...

კვლავ მოვიძიებ წმინდა საბადოს, მადლი უფლისა რწმენას დაბადებს,
ზღვარს გავცილდები საორშაბათოს
და ორშაბათიც
ისამშაბათებს.

ისევ მივდივარ, ქარებს მივტირი, ისევ მიმაქცევს ცოდვის ჭურჭელი
და შესაქმიდან უკუნისამდე
ბნელ წიაღებში მივიძურწები...

ცა კი კვლავ ბრუნავს,
ბრუნავს სოფელი,
შუქიც კვლავ ბრწყინავს ოქროს მანტიად,
ჟამსაც ისევ ჰყოფს ჟამთამყოფელი, —
არის მწუხრი და...
არის განთიად.

არის განთიად:

დღეი მესამე...

დღეი მეოთხე...

დღეი მეხუთე...

მთის იწროებას გამოვეცალე და საწიერზე
გარდავეყუდე.

გარდავეყუდე... გარდავიხედე... ისევ ცეცხლი ჩნდა მზისფერ მანტიად,
ისევ გაბრწყინდა მისი სიკეთე...
ისევ მწუხრი და...
ისევ განთიად...

ისევ მწუხრი და...

ისევ განთიად...

ისევ განთიად, ოცნებაო, ისევ განთიად...

მზემ დაუტევა ნავთსაყუდარი, გაღმა დავლანდე ცეცხლი მნათობდა,
 გზას მიკვალავდა დროის გუთან

და ოთხშაბათი მიორნატობდა.

გალობდა მრევლი, ხმობდნენ ლანდები... მე კი ვერ ვპოვე ჩემი სანთელი,
 ველარ ვიგუე მისი ტრაპეზი, — თაფლი ვერ ვიტკბე

იმღლევანდელი.

შენ კი სხვარივ კრთი: ისევ ფინატრებ... ვიცი, მოხვალ და
 ვაშად დამიცავ,

შაბაშ, ცის ძალო,

შაბაშ, სინათლე,

შაბაშ, სიწმინდე შაბათლამისავ!..

...ისევ მოვდივარ,

ისევ მოგძახი,

ისევ მომაქცევს ცოდვის ჭურჭელი

და შესაქმიდან უკუნისამდე შენს შესაყრელად მოვიძურწები...

შორი-შორად კი...

იდუმალი შუქი ინთება...

— მოიქეც, მნათო, აჰა, ესერა!.. დროა, გასრულდეს
 ჩემი კირთება!..

მზე ოთხშაბათის

იმოსება სახუთშაბათოდ

და საყვარელთან შესახვედრად მიიშვილდება...

მიიშვილდება, მიდის ქარდაქარ... გზა უსაზღვროა, სივრცე — უღევი,
 მე კი ვდგავარ და, დაუნჯებული,

ცის სამკვიდროებს ვეჩურჩულები.

ცა კი კვლავ მძლეობს,

მძლეობს სოფელი,

ისევ მზე ბრწყინავს ოქროს მანტიად,

ისევ ჟამსა ჰყოფს ჟამთამყოფელი, — არის მწუხრი და...

არის განთიად...

არის მწუხრი და...

არის განთიად...

არის განთიად, ხარებო, არის განთიად!..



...კვლავ გაბრწყინდება ცათა შორეთი, — ხმოვს პარასკევის
სათნო სახება,

ცით გარდამოვალს ეპისტოლეთი
და შიკრიკივით შემეზრახება:

— იხარეო,
მოახლოვდა
ჟამი სიტკბობებისაო,
იხარეო,
სასურველო ჩემო!..

...წარყევ უფლის გზას, ცეცხლი წარეცი, ჩემო ჭრაქო და ჩემო
პატრუქო,
რომ განზავების სინეტარეში ცოტაც ვიღმო და
ვიუბადრუქო.

ბანზე ღუღუნებს თეთრი ქედანი, ყრუდ მილივილებს ჟამი ნეტარი
და საწუთროდან
საუკუნომდე

ვლენ მედროშენი შესაქმეთანი:
— დროა ზვარში დგე, ვაზი დაწურო, — უკვე ახლოა სახლი შეგებისა,
ჟამიც ახლოა,
ჟამგადასულო,
ჟამიც ახლოა განსვენებისა...

...ისევ მოდიხარ, მოგაქვს სანთელი, მზეს მოამღერებ, ჩემო გამდელი,
რომ სიყვარული ამაღამდელი

ნათლით მორთო და
მოაკანდელო...

მოდგება მგზავრი, შუქში გამიხმობს: — კვლავ ამღერდაო
ჩანგი ნეფისა,

დამწვიდდი, სულო, უკვე ზარი ხმობს:

— ჟამი ახლოა განსვენებისა...

აწ გასრულდება ჩემი მგზავრობა: შენ გადმოდგები ბანზე მეფურად,
რომ შესაქმეთა საქმე-მრავლობა

კვლავ მიითვალო გაუქმებულად...

თუმცა ეს ვისი სამოსახლოა: ისევ გაბრწყინდა სახლი შვებისა,
ისევ ახლოა...

ისევ ახლოა...

— უამი ახლოა განსვენებისა!..

წამი ახლოა განსვენებისა!..

განსვენებისა, მესაყდრეო, განსვენებისა!..

VII

სულო, რას გითქვამს სიხარული ამაღამდელი,
ცათამიერი შარავანდი

ზღურბლზე ბარბაცებს...

დღეს აღინთება სასოების დიდი კანდელი

და დედოფალი მოაშურებს სეფე-დარბაზებს...

თუმცა... სად გაკრთა განთიადის თეთრი ისარი?

რატომ შეჩერდა ჩარხი დროისა,

ძალნი რად შედგნენ სინათლისანი?

...შე კვლავ განვაგრძობ აღმა მგზავრობას, დაღმა დამშთება

ხორცი უღებო

და ღამიეთის ზღურდე-მრავლობას

კვლავ კადნიერად ავეზლუდები.

ისევ მზეს ვსახავ სულთა ზიარად, მიჯრით მეღტვიან უამთა რიგები,
ბჭით გადმოვდგები კელაპტრიანად

და უდაბნოში გავიკრიფები...


შორს ქანაობენ ბალმის ტოტები, გარნა ვინ მაცლის თვალის შეველებას,
ამ სიჩუმეში დაველოდები ნათლის მოღვრას და

მოსაკმეველებას...

ვღგავარ, გული დრტვენს, ბორგავს სხეული...

ცის სარბიელზე რბიან წუთები,

მე, სინათლისკენ უკუქცეული, მზის სამკვიდროებს ვებუტბუტები.



მაგრამ... რად ბრუნავს სიბნელეში სისხლის მორევი?
საღით სად დაძრწის მაცნე მგუფოს,

რად აყოვნებენ მალემსობოლები?

— ე ლ ო ე,

ე ლ ო ე,

სულთა საესავო,
რათისთვის აგვიანებ,

ე ლ ო ე!..

აღარც ღვინო ჩანს,
აღარც ტაგანი,

გაღმით არ ზმოზენ შენი ბუკები,
ტანად — ვერ მატკობ, ნაქანდაკარი, ვერც სურნელებად
მეგუნდრუკები.

— ე ლ ო ე სიხარულისაო,

ე ლ ო ე სიყვარულისაო,
რათისთვის აგვიანებ,
ე ლ ო ე!..

მე კვლავ მტვერში ვძრწი,
ქარში ვილევი,

გარე-მერტყმიან ბნელი ჩრდილები,
მაინც შენ გელტვი საგულდაგულოდ, მაინც გესავ და
გეგულწვილები...

— შენ კი... ისევ განმიდგები,
ფრთეო სათნოებისაო,
ისევ გარე-მიიქცევი,
ე ლ ო ე!..

შუქს შემომაცლი,
შემომაცრიცავ,
ცად აღიძვრიან ღრუბლის ზვინები,

მაინც... სად მოხვალ, მზეო ტაძრისავ, ვის საუფლოში

მიეფინები?



სხვათა რჩევა სჯობს?

სხვათა მტკიცება?..

ასე რად გზარავს ჩემი თარეში,

ზვარში ვაზი რად გენაკლისება, ნექტარს რად ნატრობ
სანექტარეში?

— ნეტავ, რატომ მერიდები,
ბჭეო სასოებისაო,
რატომ უკუ-მიიქცევი,
ელოე!..

გესმის? — მრევლი გთხოვს ბინდი შებურო, ცით გარდმოფინო
ცეცხლის ნიშები...

როდის-სად მოხვალ, ოქროცხებულო,

რა საფიცარით შემემტკიცები?

— ტაძრებს აღმიდგენ?

ზღუდეს დამიცავ?..

— რისი მცველიც ხარ, მასვე დავიცავ!

ძალო დღისავ და ძალო ღამისავ, — სათავისავ და
შესართავისავ!..

წარხდა შენი რძე, თაფლიც შეისვა... ვერ მოდგებიან

ქარში რინდები,

დღე გუშინდელი შთანთქა დღეისმა,

ვით გუშინდელმა
გუშინწინდელი...

— ეჰა, რატომ განმიდექი,

მზეო სიწრფოებისაო,

რისთვის გარე-მიიქცი, ..

ელოე!..

აჰა, ზღურბლზე ვდექ, ცეცხლი აღვანთე, მაინც ვერ შევხსენ

შენი კარები

და სახიერის წარმოსახვამდე

ასე გესავ და გემუდარები.

მამცნე შენი ხმა, ზრახვა გამანდე, კვლავ განმიკაფე ზვარში ბინდები,
რომ შესაქმიდან მოაქჳამამდე

დღე გამოვიხმო იმჳამინდელი.

— მაშინ მზე ენთო,
მთვარეც ნათობდა,

როკვით ვიღოდა გუნდი მნათობა
და სიყვარულის საბალნაროში ხმა მეუფისა დახალვათობდა...

მე კი უბრად ვჯექ... არა მჯეროდა, რომ ირღვეოდა

კალთა ჩეროთა

და საღამეულ სიმარტოვეში ცის მოციქული გადმომცქეროდა.

გარნა რომ აღვსდექ, ნიში მენიშა:

თურმე ვიდრე ვწექ, ვიდრე მეძინა, მზე ჩამოცრილა ცეცხლის ფიორად,
ფრთე მოქცეულა აღმაფრენისა

და შემხებია ქერუბინად.

ცით გადმოღვრილა სისხლის მორვევი,

შენ შემოსულხარ ბალში მღუმრიად,

ბჭეს მოსდგომიან მალემსრბოლები

და გაღავნისთვის გარე-უვლიათ.

ბევრი უვლიათ...

ცოტა უვლიათ...

შაგრამ შემკრთალან: თურმე სხივი ჩნდა, შენც იღუმალი ჰანგი ჩაგესმა
და ჩამიარე ბავემღუმრიად — ასე ტკბილმა და

უსპეტაკესმა.

ნეტავ, რატომ განმიდექი,

ფრთეო სიხარულისაო,

რატომ გარე-მიიქეცი,

ელოე!..

გული კვლავ ბორგავს,

ბორგავს სხეული...

კვლავ უდაბნოში დრტვინვენ სულელები,

კვლავ სიბნელიდან გარე-ქცეული ცის საუფლოებს

ვეჩურჩულეები.

თუშცა... რას მღერის ღელისპირად თეთრი იელი,
რას მესიტყვება სვეტი ნათლისა,
ცისას რას ამბობს ცათამიერი?

ვინ არის იგი — უდაბნოთ აღმომავალი,
ვაშად რომ მოაქვს სულთა ხარება!..
ვინ არის იგი — უდაბნოთ აღმომავალი,
ტანზე რომ იცხებს წმინდა საცხებელს
და მიჯნურისკენ მოეჩქარება?..

- მოეჩქარება!..
- მოეჩქარება!..

აჰა, ახმიანდნენ ცათა საყვირები,
სეფე-დარბაზებში უკვე გროვდებიან,
კვალად აღიძვრიან წმინდა ლავინები,
საღვთო ბარძიმები აოქროვდებიან,

- აოქროვდებიან!..
- აოქროვდებიან!..

კვლავ ალატყდების ცეცხლი მაყლოვანს, ხილვად მიხმობენ
უცხო ხილვანი,

ვინ არის იგი — კვამლად აღმოვალს,
ბნელ წიაღთაგან აღმომჰკვირვალი?..

ვინ არის იგი: მრევლი ღალადებს, — ვინ არის იგი:
როკვენ მხეველები...

ნეტავ, ვის ჰპოვებ, რომელ სახატეს,
ვის საკურთხეველებს დაემძევლები?

ვაშად გარდამოხვალ ცათა საუფლოდან,
კედლებს იმედისას მოეგუმბათები...
სძალო, სანთლით მოიძიე
შენი სანთიობოები,

იქმენინ,
იქმენინ
ნ ა თ ე ლ ი!..

გარნა ვინ არის ზეგარდმოულ ძალთა ჯავარი,
ვინ არის იგი —

უდაბნოით აღმომავალი?..

გულო, როგორ მიგაცხრო და...

თვალთ,

როგორ მიგარულო!..

„ — იქმენინ! —

მეუფემან კვერი დამიცაო...

იქმენინ, სიხარულო,

იქმენინ, სიყვარულო,

იქმენინ... —

სინანულო შაბათლამისაო!..

ამ ზეგარდმოულ ელვა-ქუხილში ჰყავ სამართალი, წმინდა
ლაგვინო,

რომ ღირსეულად საჯო უღირსი

და დამდაგველი

დამადაგვინო!..

თუმცა... ვინ არის საწუთროულ სულთა ჯავარი,
ვინ არის, ვინა —

ზეგარდმოით გარდმომავალი?

მზეო, სანთლით მოიძიე შენი სადარბაზოები,

იქმენინ,

იქმენინ

ნათელი!..

ვინ არის იგი — მკვრელი ორძალის, ზვარში რომ სწადის
ნათლის ჩაფენა,

დოლის ხმა მესმის:

ქარი მომძახის,

თუ სიყვარული მედაფდაფება?

დღეო, ამზეურდი, უამია სანაქებო,

აღსდგა ძღვევის ქარი, ქარი აქარდაო...

ამღერდით, სანახებო,

ახმიანდით, პალატებო,

გაბრწყინდით, გუმბათებო ნაქალაქართაო!..



სტვირს ახმინებს მეფე-ქადაგი:

— მტერი ვერ მტერობს, აღსდგა ქალაქი, ტაძრად გაბრწყინდა უცხო
ხატება,

მზის ამფორიდან წოთლავს ბადაგი,
ციო — გოლეული გვეშარბათება.

„ — იქმენინ!“ — სძალი ბრძანებს,

„ — იქმენინ!“ — ჩანგებია,

„ — იქმენინ!“ —

გვესიტყვება ნეფე ნაღვინევი,

„ — იქმენინ!“ — გარდმოილო მწდემან სამწდეური,

„ — იქმენინ!“ —

აღიღინდნენ საღმრთო ლავგინები...

კვლავ ამეტყველდა ჟამი სთვლობისა:

„ — აღსდგე, მიჯნურო, მღერის შროშანი, კვამლი აკმიეს წმინდა ალოეს
და სიყვარულის იალალები

ღვინით მორწყეს და

მოაწყაროეს...

— აღსდგე,

ზარს დაჰკარ, —

გვიხმობს მეზარე:

მალე განვალვებო წმინდა საკლიტეს,

რომ იქედნეთა მენათესავე ყრუ სინანულით შემოგვნატრიდეს...

მაგრამ: რას მღერის მგზავრი მავანი,

რას მღერის, რასა —

უდაბნოით აღმომავალი?..

— ამღერდიო, ნანდაურო, აღავსეო საწყაული,
სურნელებით განზანეო მდელი!..

ჟამიო მიგებისა,

მიაგეო საზღაური,

მიაგეო,

მიმგებელო ჩემო!..

— მიაგეო!.. მიაგეო!.. კვლავაც ღირსად მიაგეო!..

მიაგეო: მოძალადეს ხრმალი გულზედ მიადგო,
რამეთუ მართლის ხემან
ღერო აზარდაო...

ყურო, —
ნასახლართა მოყურიადგო,
თვალო, —
მოთვალთვალევ ნადარბაზალთაო!..

— ნადარბაზალთაო!..

— ნადარბაზალთაო!..

ბაღში ღიღინებს ვარდი სარონის:

„ — იმღერდე, დაო, ვენახს მწყემსავდე, კვლავ ბაგეთაგან თაფლი
გდიოდეს!..

გამოვალს სძალი,
ზმირინს წაიცხებს,
ზეთს გამოსტყუებს მენარდიონეს...

— სძალო, ვენახი ხარ, ამღერებული,
სათნობისა ჩემის ბალი ხარ, გაბრწყინებული...

გულთა გული ხარ, — მიწყევ გულობდე, სხივს აღაჩენდე,
ეტლო ფარულო,

რომ ჩასახვიდან საუკუნომდე
ასე გეთნო და გესიყვარულო.

ჩემთვის გალობდე,
ჩემთვის ხარობდე,
შუქს მომაფენდე თხემით ძირამდე,
მეც... სიყვარულის საბაღნარომდე ტკბილ საგალობლებს შემოგწირავდე...
დაბლით გელტვოდე შენი ხიზანი,
შენ კი მალლიდან კიბეს ჰკიდებდე,
რომ გალობანი გალობისანი
ცას განუფინოთ კიდი-კიდემდე.

ვახშიანოთ მეჩანგეთა სახმო-
სამუსიკოები,
ვახშიანოთ, ვახშიანოთ,
ე ლ ო ე!

გესავ, ხეო უფლისაო,
გეაჯები, შროშანო, —

შროშანო!... —

ფრთენი ქერუბიმისანი
შუქში შეაფრთოსანო,

— შუქში შეაფრთოსანო!..

— შუქში შეაფრთოსანო!..

„ — შეაფრთოსანო! — დრტვინავს ტაროსი, „ — შეაფრთოსანო! —
ქარი ბარბაცებს,

მაგრამ ვინ მღერის საბალნაროში,
ვინ გიხშიანებს სეფე-დარბაზებს?
ვინ გიხშიანებს... მოდის ნათელი,

— დიდება შენდა!..

— კვლავაც დიდება!..

თუმცა... რას ხმობენ მედაფდაფენი,
ხმა რანაირად გეგებარბითება?

— ამზევედიო, მგალობელო სეფე-საკურთხეველისაო,
ამღერდიო,
სიყვარულის მუტრიბო!

აჰა, მზეც მოდგა, დისკო შემართა... ისევ მურით ფშვენს კათხა სამურე,
ვაშად მეთნევა სიტკბო მტევანთა და სამოსელთა
სიმეწამულე!..

ჰოიდა, შუქთა ზმანებაო,
ჰოიდა, დართა დარებაო,
ჰოიდა, ხარებაო,
ე ლ ო ე!..



ცეცხლი გარე-მწერს, გარე-მედების, მაინც წინ მივალ:
 სძალი მომელის,
 აწ განიხსნაო კარი ედემის, დღე აღმოხდაო განსაცხრომელის!..

— მზე აღმოხდაო განსაცხრომელის!..

— განსაცხრომელის!.. საუკუნო განსაცხრომელის!..

ნათებაო,
 ნათებაო,
 ჭეშმარიტო ნათებაო,
 ნათლიერის ნათებაო,
 ე ლ ო ე!
 ისევ მატკობს შენი ღვინო,
 ისევ მეშარბათებაო,
 ისევ მეშარბათებაო,
 ე ლ ო ე!..
 გესმის? — გალობს მგალობელი,
 მოდის ჩვენი მწყალობელი,
 სულთა დამამწყალობელი,
 ე ლ ო ე!..
 — ყანდი მომაქეს, აჰანდო,
 გახსენ შენი საყანდო
 კელაპტრები აღანთეო,
 ე ლ ო ე!..

ე ლ ო ე
 სიხარულისაო,
 ე ლ ო ე
 სიყვარულისაო,
 სასოების, სათნოების ე ლ ო ე!

.

ისევ ჩამესმა ქროლვა ნიაეთა, მე კი ჩრდილში ვდექ, ღრუბლებს
ვეფარე;

გამოდგა სძალი,
გამოცქრიალდა, —

მზის დარბაზიდან გამომგებარე:

— მოდექ, მოდექ, სინათლეო, მოეც სიღბო ვარდისაო,
— მოეც სიღბო ვარდისაო,

ე ლ ო ე!..

ზეარში დააბინადრეო ბრწყინვა მეღევანდისაო,
ბრწყინვა მეღევანდისაო,

ე ლ ო ე!

ნისლი ქარებს წარებაო, გაქრა ღამის წვალებაო,
სხივი მოიცივარებაო,

ე ლ ო ე!

ჰოიდა, შუქთა ზმანებაო,

ჰოიდა, დართა დარებაო,

ჰოიდა, ხარებაო,

ე ლ ო ე!

მავრამ... რას გალობს, მეუფეო, მგზავრი მავანი,
რას გალობს იგი —

უდაბნოთ აღმომავალი?

— ძალო, მძლეო ძალისაო, გესაე — მტერი
ღამიზაო,

დასცე ბჰენი ღამისაო,

ე ლ ო ე!

მაღლით მაღლი გარდამოდის შვიდი სალოცავისაო,
გარდამოდის,
გარდამოდის,


ე ლ ო ე!..

„ — გარდამოდისო!“ — მღერის კანდელი, ცა ემიჯნება ღრუბლის
ხვეულებს,

მოდის,

მზე მოდის, —

მოდის გამდელი
და სათნოებას მოამზეურებს!..



ჰოიდა, სხივთა ზმანებაო,
ჰოიდა, დართა დარებაო,
ჰოიდა, ხარებაო,
ელოე!..

ერთყმის ცის კიდეს, ეართახება, მანგი კვლავ მანგობს, ბროლიც
ბროლდება
და სხივმოსილი მისი სახება კვლავ ფეხაკრეფით
მიახლოვდება...

VIII

ვაზო, უფლის დანერგულო, — ზრდილო ოქროს მტევნითაო,
სად მოსულხარ სადაური,
ვისი ქარი გდევნიდაო!..
ფრთეო ქერუბიმისაო, ნათლით გარე-შემოსილო,
კურთხეულო სიყვარულის საკურთხეველითაო!..

.

...კვლავ შემოადგა მგზავრი ეზოებს, — ცად აღწევდაო ჰანგი სიონის
და ეღვრებაო სატრაპეზოებს
ელვა ბროლის და ტოპაზიონის.

ახმიანდით, საკრავებო მემუსიკეთანო,
ამქლიანდით,
მესტვირეთა ჰანგებო!

გადმოდგა სძალი, შუქი აღანთო, მზით განმიბანა მწუხრის იარა
და სიყვარულის ციხე-პალატებს
კვლავ სიმღერებით შეეხმიანა:

აფრთიანდით, მგალობელნო გაზაფხულისანო,
აშრიალდით,
სიყვარულის კედრებო!

— ო, რა ტკბილად ფშვენ, ცეცხლის წიაღო!..
— უნდა მიცხრე და უნდა მიამდე,

მზეო, სანთლით მოიძიე შენი სატრაპეზოები,
იქმენინ,
იქმენინ
ნათელი!..

კვლავ ამიმღერე შენი თაღები, ჩემო თაფლო და ჩემო ბადაგო,
რომ მქადაგებლის ნაქადაგები

მეც სასოებით შემოგქადაგო.

ისევ მოგავო რძე და შაქარი, გულით წმინდა გყო,
სულით — მისანდო,
ღვინო გასმით, ნასპეტაკარი, და ძუძუები
ამოგიზარდო...

ძალი ვამძლიანოთ, ჩანგი ვამზიანოთ,
ჰანგი ვახშიანოთ,

ელოე!..

ბაღში ვარდი ვაშრილოთ, კარვის კალთა
ვაფრილოთ,
ვაფრილოთ... ვაფრილოთ,

ელოე!..

გესმის? — შუქმა იალო, გაკრთა ცეცხლის
ფიალო,

— გაკრთა ცეცხლის ფიალო,

ელოე!..

ზვარში მოდგა მევენახე, ბალი ააზვრიანო,

— ბალი ააზვრიანო,

ელოე!..

ისევ ამღერდა სულში კანდელი, ისევ გაბრწყინდა ჩვენი სავარდე,
ცად განფენილა შარავანდედი

დასავალიდან

აღსავალამდე.

მამრიყს სხივი სცემს ნამალრიბალის,

ვალმით დაძრულა უცხო სახება,

ტაძრის ბჭეს ეკვრის ნაძვი ლიბანის და მარმარივით ექანდაკება.

განიხარეთ, მესაყდრენო,

აღხდა სიტყვა მეფისო,

აღორძინდა ძღვევის ნაშთი,
აღჩნდა ნადარბაზალი...
აღსდგა სახლი შვეებისაო, სახლი სასოებისაო,
ახშიანდა სათნოების ტაძარი!..



შიგ სიყვარული შემოვასახლე, ბადაგს ვასმევ და
გვირგვინს ვუკონი,
ისევ ისევ ფშვენს ვარდის სასახლე, კვამლს გამოსცემენ საგუნდრუკონი.
აღარც ცრემლი მწყლავს,
აღარც ნაღველი,
ბაღში ბზა ბრწყინავს, ზვარში — კედარი,
მზით მოოჭვილი სანიდაყვენი,
მზე —
ოქროებით ნაპირკეთალი...

განიხარეთ, განიხარეთ, მზეობს სიტყვა ნეფისაო,
ცაო, შეგთხოვთ —
მადლი გადმოგვაპკურო!..
ისევ შენსკენ მოვიქცევი, სახლო სათნოებისაო,
შენსკენ ვილტვი, სასოების სადგურო!..

ძალს მეუფისას დავევედრები, ველარც მტერი მძღვეს,
ველარც მეკობრე,
კვლავ დავიმგზავრე ცეცხლის ეტლები,
მზის ასაბიას დავემეგობრე.
ვერც მაწყევარი შემომაწყევლის, ფრთე სინათლისა
თავზე მეველება,
სულმან შეითნოს ცხება საცხებლის
და გუნდრუკების მოსაკმეველება...

ამძლიანდი, უფლის ძალო, ძალო
საკურთხევლისაო,
აფრთიანდი, გაზაფხულის ფრთოსანო!..

მწყემსი ისევ მწყისის, იძოვს მძოვარი, ცხოვარს არ სწადის
მინდვრის დაგდება,
კვლავ ოქროდ მიჩიანს ნაოქროვალი
და სამაგდანიც მისამაგდება.



აღარც ხრმალი მწაღს,
 აღარც ბევთარი,
 მალლით ნექტარს ღვრის ცათა კრებული,
 ძუძუ ნექტარს ჰგავს, ბავე — ნექტარი, ხმაც — სიყვარულით
 დანექტრებული!..

ნათებაო,
 ნათებაო,
 ჭეშმარიტო ნათებაო,
 ნათლიერის ნათებაო,
 ე ლ ო ე!
 ვაშად მატკობს შენი ღვინო,
 ვაშად მეშარბათებაო,
 — ვაშად მეშარბათებაო,
 ე ლ ო ე!

ისევ მოვდივარ, შენსკენ ვიჩქარი, ხელმან მტრისამან ვერღა
 გვანელოს,
 განიხვნას ბჭენი, მოსკდეს ისხარი,
 ცის საქანელმან ისაქანელოს!..

ჰოიდა, სხივთა ზმანებაო, ჰოიდა, დართა
 დარებაო,
 ჰოიდა, ხარებაო,
 ე ლ ო ე!

ისევ მოხვალ, მოიღვრები,
 მოგძახიან ახოები,
 ბროწეულის სიტკობდ მოიწურვები...
 ტკბილია, მებაღეო, შენი სავენახოები,
 ვითარცა გოლეულის სურნელი...

ასე გესავ და ასე გევლები, ცით მიმღერიან ოქროს ტევრები
 და უდაბნოთა სიაღმურეში
 წყაროს გიმცვრევ და
 გეშადრევნები...

.....
 თუმცა... ვინ მაკრთობს, ხარებაო ცათამიერო,
 ვისი ლანდი ძრწის სიბნელეში ასრე ნებისად?
 — ეჰა, ზარი ხმობს მარტობის უდაბნოიდან:

ეს პაემანიც მიდგებაო განშორებისად!..

განშორებისად, აჰავია... განშორებისად!..

IX

ვაზო, უფლის დანერგულო, ზრდილო ოქროს მტევნითაო,
სად წასულხარ სადაური,

ვისი ქარი გდევნიდაო!..

ფრთეო სიწორფოებისაო, ცეცხლით გარე-
შემოსილო,

განწმენდილო სათნოების საკურთხეველითაო!..

.

...ისევ ატირდა ცა და სოფელი, ისევ ნისლი ჩნდა მწუხრის მანტიად,
ისევ ღრომ განყო განსაყოფელი:

იქმნა მწუხრი და...

იქმნა განთიად...

სულმან შენი ხმაც მოინაკლისა, ისევ მჟღე ვარ და ისევ ძაბუნი,
ბნელში ჩაემხო ტოტი ნათლისა —

ცის ფერდობიდან გადმოძაბული.

გაღმა გაბრუნდა სხივთა კრებული, ბნელმან წარმიღო
თვალთა სიაღე,

ბჭით გარდმოვდექი აცრემლებული

და საწიერებს შევეხმიანე:

ცად ბულრაობდა ცეცხლის მახვილი: „მკლავო, მკლავს დრეკდე,
მჯილო, — მჯილობდე!“

ქარს მოჰყვებოდა გამოძახილი

სამაღრიბოდან

სამაშრიყომდე;

სერზე ცხვარი ჩნდა ღრუბლის თეოთი: ხმობდა მთოვარე —
შენდა მეოტი,

ბჭეთ განვუდექი სასახლისათა

და ქუჩა-ქუჩა მოვიქცეოდი.

მოვიქცეოდი, სიმღერებად მოვიქცეოდი...

— ვის უმღერდი, ძმაო ჩემო, ვისკენ ხმობდი
ეზნითაო,

ნუთუ ქარმან ურვისამან

სულის კვართი შეფლითაო!..

ვის უმღერდი, ვარდის ტყეო, — კვამლით გარე-მოკმეულაო,
განბანილო სიყვარულის ნელსაცხებლითაო!..

— დაო, დაო, მოგძახოდი, შორით ვხმობდი, შორეულად,

გარნა შენი სახე ვერლა შევიცანი...

რაისთვის გვიწოვიეს წმინდა გოლეულად

ძუძუნი დედისა ჩვენისანი!

რაისთვის გვიწოვიეს თაფლი სარონისა,

რაისთვის გვიძოვიეს მდელითა ალერდი,

თუ დამიჭნობდი ღელის შროშანებს

და უდაბნოში დამახანებდი.

დამახანებდი, უთვისტომოდ დამახანებდი...

...კვლავ აღიძვროდნენ მთები მთებურად, კვლავ თავსარქმელად

ნისლი ებურათ,

მეც... განშორებით შეიწრებული,

შენ მოგძახოდი უწინდებურად;

გარნა ველარ ვცან შენი ნიშანი: გულმიწურვილმან წარვთქვი ვაი და...

მცველნი შემომხვდნენ ქალაქისანი,

ვთქვი:

„ — სახელითა წმიდისაითა!..“

— მცველნო, რად გაკრობთ ჩემი კანდელი, — უფლის მაღლი მწევს,

მაღლი მაზევეებს,

რომ დავუბრუნო შარავანდელი

ტაძრის ნაშთებს და

ნადარბაზევეებს...

ძალი უშრეტ მაქვს,

ცეცხლი — ულავი,

მწადს — მოვიძიო ნათლის საბადო,

სძით განვიბანო სასძეურები, თაფლი ვიცხო და

ვიანდამატო.

ხედავთ? — სხივი მრთავს, სხივი მამშვენებს: ცის ასაბი

გაკროთა მიწურზე! —

ასე ვეზრახე ზღუდის დამცველებს

და შიშნულად გამოვიძურწე.

მაგრამ შემომწყრა ღმერთი მაღალი: დამცეს მცველებმა,

მტვერი მაყარეს

და მიმადვენეს, ნავაგლახარი, ეშმის მეგზურს და

მექონდაქარეს.

ისევ დაშრიტეს ჩემი კანდელი, მზის კარვებიდან ისევ გამრიყეს
და ხვაშიადი იმდილანდელი კვლავ დაუფარეს არსთაგამრიგეს.

ახლა საით ვხმობ... რეკვენ ზარები,

მიდის,

ხმა მიდის, მიიბზარება,

და ვაკვირდები ნამტირალევი —

როგორ მშორდება შენი ზმანება.

ჟამთაღმრიცხველად ვზივარ მღვიმეში... აღარც ჟამი ჩანს,
აღარც რიცხვი და...

აღარც მზეს ელის ჩემი იმედი —

დრომ ყველაფერი გარდამიწყვიტა.

ველარც ვარდის რტო ველარ მახარებს... ოდენ ძეძვი ჩანს, ოდენ —
გვიბრები

და მიძინებულ ნაპარტახალებს

ყრუ სინანულით ვესამძიმრები.

შორს კი... ღვარი ჩქეფს, გარდანადენი, ზვარში დაბზუის ქარი თავნება
და მწუხრეული შენი ნათელი

ცის კალთებისკენ მიიკვამლება...

X

სად მიილტვი, სიყვარულო, ვის მისძახი
ებნითაო,

ნუთუ კალთა სიმტკიცისა ქარმან

ასრე შეფლითაო!..

სად მიილტვი, ვარდის ტყეო, —

კვამლით გარე-მოკმეულო,

განბანილო გაზაფხულის ნელსაცხებლითაო!..

— სად მიილტვიო! — მრევლი ატირდა, — სად მიილტვიო! —

გრგვინვენ ტაძრში,
სადაც მისი
მეგობრები

ცის სათავიდან
შესართავამდე

ვის საუფლოში მიიზღაზნები?

გზებს მიუყვები — კენტად მარები...

ცის ყანობირში საღვთო ხმებიან

ჰანგს გაგებებენ სეფექალები

და მოწიწებით განირთხმევიან.

მე კი... ვილაც მწყლავს,
ვილაც მაწამებს:

— მზე განგვიდგაო, ჩემო ტრაპეზო,
და სიყვარულის ზღუდე-საცავებს დღე სიცოცხლისა

მოუსწრაფესო.

აწ კი ვინ დამშთა, ვისლა ვუცქირო...

ვაჲ, მარტობის ცრემლო ფარულო,

დღე უმზეოა, ღამე — უსხივო,

გულიც — უნდო და უსიხარულო...

ისევ საწრთენელ ვარ,

ისევ საგეში...

შენ კი წყალს იზრეტ, ჩემო სასხურო,

რომ უღაბნოთა სიხორშაკეში მზის მხურვალეება შემომაცხუნო.

თუმცა... რას ხმოზენ ღამიეთის ბნელი ლანდები?

ან გაუქმებულ სავენახოებს

რას გადმოსძახის

მაძახური ამდილანდელი:

— გაქრა სხივი მთვარისაო,

წარსაცემი წარიცაო,

წარხდა სასო ხვალისაო,

ელოე!

ვაი და, ცრემლო ღამისაო,

ვაი და, მრევლო ზარისაო,

ვაი და, ნატაძრალისაო,

ელოე!

„— ვაი და ვაი!“ — ტირის კედარი, „ვაი და ვაი!“ —

მრევლი ვალალებს,

„ — ვაი და ვაი!“ — ძალნი მძლეთანი
ქვე აბრუნებენ ზეაღმავალებს.

„ — ვაი და ვაი!“ — მოსთქვამს მდინარე... მე კი რა გკადრო,
შუქთა ზიარო,
ახლაც... აქ ვდგავარ, ნათლის წინარე, მაგრამ რა სიტყვით
შეგეხმიანო?

„ — დიდება შენდა!“ — გაკვადნიერდე?
„ — დიდება შენდა!“ — ჩანგი ვაქეზო?

თუმცა... რად გასცდი სამუტრიბოებს, რად გარდახვედი, უსპეტაკესო!
შუქი გთხოვე და... ბნელთან მაუბნე, მზე დამიჩრდილე, დამიჩეროე...
რაისთვის დამიტევე,
რაისთვის დამაოზლე,
რაისთვის ამატირე,
ელოე!

რად გამეცალე უნდო ღიმილით, რად დამიმწუხრე მშობლის სავანე,
ან მგლოვიარე ქერუბიმივით
ვის საუფლოში შეიფრთამალე!..
ცას განუწონე ცეცხლის ისარი, მთები მორთე და
მოამდელოე...

გარნა რატომ მომირღვიე ბჭენი სიტკბოებისანი,
რაისთვის განმიტევე,
ელოე!..

ელოე შეწყალებისაო,
ელოე შებრალებისაო,
სასოების,
სათნოების
ელოე!..

XI

შენ განმიდექი, ეტლო დიადო, ბოლოდ მიქციე ნათლის სათავე,
მზე წარიტაცე საგანთიადო
და მწუხარება მითანდათანე.

მთებს გარდაეველე ოქროს არილით... ახლაც ცეცხლი გძრავს,
ცეცხლი გატარებს,

თუმცა... რად სტოვებ ნაოხარივით
ტაძრის ნაშთებს და
ნაგუმბათარებს?

შენ განმიდექი, რისთვის ვინანო... სადით-რას მარგებს ცრემლის
სიალე,

შენ განმიდექი, დაუთმინარო,
და საწიერებს შეეხმიანე.

ყბა დამიბუშე, მკერდი მიძარცე, მტვერში ჩამიგდე ოქროს ლატანი
და დამიტოვე გულისფიცარზე სისხლის ნაშთი და
ნაორნატალი.

ცას განეფინე, გაინანავე... მაინც რად დამთმე,
ეტლო ციერო,

ზიზლით რომ დაჰგმე ჩემი სავანე,
უნდო ვიყავ თუ...
უსაქციელო?..

წყალი გთხოვე და...
ცეცხლი დამინთე,
აღარ ისურვე ჩემი სამინდე,
ძოწით არ მორთე ჩემი ტრაპეზი, არც სანთიობოს

მოექლამინდე.

ღვინო მოვიდე, პური მოვეცი... შენ დამიშრიტე ცეცხლის სიალე
და განტევების სიმარტოვეში
კვლავ უდაბნოსკენ მიმატრიალე...

აბრაჰამ იზნ მურა

პოეტი, ფილოსოფოსი, გრამატიკოსი, ეგზეგეტიკოსი, ასტრონომი, მათემატიკოსი. დაიბადა ტოლედოში 1092-93 წწ. ცხოვრობდა კორდოვაში. ცხოვრების პირველი ნახევარი ლიტერატურულ მოღვაწეობას მოახმარა. ამ დროს უნდა იყოს შექმნილი საუკეთესო ნაწილი მისი საერო და რელიგიურ-ფილოსოფიური ლექსებისა, რომელმაც პოეტს დამსასურებელი სახელი და აღიარება მიუტანა. როგორც მისივე თხზულებებიდან ირკვევა, მეტად მძიმე და აუტანელი ცხოვრება ჰქონია. სუთი შვილიდან ოთხი ადრეულ ასაკში გარდაცვლია მეხუთე კი — ისპაკი, სიჭაბუკეშივე განდგომია ებრაელობას და ისლამის სჯული მიუღია. პოეტს ერთხანს უცდია შვილის დაბრუნება, ბოლოს კი, იმედი რომ გადაწურვია, აყრილა ესპანეთიდან და რომში გადახვეწილა. აქედან იწყება აბრაჰამ იზნ ეზრას ცხოვრების მეორე პერიოდი, როცა იგი მოგზაურის კვერთხით ხელში დაიარება ევროპისა და ასლთ აღმოსავლეთის გზებზე, აარსებს პოეტურ-ფილოსოფიურ სკოლებს და ესპანეთში აღორძინებული ებრაული ლიტერატურისა და მეცნიერების მონაპოვრებს აცნობს ქვეყნიერებას. მეორე მხრივ, პოეტი ასლთ ურთიერთობას ამყარებს ადგილობრივ კულტურულ ცენტრებთან, ითვისებს და ისისლსორცებს თავისი თანადროული სულიერი ცხოვრების მიღწევებს და საკუთარი ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მეცნიერების სხვადასხვა დარგების განვითარებაში. დიდი ნაწილი იზნ ეზრას სამეცნიერო თხზულებებისა თავისი განმანათლებლური დანიშნულების გამო სახელმძღვანელოთა კვალობაზეა შედგენილი, თუმცა შემდგომი თაობებისათვის მათი მნიშვნელობა ბევრად უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე ამას უბრალო პედაგოგიური მიზნები ითვალისწინებდა. თანამედროვე თუ წინა თაობების მიღწევათა თავმოყრამ, სისტემატიზაციამ და თავისებურმა ინტერპრეტაციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შუა საუკუნეების ებრაული კულტურის განვითარებასა და შემდგომ პოპულარიზაციაში.

თუ თავისი განმანათლებლური მოღვაწეობით იზნ ეზრა სრულყოფდა და ავითარებდა ებრაული მეცნიერების მონაპოვრებს, მისმა ლიტერატურულმა შემოქმედებამ კიდევ უფრო გაამდიდრა შუა საუკუნეების ებრაული პოეზია, ასლთ საფესურზე აიყვანა იმდროინდელი სალექსო კულტურა. იზნ ეზრას თხზულებები მრავალმხრივია. ლექსების ერთ ნაწილში ავტობიოგრაფიული ელემენტებია შემოტანილი, სადაც თვალნათლივ ჩანს კვალი იმ ცხოვრებისეული ტანჯვისა და სიდუსჭირისა, ასეთი მძიმე დიდი რომ დაასვა პოეტის შემოქმედებს, უკიდურესად გაამაფრნა მისი ისედაც ტრაგიკული სულისკვეთება. სშირად გვხვდება სხვადასხვა სახიათის ელეგიაბი, ფილოსოფიური მსჯელობანი, იგრძნობა ნაწარმოებთა ერთგვარად მისტიკური შეფერილობა, თუმცა, ამის პარალელურად, არცთუ იშვიათად მოიძებნება სატრფიალო სიმღერები, გამოცანები, იუ-

მორისტული ლექსები. რელიგიურ-ფილოსოფიურ თხზულებებში პოეტი სშირად სცილდება კანონიკურ ჩარჩოებს და ადამიანის რაობაზე, მის ამქვეყნიურ დანიშნულებას მსჯელობს. ასეთ შემთხვევებში კონფლიქტი რელიგიურ აღმაფრენასა და მორალურ მოთხოვნებს შორის ფილოსოფიურ ასპექტშია გააზრებული, გაცხადებულია პოეტის შინაგანი მრწამსი და ჩამოყალიბებულია მისი ზნეობრივ-ეთიკური იდეალი...

ფასდაუდებელია აბრაჰამ იბნ ეზრას როლი ბიბლიური ეგზეგეტიკის სფეროში. მისი კომენტარები დრმა მეცნიერულ-გრამატიკულ ანალიზს ემყარება და გამოირჩევა ტრადიციული, მასორეთული განმარტებებისა თუ დადგინებების კრიტიკით. პოეტია სშირად არ ეთანხმება იმდროინდელ ავტორიტეტულ გამონათქვამებს და ბიბლიის ამა თუ იმ ადგილის შეფასებისას, არცთუ იშვიათად, წმინდა რაციონალისტურ პოზიციებზე დგას. თუმცა, თავისი ეპოქის შეილს, ჯერ კიდევ უქნელდება თანმიმდევრული იყოს საკუთარ კრიტიკულ გამონათქვამებში, რის გამოც მისი ფსიზელი და მაძიებელი გონება ზოლომდე მაინც არ გამოირცხავს რელიგიური მისტიკის აუცილებლობას. უფრო სშირად კი აბრაჰამ იბნ ეზრას ეგზეგეტიკური გამონათქვამები ორავროგან კონტექსტშია მოქცეული და, თავის მხრივ, შემდგომი კომენტარების მოთხოვნილებას ბადებს. ამან განაპირობა თხზულებების იშვიათი პოპულარობა შუა საუკუნეების თეოლოგიურ წრეებში, თუმცა იბნ ეზრას ზოგი შესედულება უკანასკნელ სანებამდეც ბიბლიის კომენტატორთა გაცხოველებულ კამათსა და აზრთა შესლა-შემოსლას იწვევს. ამასთან, პოეტის ეგზეგეტიკურ თუ გრამატიკულ ნაშრომებში მრავალი საყურადღებო ცნობაა მიმოხეული, რომელთა საშუალებითაც სერსდება ესპანეთის ებრაელთა ინტელექტუალური ცხოვრების მრავალი მნიშვნელოვანი ასპექტის შესწავლა და გააზრება.

საინტერესოა იბნ ეზრას ფილოსოფიური თხზულებებიც, სადაც იგი, ძირითადად, ნეოპლატონიკურ პრინციპებს იზიარებს, თუმცა, ზოგჯერ გაურკვეველი პოზიციაც უჭირავს პლატონისა და არისტოტელეს მიმდევართა პოლემიკაში...

აბრაჰამ იბნ ეზრა იყო უაღრესად განათლებული პიროვნება, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ბევრად განაპირობა იმდროინდელი მეცნიერების სსვადსსვა დარგების განვითარება და მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია შუა საუკუნეების ებრაელთა სულიერ ცხოვრებას. მისმა შემოქმედებამ შემდგომში გზა გაუკვალა ისეთი დიდი მოაზროვნის მოღვაწეობას, როგორც იყო სპინოზა.

გარდაიცვალა რომში 1167 წ.

* * *

რომელთა გასხენან სასმენელნი,
ისმინეთ —
ვითარ უბნობენ ღრუბლებში ზესნი:
ახლოა იგი,
შორია იგი —
ჭეშმარიტების კეთილი თესლი.
ახლოა იგი...
შორია იგი...
უღრეკ ვარ,
უღრეკ —
მოვილტვი მაინც,
მაგრამ შენს მიერ შეცნობილია,
მე ტანჯვით უნდა შევიცნო რაიც.
მაინც მოვდივარ, შუქთა მფინარო,
რა უარეა — ჩრდილში ვინანო...
თვალნი რად მომეც აღსახილველად,
რად შემასმინე,
შემასმინარო!

სიზმრად რად სახე ყოფნა ყოფადის, რად დაგვიმძიმე მოძღვნა
ნობათის,

თუმცა... ვინ ახსნა შენი განგება,
ცნობა ვინ შესძლო
შეუცნობადის!..

ცით გვეზრახები,
გვედაფდაფები,
ხელში გიპყრიეს ცეცხლი მარადი;
შენ ნათელი ხარ,

სულთა ნათელი —

უსხეულო და...

თავისთავადი.

დაბლით მზე გიფენს ცეცხლის ბისონებს:

რა უმჯობეა — შუქში ბრწყინავდე!..

და წამისყოფა გაშორიშორებს

არარაიდან

სრულყოფილამდე.

ჩვენი მეზვრე ხარ,

მეიალადე,

ჩრდილში ღიღინებს შენი გუთანნი...

თესლი მოეც და

წყალზე ალაგე

შენი საყმო და

აღსაყუდარი.

სასო შენ მიეც სასომიხდილებს, შენ წარახდინე ძალი ძლიერთა,
შენგნით აღივსო კალთა ქვეყნისა,

გზა უდაბნოსი განპოხიერდა.

ცის საუფლოში იშვებ მღუმრიად,

ნუვის უფლიედ ახლო ევანოს...

და ვარსკვლავები გარეუვლიან

შენს მოზეიმე სატახტრევანოს.

ვითარ გამშვენებს შუქში მგზავრობა: ცად გაიეღვებს შენი სავსება
და საწუთროის დავლა-მრავლობა

მტვრის უდაბნოებს დაემსგავსება.

სულს აგვიზევებ, მაღლო ღვთისაო,

რომ მარადიულ შუქში გვიზაო...

რა სათვალავით აღირიცხები,

რიცხვო, —

დედაო ურიცხვისაო!

იტყვი —


მზე

ჩავა,

ჩაიქუფრება,

სათავეებად აქცევ ბოლოებს,

მხოლოს მრავლად ხდის შენი უფლება,
მრავალს — დამლის და
დაამხოლოებს.



კვლავ ქმნადობისთვის განემზადები, — ცამან შევება თქვას, მიწამ —
კირთება

და ცისიერი შენი ნათელი

ჩვენს მიწურებში შემობრწყინდება.

ხელში მოსინჯავს საღვთო პინაკებს, წილს განარიგებს

ყოვლის მწირველი

და უღრტვინველად განაწილადებს

თავად ერთი და განუწილველი;

ასეა, ასე: „თვალი თვალის წილ!“ —

უხმოდ განწილავს ზღვას და ფრიალოს,

რომ დაკარგული ჩვენი კავშირი

ისევ შეკრას და

შეამთლიანოს.

მორთავს ფუძე-კარს, მორთავს ერდოებს, ტაბლას მიკუთრებებს

წმინდა მარილით,

სულს დაიხელთებს, დაიკერძობებს

და წარუძღვება წინამძღვარივით...

ამაოების მღალადებელი

სადით სად გინდა, ოცნებაო, ასე მატარო,
ვის გაუქმებულ სამრეკლოებზე

რეკთ, —

მესიტყვენო გულისთქმათანო!..

უამად მთის კალთებს გაზაფხული მოამდებლოებს,
ცაზე მთვარე კრთის —
ღამიეთის უტყვი მთეველი...

მაგრამ... რად აზრობს ქარაშოტი ატმის ღეროებს,
რად იცლებიან სიყვარულის წყალსატევები?

სადით სად გინდა, ცდუნებაო, ასე მატარო,

ვის გაუქმებულ სამრეკლოებზე

რექთ, —

მეჩანგენო გულისთქმათანო!..



...ჩვენ მივსტიროდით დამზრალ წყაროებს, ყრუდ აღიძვროდა
ნისლი ხეობით,

თვალს ვაცილებდით სამაღნაროებს

და უდაბნოსკენ მივირხეოდით.

მივუყვებოდით მღვრიე ტრამალებს, გაღმით გვესმოდა მოთქმა სიონის
და საწუთროით გარე-მავალებს ფრთე მიგვიძლოდა ქერუბიონის.

აღმა ვილტვოდით აღმოსავლამდე, გზა დასავლისა

თვლემდა ჩვეულად,

თხემზე რომ შევდექ, სივრცე დავლანდე

და გამაყრუოლა ანაზღეულად...

მთას შევუყევი, მზემან გამართო,

შენ ციმციმებდი, სხივთა ამართო,

ისევ უგზო ჩნდა ჩვენი მეგზური, ისევ უცხო და

უმისამართო.

აღმა ცა გაკრთა, მთვარე მოვანდა... გარნა ხმა გვესმა:

„ — ჯანლი მიედოს!..“

მთათა თხემს მივწვდით —

არმუროვანთა,

და გადმოვხედეთ სადაღმიეთოს:

დაბლა ცეცხლის წრე მინდვრებს რკალავდა, წყალს ატოკებდა

გუნდი ციაგთა,

მაგრამ... მინელდა ცეცხლი კარავთა

და ქარნიავი ამოწიაქდა.

ბნელში ატირდა მწუხრის მისანი, მერმე ცის კიდეს გრგვინვაც მოესმა
და სახებანი ქვემოთისანი

ზე ამოიხმო უზემოესმა.

ჩქამი ამოხდა, ამოხმეირდა...

შენც აგუგუნდი, ბჭეო კლდოვანო,

ბინდში დავლანდეთ ვანი მღიერთა და უწმინდურთა საკეთროვანო.

უცებ აღიძრა კვამლის რტოები, მაღლა კვესი ჩნდა თვისი

მკვესავით

და მწირი ვინმე, —

უდაბნოელი,

წინ შეგვეყარა მემამბესავით.

„ — სდეგ! — შემოგვძახა, — დღეა რიოში, სიზმრის ბადეს ქსოვს
ბნელში საღათა,

წინ აღმურია საიქიოსი,

სდეგ! —

სასოებით შემოგვღალადა.

არა ვისმინეთ მისი ღალადი, ოდენ ცოდვა გვევა სულთა სიამედ,
ზენა დავთმეთ და ჩვენი ნაქადი

ხმას ქვეშეთისას შევეუხმიანეთ...

ხმა კი კვლავ ხმობდა:

„ — ა მ ა ო ბ ა ! ..

ამაოის ძე დამერეს ამაოდ!..

ეჰა, სად ვალობ, სულო სულისავ, ვის საუფლოში სულთათანაობ!

მღერად რომ ვიჩანს სრბოლა ჟამისა, ბოლოს ქვეყნისას

როგორ ისახავ,

ხატად რა ხატი დავეთავისა, სახედ რა დავშთა ჩასახვისაგან?

ცოდვის ჭურჭელს ჰგავს შენი ქოთანი,

ველარც მძლეს ჰვობობ,

ველარც სნეულებს

და ზნეობანი უაზნოთანი გზიდან გაცდენს და

გაუზნეურებს.

ლტოლვის ცდუნებას ძალი მიანდე,

მართლის გზებს ეძებ, ცრუო ზღაპარო,

რომ მიმწუხრიდან გამთენიანდე სივრცე მოვლო და

მოიმთაბარო...

გარნა ფუჭია შენი მგზავრობა, რადგან დაცლას შობს

ყოვლი სავსება


და შობილების სახემრავლობა ჯერარშობილებს დამესგავსება.

მიწყვი ურცხვი ხარ,

მიწყვი უცები:

ხელში გიპყრიეს ვერცხლის ბლუჯები

და ამათა ამათებას ამათებით ებლაუჭები.



შენდა არ ბჭეობს ბჭენი სასახლის, მცველიც ვერ გიცავს
 კვდომის წუთებს ჰგავს ჟამი ჩასახვის,
 წინსვლა ფუჭია
 უკუსვლასავით...“
 ოქროს საცავით,

ასე გოდებდა ბინდის მეგზური... ჩვენ მივდიოდით
 და შორეული სინათლისაკენ
 ვიწრო ხეობით
 მივირთხმეოდით...
 მივირთხმეოდით...

ქარს გადმოჰქონდა გმინვა ახოთა, ცა აღიძვროდა
 „ — ვის მიელტვითო! — გადმოგვძახოდა —
 ცეცხლის სვეტებით,
 ვის საუფლოში მიეხეტებით!..
 გაღმით ბინდი ხმობს, განუჭვრეტელი, ჰირი გარდმოვალს
 უკვე ახლოა ცოდვის კედელი...
 ჰირთა ზედაო,
 სდეგ, წინამძღვარო მესოფლეთაო!...“

...თითქო არ გვესმა მისი ნაქადი,
 კვლავ სიბნელეში ლტოლვას ვუმატეთ
 და მწუხრეული სულის ლალადი ბნელ სივრცეებში მივაჩუმათეთ...

მალლით შუქი ჩნდა
 შუქში მჩინარის,
 მიფარფატებდა შუქში იმელი,
 უხმოდ დავაგდეთ ზღვარი მდინარის და მოვიძიეთ
 ჭალისპირეთი.
 გაღმით ხმას გვცემდა თეთრი პეპელი, — ჩვენ მიგვიხმობდა
 ჩვენდა მესავით
 და უდაბნოთა მღალადებელი ჩქამს გვადევნებდა მეჩანგესავით.
 ჩქამს გვადევნებდა, მონანაობდა...
 „ — ვის მისძახიო! — ძრწოდნენ ტოტები,—
 ვის მისძახიო! — სულთან დაობდა,
 რა უთავბოლოდ მიებლოტები...“

აღარც წმინდა გწამს,
აღარც რიოში,
უხმოდ მიიკრეფ დაღლილ კიდურებს,
იქით მზე გიძღვის საიქიოსი და უღრტვინველად გაიქითურებს...
გაღმა გადახვალ,
გადაქანდები...
აღმა ილტვი და...
დაღმა მოექცე,
ღამეს ვერ აქრობს შენი კანდელი, დილა ვერ მძლეობს
საღამოეთზე...“

...ყოფად არ ვიღეთ ესე ამბავი, არე-მიდამოს გავცდით მღუმრიად,
თითქო შლეგს უთქვამს სოფლის ანბანი,
ან მოლიზღარებს გაუხუმრიათ...

ისევ მივდევდით ვიწრო ხეობას, გულს ვიოხებდით მინდვრის
ხავერდით,
ხან ვამძუნებდით სისხლის ღრეობას
და ბოროტებას ვაბუღრავებდით...
ბნელში მოსთქვამდა მწუხრის ხიზანი... ჩვენ კი ვერ ვპოვეთ
შეება მცირედი,
ვლახეთ ბილიკნი ჭიუხისანი და მოვიძიეთ
თხემისძირეთი...
გარნა კვლავ მიწყდა ღრუბლის თარეში, ისევ გაბრწყინდა ბაღში
კედარი

და ზეგარდმოულ სინეტარეში
ჩნდნენ საყუდარნი მესაყდრეთანი...
ისევ ამღერდა თეთრი შროშანი, მცველმან ისურვა მტრისგან ვეცავით
და ლანდი იგი,
ტანაზჯროსანი,
კვლავ დაგვადევნა სინათლესავით.
მთებზე ნისლი დგა ზანტი ზმორებით, ნისლში მოსთქვამდა
მწუხრის თამადა:

„ — სდეგ!“ — შემოგვძახა განმეორებით, —
„სდეგ!“ — მერამდენედ შეგვეკამათა...

ჩვენ კი მისი ხმა უკუვებრუნეთ, პირაქეთური ვხადეთ პირიქეთ,
კვლავ მივაქციეთ პირი საბრუვედ
და იქედნურად ჩავიქილიკეთ...

...კვლავ აღიძვროდა კვამლი ხეობით, ისევ მძლედ ვხმოვდით
ცათა მწეობით
და გაღმეეთის სინათლისაკენ
მივიქცეოდით...
მივიქცეოდით...
„ — ხმა აღიმალღე, ჩანგი შემართე!“ —
ყრუდ გუგუნებდა ჰანგი ხმიერის
და მიღმეეთის მისაქცევარზე ხმა მიგვიძლოდა გაღაღმეელის:
— „დაჰკარ ცოდვის ზღვას, ზვირთებს შეები,
ლოცვა მადლად მცხე,
მადლი — მალამოდ,
რომ მოგინიშო სანიშეები ასე უვნოდ და უჭირვარამოდ.
გუთანს კვლავ მივცე ძალი საგუთნო, შენი არის და...“

შენვე გაყუდნო,
თორემ ვიდრე ჰხვალ ასე უმიზნო,
ასე უგზო და უნავსაყუდრო.
მაინც ვიდრე ჰხვალ... დროა, დავანდე, თორემ კვლავ აღსდგეს
ქარი ქარულად

და სათავიდან
შესართავამდე
ცა გადმოინთხეს ნიაღვარულად...
პირმან მწყევრისამ შემოგაწყევლოს,
ელვამ ცისამან სივრცე დახიოს,
საქმეს ნუ იზამ ასე საცრემლოს, ასე სავნოს და
სავაგლახიოს“...

...ვერა გვასმინა თვისი გალობა, ტყვია ვერ სტეხა რკინის სატეხით,
ისევ ვარჩიეთ კიდევანობა
და მთაგრეხილებს გარდავადექით...

ხმა კი კვლავ ხმოვდა:
„ — ბინდი მაშინებს...“



ნეტავ, რად ლამობთ, ცეცხლი წარიღოთ,
 რად მიუყვებით უჩინმაჩინებს ასე უგზოდ და უთადარიგოდ!
 რად წარმიხადეთ ძღვევის ისარი, რად დამიტევით,
 მარქვით — რაისად!

ცამ დაგიმწუხრათ თვალნი მზისანი, ლამემ დაგცათ და
 დაგადაისათ.

გარნა ცოდვის ხმა კარგად გვეცნობა, რა უხანოა თქვენი მგზავრობა,
 თქვენი სიბილწე,
 თქვენი ცვედნობა,
 თქვენი სიძვა თუ მამათმავლობა!

ნასკვით ვერ ნასკვით შეუნასკვავე, მიჯნებს ვერ მისწვდეთ —
 ბევრიც ექანოთ,

ისევ უზღვროდ ჩანს ქვეყნის საზღვარი, კიდევ გაშლილა უკიდევანოდ.
 ვითომ ცას მორთავ,
 მოავგირისტებ?

— გიჯობს მობრუნდე, სულო მცინარო,

ისევ არ წარდგა ფეხი წინისკენ, არც მალემსრბოლი გაიწინარო.
 თორემ ყოველს ჰხდეს გარდასახადი, ვინაც რა ჰხადოს,
 დაშვრეს ამოდ...“

...ბოდვად ჩავთვალეთ მისი ღაღადი
 და შევიქვეცით სამასხაროდ...

უცებ გახევდა მწუხრის თამადა, ზოგმა ისა ვთქვით, ზოგმა ესაო:
 ნეტავ, ვისი ხმა შეეკამათა, ვისი საყმო და სანათესაო?..

გალმა რად მიდგა, რისთვის მიბრუნდა, რას აუწყებდა
 თრთოლვა წიაღთა,

„ — ამოება!“ — წართქვა ჩურჩულით
 და პირისახე აუწყლიანდა.

„ — ამოება!“ — ცრემლით დასძინა,

„ — ამოის ძე დაშვრეს ამოდ!..
 ვაი, სად გალობ, სულო სულისავ, ვის სამკვიდროში სულთათანაობ!..
 დრომან შეგძრა და შეგაბორძიკა? უკვე ჟამია —
 დაცხრე ჩემსავით

და განუტევო სამწყსო ხორცისა თვისი მწყემსით და დასამწყემსავით.
თუმცა... რა მგამა, ღროა დავდუმდე... აბა, რას მარგებს უქმად

გედაო,

სდგე! — მაინც გეტყვი უკანასკნელად,

სდგე, — წინამძღვარო მეჩანგეთაო!

მე იგავებით სმენა გავართე, აწ განმგებელი მოგეთათბიროს!..“
...და ბნელმეტყველის ნაიგავარზე

ანაზღეულად შეკრთა ასპიროზ.

უცებ ცას მოსწყდა ბნელი ისარი, მათათა სასმენელს გრგვინვა მოესმა
და მეკობრენი ქვეშეთისანი

ზე აღიტაცა

უზემოესმა.

ცით გარდმოეშვა ცეცხლის ნაკადი, შავი სანთელი გაკრთა მთიებად,
ძლივს!.. გაგვახსენდა მწირის ღალადი

და შევემზადეთ მონანიებად...

მაგრამ აღმოხდა ჩქამი შავეთით,

ჩვენ, შიშნულნი, ხევში ჩავედით

და ვაძრწუნებდით ერთიმეორეს ქვეყნის კიდით და

შესართავეთით...

„ — იყავნ ნება ღვთის!“ — ვხმობდით გალობით,

შუბლს ვიგრილებდით ნეღლი ალერდით

და მოწამეთა უანგარობით სხივს მეუფისას

ვუთვალთვალეზდით.

ბოლოს ინათა... გაკრთა ვარდეთი... გაღმა ვაფრინეთ

თეთრი ქედანი

და ზეგარდმოულ სილაყვარდეში

ჩნდნენ საუფლონი მეჩანგეთანი.

ამღერდა ჩანგი:

„ — ისევ ცისა ვარ!..“

ბნელს განერიდა სხივთა ამაღა

და ანგელოსმან მეუფისამან

კვლავ სივრცეებში შეიფრთამალა.

ისევ ჩაგვესმა მწირის ღალადი... ჩვენ აღვიჭურვეთ რძით და

ქადებით,

კვლავ ავიკრიფეთ გუდა-ნაბადი

და წასასვლელად შევემზადენით...

* * *

რაიც ყოფილი, თაო ჩემო, იგივე ყოფადი:
— აღარც წარსული,

აღარც აწმყო,
აღარც მყოფადი...

დღემდე ვერ სძლია სინათლემან უსინათლობას,
ვერც ცნობადისამ გადასწონა შეუცნობადი...

.
.

მიჰქრის ნათლის ფრთე, მიიფრთოსნება, ცის უდაბნოში ეტლად
ისახვის

და ემზადება ჩემი ოცნება

ამ
სანეტარო
ზეალსვლისათვის.

დაბლა ვერ ვპოვე ნავსაყუდელი,
ახლა შენ გელტვი, ზესთა საფარო,
უნდა გავლიო ქვეყნის ზღუდენი,

მიჯნებს გავცდე და გავიმთაბარო.

უნდა შეგძრა და შეგაბარბაცო, უნდა მოგიზლო წილი საშენო,
ჩემო ციხევე თუ ჩემო დარბაზო,

ძველის ნაშთო თუ
ახალნაშენო!..

სხივს მივეწევი თვალსაწიერზე, — გულთ აღმებეჭდე, უფლის ბეჭედო,
რომ განვიფინო დისკო მთოვარის

და
ვარსკვლავები
გავიქვეშეთო...

მზის სამოსელი შემომეცრიცა, ფრთე ზუალისა გულზე მესობა,
გარე-მოვლით მწერს სიმრგვლე ეტლისა

და სფეროების პრავალკეცობა.

გზებზე მინელდა ნისლის თარეში,
ციო გარდამოდის გარდმოსადენი

და აღმაფრენის სინეტარეში

წინ მიმიძღვება შენი ნათელი.

წინ მიმიძღვება... ბრუნავს ბოძალი, შვებას რა მომცემს:
შენი ხსენება!
და რაობანი საწუთროსანი

არარაობად მომეჩვენება.

თუმცა ვინ მიხმობს: „ — უკუშომეყვი!..“

ვისი ლანდი მდევს ღრუბლის ფრთესავით,
ვინ მეზრახება — თესლის მომღები

კვლავ შეცვალო უკუშთესავით!..

ვინ მეზრახება... ვზივარ წყლის პირად, ყრუდ ნანაობენ ნელი ჭავლები
და უხილავის თეთრი ეტლებით

ბნელ სანახებში მივემგზავრები.

...კვლავ უდაბნოში ბინდი ისახვის,
გმადლობ, უფალო, აჰა, ესერა:
ჩანს, უნაყოფო ქმედებისათვის

მეც უწინდელთა ხვედრი მეწერა.

ხილვად მეწადა ზესთა კრებული, გარნა შენი გზა ველარ მოვლანდე,
სული კი,
სული, — შეჭირვებული,

რბის გარემოის გარე-მოვლამდე.

გარნა რა ისმის: უსაძრაობა,
იგივ დუმილი ცათა კრებულის...
ვერა, ვერ ავხსენ ბედის რაობა,

არსი ვერ ვცანი

ზეარსებულის.

ბოლოს აქ შევდექე... კარი შევადე,
ცრემლი შევფინე ღრუბლის კარბაზე
და მწუხრეული საგალობლებით ცის ჩრდილოვანში შევიდარბაზე...

აღამ, საღა ხარ!..

ხელმწიფის ვანში მივირწევი ნელი ბარბაცით,
კანკალებს სული — ხორცის ხიზანი:
თუ გამოკრთება სხივი დარბაზით,

თუ მიმიწვევენ დღესასწაულზე მედარბაზენი სასახლისანი?

უკან მომძახის უამთა კრებული...

როგორ წარვუდგე... გაღმით ქარი ქრის, ქარში ქანაობს ლედვის
ფურცელი...

ფერდაკარგული,
გაოგნებული,

ცის ბილიკებზე მივიძურწები.

გარნა რად მზარავს გრგვინვა ღვარცოფის...

სულო ქებულო, სულო შვებულო, რატომ არ ლამობ —
ბინდი შებურო,

სიზმრად რომ გიჩნდა უამი არსობის,
ახლა სად არსობ, არარსებულო!..

ციტ მესიტყვება კოშკი ფრიალო:

„სადით სად მოხვალ, მგზავრო გვიანო!
კიდეს რომ ელტიე შესართავისას, სჯობს სათავეებს
შეეხმიანო“.

შუქში ტივტივებს ზღუდე სამოთხის... აჰა, მზის დისკო მიჯნებს
მიედო,

მეც დავუტევე გზანი გამოღმის
და მოვიხილე სამიღმიეთო.

ვდგავარ მის ზღურბლზე, სხივი მანათებს...

ჰომ, ნათებაო სინათლისაო, ცათუმალღესის ჰანგო ციერო!
რა ვუბასუხო სეფე-პალატებს,

მზეს რანაირად შევეხმიერო?

მძიმედ იღება კარი აღსავლის... ენავ, ცოდვილო, ვისთან ვიენო?

ცა მოციქულებს წარმოაგზავნის,
ვინ დავიგულოთ სამაწვიეროდ?

უკვე ხმა მესმის მოსაუბრისა, ხმა ცისიერი სტოვებს ციერებს
და გამომცდელი თვალი უფლისა

ბაღს დადინჯებით ათვალიერებს:

„— სადაური ხარ, მარქვი, საიდან!..“

ბაგე კრძალვით ხმობს: ჩქამი მესმაო,
ხმამან შემაკრთო აღონაისამ — ასე ტკბილმა და
უამესმაო...

ყრუდ გარდამოდის ცეცხლი ცათაგან, სული უხმოდ გლოვს —
მსჯავრსა მდებენო...

ბაღში ხმა ისმის:

— აღამ, სადა ხარ!

— შიშველ ვარ, ჩემო დამზადებელო!..

აღარც ვარჯი მწადს,

აღარც — ვარსამი,

პირზე ვიხადე ბნელი ჩარსავი,

მკლავი უხმლო მაქვს, ფერხი — უხამლო, წელიც — უცმელ და

მოუგარსავი...

მოვალ შენს კართან,

წყევლას მოვიტან,

ჩემო ოქროვ და ჩემო საფირო,

რომ ანგელოსთა სისათნოვიდან გაღმა გავდგე და გავინაპირო.

ასე მოგელტვი, მაგრამ ამაოდ: ველარც ხიდი ვცან,

ველარც — მეხიდე,

დაბლით გზა დაშთა, მალლით — საბაოთ,

მე —

საფეხურზე გადმოვეკიდე;

გადმოვეკიდე,

გადმოვიკეცე...

ახლა შენ გიხმობ, ზესთა რჩეულო,

რომ სათნოების ნეტარ კიბეზე ისევ ამძრა და ამაზეურო.

კიბე მეორე...

კიბე მესამე...

ვიდრე ცოცხალ ვარ, უნდა ვეწვალო...

— გარნა რას გეტყვის მენათესავე, თესლის მიხრელო და

გადამთესვარო?

მზემ სამოსელი შემოგაფლითა, კაცად აღარ გცნობს შენი

მცნობარი,

ხელში გიპყრიეს კათხა თაფლისა —

უხამნარევი და

ნალენცოფარი.

გზა სიმართლისა გარდაიკეტე, ერთხელ მოხედე წმინდა შენობას,

მაგრამ რას უზამს ერთი სიკეთე

ამ ცოდოების მრავალჯერობას?

ხორცი სავეს გაქვს,

სული — ნაკლული,

დღემდე ვერ განძეხ სოფლის მარლით,

თვალი თვალს ებრძვის ბურუსდაკრული, სულიც კვლავ ომობს

მეომბორივით:

მხოლოდ ერთგზის ხმობ:

„— იყავნ კეთილი!..“

ერთგზის გეტნევა ზესთა გუნდები, —

როს მორჩილივით ხელდაკრეფილი ცის სამსჯავროში

შემობრუნდები“.

ასე მეტყველებს ბაგე უფლისა... მე კი მზეს ვკითხავ — შუქში

მოვანეს:

ცის მგლოვიარე პარაკლისებმა

ვის პალატებში გაიხმოვანეს?

აჰა, ზღუერბლზე ვდექ, ყივის მამალი... გზის გასაყართან

ბრუნვენ ეტლები,

მეც... საწუთროით ზეაღმავალი,

სხივს ზეგარდმოულს გავეყვედრები...

მალლით ცეცხლი ჩნდა:

ღმერთო, დამიცავ! —

ფრთე აღმურისა ღრუბლებს მოედო,

ასე რად მაკრთობ, ეტლო ჟამისავ, წუთებს რად მაცლი,

საწუთროეთო!..

— ნურად ნუ აქნევ ლტოლვას დროისას: უკვე გაბრწყინდა

უფლის სალარო,

თუმცა... რას გვეტყვი საწუთროისას,

მზევ —

ქვეშეთიდან აღმომავალო?

— ძალას მომცემ და... მაინც დამძალავ! —

არსი სოფლისა ასრე შევიცან:

ჩვენო თაფლო და ჩვენო სამსალავ, მზრდელო მადღრის და

დანამშევისავ!

ბედის ბორბალიც ბრუნავს აქამდე:

„— ჟამით გიმტრობ და ჟამად დაგიცავ!..“

„— გნებავს შრიტე და გნებავს — აღანთე,

სდაგე,

მდაგველო დასადავისავ!..“

გული მაინც ხმობს, არა მგამაო, ჩემო მწყემსო თუ ჩემო მსახურო,

გინდაც ძალი მცე, დიდო მამაო,
გინდაც — მავნო და მაჭირნახულო.

ღროს გორგალი ბევრი ვაგორე, მაგრამ ტრედის წილ
დამშთა საქორე,

მეტი რა ვპოვე გარჯის სანაცვლოდ,
რა ოქროები ავიმთაგორე?

— ამაოების ამაოება!
ოდენ მტვერი და...
ოდენ ნაცარი...

დღეისს ვერ ამკობს ძველი ღროება, ფლასად არ მიჩანს
ნაატლასარი.

აღარც ღვაწლი ჩანს,
აღარც — საღვაწი,

ოდენ ცა სახობს ღრუბლის ბლონდებით
და სახებათა მიმოსახვაში ბნელ შენაკადებს ვუახლოვდებით.
ეპა, შენი გზაც უნდა გავწირო, უნდა მივმართო ქვეყნის ბოლოებს,
ჟამმან შეგვეყარა, ჩემო კავშირო,
ჟამივ გავვეყრის და
გავგვამხოლოებს.

მაღე ჩავალ და ცრემლებს ჩავიტან, ქვე ჩამიხმობენ
ღამის ჩრდილები

და საწუთროის სიბეჩავიდან
ბნელ სამკვიდროებს შევეტირები.

სულიც შესტირებს ცეცხლის ნაკადებს — ხმა ღამეული
როგორ ჩაესმა

და სამსჯავროში ამოგლალადებს:
რაღ დამბადაო უზენაესმა!..

ასე მოვდივარ, ეტლო გვიანო, ასე დამძახის კოშკი ფრიალო:
„— კიდეს რომ ელტვი შესართავისას,

სჯობს სათავეებს შეეხმიანო!“

გალმით მომყივის ჟამთა კრებული, ქარში ქანაობს ლეღვის ფურცელი,
ფერდაკარგული,
გაოგნებული,

ცის ბილიკებზე მოვიძურწები.

ხმა მიწიერი შემეზრახება, გარნა არ მესმის ჩემი ძმობილის:

სახედ ვით ესახო ქვეყნის სახება,
ყოფნა ვითა ვთქვა უარყოფილის!..
კვლავ გარდამოდის ცეცხლი ცათაგან, სული ძრწოლვით ხმობს
მსჯავრსა მდებენო,

მადლით ხმა ისმის:

„ — ადამ, სადა ხარ!..“

„ — შიშველ ვარ, შიშველ, დამბადებელო!..“

* * *

ცის გუმბათებზე აღჩნდა ნათელი, „ — დღეო, მოიქეცე! —
გრგვინვენ თაღები,

შენ მზე ხარ,

მზე ხარ, —

ცეცხლად ნაქები,

ცის ბალებიდან გვეზამბახები.

მზეო, მოხედე კალთებს მთებისას, — ისევ უენსკენ რბის ჩემი აზრები,
კედელს აგიგებ სათნოებისას,

ბჭედ შეგიდგები,

შეგეტაძრები.

ჰოე, რჩეულთაგან გამოსარჩევო, ყოვლის არსია შენი არსება,
შუქი მოდგება ზესთა გარშემო,

ცა —

შარავანდით მოიგარსება.

სხივი გადმოვალს,

გადმოგვესობა, —

ისევ ნათელს გვფენს ცათა ღვთაება,

მდაბლად მოუჩანს ზესთა ზესობა

და ყოველივეს ეზესთაება.

მე კი რა ძალმიძს... ოდენ ჩრდილი ვარ, უკვე დავცალე ცოდნის თასები
და ცნობაშმაგი მეზღაპრესავით

ბნელ მოჩვენებებს ვეანდაზები.

უკვე დავცალე ცოდნის თასები...

სულში ჩამიქრა ცეცხლის სიალე,

ხმა გამოვიხმე საწუთროიდან
და სივრცეებში ავამზიანე.
ავამზიანე, შუქი აღმოხდა, ბნელ სამკვიდროებს ცეცხლი მოედო,
ვინ დაგისაზღვრა ზღვარი სინათლის,
ქვეყნის ზღვარო თუ
უსაზღვროეთო!
ვინ დაგისაზღვრა... ისევ ინათებს, კვლავ ამზევდება შენი სახელი,
დიდება შენდა, უცხო ნათელო!—
მეც სიყვარულით შეგეზრახები.
დიდება შენდა! — გეტყვი გალობით — დიდება შენდა,
ცეცხლო დიადო,
დიდება შენდა! —
ნათლის სამანზე
ხმა შეგეყრება საგანთიადო.

...მიწყვიც ასე ვხმობ, თავზე გევლები...
ბნელ ხვეულებში თვლემენ მუხები,
შენ კი მოდიხარ,
მოგაქვს ტევრები,
მემტევნები და მეთავთუხები...

მის ლატირმბა

სტიროლდე, დლეო, მოღვა მწყევარი: ბჭე დიდებისა ქარმან დამიცა,
მზე — წამიერად ანამზევარი,
მზე
ჩაესვენა
აბრაჰამისა!..

მივალ მთის ქიმზე, მივიცრემლები...
მაგრამ ვინ მბორკავს შუალამეში, ვისი ლანდი მდევს, ლანდი მახანებს?..
რას დასტირიან მესაფლავენი
ციხის ნაშთებს და
ნაპარტახლებს:

ცათა მეუფებას ასრე ენება და...
ბროლის სითეთრეში სათმან ისათაო;
სტიროდეთ მშვენებათა,
სტიროდეთ ჩვენებათა,
სტიროდეთ ხსენებათა
კედრონისათაო!..

- კედრონისათაო!..
- კედრონისათაო!..

სტიროდე, დღეო!.. დაჰკნა მტევანი, რტო ვენახისა ქარმან დამიცა,
მზე — სიხარულის თანამღევარი,
მზე
ჩაიშრიტა
აბრაჰამისა!..

ჩაქრა იგი ცეცხლი — ცათა ნაბოძები,
წარხდა რჩეობანი გამოსარჩევისა,
მკლავთა საფარველი,
ტანთა სამოსელი,
გარე-მოსარტყმელი სიმტყიცისა ჩემისა!..

ბელმან მეც დამცა, ზღუდეც დამიცა, ქარმან წარხვეტა ვარდი
ქნობილი,

დედის პირმშო,
ქვი მამისა —
ღვთის სათნოება მხოლოდმობილი.

სიყრმემ სულისამან დამთმო ბერობისას,
მტერმან ჩემი წული
სიკვდილს მიმიცაო...
სტიროდე მსაჯულებას
განუსჯელობისას,
სტიროდე,
მამაო ერთაშვილისაო!..

სტიროდე, დღეო!.. დაჰკნა მტევანი, რტო ვენახისა ქარმან დამიცა,

მზე, — სასოების თანამდევარი,

მზე

ჩაიწურა

აბრაჰამისა!..



ავი ფარსა ჩემსა —

ხრმალთა დამლეწავსა,

რისთვის მეცნო საცნაური, ნიში რატომ მენიშა!..

ხამლი წარმეხადა,

კვართი განმეძარცა,

დაიხსნა გვირგვინი დიდებისა ჩემისა!..

აღარც მანგი კრთის,

აღარც ტოპაზი,

მზის საყუდელნი ქარმან დამიცა

და შემოდგომის უვარდობაში დღე მიიცვალა აბრაჰამისა!..

II

ისევ მივდივარ, ღამეს მივტირი, კვლავ მომძახიან ბნელი ტევრები,
ისევ ყრულ მივდეგ ვიწრო ბილიკებს,

გზის იწროებში მივიცრემლები:

„— ავი შენდა, ჩემო ბოძალო, ველაროდეს გაიფრთოსანო,

ავი, შვილო, — ძღვენო უფლისავ,

ცად აწურვილო მინდვრის შროშანო!

ბევრი ვილმე და ბევრი ვიარე, ვერ მოვიწიე სოფლის სიაშე, —

ვერ შეგანივთე სანათესაოს,

ვერც სათვისტომოს შეგაზიარე.

ვარდით ვერ ვმოსე შენი სავარდე, ვერ მოგისტვალე სიტკბო ნაყოფის,

ნათესავიდან

ნათესავამდე

თესლი ვერ ვთესე იაყაკობის!..

— ი ა ყ ა კ ო ბ ი ს ! ..

— ი ა ყ ა კ ო ბ ი ს ! ..

მალე ჩამიხვევს კალთა ჩეროთა, მერმე ვინ საჯოს საქმე დღეისის, —
მშობელს შევილისა რატომ მჭეროდა,

უხნესს რად მწამდა
უმრწემებისს!..

გაღმა ცის კიდეს მივაჩერდები, გულში გაკრთება ცეცხლის სიძულველი
როგორ დავლაზხ მთათა ფერდები, რა სიმძიმით

გადმოვიარე!..

როგორ დავწყევლე მზე და მთოვარე, ჩრდილში როგორ ვდემ —

შენზედ მგლოვარე

და მწუხრეული სულის ძახილი ბნელ სივრცეებში ავაფრთოვანე!..

ფეხქვეშ მეწვოდა მინდვრის ალერდი, აღარც ვარდი ჩნდა, აღარც
სავარდე

და იწროებში მოგატარებდი

გზის სათავედან

შესართავამდე.

რეკდა ღამეში ჟამთა კრებული, სულსაც სწყუროდა ზესთა მწეობა
და უმწეობით შეიწრებული

შენს ნაკვალევზე მოირწეოდა...

მადლით ცა ხმობდა, ნიში ნიშობდა... მზეს გალეოდა ბრწყინვა
ბისონთა

და ვარსკვლავეთის მელიტანიე

ცის უდაბნოში პარაკლისობდა.

მზე გასცქეროდა ზესთა ცილობას, შორს კიაფობდა ცეცხლი ჭიოტი,
მეც... მოლიზღართა გულარძნილობას

ყრუ სიმძიმით შემოგჩიოდი.

მაგრამ ცა სდუმდა...

სდუმდა საყვირი...

ქალებს არ სძრავდა ქროლვა არავთა,

ბოლოს... აღმოხდა ცეცხლის მახვილი

და ქარნიავიც ამონანავდა.

გაღმით დაიძრა მწუხრის ზეწარი, ცის საკრებულომ კვერი დამიცა:

— ვინ განთესაო დანათესარი


აბრაჰამისა!..

აბრაჰამისა!..

კრემლით ავკრიფე ცივი ბელტები, ცისკენ შევმართე კვერთხი ლიტაო,
„ვის საუფლოში მიიღვენთები,

მკვლელო,

მოკლულო სიკვდილითაო!



მწაღდა სხვა ჩაღბით გამომეჩაღზე, შენ კი... ჩემი ხმა მტვერში გარეი,
 ვისი მეკვლე ხარ,
 ვისი მეჩანგე,
 ვისი მეზვრე და მელიტანიე!..
 აღარც კორდი გშთა,
 აღარც აყალო, —
 თესლი ყოველი გექმნა იავარ...
 სად ჩაგანელა, ნახორშაკალო,
 გეჭენიამან!..
 გეჭენიამან!..

შევდექ მთის ქიმზე, ჭრაჭი ავანთე, გაღმა ვაფრინე თეთრი კიოტი
 და უკუნეთის შესართავამდე ბნელ საწიერებს გადავკიოდი:
 — სტიროდე, დლეო,
 მოღვა მწყვევარი,
 ბჭე დიდებისა ქარმან დამიცა,
 მზე — წამიერად ანამზევარი,
 მზე
 ჩაესვენა
 აბრაჰამისა!..

III

შენ,
 შემოქმედო
 ქმედებათაო, —

მქმნელად რომ გასახავს ყოველი ქმნილება,
 მკრეხელს არ ეთქმის სიტყვა სადაო, ვერც მწვალეზელი
 გაგემხილება.

მხოლოდ შეგტირებს ცრემლი მამისა: — მტერმან ციხის ბჭე
 როგორ დამიცა,

ვით გარდავიდა გარდასავალი
 ა ბ რ ა ჰ ა მ ი ს ა ! ..
 ა ბ რ ა ჰ ა მ ი ს ა ! ..

შენ კი... განარჩიე, მწეო სულისაო,
 გულმან მშობლისამან ვითარ განიცადა...
 ესალბუნე, საცხებელო მესალბუნისაო,

— იორდანისათა!..

— იორდანისათა!..

თორემ მალლით გლოვს ცათა უფლება: ბედმან ძოწის წილ
ფლასით გმოსაო...

კიდევ რა სიტყვით შეგემწუხებრა
ჩემი სამწყსო და საღვთისმოსაო?

— მზეო,
დღეთა მზეო,
მზეო ღამისაო,
გესავ — მისი სული შუქში გამიზაო!..
ავაი, მზეობაო,
ავაი, მძლეობაო,
ავაი, მხნეობაო
აბრაჰამისაო!..

— აბრაჰამისაო!..

— აბრაჰამისაო!..

— ავაი, მზეო, აჰავაიო! — ცას ესიტყვება ჩემი სანთური,
— აჰავაიო! — მოსთქვამს მთოვარე,
ცის ჩრდილოვანით შემოსალტული.
და მეც ჩრდილში ვტირ, ტირის შროშანიც... ბაღს გაჰყურებენ
ბნელი ქოხები,

ცას ვეომები უაბჯროსავით,
შავ ბედისწერას ვეამბოხები.

იქუხე, ზღვაო,
გადმოიღვარე,
ცაო,
გადმოსკდი ცეცხლის სიალედ,
თქვენც გადმოჯარდით, ცათა მნათობნო, გრგვინვით მთა-ბარი
შეაზრიალეთ!

შუქში რომ მესვით ჩემდა საფიცრად, ახლა ჟამია ძრწოლვით აღიძრათ,

სახლი არ მიძეს სამემკვიდრეოდ,

არც სახიზარი დამშთა სახიზრად.

დაბნელდი, მზეო!.. მოდგა მწყევარი, ბჭე დიდებისა ქარმან დამიცა,
ძე — სიხარულის თანამდევარი,

ძე

აღესრულა

აბრაჰამისა!..

მალლით მოსივის ცეცხლის ისარი, თუმცა სად არის დახსნის ნიშანი,
ჯერეთ არ ისმის სულთქმა ვერძისა, რტონი არ ხმობენ

საბეკისანი.

— ს ა ბ ე კ ი ს ა ნ ი ! ..

— ს ა ბ ე კ ი ს ა ნ ი ! ..

უკვე დარეკა უამმა მწუხრისამ, სერზე ჩამოდგა ღამეზნელობა
და განარიგა არსთაგამრიგემ

სიკვდილ-სიცოცხლის ჩუმი სერობა..

მზე ჩაინავლა, ჩაწყდა ვალობა... მეც წარვიხადე ძველი ხამლები
და ბედისწერის ღამეზნელობას

აწ უხამური დავემგზავრები.

მივალ, მივტირი... გრგვინვენ ზარები, ცას ერღვევიან ბნელი ღერძები,
ვთმობ ნათესავთა სამარტვილოებს და სათვისტომოს ვეანდერძები:

სტიროდეთ საღმობათა საწუთროისათა,

სტიროდეთ, მოზარენო,

სტიროდეთ!..

სტიროდე, მზეო, ჩაქრა ტოპაზი,

ბჭე დიდებისა ქარმან დამიცა

და საწუთროულ უდროობაში დრო აღესრულა ა ბ რ ა ჰ ა მ ი ს ა ! ..

იპსუდა ალხარიზი

პოეტი, მეცნიერი, მოგზაური. დაიბადა დაახლოებით 1170 წ.; ცხოვრების პირველი ნახევარი, ძირითადად, პროვანსში გაატარა, სადაც ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდა. უთარგმნია მაიმონიდის არაბულ ენაზე დაწერილი ფილოსოფიური თხზულებები, არისტოტელეს „ეთიკა“ და „პოლიტიკა“, გალენის სამედიცინო ტრაქტატები. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა არაბი პოეტის ალ-ჰარირის მკაცრები, რომელიც პოეტმა ებრაელ წარჩინებულთა დაკვეთით თარგმნა. ეს ლიტერატურული ფორმა, მეტწილად რითმიან პროზაზე რომ არის დაფუძნებული და დრამატული ელემენტების სიჭარბით ერთგვარი თეატრალური ხანასაობის ილუსიასაც კი ქმნის, შემდგომში ფართოდ გავრცელდა ებრაულშიც. იგი გამოყენებულია თვით ალხარიზის მიერაც დიდი მოცულობის კრებულში „თასქემონი“ („შენ მამბრნობ“). პოემა თრმოცდათი თავისაგან შედგება. თითოეული თავი (მაკამა) ერთი დასრულებული ეპიზოდია, რომელსაც შინაარსობრივად თუ კომპოზიციურად არავითარი კავშირი არა აქვს წინა და მომდევნო თავებთან. თხზულების გმირი ხებერ ჰაკენი ჰყვება სხვადასხვა სათავგადასავლო ამბებს, მისი თანამოსაუბრე პემან ჰაუნრახი კი შეკითხვებითა თუ განმეორებებით ექსპრესიულობას ანიჭებს მოყოლილ ეპიზოდებს და ქორთს ერთგვარი ელემენტებიც შემოაქვს ნაწარმოებებში. თხზულება ცხოვრების მრავალ საჭირობოროტო საკითხს ეხება. პერსონაჟები ბჭობენ ღმერთსა და ბუნებაზე, ამქვეყნიურ სიხარულსა და შეჭირვებაზე, საუბრობენ ადამიანურ ურთიერთობებზე, ერთმანეთს უზიარებენ მოგზაურობის შთაბეჭდილებებს... მაკამებში საგანგებოდაა ჩართული ბიბლიური ლექსები, რომელთა ამაღლებული და ზეაწეული სტილი საზვასმულ კონტრასტს ქმნის ნაწარმოებში ასახულ ყოფით ამბებთან და ერთგვარ ირონიულ შეფერილობას ანიჭებს მოვლენებს. სასაცილო და სერიოზული, წარმავალი და მარადიული, პირადული და საზოგადოებრივი ერთმანეთთანაა შერწყმული პოემაში და ერთ მსატერულ მთლიანობად აღიქმება. მე-3 და მე-18 მაკამა ეძღვნება წინამორბედთა თუ თანამედროვეთა პოეტური შემოქმედების მიმოხილვას, სადაც ალხარიზი მთელი ლიტერატურული პერიოდის სრულფასოვან კრიტიკულ სურათს გვაძლევს.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ალხარიზის ლექსები. პოეტი აგრძელებს და ავითარებს თავისი უშუალო წინამორბედების — იბნ გებროლის, ჰალეის, იბნ ეზრას ლიტერატურულ ტრადიციებს, თუმცა სკეპტიკურად უყურებს საკუთარ შემოქმედებას და გულსტიკივლით აღნიშნავს: „ჩვენ ვიმკით მხოლოდ იმ მცირეოდენ მოსავალს, დიდი წინაპრების შემდეგ რომ შემოგვრჩა. ჩვენ ვცდილობთ, ავკრიფთ მათი ნაშუსრვეი. დიდი მორიდებით დავალთ მამათა მიერ გაკეალულ გზაზე, მაგრამ, ყველა ცდის მიუხე-

დავად, ვერ ვაღწევთ სახურველ შედეგებს. ჩვენ ვფიქრობთ, ვთხზავთ, ვეძიებთ, მაგრამ უძღურნი ვართ და უწიფარნი, — ჩვენ ვეძებთ ძლიერ იარაღს, მაგრამ მსოფლიოს თავი მაღგვიძს, რომ სიბრყივეს სმალი ვიქნით“. მიუსედავად ასეთი კრიტიკული დასოკი დებულებისა საკუთარი თავისადმი, ალხარიზი, როგორც პოეტი, შემდეგდროინდელ ლიტერატურულ წყაროებში იბნ გებროლის, იბნ ეზრასა და ჰაღვეის გვერდითაა მოხსენიებული.

გარდა მსატვრული და ფილოსოფიური თსზულებებისა, მის კალამს ეკუთვნის სხვადასხვა ხასიათის სამეცნიერო ტრაქტატები, ებრაული ენის სახელმძღვანელო, ბიბლიის კომენტარები და სხვ.

ალხარიზის გარდაცვალების თარიღი უცნობია.

გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა

დაი ნებისა მომეახლა, მომენებისა,
კვლავ სამიჯნუროდ წარმავლინა ლანდი თბოლი,
საღვთო სანთლებით განმინათლა სახლი შვეებისა,
მზით განმიბანა
სიყვარულის სანთიობონი.

მშვენებას ციურს ესთერ დანებდა, კრძალვით უკუდგა შუქი ნაირი
და აღმოხდომას აგვიანებდა

ა ბ ი გ ა ი ლ ი...

ა ბ ი გ ა ი ლ ი!

აიხსნა რიდე, აღმიტაცა...

ღრუბლებს შევეერთე,
დარობდა დარი — ნანდაურის დარი და დარი,
მზე ბულრაობდა სიყვარულის საკურთხეველზე,
ერკემლებივით როკვიდნენ მთანი...

წარვთქვი:

— უამი ხმობს, დაფარული განგვეცხადება,
გარნა განმიდგა,
მოიბურა პირი მანდილით...

ასე ჩაეშვა მწუხრელი სხივის ნათება,
მზის ბრწყინვალეობა ჩაესვენა შარავანდივით...



სთქვა მემკვიდრემან შელომოსამ

ახლა თქვენ გეტყვით, ნათესავნო ადამისანო:
უკვე მიღმა ხმობს ჩემი მნათობი, სივრცეს მისტირის შუქთა მიღევით...
აწ მოაქციეთ სასმენელნი ჩემდა სასმენად
და ღალადისი სულისაი
შეისმინევით.

ზღვაო, გაიღე შენი მადანი, მზე ალაბრწყინე, ცაო დავსილო,
რომ საუნჯენი გულისთქმათანი
სიბრძნით შევკრა და
შევაკავშირო...

შენც, მეჩანგეო სხვათა დროისავ,
ოდეს მზის ჩანგებს სევდით მოიცავ, —
სცან — სატკივარი ესევითარი სთქვა მემკვიდრემან

შ ე ლ ო მ ო ს ა მ:

გზის დასავალთან დამემგზავრა ჩემი მთიები,
ცრემლით ვიღოდით — გულის ქარგაზე კვლავ სიმძიმელი ამოვიქარგეთ...
მწუხრელი და
სალმობიერი

აწ განშორებას ვიგლოვ, —
ვითარმედ:

სევდა სულისა უწყავია, ცრემლი — უღევი,
ისევ მიწას ველტვი,
რამეთუ მიწისა ვარ,
მკლავმან წარმიღო სასობის სამკლაურები,
მკლავმან —
დიდებისა მისისამან...

გარნა ნუ იტყვიტ — ჭმუნვამ შემიპყრო, ან სიმძიმელი გამიცხოველდა;
მე იგი ვარო —
დაუნჯებით ბრძანებს პოეტი,
ვინც მეყვსეულად შეიმეცნა არსი ყოველთა
და მწვერვალიდან განწონაო საწუთროეთი.

ვინც განკვეთაო კალთა ნისლისა, მზეს აუწყაო ფიქრი წილთა
და ვალმიეთის უდაბნოებში

ცის ვარსკვლავით გადაციაგდა.

მზეს მიელიქნა, მიელაციცა, ქვე დაუტევა მიჯნა ყოველი,
უფლის კართან დგა — მეკვლე კაცისა
და აღონაის თანამდგომელი.

ღეთის სავანეში ღირსად მოვანდა, ყრამამან იტვირთა სიბრძნე
მსცოვანთა

და ლალადისი მლაღადებელთა ცის უდაბნომდე
ამონმოვანდა.

ამონმოვანდა, ამოზეურდა, ცას ამოსტირა ქვეყნის იარა
და საღამოის საუფლოიდან
ხმა სინათლეში შეაფრთიანა.

...ახლაც ყრუდ გალობს ყრმობის სტრიქონებს,
ძველ ნაფუძარებს ცრემლით იგონებს
და მიაცილებს მისი სიმღერა
მზით გაბრწყინებულ ქორონიკონებს.

— ქვეყნის თავო თუ
ქვეყნის კიდეო,

ვერ აღმიდგაო შენი კედელი,
თვალს უკუნეთი უკუვრიდეო და განვჭვრიტეო

განუჭვრეტელი!..

...კვლავ მიაყურებს მიღმა ცხოვრებას, მხნედ შეუყვება სიბრძნის
მწვერვალებს

და გალობათა ფერადოვნებას
ძოწით მორთავს და
მოაფერვალეებს...

ეჭა, ნუ იტყვით — შიშმან დამძლია, ან მწუხარებამ დამითავისა:
კვლა იგი ვარო —
იუწყება ჩანგი პოეტის,
ვინც სიმღერებით შეაჩერა ლტოლვა ჟამისა
და კრეტსაბმელი განჭოლაო საღამოეთის.



...გზას მივყვებოდი ძველი ღროისას დაბადებიდან ვიდრე ნომედი,
ცას დაენათოდი საწუთროისას
და სიყვარულით ვასათნობელი.
ღრო კი რბიოდა: თესდა მთესველი, დამბადებელიც ისევ ბადებდა...
მალლით ბრწყინავდა
ზეგარდმოს უცხო ჩვენება
და მიღმეთის სინათლეში მიფარფატებდა
მზის სინათლიდან განფენილი მშვენიერება...
მიფარფატებდა, მილივლივებდა, ცას მიკვალავდა —
ცისკენ მეოტი,


მეც, სასიმღეროდ თავადერილი,
მის ნაკვალევზე მივირთხმეოდი.
ასე გავცილდი თვალსაწიერებს, ბნელ სივრცეებში ჭრაქი ავანთე
და ვმსახურებდი ცეცხლის მეუფეს
დაბადებიდან
მოაქჟამამდე...

ახლაც მძლედ დგანან ჩემნი ზღუდენი, ვერ გამომტაცა
ჟამმან უტაცი,

აჰა, სახლი და აღსაყუდელი
ი ე ჰ უ დ ა ს ი...
ი ე ჰ უ დ ა ს ი!..
ნებად ცის ნება დამენებისა,
მწედ აღმიჩინა უფლის ორძალი,
ნუგეშინად მიჩნს ძალი მცნებისა — კლდედ შენამტკიცარ-
შენახორცალი.

ნულა, ნუ იტყვით — სევდამ შემიპყრო, ან სიხარული მომენაკლისა:
კვლავ იხმიანებს,
იხმიანებს ჩანგი პოეტის,

რომ მეჩანგემან დაუსაზღვრა ზღვარი ნათლისა
და დაფარული განაცხადა ზეგარდმოეთის.



მაგრამ რა დამშთა: ისევ ობლობა... გზა ქვეყნიური

დაღმა დაქანდა,

არც მდაბიორთა თანამდგომლობა,

არც გამორჩევა

რჩეულთაგანთა...

ველარც ცას ვუმღერ ძველი პატივით,

ნიშად არ მიჩანს მისი ნიშები,

არ ვეფინები ფინანდაზივით, არც ოქროებად ვეზარნიშები.

მზე ჩაინავლა...

ჩაცხრა ღელვანი,

გაღმა გაბრწყინდა უცხო ქვეყანა,

უხმოდ შეტოკდა ჩემი მწვერვალი და უკუნეთში

გადაექანა...

გზის გასაყართან სული ბარბაცებს, აწ მეომარმან ვითლა იომოს? —

ყრულ განვუღექი სეფე-დარბაზებს

და მივაშურე სამდაბიოროს.

აქ დავეყუდე მწირი უღირსი, აქ დავიოკე ჩემი სადავე

და საწუთროის ღელვა-დუღილში

ეს

საფეხურიც

ჩამოვათავე.

გზის იწროებში წავებარბაცე, ყრულ მივაყუდე ჩემი არგანი,

მაგრამ გული გლოვს:

ბედის ქარგაზე

ბევრი რამ დამშთა მოუქარგავი:

ბევრი რამ დამშთა... ვარსკვლავთმრიცხველო, რიცხვით ვერ ვთვალე

რიცხვი ურიცხვის,

დაბა ვერ მივეც მეუღაბნოეს,

ცეცხლი ვერ ვანთე

უცეცხლურისთვის.

ველარც შენ გპოვე, ეტლო დიადო, ვერ მოგაწვდინე ფრთენი
ფრინველის,

ვერ განვანათლე სახვაშიადო,

ხილვა ვერ შევქელ მოუხილველის.

და ჰა, ზღურბლზე ვდექ: დრტვინავს შავეთი,
აღმის შემყურე დაღმა დავედი,
თვლემს ოკეანე უსასრულობის — ყოვლის ბოლო და
შესართავეთი...



იმანუელ რომაელი

იმანუელ რომაელი (პარომი) ერთ-ერთი ორიგინალური და საინტერესო ფიგურაა შუა საუკუნეების ებრაულ ლიტერატურაში. დაიბადა დაახლ. 1270 წ. რომში, მდიდარი არისტოკრატის ოჯახში. მიიღო ბრწყინვალე განათლება. ვარდა ტრადიციული თალმუდისტური მოძღვრებისა, შეისწავლა მედიცინა, ასტრონომია, მათემატიკა, გეცნო ბერძნულ-არაბულ ფილოსოფიას. განსაკუთრებული გავლენა მოახდინა პოეტზე მისმა უფროსმა თანამედროვემ, ებრაელმა ფილოსოფოსმა მაიმონიდმა. გატაცებული იყო კაბალისტით. ასალგაზრდობაში შეუდგენია თეოსოფიური ტრაქტატი, სადაც გაცხადებული ყოფილა ებრაული ანბანის მისტრიკური სიმბოლიკა. სწავლობდა ვერსიფიკაციის კანონებს. ებრაული, არაბული, ლათინური და იტალიური ენების ცოდნის წყალობით ეცნობოდა იუდეური, მუსლიმური და ქრისტიანული პოეზიის მონაპოვრებს. პოეტური ნიჭი სიემაწვილეშივე გამოამჟღავნა. ბრწყინვალე ლექსებით იმთავითვე მოიხვეჭა დიდი პოეტის სახელი და იტალიელი მწერლებისა და მეცნიერების დაფასება დაიმსახურა. დიდი პატივისცემით სარგებლობდა რომის საზოგადოებაში და თვალსაჩინო თანამდებობაც ეკავა. მაგრამ თავისი ეპიგრამებით მაინც მრავალი მტერი გაიჩინა. დაკარგა მთელი ქონება და რომიდან გადაისვენა. სანგრძლივი სეტიალის შემდეგ ჩავიდა ფერმოში და შეეკედლა ერთ მდიდარ მეცენატს, რომელიც მისი პოეზიის დიდი პატივისცემელი იყო. დიდი გავზირებით შეკრიბა და გადაამუშავა თავისი თხზულებები, სოგის თანავეტორად მეცენატი გაისადა. გარდაიცვალა ფერმოში დაახლ. 1330 წ.

იმანუელ რომაელის პოეზიაში მოხდა პარამთიული შერწყმა შუა საუკუნეების ორი დიდი კულტურული სკოლისა: ესპანური პერიოდის არაბულ-ესპანურისა და დანტეს ეპოქის იტალიურისა. ამან, ნაწარმოებთა შინაარსობრივ თავისებურებებთან ერთად, ბევრად განაპირობა მათი ფორმისეული სპეციფიკაც. ასე მაგ., თუ ლექსების ერთი ნაწილი არაბული პოეტიკის კანონებზეა დაფუძნებული, მეორე მხრივ, ძალუმაღ იგრძნობა იტალიური ხალექსო ფორმების გავლენა: კერძოდ, იმანუელ რომაელმა პირველმა შემოიტანა და დაამკვიდრა ებრაულ პოეზიაში სოსეტი. განსაკუთრებული გავლენა მოახდინა პოეტზე მისმა მეგობარმა და თანამედროვემ დანტემ. მაგ., „ფლოზობრივი კომედის“ ერთგვარ ანალოგიას წარმოადგენს მისი პოემა „ჯოჯოხეთი და სამოთხე“. პოეტი ჯოჯოხეთში გზავნის ყველას, ვინც სააქაოში მსოლოდ მიწიერ სიამონებაზე ფიქრობდა და არა თავისი გონების სრულყოფაზე. მაგრამ, დანტესაგან განსხვავებით, სიამონებით უღებს სამოთხის კარს ყველას, იუდეველს, იუდეველს, რომელიც იწამებს ერთი ღმერთი ან სამყაროს პირველმთავს. მეგზურად პოემაში ბრძენი დანიელია გამოყვანილი, რომელიც სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენელთა ურთიერთთანხმობისა და ურთიერთადიარების მქადაგებლად გვევლინება: მთავარია სამართლიანობა და უზენაესის რწმენა!

ამავე დროს, იმანუელ რომაელი, თავისი ეპოქის ერთგული შვილი, ზემოთაღონებულ ლირიკოსი, მიწიერი სიყვარულის აბოლოგეტად იქცა. თუ გონებრივი სრულყოფილ უზენაესთან გვაასლობს, სიყვარული, მისი აზრით, არის „ღერძი, რომლის გარშემოც ზრუნავს მთელი მოძღვრება თორისა“. სიყვარული არ ცნობს არავითარ კანონებს, აშპობს იგი ერთ-ერთ სონეტში, სიყვარული ვერაფერს ხედავს და არაფერი ესმის, მისთვის არ არსებობს ზომიერება. სიყვარული უზენაესი ძალაა, რომელიც თავისი ნებასურვილით არსებობს. „მხოლოდ ამურმა უწყის ჩემი საწაღელი...“ „მე არ მეშინია განკიცხვება, მე არ მრცხვენია ღმერთისა“. პოეტი უმდერის მშვენიერებას, სიყვარულის ყოვლისმძლეობას, ადიდებს ქალის სილამაზის ჯადოსნურ ძალას. იმანუელ რომაელის ლირიკული ლექსების კრებული „მასბაროთ“ შუა საუკუნეების ებრაული და, საერთოდ, ევროპული ლიტერატურის საუკეთესო მძღვევათა რიგს განეკუთვნება. მისი ერთიანი ლექსები ებრაული ლიტერატურის უნიკალური ძეგლებია. მაგრამ სიყვარული წარმაგალია. სული და სორციელი სწრაფვა ვერასოდეს ვერ შეთავსდებიან ერთმანეთთან. დაბრძენებული პოეტი ასეთ ფიქრებს სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს: ღვთის შიში რომ არა, იგი თვითონ გაუსწორებდა ანგარიშს საკუთარ თავს. რაღა აზრი აქვს სიცოცხლეს, როცა გონება დამცირებულია და ქვეყნად მსოლიოდ სიბრყვე და უმეცრება ბატონობს? ტრაგიკული სულისკვეთებითაა გამსჭვალული პოეტის სამელოვიანო ელეგები და საკუთარი ეპიტაფია.

მაგრამ იმანუელ რომაელის პოეზიისათვის ტიპური მინც მსუბუქი, მსიარული, უდარდელი განწყობილებაა. მან პირველმა შემოიტანა ებრაულ ლიტერატურაში ასეთი ლაღი და ჯანსაღი, გადამდები სიცილი. ამის მაგალითები მრავალადაა სხენებულ პოემაში „ჯოჯოსეთი და სამოთხე“. პოეტი დასცინის ყველას და ყველაფერს: მისრწნილ ბერეკაცებს და კოკოზიკა ლამაზმანებს, ხელმოჭვრილ მდიდრებს და უნიჭო მჯღაბნელებს, უსულგულო, პედანტ მეცნიერებს და ამპარტავან თვითმარქეებს. ყველაზე მეტად კი ეცინება მოტყუებულ ქმრებსა და უღამაზო შინაბურებზე („პირისახის სიგონჯე ქალწულობის დარაჯია“... „ჯოჯოსეთი თავისი ცოდევილი ლამაზმანებით ბევრად სჯობს უფერულ და მოსაწყენ სამოთხეს“... და სხე.).

იმანუელ რომაელის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, სხვადასხვა ფილოლოგიური და ეგზეგეტიკური გამოკვლევები, ებრაული გრამატიკის სახელმძღვანელო, ძველი აღთქმის კომენტარები და სხე. თავის ეგზეგეტიკურ გამონათქვამებში იგი, ძირითადად, მიამონიდის ბოზიციებზე დგას, თუმცა ბევრად უფრო მეტ მიდრეკილებას ამქვლენებს მისტიკური ალეგორიისადმი.

მაგრამ მთავარი მინც პოეტის მხატვრული შემოქმედებაა, რომელშიც მან, საღექსო ფორმებისა და ენობრივი სრულყოფის თვალსაზრისით, ბევრად უფრო მაღალ დონეს მიაღწია, ვიდრე მისმა წინამორბედმა არაბულ-ესპანური სკოლის პოეტებმა. მიუხედავად ამისა, იმანუელ რომაელის პოეზია მინც არ იყო პოპულარული შუა საუკუნეების ებრაელთა პურისტულ წრეებში. ამას განაპირობებდა თავისებურება მისი შემოქმედებისა, რომელიც სშირად არ ექვემდებარებოდა იმდროინდელ დაკანონებულ პოეტურ პრინციპებს და, არცთუ იშვიათად, მოასლობული რენესანსის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. როგორც ლირიკოსი, იმანუელ რომაელი წინამორბედია პეტრარკასი, სოლო როგორც სატირიკოსი — ბოკაჩოსი. ამდენად, მისმა შემოქმედებამ სრულიად განსხვავებული გვით წარმართა ებრაული პოეტური აზროვნება და მოაქცია იგი ლიტერატურულ ურითიერთობათა ახალ, ევროპულ წრეში.

ქება სიყვარულისა

მე ესრე ვარქვი:

— რა მშვენიერ ხარ, ამაყო ოფრა!
ვითარ გამშვენებს ყვავილთა ელვა
და სამკაულთა ნაზი იერი,
ბაგეთა შენთა ღვთაებრივ კრთომას ვერ შეაფასებს
ძეხორციელი.

მაფრქვევ შექი ძუძუთა შენთა,
მოვსულვარ შორით, ვითარცა მწერი...
მო, მომეახლე, კეთილო ტრედო, ისმინე ნუკვა
უღირსი მონის
და მოწყალება მოიღე ჩემდა, ულამაზესო ასულთა შორის!

...მე ვუგალობდი, მედიდურად ისმენდა ქალი,
ფეთქდა მტევნებად მკერდი სთვეული,
ის იჯდა, როგორც ამაყი ნიმიფა, მე როგორც ბერი —
ხანმოთეული...

ბოლოს მობრუნდა ამო და ღირსი
და ესრე მამცნო სურვილი თვისი:

— დამითქვამს საზღვრად უმანკო წელი, —
სხეულსა ჩემსა განვიყოფ ორად,
ორთაგან ერთსა აირჩევდეს
გონება შენი.
შენ რომელ გინდის, მეტრფეო ჩემო?
გახსოვდეს ზღვარი, ირჩევდე ერთსა, დასთმე სიხარბე
უგუნურ თვალთა,
ან მღაბალს ჩასწვდი, ამაღლდი ანდა!..

მე მოვუსმინე, შევწუხდი ფრიად,
ვუმზერ ქალწულს და არა ვუწყვი რა,
რა ვამჯობინო, მოვიქცე ვითარ...
ბოლოს კანკალით ვავხსენი ბაგე
და საწყინარი ვაუწყე ესრე:

— სირცხვილ არს შენდა, რამეთუ სცოდე,
გარნა უწყოდე, უღრეკ ვარ ვითარ,
და ესრე გარქმევ:
მო, მოვედ, მნებავს ზემორე ტანი,
ხოლო ქვემორეს არარად ვაქნევ!

...რა დავასრულე, ქედანივით ამღერდა ოფრა,
ამღერდა ოფრა, თავი აიღო, ანაზღეულად აიჭრა ზეზე
და განმიცხადა სათქმელი ესე:

— ვითარ გამოთქვა ბაგემან შენმან უზეშთაესი სურვილი შენი,
ო, მშვენიერ ხარ, მეტრფეო ჩემო!
აჰა, ამღერდა გულისთქმა ჩემი, ბაგე — საზეო სიქველის მჩენი,
ო, მშვენიერ ხარ, მეტრფეო ჩემო!
მუქაფად გიზღო უშრეტი ტრფობა, ხოლო ტარიგად — სხეული ჩემი,
ჰა, განვიძარცვე, მეტრფეო ჩემო!
ზღვარსა და სარტყელს მოვიხსნი წელზე
და ალაღობე გულისთქმა შენი
ორთავ ნაწილზე — ზეზე და ქვეზე,
აჰა, მიიღე სასურველი, მეტრფეო ჩემო!..

...და ოფრა, ოფრა — ამაყი სძალი,
მე კი — მონა და უბირი მწყემსი,
გავერთეთ მუნ და მეტრფემან მისმან ბაგეთა მისთა ბადაგი
შევსვი.

უხვად მოიღო ნექტარი თვისი,
დავშვერ თაფლით და ძუძუთა ალვით
და სურნელოვან ყვავილთა კონა ქალწულ სახეზე მოვწყვიტე
კრძალვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

გვ. 13. **შესაქმე** — მოსეს ხუთწიგნეულის (ძველი აღთქმა) პირველი წიგნის სახელწოდება. საერთოდ: სამყაროს შექმნა, დაბადება.

გვ. 15. **აბელი** — ბიბლიის მიხედვით: ადამისა და ევას უმცროსი ძე, რომელიც ვერაგულად მოჰკლა საკუთარმა ძმამ—კაენმა (შესაქმე, 4, 2—8). აპოკრიფულ ლიტურატიურაში აბელი წარმოდგენილია სამართლიანობისათვის თავდადებულ გმირად, რომელიც მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ წამებულთა სულების წინამძღვარია საიქიოში და, მათთან ერთად, სამართლიანობის აღდგენისაკენ მოუწოდებს არსთაგამრიგეს, რათა კაენის შთამომავლობა აღიხოცოს პირისაგან მიწისა (ენუქის წიგნი⁴). იგი თავად ღმერთმა დასვა მსაჯულის სკამზე, რამეთუ მხოლოდ კაცთაგანმა უნდა საჯოს საქმენი კაცისა, განარჩიოს კეთილი და ბოროტი, ვიდრე არ დადგება უზენაესის გამოცხადების უამი. ტრადიციული თვალსაზრისით, აბელი ციურ საწყისებს განასახიერებს, კაენი კი—მიწიერს. საგულისხმოა, რომ ქრისტიანი თეოლოგები აბელის პიროვნებაში, მის საქმიანობასა და მოწამებრივ სიკვდილში (მწყემსი ცხოვართა, უსამართლოდ მოკვდინებული თავისივე ძმის მიერ) ქრისტეს თავისებურ პირველსახეს, მისი წამების ერთგვარ ანალოგიას ხედავდნენ. ლექსის ცალკეულ პასაჟებში ბიბლიისა თუ აპოკრიფული ლიტურატურული ძეგლების თავისებური გამოძახილი ისმის.

გვ. 16. **გეჰენია** (ებრ. გეჰინამ) — ჯოჯოხეთის ერთ-ერთი სახელწოდება. ამ მნიშვნელობით სიტყვა შედარებით გვიან დამკვიდრდა ებრაულში. თავდაპირველად „გეჰინამ“ კონკრეტულ გეოგრაფიულ ცნებას გულისხმობდა: ასე ეწოდებოდა იერუსალიმის ერთ-ერთ მინდორს, რომელიც ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა. აქ აღმართული ყოფილა მოლოქის უზარმაზარი კერპი, რომელსაც სხვადასხვა დროს თავიანთ პირმშობებს სწირავდნენ ქანაანელი მეფენი და ღიღებულნი („... და აღაშენეს ბომონი... დაწვად ძეთა მათთა და ასულთა მათთა ცეცხლისა მიერ...“ იერემია, 7,31). ბიბლიურ წყაროებში მთელი სიმკაცრითაა დაგმობილი უმსგავსობა ამ წარმართული რიტუალისა, რომელიც, ჩვეულებრივ, მუსიკალური საკრავების თანხლებით ხდებოდა: მეტალის უზარმაზარ კერპს შიგნიდან ახურებდნენ და მის გავარვარებულ ხელებზე სვამდნენ მსხვერპლად შესაწირავ ბავშვებს. მათი კივილი დაფდაფების ხმაში ინთქმებოდა. მართალია, მოსეს საჯული სასტიკად აღუდგა წინ მსგავსი ტრადიციის ებრაელებში გადმონერგვას (ლევიტელთა, 18,21), მაგრამ გეჰინამის საშინელებანი მაინც დიდხანს შემორჩა ხალხის მეხსიერებას და თანდათანობით ჯოჯოხეთის სინონიმად იქცა.

იქცევისი — მბრუნავი (საბა). იგულისხმება მახვილი იქცევისი, სამოთხის კართან რომ „დაადგინა“ ღმერთმა ადამისა და ევას გამოძეგების შემდეგ (შესაქმე, 3,24).

საბაოთ (ებრ. ცეზაოთ — „მხედრობა“) — ღმერთის ერთ-ერთი ძირითადი ეპითეტი, რომელიც თავდაპირველად კონკრეტულ ლაშქარს გულისხმობდა, მაგრამ

მოგვიანებით უფრო ფართო მნიშვნელობა მიიღო და ზეციური მხედრონის (ანგელო-
სები, მნათობები...) გაგებით იხმარებოდა (მაგ. აღონი ცეზაით — „უფალი მხედ-
რობათა“ და სხვ.).

გვ. 17. „**იოსებისადმი**“ — იოსებ იბნ-ნაგდელა (1031—1066): შემუშალა ჰა-
ნაგიდის ვაჟი, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. ცხოვრობდა გრენადაში, სა-
დაც მამის გარდაცვალების შემდეგ (1055 წ.) ევზირის თანამდებობა მიიღო; მაგრამ
მისი პოლიტიკური კარიერა ტრაგიკულად დასრულდა: 1066 წელს სიცოცხლეს გამოა-
სალმეს რელიგიური ფანატიზმით გაბოროტებულმა ბერბერებმა. შემუშალა ჰანაგიდის
ლექსი დათარიღებულია 1042 წლით, როცა გრენადის ჯარებმა, მისი წინამძღოლობით,
გაარღვიეს ლორკას ალყა და გამარჯვებას მიაღწიეს. იოსები მაშინ 11 წლისა იყო.

აღონი (ებრ.: უფალი ჩემი, ბატონი ჩემი) — ღმერთის ერთ-ერთი ებრაული
სახელწოდება. ტრადიციულად, ასე იცითება ოთხი ებრაული ასოსაგან შემდგა-
რი სიტყვა „აჰვჰ“ — დაფარული სახელი უფლისა (ე. წ. „ტეტრაგრაამატონი“), რომ-
ლითაც ძველი აღთქმის ღმერთი პირველად გამოეცხადა მოსეს: „მე ვარ, რომელი ვარ...
ესე არს სახელი ჩემი საუკუნოა“ (გამოსვლათა, 3, 14, 15).

„**ხმა შესიტყვება აღონისი, თუ ანგელოსი მესიმღერება**“ — იუდეველთა თვალ-
საზრისით, უფლის ყოველი ნება მისაგე რომელიმე სახელშია განცხადებული. ხში-
რად ღვთაებრივი ნების გამოვლენა ანგელოსებს აქვთ დაკისრებული: „და ესერა
მე წარვევლინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა... და ისმინე მისი... რამეთუ სახელი ჩე-
მი არს მას ზედა“ (გამოსვლათა, 23, 20, 21).

გვ. 20. „**და ხამლიანი უხამლოსავით**“ — ებრაული ტრადიციით, უხამლოდ, ფეხ-
შიშველი ყოფნა, თუ ეს რელიგიური მოსაზრებით ან რაიმე საგანგებო შემთხვევით
(მაგ. ახლობლის გარდაცვალება) არ იყო გამოწვეული, სიღარიბის ნიშნად ითვლებოდა.
ხამლის წარხდა დიდი შეურაცხყოფა იყო. შდრ: „...და წარხალს ხამლი ფერხისა მისი-
სა და ნერწყოს პირსა მისსა... და ექრქვას მას სახელი ისრაელსა შორის: სახლი ხამლთა
წარხნდილსა“ (II სჯულისა, 25, 9, 10).

ბომონი (ებრ. ბამა) — სვეტი კერბთა აღსამართავი, ანუ ტაძარი მათი (ნ. ჩუბინ.).
„გუ ლ ბ ო რ გ ნ ე უ ლ მ ა ნ მ ო ვ ა რ დ ვ ი ე მ ა თ ი ბ ო მ ო ნ ი“ — პოეტური ვარიაცია
ძველი აღთქმის წიგნებში აღწერილი ბრძოლებისა, მონოთეისტი ებრაელები რომ ეწეო-
დნენ კერბთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ. შდრ: „მეცა ვიდოდე თქვენთანა გულის
წყრომითა... და ოხერ ვყო ბომონნი თქვენნი“ (ლევიტელთა, 26, 28, 29).

გვ. 21. **ოქროს ლატანი** — სიმბოლ. იგულისხმება „აღსაღებლნი ძელნი უღბოლ-
ველნი, შემოსილნი ოქროითა წმიდითა“ (გამოსვლათა, 25, 13).

გვ. 23. „**მკლავზე ინიშნე ესე ნიშანი და სამკლაურად იავგაროზე**“ — პოეტური
პარაფრაზი იუდეველთა მონოთეისტური დოქტრინისა („გესმოდინ ისრაელსა, უფალი,
ღმერთი ჩვენი, მხოლოდ უფალი არს“), რომლის დაცვაც ყოველ ებრაელს ვევალებოდა:
„ესე შეიბ სასწაულად ხელსა შენსა და იყენედ ეგე მოუშორებლად წინაშე თვალთა
შენთა“ (II სჯულისა, 6, 4, 8).

გვ. 24. **მალახ-მავეთი** (ებრ. მალახ-ჰა-მავეთ) — სიკვდილის ანგელოზი.

გვ. 28. „**სახეც კვლავ სახობს სახიერისა, ასე უხვი და მრავალსახური**“ — შუა
საუკუნეების ებრაელ ფილოსოფოსთა ერთი ნაწილი დაბეჭივებით ცდილობდა, სამყა-
როს პირველმიზნის პანთეისტური გაგება ორთოდოქსალური იუდაიზმის მონოთეის-
ტურ დოქტრინასთან შეეთავსებინა (თუმცა ღმერთის არსება მრავალგვარი ფორმით
ვლინდება ბუნებაში, იგი მაინც ერთია და განუყოფელი...). ასეთი გაორებული თვალ-

საზრისი შეესაბამებოდა იუდაიზმის სასიცოცხლო ინტერესებს და ყოველდღიურ პრაქტიკულ ყოფასთან მისი მორიგების გარკვეულ წინაპირობას ქმნიდა.

გვ. 33. „უხნესს რა გადრო მე, უმრწემსმა“ — ელეგიებში შემუშეულ დასტორის თავის უფროს ძმას — ისაკს.

გვ. 34. „რტოი პალმისა რატომ გავახმე“ — პალმის (ფინიკის) რტო ძველთაგანვე ძღვევისა და გამარჯვების სიმბოლო იყო და სიხარულსა და სადღესასწაულო განწყობილებას გამოხატავდა (ლევიტელთა, 23, 38; II მაკაბელთა, 14, 4; იოანე 12, 13, და სხვ.).

გვ. 36. შეოლი (ებრ. შეუცნობელი ჭურღმული) — საიქიო. „შენ ეცი შეიხუ რკარი შეოლი“ — ძველებრავლთა წარმოდგენით, შეოლი დასავლეთის შორეულ ნაპირებზეა, ზღვასთან ახლოს, სადაც მარადიული წყვდიადი მეთუფობს. იგი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან თითოეულს თავისი კარი და ურდულები აქვს.

„სულს დაირწყულებ საღვთო წყაროზე“ — აბოკრიფების მიხედვით, შეოლის ერთი ნახევარი უცოდველი სულებისათვის არის განკუთვნილი. აქ მარადიული სინათლეა და მაცოცხლებელი წყარო ჩუხჩუხებს.

„წინ წარგიძღვება უფლის მემინდვრე, მისი მეზვრე და მესანდალოზე“ — იუდეველთა რწმენით, კეთილშოსავი ადამიანის სულს საიქიოს კართან ანგელოსთა დასი ეგებებოდა. ისინი მოემსახურებოდნენ მას, საზეიმოდ შემოსავდნენ და მიაცილებდნენ მისთვის განკუთვნილ ადგილზე, სადაც სხვადასხვა ხეების საამო სურნელი იდგა.

გვ. 37. „ჟამი ტყებისა“ — ჟამი გლოვისა (ტყევა — მოთქმა თავპირში ხელეების ცემით, გოდება, ტირილი). შდრ: „ჟამი არს ტყებისი და ჟამი როკვისი“ (ეკლესიასტე, 3, 4). ჰანავიდის ელევიაში გლოვის ჟამად იგულისხმება 7 დღე მიცვალებულის დამარხვიდან, როცა ქირისუფალს გარეთ გამოსვლა ეკრძალებოდა.

გვ. 38. „ბჰე სიცოცხლისა რისთვის შერაზე“ — შდრ: „და მიეახლნეს ბჰეთა სიკვდილისათა“ (ფსალმუნნი, 106, 18*).

გვ. 44. „მშემან ვერ მოსცეს ბრწყინვალება შარავანდული, ვერცა მოიღოს მთოვრემან თვისი ნათელი“ — შდრ: „და ყოველმან სამკაულმან ცისამან არ მოსცენ ნათელი მათი და დაბნულდეს მზისა აღმომავლისა და მთოვარემან არ მოსცეს ნათელი თვისი“ (ესაია, 13, 10) და სხვ.

გვ. 45. „მე კვლავ ვენახს ვსლავ, ვენახს ვაშენებ“ — შდრ: „და დაუტევე ვენახი ჩემი, და არა მოისხლას...“ (ესაია 6, 6). ვენახი, ვაზი, ებრაულ ლიტერატურულ ძეგლებში მრავალგვარ კონტრასტშია მოხსენიებული. უმეტესწილად, იგი ებრაელი ხალხის სიმბოლური გამოხატულებაა: „რამეთუ ვენახი უფლისა საბაოთისი სახლი ისრაელისა არს...“ (ესაია, 5, 7).

გვ. 46. „სული გარდმოვალს სულთა ზედაო“ — შდრ: „და მოვიდა ჩემ ზედა სული და აღმიღო მე და აღმადგინა მე...“ (ეზეკიელი 2, 2) და სხვ.

„სჯი უკეთურთა განუსჯელობას და ანგელოზებს ეტრაპეუები“ — საზიარო ტრაპეზი, თანამეინახობა, ითავიფე მტკიცე მეგობრობისა და ურთიერთთანსწორობის რიტუალური გამოხატულება იყო. კეთილშოსავი ადამიანის ზეცად ამაღლება და უფლის მიერ მისი ანგელოსად გარდასახვა კი ებრაული ლიტერატურის ერთერთი გავრცელებული თემაა. მაგ., ილია წინასწარმეტყველი ცეცხლის ეტლით აიჭრა ცისკენ და ანგელოსებთან დაისადგურა. მსგავსი ამბავია მოთხრობილი „ენუქის წიგნშიც“:

* ფსალმუნთა სტრიქონები დამოწმებულია ქართული თანმიმდევრობით. ფსალმუნნი, 1960.

ანგელოსად გარდასახული ენუქი უფლის ტახტს ემსახურება და თავისი ცოდვილი თანამედროვეების უკეთურ საქმეებზე მოუთხრობს არსთავამრიგეს.

გვ. 51. „სხვას მოუწიე სავენახენი, შენი ვენახი ველარ დაიცივე“ — შდრ. „ღამაღინეს მე მცველად ვენახთა შინა, სავენახე ჩემი აღარ დავიცივე“ (ქებათა-ქება, 1, 6).

გვ. 52. „თვალნი შენი ტრედისანი“ (ქებათა-ქება, 1, 15*)—საზოგადოდ, მტრები ხშირად იხსენიება შუა საუკუნეების ებრაულ პოეზიაში. უმეტესად იგი ებრაელი ხალხის სიმბოლოა. წინამდებარე ლექსში ჩანს ერთგვარი ანარეკლი „ქებათა-ქების“ ალეგორიული გააზრებისა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობას უფრო გულისხმობს, თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, შესაძლოა, ხორცისა და სულის ურთიერთმიმართებაზეც მიანიშნებდეს.

გვ. 55. რაბი შაი, შაი-გაონი (939—1038) — დიდი ებრაელი განმანათლებელი, მწერალი, მრავალი სამეცნიერო თხზულების ავტორი, უკანასკნელი წინამძღვარი („გაონი“) პუმბედიტის (ბაბილონი) აკადემიისა, რომელიც, თავისი დანიშნულებითა და ორგანიზაციული სტრუქტურით, ძველი სინედრიონის ერთგვარ ანალოგიას წარმოადგენდა და, სურის აკადემიასთან ერთად, იმჟამინდელი კულტურული სამყაროს მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. ესპანეთის ებრაელობა ცდილობდა მჭიდრო კავშირურობას შაი-გაონის აკადემიებთან და საუკუნეების მანძილზე მრავალგვარ შეწირულობას გზავნიდა ხელმოკლე მეცნიერების დასახმარებლად, რის საფასურადაც ღებულობდა განმარტებებსა და კონსულტაციებს სხვადასხვა რელიგიურ თუ იურიდიულ საკითხებში. შაი-გაონის სიკვდილის შემდეგ ბაბილონის აკადემიები დაიხურა, რამაც ებრაული სამყაროს საყოველთაო გლოვა და სინანული გამოიწვია. ამაზე მეტყველებს შელომო იბნ გებიროლისა და შემუშვლ შანავიდის ჩვენამდე მოღწეული რამდენიმე ელგეია.

„სრა-სასახლენი გაგვიპარტახდა“ — გადმოცემით, შაი-გაონის საგვარეულო დავითის სამეფო სახლიდან იღებდა დასაბამს.

გვ. 60. „შობრუნდი, სულო, დაობლებულო, შენს სამკვიდროში დაებინადრე“ — შდრ. „მოიქეც, სულო ჩემო, განსასუენებელად შენდა“ (ფსალმუნნი, 114, 7).

„ღამბაღებელმან თავისავე ხატად მოვიცა“ — მინიშნება ადამიანის შექმნის ბიბლიურ თქმულებაზე: „და შექმნა ღმერთმან კაცი, ხატად თვისად შექმნა იგი“ (შესაქმე, 1, 27).

„გარესამოსად შემოგახსნა ბნელი ჭურჭელი“ — პოეტური ანარეკლი სხვადასხვა თეოსოფიურ თხზულებებში გამოთქმული თვალსაზრისისა. შდრ. „ზოპარი“, სადაც სულისა და სხეულის ურთიერთობა ანთებულ ლამპართანაა შედარებული: რაც უფრო მალა ადის ალი, მით უფრო თეთრია და გამჭვირვალე, და პირიქით, რაც უფრო უახლოვდება თავის მატერიალურ-საგნობრივ გარემოს (საწვავი ნივთიერება), მით უფრო მღვრიე ჩანს და გაუმჭვირვალე. ამდენად, მატერია, სხეული მისთვის ბნელი გარესამოსი ხდება.

„და განგარიდა კაეშანი უსაგნობისა“ — ერთგვარი გამოძახილი საადია-გაონის (ებრაელი ფილოსოფოსი, 893—942 წწ.) თეოსოფიური კონცეფციისა, რომლის ვარიაციები ხშირად გვხვდება კაბალისტურ თხზულებებშიც: ისევე, როგორც ცეცხლს სჭირდება საწვავი თავისი რაობის გამოსამქლავნებლად, სულიც, როგორც ყველაფერი ღვთის მიერ გაჩენილი, შუამავალს საჭიროებს, რათა შეიძინოს ქმედების უნარი. სწო-

* „ქებათა-ქების“ სტრიქონები, რამდენიმე გამოცემის გარდა (1, 5; 6, 10; 8, 1), ზ. კიკნაძის თარგმანის მიხედვითაა დამოწმებული. არმაღანი, 1965.

რედ ასეთი შუამავლის როლს ასრულებს სხეული, რომლის წყალობითაც სული მოქმედებს ნებისაებრ უფლისა.

„რომ სიყვარული ზეგარდმოელის შენს დაბადებას გარემოსავდა“ — შდრ. კება-ლისტურ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისი: ადამიანის სული ცას ეკუთვნის, სხეული კი მიწას. თავისი სიყვარულით უფლისადმი ადამიანი ცას და მიწას აკავშირებს ერთმანეთთან, რამეთუ სიყვარული მის ღმერთთან აერთებს. კაცის დაბადებაც ორი საწყისის — მიწერიისა და ზეცურის ურთიერთშერწყმება.

გვ. 61. **„იეკუთიელის დატირება“** — იეკუთიელ ბენ ისააკ იბნ ჰასან (XI საუკ.) : საზოგადო მცენიერი და საზოგადო მოღვაწე, ცნობილი მეცენატი. თვალსაჩინო თანამდებობა ეკავა ემირის კარზე და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა, მაგრამ 1039 წელს პოლიტიკური ინტრიგის მსხვერპლი გახდა. გებრიოლმა რამდენიმე ელევით დაიტირა თავისი მეგობარი და მფარველი.

გვ. 69. **„ალამი მათი ჩვენსა ზედა — სიყვარული“** — ქებათა-ქება, 2, 4.

„დელის შროშანი“, შროშანი (ქებათა-ქება, 2, 1, 2, 16; 4, 5; 6, 2, 3; 7, 3) — ტრადიციულად, შროშანი, როგორც ებრაელი ერის სიმბოლო. ხშირად იხსენიებოდა სხვადასხვა ხასიათის რელიგიურ თუ საერო დანიშნულების ტექსტებში.

სები, სებია (ებრ.: ცეზი, ცებია*) — სიტყვასიტყვით: ქურციკი, ნიამორი. „ქებათა-ქებაში“ იგი რამდენჯერმე არის ნახსენები. მისი სახელი (სებია), რომელიც ძველთაგანვე რქმევით ისრაელის ასულებს, ებრაულ და, საზოგადოდ, აღმოსავლურ ლიტერატურაში იმთავითვე სილაპაჰისა და მოხდენილობის სიმბოლოდ ითვლებოდა და შეყვარებულთა წმიდათა-წმიდა საფიცარი იყო (შდრ: „გაფიცებთ თქვენ, ასულნი იერუსალემისა, ველის ნიამორებს და ირმებს გაფიცებთ“ — ქებათა-ქება, 2, 7; 3, 5). შუა საუკუნეების ებრაულ პოეზიაში სებია მ აღეგორიულ მნიშვნელობა მიიღო და, უმეტესად, დაკარგული იდეალის სიშორეს, მის გარდასულ დიდებასა და მშვენიერებას განასახიერებს. დითქმის ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე „ოფრას“ სმარების შემთხვევაშიც („ოფრ“, „ოფრა“ ებრაულად ნიამორს ნიშნავს).

გვ. 72. **ქანანი** — პალესტინის ძველი სახელწოდება, „ქვეყანა რძისა და თაფლისა“, სადაც დამკვიდრება აღუთქვა ძველი აღთქმის ღმერთმა ეგვიპტიდან ლტოლვილ ისრაილიტლებს (გამოსვლათა, 3, 8).

„არ განმიღვიძოთ სიყვარული ამდილანდელი“ — შდრ. ქებათა-ქება, 2, 7; 3, 5; 8, 4: „არ გააღვიძოთ, არ აღძრათ სიყვარული“.

გვ. 73. **„კვლავ სიყვარულის მწყემსი იქნები, მზეს უმღერებენ შენი თიკნები“** — შდრ: „დამწყეს თიკნები შენი მახლობლად მწყემსთა კარგებისა“ (ქებათა-ქება, 1, 8). ლექსებში სებიას სიმბოლური მნიშვნელობა ხშირად სულამითის აღეგორიულ გააზრებას უკავშირდება.

გვ. 74. **„და საკრავით ამამღერე კვლავინდებურად“** — პოეტური გამოძახილი ებრაულ რელიგიურ ფილოსოფიაში გამოთქმული თვალსაზრისისა. მაგ. ფილონ აღექსანდრიელის (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე) თეოსოფიურ ნააზრევში მინიშნებულა ის გზები, რომლითაც ყოველ მორწმუნე ებრაელს შეუძლია ამაღლდეს თავის თავზე, შეიძინოს წინასწარმეტყველების უნარი

* ტრადიციის კვალობაზე (მაგ. ცებოთ — სებოთ, საბოთ), ებრაული „ცებია“ ქართულში „სებია“ ფორმით გადმოვიტანე. საგულისხმოა, რომ ქართველი ებრაელებიც ებრაულ „ც“ ბერას „ს“-დ კითხულობენ.

და, ამდენად, შემეცნების უმარტეს საფეხურს მიადწიოს. მისი გონება ღვთაებრივ ნათელში ინთქმება და სულიწმიდა (როუხ ჰა-კოდეშ) გარდამოდის მასზე, რომელიც წარმართავს ადამიანის ყოველ მოძრაობას, როგორც მუტირები მუსიკალური საკრავის უღერადობას.

გვ. 78. „მარჯვენან ღვინო გასმიოს, მარცხენი მოგხვეოდეს ჩემი“ — შდრ. ქებათა-ქება, 8, 3; „მარცხენა მისი იქნებოდა თავსა ჩემსა ქვეშე, მარჯვენა მომხვეოდა მისი“.

გვ. 80. „ბაღი განძარცულა, წყარო დაბეჭდულა“ — შდრ. ქებათა-ქება, 4, 12; „ბაღი ხარ დახშული, სძალო, დაო ჩემო, ჰა დაგმანული, წყარო დაბეჭდული“.

გვ. 81. „ნაყოფი იტკბო ჩემსა სასამან“ — ქებათა-ქება, 2, 3.

გვ. 85. „და შემეყენა სიბრძნის ჰალაკებს მწირი უგზო და უმისამართო“ — ცა-ში აკრა, ანგელოსებთან ერთად იღუმალ სფეროებში მოგზაურობა, ღვთაებრივ სიბრძნეში გათვითცნობიერება და მსგავსი ელემენტები შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის ნიშანდობლივი მოვლენაა. ასეთი ირეალური წარმოსახვები, უმეტესწილად, ბიბლიურ წინასწარმეტყველთა აპოკალიფსურ წარმოდგენებზეა დაფუძნებული და, როგორც წესი, ანგელოლოგიური ელემენტების სიჭარბით გამოირჩევა. შდრ. მთავ., ეზეკიელი, თ. I, II, III, IV და სხვ.

„... და წუთისოფლის გასაყართან გვეორკეცება“ — ებრაელ ფილოსოფოსთა ერთი ნაწილი ადამიანის ინტელექტუალურ ცხოვრებას სულთან აკავშირებდა, რომლის მასაზრდოებლადაც მსოფლიო სული — ღვთაებრივი სიბრძნე იყო მიჩნეული: სული ნათდება, როცა თავის პირველსაწყისს უბრუნდება; შესაბამისად, მატულობს სიბრძნისმიერი ნათელიც.

გვ. 86. „რომ ერთსახებად განსახიერდეს ყოვლი სახე და წარმოსახვანი“ — შდრ. „ზოპარში“ გამოთქმული თვალსაზრისი: ღმერთის უნაგარო სიყვარული, სურვილი მასთან შერწყმისა და შეზავებისა, ზნეობრივი სრულყოფილების საფუძველია, რაც, თავის მხრივ, საწინდარია სამყაროული ჰარმონიისა. ასე რომ, ადამიანის ყოველი მოქმედება, მისი ესა თუ ის საქციელი, მეტ-ნაკლებად განსაზღვრავს საყოველთაო პროცესების მიმდინარეობას. ზნეობრივი სრულფასოვნების შედეგად, ზეგარდმოული, ე. წ. შუამავალი ძალები („სეფიროთ“) თავიანთ პირველმიზეზში შენივთდებიან, ადამიანი კი ისეთ საფეხურამდე მადლდება, სადაც ერთია ყველა და ყოველი.

ქერობინი, ქერუბიმი — ებრაული მითოლოგიით: ანგელოსი, რომელსაც გამორჩეული ადგილი უჭირავს ციურ ძალთა იერარქიაში. სხვადასხვა ლიტერატურული ძეგლების მიხედვით, ღმერთი ქერუბიმზე ზის და ისე დაფრინავს („ახლა ქერობინთა ზედა და აფრინდა“ — ფსალმუნნი, 17, 11; „უფალო საბაოთ, ღმერთო ისრაელისაო, მჯდომარეო ქერუბიმთა ზედა“ — ესაია, 37, 16 და სხვ.). ქერუბიმი მეექვსე და მეშვიდე ცის მიჯნაზეა, უფლის ტახტის კვარცხლბეკთან, და ფენიქსთან და ექვსფრთიან სერაფიმთან ერთად უფალობს არსთაგამრიგებს. ძველი აღთქმის წიგნებში ქერუბიმი არაერთგზის არის მოხსენიებული, რამაც ბიძგი მისცა ბიბლიის კომენტატორებს, მრავალმხრივ გაეაზრებინათ მის სახელთან დაკავშირებული სიმბოლიკა.

გვ. 89. „ვენახს ვერ მოსცემ, ნავენახარო, თუ ხელმეორედ დავენახდები?“ — შდრ. „ხოლო მე დაგნერგე შენ ვენახი ნაყოფის გამომღებელი, ყოვლად ჰემმარტი, ვითარ გარდაიქმეც სიმწარედ ვენახი უტხო...“ (იერემია, 2, 21). იხ. 44 გვ.-ის შენიშვნა.

გვ. 90. „ამა, ლოცვად ვდებ, ხაშლი ვიძარცე“ — ძველებრაული წესით, მოლოცველს

ტაძრის შესასვლელთან ფეხსაცემი უნდა გაეხადა. შდრ: „წარიხადენ ხამლნი ფერხთა-
გან შენთა, რამეთუ ადგილი ეგე... წმიდა არს“ (გამოსვლათა, 3, 5).

„ისევ შევდგები სჯულის ფიცარზე“ — ფიცარნი სჯულისანი: ქვის
ფიქალნი, ღვთისა მიერ მოცემულნი მოსესადმი, რომელთა ზედაცა დაწერილ იქნეს
10 მცნებანი (6. ჩუბინ).

უამი როკვისა — იხ. 37 გვ.-ის შენიშვნა.

გვ. 91. „ცრემლად იცლება ვაჟის მტევანი“ — შდრ: „იგლოოს ღვინომან, იგლო-
ვოს ვენანმან...“ (ესაია, 24, 7).

გვ. 92. ისევ ყრუდ ელტვის სული ჩრდილოეთს“ — ძველებრაელთა რწმენით, მე-
სია ჩრდილოეთიდან მოველინებოდა ქვეყნიერებას. ლექსის ცალკეულ სტრიქონებში
ჩანს შორეული ანარქელი ძველებრაელთა ესქატოლოგიური წარმოდგენებისა, თუმცა,
ამასთან, ბოლომდე მაინც არ არის გამორიცხული ჭეშმარიტების მაძიებელი პოეტის
ეპიკი და უნდობლობა: „მზეს რანაირად ჩამოგვირიგებს, თუ ყველაფერი ზნელში ჩა-
რიგდა“ (იქვე).

გვ. 93. „და შესტირიან შესართავები ზღვათა სიღრმეს და სიუდაბურეს“ — ბიბ-
ლიურ ტექსტებში, უმეტესწილად, ზღვა დასავლეთის მნოშენლობით იხმარება (შესაქმე,
12, 8; 28, 14; გამოსვლათა, 10, 19; 27, 12; და სხვ.). ასეთი თანამთხვევა ძველ ებრაელ-
თა გეოგრაფიულმა გარემომ განაპირობა: ხმელთაშუა ზღვა — რაკი იგი პალესტინის
დასავლეთით მდებარეობს — მათთვის დასავლეთის სინონიმად იქცა, და ის რელიგიურ-
მითოლოგიური წარმოდგენები, რაც ოდითგანვე დასავლეთს მიეწერებოდა (მიცვალე-
ბულთა სულები დასავლეთში ისადგურებენ და სხვ.), თანდათანობით ზღვის ცნებასაც
დაუკავშირა.

გვ. 94. „და იღუმალი თვისი სახება აქ განგვიცხადა მრავალსახურად“ — იხ. 28
გვ.-ის შენიშვნა.

გვ. 97. მური — სურნელოვანი ფისი.

გვ. 99. „ვერღა ნიშობენ ჩემი ნიშები“ — ნიშნი: ძვ. სასწაული („და ჰქმენ ყო-
ველი ნიშები, რომელი იგი მიგეც ხელსა შენსა“ — გამოსვლათა, 4, 21. „ნიშად მიმი-
ცემი შენ სახლსა ისრაელისასა“ — ეზეკიელი, 12, 6).

გვ. 101. „ვწყველი შობის დღეს...“ და ა. შ. — შდრ. იობის წყევლა: „წარწყმდინ
დღე იგი, რომელსა ვიშვე და დამე იგი, რომელსა ითქვა: წული არს!... რად არა მოვ-
კვედ მუცელსა შინა, ანუ უამსა, ოდეს გამოვედ საშოთიგან?“ (იობი, 3, 2, 11).

გვ. 102. „უნდა დავთხოო ჩემი ნაღველი“ — შდრ. იობი, 16, 15: „დასთხიეს ქვეყა-
ნასა ზედა ნაღველი ჩემი“.

გვ. 103. „და სტიქიონთა სხვადასხვაობას ისევ შერთავს და შეამჟიდროებს“ —
მინიშნება ტრადიციულ შეხედულებაზე, რომლის თანახმადაც ადამიანის სხეული სხვა-
დასხვა სამყაროული ელემენტების (მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი) ერთობლობაა.

გვ. 106. ქოჰენ-გადოლი (ებრ. ჰა-ქოჰენ, ჰა-გადოლ) — მღვდელთმომღვარი. ბიბ-
ლიის მიხედვით, ებრაელთა პირველი მღვდელთმთავარი, აარონი, თვით უფლის მიერ
იყო ხელდასმული (გამოსვლათა, 28, 1, 2; 29, 4, 5); ქოჰენ-გადოლის დანიშნულებაზე,
მის უფლება-მოვალეობაზე, საკმაოდ ვრცლად არის ლაპარაკი ძველი აღთქმის წიგნებ-
ში (გამოსვლათა, 29, ლევიტელთა, 8 და სხვ.). ყოველი ებრაელი ვალდებული იყო, მო-
სავლის განსაზღვრული ნაწილი მისთვის შეეწირა: „მომკით სამკალი... და მოართვათ
მჭელეულები პირველისა ყანისა თქვენისა მდღელსა“ (ლევიტელთა, 23, 9). ქოჰენ-გა-
დოლი, როგორც ერის მოციქული, უფლებამოსილი იყო წელიწადში ერთხელ შესუ-

ლიყო „წმიდასა მას შინა წმიდათასა“, რომელიც საკურთხევლისაგან კრეტსაბმელით იყო გაიჭნული (დაწერილებით ამის შესახებ იხ. გამოცვლათა, 26, 27, 40). მესამე განმგებლობაში იყო „უბრძოლველი“ („გამოცხადება იგი ქვეშაობისა“) — ბიბლიის ქართ. თარგმანი) — ერთგვარი საკრალური ნივთები, რომელთა მეშვეობითაა შექმნილი კავშირი დაემყარებინა ზეგარდმო ძალებთან და უფლის ნება-სურვილი განეცხადებინა ხალხისათვის (ლევტელთა, 8, 8; II სჯულისა, 33, 8; რიცხვთა, 27, 20 და სხვ.). ქოჰენ-გადოლის პიროვნება, მისი საქმიანობის იდეალურება, თავისებურად აირეკლა ძველებრავლთა ფანტაზიაში, თანდათან განზოგადდა და სხვადასხვა ესქატოლოგიურ თეორიებს დაუკავშირდა: ხალხის რწმენით, ციურ ტაძარში ქოჰენ-გადოლის მოვალეობას მეტატრონი ასრულებს, რომელსაც ებრაული რელიგიური ფილოსოფია, ტრადიციულად, ძველი აღთქმის წიგნებში გამოცხადებულ ღმერთთან აიგივებს. მკვდრეთით აღდგომის ქამს უმადლესი ქურუმის ვალდებულება (მესიის კურთხევა) ილია წინასწარმეტყველმა უნდა შეასრულოს. ქოჰენ-გადოლის ცნება, მის სახელთან დაკავშირებული ლეგენდები თუ სარიტუალო სცენები ლექსში პოეტურადაა გააზრებული და სიმბოლურ შეფერილობას იძენს.

გვ. 109. „აწ დაუტევოს გულმან საგულე“ — გული (ებრ. „ლუბ“) ძველებრავლ ტექსტებში ხშირად სულის მნიშვნელობით იხმარება („გული ჩემი და ხორცი ჩემი იხარებდეს ღმრთისა მიმართ ცხოველისა“ — ფსალმუნნი, 83, 3).

გვ. 110. „რიდე ვერ მფარავს მისთა თვალთაგან“ — ბიბლიური რემინისცენცია: სინას მთიდან გადმომავალ მოსეს პირზე ღვთაებრივი ნათელი ადგა. „იხილეს ძეთა ისრაელისათა მოსე და... შეეშინათ მიახლებად მისდა“ (გამოსვლათა, 34, 30). ასე რომ, მოსე იძულებული გახდა, სახეზე რიდე ჩამოეფარებინა.

გვ. 112. „არც ზეადვლათა საფეხურები, არც ბილიკები ამაღლებათა“ — იეროქიული კიბის მოხსენიება, მისი პოეტურ-ფილოსოფიური გააზრება იმ დროისათვის ნიშანდობლივი მოვლენა იყო: ყოველდღიური თვითდაკვირვების შედეგად, ადამიანი ზნეობრივად ყალიბდება და თანდათანობით მაღლდება სრულყოფილების კიბეზე, ვიდრე ყველაზე მაღალ — „სიწმიდის“ საფეხურამდე არ მიადევნეს... შუა საუკუნეების ებრაულ ლიტერატურაში ამ თემის პოპულარობა, ტრადიციულ თალმუდისტურ ელემენტებთან ერთად, ბიზანტიური მოტივების ერთგვარი სიახლოვეთაც აიხსნება.

გვ. 117. „განმკურნე, ღმერთო, ყოვლადძლიერო, და უჭირველად განვიკურნები“ — შდრ. იერემია, 17, 14: „განმკურნე მე, უფალო, და განვიკურნო“.

გვ. 119. „შენ წარმიძღვები ყველა ბილიკზე“ — იგულისხმება პირველი ათი რიცხვისა და ებრაული ანბანის ოცდართი ასოს საკრალური ერთიანობა, ე. წ. „სიბრძნის 32 საიდუმლო ბილიკი“, რომელთა წყალობითაც შექმნა ღმერთმა ყოველივე არსებული. ასეთია ძველებრავლ ფილოსოფიური თხზულების, ე. წ. „ქმნადობის წიგნის“ (სეფერ იეცირა) ძირითადი დებულება. მასში ჩამარხული ყოფილა უძველესი ეზოთერული ცოდნა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გაცხოველებულ კამათსა და აზრთა შესხლ-შემოხლას იწვევდა. წიგნის ერთ-ერთი კომენტატორი იეჰუდა ჰალევიც იყო.

გვ. 123. „და გალიაკში შენი მშობლისა ყრუ ნაბიჯებით წარმიძღვებოდი“ — შდრ. ქებათა-ქება, 3, 4: „შევეფიდე დედაჩემის სახლში და გალიაკში ჩემი მშობლისა“.

გვ. 126. „დაბადებიდან მოაქვამამდე მდევს მოგონება იმუშაინდელი“ — პოეტური ანარქიკლი პლატონისეული კონცეფციისა, რომლის გამოძახილი თალმუდშიც გვხვდება. პლატონის თვალსაზრისით, სულისმიერი აღქმის უნარი მოგონებებზეა დაფუძნებული. ადამიანი თუ შეიმეცნებს, მხოლოდ იმის წყალობით, რომ მისი სული მესხიერებაში

წამოტივტივებს თავის ოდნდელ ცოდნას, სხეულთან შეერთებამდე რომ გააჩნდა (ე. წ. „ანამნეზისის თეორია“). თალმუდის მიხედვით, ვიდრე ადამიანი დედის საშოშოა, მისი სული ყოველგვარ მეცნიერებას ეუფლება, მაგრამ დაბადებისთანვე ივიწყებს ყველაფერს და შემდგომში მხოლოდღა სწავლის წყალობით თუ აღიდგენს თავის მივიწყებულ ცოდნას.

გვ. 127. „უამი ნოხი“ — იგულისხმება წარდნამდელი დრო. ბიბლიის მიხედვით, ნემე 950 წელი იცოცხლა. წარდნის დროს იგი 600 წლისა იყო.

გვ. 128. „ცამ საქანელნი გახსნა ცისანი“ — შდრ. შესაქმე, 7, 11: „ამას ღღესა შინა გამოეცნეს წყარონი უფსკრულისანი, და საქანელნი ცისანი განეხენეს“.

„მივდექ ზღვის პირას, სისხლი დავლანდე“ — აპოკალიფსურ წარმოსახვებს, ჩვეულებრივ, წინ უძღოდა ხოლმე კოშმარული ხილვები: სისხლი, ცეცხლის მახვილი, სფეროების გადაადგილება, ცათა მხედრობის შეხლა-შემოხლა და სხვ.

გვ. 129. „სოდომი — ბიბლიაში მოხსენიებული ქალაქი, რომელსაც შეეცოდებათა საპასუხოდ ცეცხლისა და გოგირდის წვიმა მოუვლინა უფალმა.“

გვ. 131. ლევიათანი — ზღვის ურჩხული, რომელსაც ხალხის ფანტაზია მრავალ უჩვეულო ნიშან-თვისებას მიაწერს.

გვ. 133. „კვლავაც ჩამოეკრეფ წმინდა ასოებს“ — თალმუდისტური კოსმოგონიის ერთ-ერთი პუნქტი ებრაული ასონიშნების მისტიკურ გააზრებას ეფუძნებოდა. ამ დებულებს გამოძახილი ხშირად გვხვდება მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში, ფილოსოფიურ თუ თეოსოფიურ ტრაქტატებში: ღმერთმა ასოები გამოიძია, ჩამოასხა, ერთმანეთს შეუზავა, შეაწონასწორა, საქიროებისამებრ გარდაქმნა და მათი მეშვეობით შექმნა მთელი სამყარო და ყოველივე ის, რაც არსებობისათვის არის გამიზნული („სეფერ იეცირა“). სხვადასხვა ასონიშნების სიმბოლურ კომბინაციებზე დაფუძნებული ეზოთერული მოძღვრება, რომელიც თავისებურად ხსნიდა და იაზრებდა შესაქმნის აქტის პირველმიზნებს, არცთუ იშვიათად, ესქატოლოგიური თეორიების მასაზროლებელიც იყო.

„და სასოების საკურთხეველზე კვლავ სიმღერებით შეგემტკიცები“ — აქ ერთგვარად მინიშნებულია პოეტის გენეტიურ კავშირზე ლევიტების შტოსთან, რომელთაც საღვთო რიტუალების აღსრულებისას სიმღერა და ცეკვა ევალდებოდათ ტაძარში.

გვ. 134. „მიბრუნდი, სულო, დამწუხრებულო, მზის სავანეში დაებინადრე“ — იხ. 60 გვ.-ის შენიშვნა.

„ასეა, ასე: წყალი ზღვისკენ რბის“ — შდრ. ეკლესიასტე, 1, 7: „ყოველნი ღვარნი შესღიან ზღვასა შინა და ზღვა არა არს აღვსებულ“.

გვ. 135. სულამითი — ძველებრაული სამიჯნურო პოემის „ქებათა-ქების“ მთავარი მოქმედი გმირი. ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით, იგი დაბა შულემიდან (შუნემი) იყო, რომელიც ბიბლიაში ლამაზი ქალების სამშობლოდ არის მოხსენიებული. დროთა განმავლობაში, სულამითის სახელმა მრავალმხრივი სიმბოლური გააზრება მიიღო (იხ. წინათქმა, გვ. 5—6).

„წარსდგე, რას აქნევ, შეიბურე რიდე-მანდილით“ — ბიბლიური რემინისცენია. შდრ. „გარე მიქცია მოსე პირი თვისი, რამეთუ ეშინოდა მიხედვად წინაშე ღვთისა“ (გამოსვლათა, 3, 6).

გვ. 136. „რომ აღონასი გარე-მდგომელი ძეს ადამისას მოემსახურო“ — პარაფრაზი ფსალმუნის სიტყვებისა: „კეთილ არს მოსაყ-ყოფაი უფლისა მიმართ, ვიდრე მოსაყ-ყოფაი კაცისა მიმართ; კეთილ არს სასოებაი უფლისა მიმართ, ვიდრე სასოებაი მთავართა მიმართ“ (ფსალმუნნი, 117, 8, 9).

გვ. 137. **პალეულია**—ებრ. **პალელუ** ააპ: „აქებდეთ უფალს!“ **პალელუ**—
„აქებდე!“ **პალელუ** — „აქებდეთ!“

„**აა, განიხვნა კრეტსამელები უფლისა**“ — ბიბლიის მიხედვით, წმიდათა-წმიდა ადგილი („კოდემ პა-კოდაშომ“), სადაც უფალი ცხადდებოდა, კრეტსამელით იყო დაბურული. მხოლოდ მღვდელმთავარს შეეძლო შიგ შესვლა და ისიც განსაზღვრულ დროს: „და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: ეტყოდე ძმასა შენსა, აარონს, რათა არა შევიდოდის იგი ყოველსა ჟამსა... შინაგან კრეტსამელისა... რამეთუ არა მოკვდეს, რამეთუ ღრუბლითა გამოუჩნდე მე“ (ლევიტელთა, 16,2). პალევის სტრიქონები პოეტური სტილიზაციაა იუდეველთა რელიგიური მრწამსისა: სიკვდილის შემდეგ უფალს უბრუნდება მისგანვე ნაბოძები სული.

გვ. 138. „**მწირო, შორი გვით გარდმოჰაელო, მთას მოსდგომა უნეტარესი**“ — შდრ: „აღვიხილენ თვალნი ჩემნი მთათა, ვინაჲ მოვიდეს შეწევნად ჩემდა?“ (ფსალმუნნი, 120, 1).

გვ. 139. „**ჩარიგდებიან ბნელში მღვერები**“ — შდრ: „უფალო, ღმერთო ჩემო... ყოველთა მდევართა ჩემთაგან მისხენ მე. ნუსადა წარიტაცოს სული ჩემი“ (ფსალმუნნი, 7, 2, 3).

გვ. 142. **ოფრა** — იხ. 68 გვ-ის შენიშვნა (სებია).

„**ისევ უცვროა ბალი სულისა**“ — შდრ: „და სული ჩემი, ვითარცა ქვეყანა ურწყული“... (ფსალმუნნი, 142, 6).

გვ. 152. „**საქორწინო სიმღერა**“ — უფლისადმი ლტოლვა, მასთან საქორწინო კავშირის დამყარება ძველებრავული აბოკალიფსური ლიტერატურის ერთ-ერთი გავრცელებული თემა.

გვ. 154. „**ფრთო ნათლისავ, გადმოფრინდი უცხო ფრინველად**“ — ებრაული ლიტერატურული ტრადიცია ცის ფრინველად ზოგჯერ ილია წინასწარმეტყველს ასახელებს: იგი ფრინველის მსგავსად შემოუფრენს მთელ სამყაროს და ქვეყნიერების იმ ნაწილში გამოჩნდება, რომელიც ყველაზე უფრო საჭიროებს უფლის თანადგომას.

გვ. 156. „**რამეთუ ტბილია შენი სიყვარული უფროის თაფლისა და უფროის ღვინისა**“ — შდრ: „რამეთუ ტბილია ალერსნი შენი უმეტეს ღვინისა“ (ქებათა-ქება, 1, 2); „უტბილეს არიან უფროის თაფლისა და გოლეულისა“ (ფსალმუნნი, 18, 11) და სხვ.

გვ. 157. „**ამან მოიხედა, დამან მოიხედა**“ — ქველამოსავლურ ლიტერატურულ ძეგლებში და, მათ შორის, ბიბლიაშიც (მაგ. „ქებათა-ქება“) შეყვარებული ქალ-ვაჟი ხშირად და-ძმად იხსენიება, რაც ორივე სქესის სწორფერობასა და თანაბარუფლებიანობაზე მიანიშნებდა.

გვ. 163. „**შევაბა რომელმან მოისაზრისა**“ — ბიბლიის მიხედვით, ღმერთმა სამყარო ექვს დღეში შექმნა, მეშვიდე დღე კი აკურთხა და უწოდა მას შაბათი (ებრ. დასვენება). ამ დღეს ებრაელებს ყოველგვარი საქმიანობა ეკრძალებოდათ: „ექვს დღე იქმოდეს საქმესა, და მეშვიდესა დღესა შაბათი, განსვენებად წოდებულ... უფლისა არს“ (ლევიტელთა, 23, 3). ასე გადაიქცა შაბათი შეგებისა და დასვენების სიმბოლოდ.

„**რომ სიყვარული ამაღამდელი ნათლით მორთო და მოაკანდელო**“ — ებრაული რელიგიური ფილოსოფია იმათივე დღეთსადმი სწრაფვას, უფლის უნგარო სიყვარულს აღიარებდა იუდაიზმის ეთიკურ ნორმად. შაბათი, როგორც ღმერთისა და ადამიანის ურთიერთკავშირის სიმბოლო („შაბათნი ჩემნი... იყენენ სასწაულად შორის თქვენსა

და შორის ჩემსა, ცნობად ვითარმედ მე ვარ უფალი ღმერთი თქვენი“ — გამოვლათა; 31, 13; ეზეკიელი, 20, 20 და სხვ.), სწორედ ასეთი სიყვარულის გამოვლინება იყო.

გვ. 164. „და მდინარეთა შესართავები ზღვასთან დასხი და დაბინადრე“ — შესაქმე, 1, 9, 10: „და თქვა ღმერთმან: შეკრბით წყალი ქვეშე კერძო ცისა შესაკრბე ბელსა ერთსა... და შესაკრბელსა წყალთასა უწოდა ზღვებ“.

გვ. 165. „რაიე ყოფადი, იგივე ყოფილი“ — ეკლესიასტე, 1, 9: „რაიე ყოფილი, იგივე ყოფადი: და რაიე ქმნადი, იგივე ქმნული“.

გვ. 166. „მაღლა ვინ გალობს: — „იჟან ნათელი!“ და იქმნა ნათელი: დღეი პირველი“ — თალმუდისტური კოსმოგონიით, შესაქმის პირველი აქტი სინათლის შექმნა იყო. „სავალობების“ ცალკეულ პასაჟებში პოეტურად არის სტილიზებული სამყაროს შექმნის ბიბლიური ლეგენდა. შდრ: „და თქვა ღმერთმან: იქმენი ნათელი! და იქმნა ნათელი“ (შესაქმე, 1, 3).

გვ. 167. „ქურტელს წარვიტან“ — ქურტელი (უმეტესად ცოდვისა): ადამიანის სხეულის პოეტური სიმბოლო (შდრ: „მურის ქურტელი — მეტრფე ჩემი, ჩემთანა“ — ქებათა-ქება, 1, 12); როგორც სხვადასხვა ფერის ქურტლებში სხვადასხვაგვარად აირეკლება მზის სხივები, ასევე განსხვავებულად გამოვლინდება ღვთაებრივი ნათელი სხვადასხვა სხეულებში (კაბალისტური ლიტ.).

„და მოვიწიო ბედის კარვიდან შენი საზრდო და შესამკობელი“ — ტრადიციულ ებრაულ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებული სახეა: ყველაზე ღარიბი ებრაელიც ცდილობდა, ხელგაშლილად შეგებებოდა შაბათს.

გვ. 167-68. „შენგნით იწყება სულთა გარდასვლა და ცხედრიონის გადაცხედრება“ — ღმერთთან კავშირი, ცხადია, სულისმიერ აქტივობაში გაიაზრებოდა: სული ღვთაებრივ სინათლეში გადადის, მისგან დაცლილი, „ცხედრადქცეული“ სხეული კი თავისი მატერიალური პირველსაწყისებისკენ შეიქცევა.

გვ. 171. „გაღმა დავლანდე ცეცხლი მნათობთა“ — ბიბლიის მიხედვით, ღმერთმა მნათობები შესაქმის მეოთხე დღეს, ოთხშაბათს შექმნა (შესაქმე, 1, 14, 15...). ლექსში სწორედ ოთხშაბათზეა ლაპარაკი.

გვ. 172. „წარყვე უფლის გზას, ცეცხლი წარეცი, ჩემო ქრაქო და ჩემო პატრუქო“ — ქრაქი, პატრუქი: სიმბოლ. ადამიანის სული (შდრ. „უფლის ლამპარი ადამიანის სულია“ — იგავნი, 20, 27). სტრიქონში იგრძნობა ერთგვარი გამოძახილი ებრაელთა რელიგიური ფილოსოფიისა: ადამიანის სულის გამონათება ღვთაებრივ შუქში უნდა განხადეს, უფლის მარადიულ ნათელში ჩაინთქას. მხოლოდ ამის შემდეგ გარდამოდის ადამიანზე ლეითური სული (რუახ ელოჰში).

„ბანზე ღულუნებს თეთრი ქედანი“ — თეთრი ფერი იმთავითვე სიწმინდეს განასახიერებდა ებრაულ ფერთა სიმბოლიკაში.

„და საწუთროდან საუყუნომდე ვლენ მედროშენი შესაქმეთანი“ — სიმბოლ: ექვსი დღე, რომელსაც ადამიანი ამქვეყნიურ საქმიანობაში ატარებს, საწუთროულია, მეშვიდე დღე კი, შაბათი, რაკი იგი „უფლისა არს“, საუყუნოა და მარადიული. მეორე მხრივ, შაბათი, როგორც მესიანისტური მომავლის უცილობელი ატრიბუტი, ებრაელი ხალხის წარმოდგენაში წარმავალი ყოფიერების დასასრულსა და საუყუნო, სეკუნდური ცხოვრების დაწყებას მოასწავებდა. ეს თვალსაზრისი, მეტ-ნაკლები ვარიაციებით, ხშირად მეორდება შუა საუკუნეების პოეტურ თხზულებებში. მოგვიანებით იგი დასრულებული ფორმით ჩამოყალიბდა ცნობილი პოეტისა და კაბალისტის შე-

ლომო ალკაბიცის საგალობელში „ლხა დოდი“ („წავიდეთ, ჩემო მეგობარო“), რომელიც იმთავითვე მტკიცედ დამკვიდრდა შაბათის სალიტურგიო პრაქტიკაში. საგალობელშია, რომ ნაწარმოების მელოდიური სტრუქტურა ჰალევის ზოგიერთი ლექსის რიტმულ გარიაციებზეა დაფუძნებული.

გვ. 173. „ცათამიერი შარავანი ზღურბლზე ბარბაცებს“ — ბიბლიის პოეტური გარიაცია: „და გარდამოხდა უფალი სვეტითა მით ღრუბლისათა და დადგა წინაშე კართა“ (II სჯულისა, 31,15). ცათამიერი შარავანი (სვეტი ნათლისა) ღმერთის ერთ-ერთი ატრიბუტია, მისი ამქვეყნიური გამოვლინება. რაკი კონკრეტულ გარემოში ღვთაების მოქცევა, მისი ლოკალიზაცია ეწინააღმდეგებოდა იუდეველთა ღმერთის უნივერსალურობისა და ყველგანყოფილების იდეას, ამა თუ იმ ქვეყანასთან თუ ხალხთან კავშირურთიერთობის დამყარება, მისი ერთ-ერთი ატრიბუტის, ე. წ. „შეხინის“ (ებრ. სუფევა, დავანება) თვისებად მიიჩნეოდა. ასე რომ, ძველი აღთქმის წიგნებში მოხსენიებული ღმერთი, ცეცხლის სვეტით რომ მოუძღვის ეგვიპტიდან გამოსულ ებრაელებს, მხოლოდ ერთი გამოვლენაა ღვთაებრივი არსისა, კონკრეტულად კი — მისი თანადგომისა თუ თანამყოფობის ნიშანი.

„ღღეს აღინთება სასოების დიდი კანდელი“ — ტაძარში ანთებული კანდელი შეხინის გამოცხადების მსუფსებელი იყო.

„და ღედოფალი მოაშურებს სეფე-დარბაზებს“ — ტრადიციისამებრ, შაბათი ღდეოფალად იხსენიება.

„ბჰით ვაღმოვდგები კელაბრიანად და უდაბნოში გავიკრიფები“ — ბიბლიური რემინისცენცია. შდრ: „განვიდეთ... უდაბნოდ, რათა ვმსახუროთ უფალსა ღმერთსა ჩვენსა“ (გამოსვლათა, 3, 18). შუა საუკუნეების ებრაელთა მისტიკურ წრეებში არსებობდა შაბათის შეხვედრის თავისებური რიტუალი: პარასკევს, მზის ჩასვლისას, საიდუმლო ორდენის წევრები მინდორში გადიოდნენ და მხიარული საგალობლებით ეგებებოდნენ შაბათის შემობრძანებას, რომელიც, მათი წარმოდგენით, მესიის მოახლოებას მოასწავებდა.

გვ. 174. ელოე — უნდა იყოს: ელოპი (ჩემო ღმერთო!). ფორმა ელოპე (ქართველ ებრაელთა წაკითხვით—„ელოე“, ასეა ალაგ-ალაგ ძველი აღთქმის წიგნთა თარგმანებშიც) იხმარება ე. წ. იზაფეთურ კონსტრუქციაში („სტატუს-კონსტრუქტუს“).

„რაისთვის აგვიანებ, ელოე“ — ძველებრაელთა რწმენით, ქვეყნიერების განახლებამდე დადგება ხანმოკლე ეპი, როცა ადამის შვილები უფალს მოიძიებენ: „ამისა შემდგომად მოიქცნენ ძენი ისრაელისანი და იძიონ უფალი ღმერთი მათი...“ (ოსე, 3, 5). „საგალობლების“ ცალკეულ პასაჟებში იუდეველთა ესქატოლოგიური მრწამსი პოეტურად არის გავრცობილი და გამძაფრებულ ტრაგიკულ ყდერადობას იძენს.

გვ. 176. „ვიდრე შეძინა...“ — გამოცხადების იდუმალება, ჩვეულებრივ, სიზმრებთან ან წინასწარმეტყველურ ნათელხილვებთან იყო დაკავშირებული: „და სცნათ ვითარმედ... მე ვარ უფალი ღმერთი თქვენი... და მივპვინო სულისაგან ჩემისა ყოველსა ზედა ხორცსა, და წინასწარმეტყველებდენ ძენი თქვენნი და ასულნი თქვენნი, და მოხუცებულნი თქვენნი ძილის შორისსა იძილისშორისებდენ, და ჰვაბუკნი თქვენნი ხილვასა იხილვიდენ“ (იოველი, 3, 1).

გვ. 177. „ვინ არის იგი — უდაბნოთ აღმომავალი“ — ქებათა-ქება, 3, 6; 8, 5. „ტანზე რომ იცხებს წმინდა საცხებელს და მიჯნურისკენ მოეჩქარება“ — ნელსაცხებლით განბანილი მეფისა და მისი მიჯნურის სიმბოლოცა, უმეტესად, წინასწარ-

მეტყველთა წიგნების ლიტერატურულ ტრადიციებს უკავშირდება და ძველებრავლთა მესიანისტური წარმოდგენებიდან იღებს დასაბამს. ამვე დროს, ასეთ ალუგორიულ წიგნებში რაიციებში ისმის პოეტური გამოძახილი ფსალმუნთა წიგნისა (95, 96, 97, 98 და სხვ.), თუ „ქებათა-ქებისა“, რომელთა გლობაც საშაბათო ღვთისმსახურების ორგანული ნაწილი იყო.

„კვავ ალატყდების ცეცხლი მყლოვანს“ — იუდეველთა წარმოდგენით, ცეცხლი, როგორც ღვთაებრივი ნების გამოვლინება, ყოველთვის თან ახლავს უფლის გამოცხადებას. შდრ: „იევენა მას ანგელოზი უფლისა... და იხილა, ვითარმედ მყლოვანსა ალატყდების ცეცხლი“ (გამოსვლათა, 3, 2).

„ხილვად მიხზომენ უცხო ხილვანი“ — შდრ: „სთქვა მოსე: წარვიდგე და ვიხილო ხილვა ესე დიდი“ (გამოსვლათა, 3, 3). „საგალობლების“ ესქატოლოგიურ ნაწილში, რომელიც შაბათზე არსებულ ტრადიციულ წარმოდგენებს ეფუძნება, წინასწარმეტყველთა წიგნების კვალობაზე („და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამო მეტყველი“ — იერემია, 2, 1 და სხვ.), წაშლილია ზღვარი სინამდვილესა და მოჩვენებას შორის და პოეტის ეგზალტირებული წარმოსახვები რეალურად არსებულის შთაბეჭდილებას ქმნის.

„ვიწ არის იგი — კვამლად აღმოვალს, ბნელ წიაღთაგან აღმოქვირავლი“ — შდრ. ქებათა-ქება, 6, 10: „ვიწ არის ესე, რომელი აღმოქვირებების ვითარცა ცისკარი“.

გვ. 178. **„ამ წეგარდმოულ ელვა-ქუხილში ჰყავ სამართალი, წმინდა ლავინი“** — ძველებრავლთა აპოკალიფსური წარმოდგენები, სანეტარო მომავლის რწმენა და იმედი, უმეტესწილად, ილია წინასწარმეტყველის სახელს უკავშირდებოდა. ხალხის რწმენით, იგი ზეგარდმოულ ელვა-ქუხილში მოველინებოდა ქვეყნიერებას და საყოველთაო სამართლიანობას დაამყარებდა. რელიგიური დღესასწაულების ყამს (მაგ. პასექის პირველ დღეებში) სარიტუალო ტრაპეზის შუაგულში, ლავინთან ერთად, ჩვეულებრივად, მისთვის განკუთვნილი სასმისი იდგა.

გვ. 179. **„და სიყვარულის იალადები ღვინით მორწყეს და მოაწყაროს“** — წინასწარმეტყველთა წიგნებში ღვინო და მასთან დაკავშირებული რიტუალები, უმეტესწილად, მესიანისტური მომავლის ატრიბუტებად არის წარმოდგენილი. „მას ღღესა შინა მოაწითონ მათა სიტკობება“ (იოველი, 4, 18). „...და მოსწიფდეს ყურძენი“ (ამოსა, 9, 13). „...და სიმიდენ ყოველი ნათესავნი ღვინოსა“... (აბდი, 1,16) და სხვ.

გვ. 180. **„მოაგეო: მოძალადეს ხრმალი გულზედ მიადეო, რამეთუ მართლის ხემან ღერო აზარდაო“** — მსჯავრის მიგება და საყოველთაო სამართლიანობის დამყარება, ძველებრავლთა წარმოდგენით, ქვეყნიერების განახლების აუცილებელი საწინდარი იყო. „ქმნა მართლისა სამართლისა“ ღვთაებრივი აქტია, იგი სიკეთეა და მის აღსრულებაში თავად შეხინა მონაწილეობს.

„ბაღში ღლინებს ვარდი ხარონის“ — ს ა რ ო ნ ი: იერუსალიმის დასავლეთით მდებარე ველი, განთქმული თავისი ნაყოფიერებით. ვ ა რ დ ი ს ა რ ო ნ ი ს: ბიბლიური „სხავცელეთ ჰაზარონს“ (ნარგიზი ხარონისა — ქებათა-ქება, 2, 1) ზოგმა მითარგმნელმა ძველთაგანვე ხარონის ვარდად თარგმნა (ასე, მაგ. აკვილას ბერძნულ თარგმანში)* ამის შემდეგ ვარდი სიყვარულის სიმბოლოდ იქცა ევროპაში.

გვ. 181. **„გესავ, ხეო უფლისაო“** — სხვადასხვა ხეებისა თუ მცენარეულობის სიმბოლიკა, მათი ალუგორიული გააზრება, ხშირად გვხვდება შუა საუკუნეების ებრაულ ლიტერატურაში. მაგ., კედარი სიძლიერის სიმბოლოა, მუხა ბედნიერებისა, ფინიკი და ბზა — საღვთისწაულო განწყობისა და ა. შ... პოეტურ მეტყველებაში, წმიდად შე-

* ხშირ შემთხვევაში ასევეა გაგებული ბიბლიური შროშანიც (ლუთერის ბიბლია, სხვადასხვა ეგზეგეტიკური თხზულებები და სხვ.).

რაცხული მცენარე, ჩვეულებრივ, ამა თუ იმ პიროვნებას უკავშირდება და გამორჩეული ინდივიდებისა თუ ხალხის სინონიმად არის მიჩნეული. ასეთი ვააზრება, მეტწილად, ბიბლიურ ტრადიციებს ეფუძნება, რომელიც, თავის მხრივ, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა საკულტო-სარიტუალო პრაქტიკაში იღებს დასაბამს (მაგ., ბროწეულის ხე სიმბოლოა, მუხა — ბალისა, ფინიკი — იშთარისა და სხვ.).

გვ. 185. „რომ ნათელივით გავაციაგო გეპენიდან გეპენამდე“ — იუდეველთა ესქატოლოგიური მრწამსით, სამყაროს განახლების საწინდარი მსოფლიო ხანძარი იქნება. ასეთი წარმოდგენა ესაიას სიტყვებზეა დაფუძნებული: „და დადნენ ყოველნი ძალნი ცისანი, და წარიგრაგნოს ცაი, ვითარცა წიგნი“ (34, 4). გეპენის ცეცხლი ცოდვითაგან განწმენდს ადამიანებს და ყოველგვარ უკეთურობას შთანთქმავს. ამდენად, იგი სამყაროს აღმადგენელ და განმაახლებელ სტიქიურ ძალად იქცევა.

გვ. 186. „ჩემო თაფლო და ჩემო ბადაგო“ — თაფლი და ბადაგი ყოველივე მშვენიერისა და ამაღლებულის (მესია, წმინდა ქალაქი, ტაძარი...) მეტაფორული გამოხატულება იყო.

„...და ძუძუები ამოვიზარდო“ — „ქებათა-ქების“ პარაფრაზი. შდრ: „პატარა დაი ჩვენი და ძუძუნი ჯერ არ უჩანან“ (ქებათა-ქება, 8, 8).

„ისევ ამდერდა სულში კანდელი, ისევ გაბრწყინდა ჩვენი სავარდე, ცად განფენილა შარავანდელი დასავალიდან აღსავალამდე“ — ვარდის სიმბოლიკა, ტრადიციულად, სამოთხესთან კავშირში გაიაზრებოდა: ხალხის წარმოდგენით, მზის ამოსვლისას თუ ჩასვლისას თვალსაწიერებს სამოთხის ვარდის ფერადონება განუფინებოდა. მეორე მხრივ, ცაზე გაბრწყინებული შარავანდელი (ცისარტყელა) ღვთაებრივი მოწყალების, ქვეყნიერებასთან ღმერთის დაზავების მათწყებელი იყო (შესაქმე, 9, 13, 14, 15, 16, 17).

„ტაძრის ბჭეს ეკვრის ნაძვი ღიბანის“ — შდრ: ფსალმუნნი, 91, 13, 14: „ფინიკი... და ნაძვი ღიბანისა... დანერგულნი სახლსა შინა უფლისასა“.

გვ. 188. „აღარც ხრმალი მწადს, აღარც ბეგთარი“ — მესიანისტური ეპოქის დადგომა, ხალხის რწმენით, საყოველთაო მშვიდობიანობას მოასწავებდა.

გვ. 189. „ბჭეთ განვუდექი სასახლისათა და ქუჩა-ქუჩა მოვიქცეოდი“ — შდრ. ქებათა-ქება, 3, 2: „აღვდეგი მე და მოვივლი ქალაქის ქუჩებსა და მოედნებს“.

გვ. 190. „რაისთვის გვიწოვიეს წმინდა გოლეულად ძუძუნი დედისა ჩვენისანი“ — შდრ, ქებათა-ქება, 8, 1: „ვინა მოგცეს შენ, ძმაო: ჩემო, წოვნად ძუძუნი დედისა ჩემისანი“.

„მცველნი შემომხვდნენ ქალაქისანი“ — შდრ. ქებათა-ქება, 3, 3. ამ კონტექსტში გასაგებია ბიბლიური ფრაზის სიმბოლური დანიშნულება.

გვ. 194. „ზიზლით რომ დაჰგმე ჩემი სავანე, უნდო ვიყავ თუ უსაქციელო? — იუდეველთა ტრადიციული თვალსაზრისით, ღვთიერი სული მხოლოდ კეთილ საქმეებშია წარმოჩენილი. უკეთურობა კი, უფსკრულს ადიდებს ღმერთსა და ადამიანს შორის. ასე მაგ., ადამიანთა ყოველი ცოდო-ბრალის შემდეგ (ადამის შეცოდება, კანის დანაშაული, სოდომის მკვიდრთა უზნეობა და ა. შ.) შეხინა თანდათანობით შორდებოდა დედამიწას, ვიდრე ბოლოს მეშვიდე ცამდე არ ააღწია. მაგრამ შვიდი კეთილმოსავის (აბრაამი, ისაკი, იაკობი, ლევი, კაადი, ამრაამი, მოსე) გარჯითა და რუდუნებით ისევ ჩამობრუნდა უკან.

„შენ დამიშრიტე ცეცხლის სიაღე“ — დაუშრეტელი ცეცხლი შეხინის სიახლოვის სიმბოლური გამოხატულება იყო.

გვ. 198. „...წყალზე აღაგე შენი საყმო და აღსაყუდარი“ — შდრ: „რომელმან დაამტკიცა ქვეყანაი წყალთა ზედა“ (ფსალმუნნი, 135, 6).

„რა სათვალავით აღირიცხებ, რიცხვო, — დღღაჲ ურიცხვისაო“ — ბრაჰმ იბნ ეზრას ფილოსოფიურ ნაზრევში ალაგ-ალაგ იგრძნობა პითაგორას ელემენტების გამოძახილი, რაც უმეტესად რიცხვთა მისტიკურ გაგებაშია გამოვლენილი.

გვ. 199. „და ცისიერი შენი ნათელი ჩვენს მიწურებში შემობრწყინდება“ — სიმბოლო: სული (გამონათება ღვთაებრივი ემანაციისა) ადამიანის სხეულში (მიწიერ გარსში) დაივანებს.

„ტაბლას მიკუროთებს წმინდა მარილით“ — მარილით დადებულ აღთქმას („აღნათქვამი მარილისა“ — რიცხვთა, 18, 19) იურიდიული კანონის ძალა ეძლეოდა და მისი გატეხვა დიდ ცოდვად ითვლებოდა. სუფრაზე დადებული მარილი, რაც ძველთაგანვე ებრაელთა ტრაპეზის სავალდებულო ელემენტია, სიმბოლურად ღმერთთან კავშირსა და ერთობაზე მიანიშნებს.

გვ. 208. „ხელწიფის ვანი“ — იგულისხმება ტაძარი, სამლოცველო, რომელიც, ტრადიციული წარმოდგენით, უფლის სახლის იმიტაციაა.

გვ. 209. „მედარბაზენი სასახლისანი“ — სიმბოლო: ანგელოსები.

„უჴვე ხმა მესმის მოსაუბრისა“ და ა. შ. ვიღრე: „შიშველ ვარ, ჩემო დამბადებელო“ — პოეტური სტილიზაცია შესაქმის მითში მოთხრობილი ამბისა (შესაქმე, 3, 8, 9, 10).

გვ. 212. „ჴამან შეგვყარა, ჩემო კავშირო, ჴამივ გაგვყრის და გაგვამხოლოებს“ — თალმუდის მიხედვით, სული დამოუკიდებელი და მარადარსებული სუბსტანციაა და ხორციან მისი კავშირი დროისმიერი ფაქტორებით არის განპირობებული.

გვ. 212-13. „ხმა მიწიერი შემეზრახება, გარნა არ მესმის ჩემი ძმობილის. სახეღვით ვსახო ქვეყნის სახება, ყოფნა ვითა ვთქვა უარყოფილის“ — ტრადიციული თალმუდისტური გაგებით, ადამიანური ბუნების დუალიზმი: კეთილი (იეცერ პა-ტო) და ბოროტი (იეცერ ჰა-რაყ) ინსტინქტების ერთიანობაში ვლინდება. მიწიერი საწყისი (სხეული) ბოროტებისაკენ ამყვანებს მიდრეკილებას, ციური კი (სული) — სიკეთისაკენ მიილტვის. თუმცა, ხშირად, სხეულთან შეერთებული, მასთან „დამძობილებული“ სული მაინც ექვევა ხორცის გავლენის ქვეშ და სიწმინდეს კარგავს. ზოგჯერ კი ორივე ინსტინქტი ცალ-ცალკე მოქმედებს, როგორც ორი თავისთავადი, დამოუკიდებელი ძალა. ასეთ შემთხვევაში თითოეული ცდილობს პირველობა დაისაკუთროს და მეორის უარყოფამდე მიდის.

გვ. 214. „ვინ დაგისაზღვრა ჴღვარი სინათლის, ქვეყნის ჴღვარო თუ უსაზღვროეთო“ — შდრ. კაბალისტურ ლიტერატურაში დამკვიდრებული განსაზღვრება ღვთაებრივი სუბსტანციისა: „ორ ენ სოფ“ — უსასრულო სინათლე.

„მის დატირება“ — იბნ ეზრას შემოქმედების მკვლევარები „დატირების“ გადატანით მნიშვნელობაზე მიუთითებენ: როგორც პოეტის ბიოგრაფიდანაა ცნობილი (იხ. გვ. 195), მისმა ერთადერთმა ძემ, ისაკმა (ისჰაკ), ესპანეთიდან გამგზავრების შემდეგ, დაუტევა ებრაელობა და ისლამის სჯული მიიღო. ამ ამბით შეძრწუნებულმა პოეტმა სამუდამოდ მოიკვეთა თავისი შვილი და სამგლოვიარო ელევებიტ გამოიტარა იგი.

გვ. 216. „დაიხსნა გვირგვინი დიდებისა ჩემისა“ — შდრ. იერემია, 13, 18.

იაყაკობი, (იაკობი)* — ბიბლიური გმირი, ებრაელთა მესამე პატრიარქი,

* ფორმა ი ა ყ ა კ ბ ი (ებრ. იაკობ) ქართველ ებრაელთა მეტყველებაშია დამკვიდრებული.

მამა თორმეტი ვაჟისა, რომელთა სახელებთანაც არის დაკავშირებული ებრაელთა თორმეტი ტომის წარმომავლობა. მისი ზედწოდება ისრაელი (სიტყვასიტყვით: *ღმერთთან მემომარი*), უფლის ანგელოსთან შერკინების შემდეგ რომ დაერქვა, შემდეგში მოხელ ებრაელობაზე გავრცელდა.

გვ. 217. „**მკვლელო, მოკლულო სიკვდილითაო**“ — შდრ: „სიკვდილითა მოკვდინა კაცის მკვლელი იგი“ (რიცხვთა, 35, 16, 17, 18).

გვ. 218. „**მწაღდა სხვა ჩაღბით გამომეჩაღბე. უენ კი... ჩემი ხმა მტვერში ვარიე**“ — როგორც აღზარაზი გადმოგვეცემს (თახქემონი, III), ისაკი, მამამისის გავლენით, ბავშვობიდანვე წერდა ლექსებს და ადრეულ ასაკშივე მოუხვეჭია ნიჭიერი პოეტის სახელი. მამა ზრუნვასა და მონდომებას არ აკლებდა, რომ სწორი გზით წარემართა მისი პოეტური მცდელობა, მაგრამ შვილის ებრაელობიდან განდგომამ ყოველგვარი მოლოდინი გაუქარწყლა.

გვ. 220. **საბეკი** (ებრ. „ს ე ვ ა ხ“ — ტვერი; ასეა ბიბლიაში) — „ხე გამოსხსნისა, გინა მიტევებისა“ (საბა), რომელზედაც გადმოვიკიდა უფლის მიერ წარმოგზავნილი ვერძი, მსხვერპლად რომ შესწირა აბრაამმა ისაკის წილ („და აღიხილა აბრაამ თვალნი თვისნი და იხილა, და აპა, ვერძი ერთი დამოვიკიდა რქითა ნერგსა საბეკსა. და წარვიდა აბრაამ, და მოიყვანა ვერძი იგი, და შესწირა... ისაკის წილ“ — შესაქმე, 22, 13). ეს ბიბლიური ეპიზოდი, რაც გარეგნულად თითქმის მართლაც უკავშირდება პოეტის ტრაგედიას (აქაც აბრაამია და ისაკი), უფრო თვალნათლივ წარმოაჩენს მამის სატიკვარს და ამძაფრებს ელეგიების ტრაგიკულ სულისკვეთებას.

გვ. 223. **ესთერი** — ბიბლიის მიხედვით: ობოლი ებრაელი ქალი, რომელიც თავისი სილამაზის წყალობით სპარსეთის დედოფალი გახდა („წიგნი ესთერისა“). მისი სახელის წარმომავლობას სპარსულ „სეთარ“ ძირთან აკავშირებენ (ვარსკვლავი), თუმცა, უფრო გავრცელებული თვალსაზრისით, იგი ბაბილონური „იშთარის“ ებრაულ სახესხვაობადაა მიჩნეული. თალმუდისტური ტრადიცია ესთერს ქვეყნიერების ულამაზესი ქალების ოთხეულში იხსენიებს.

აბიგაილი — ბიბლიის მიხედვით: ქუთითა და სილამაზით განთქმული ქალი, ცოლი ძუნწი და გაუთლელი ნაბალისა, რომლის სიკვდილის შემდეგ იგი ებრაელთა მომავალი მეფის — დავითის თანამეცხედრე გახდა.


„**ერკემლებითი როკვიდნენ მთანი**“ — შდრ: „მთანი იხარებდეს, ვითარცა ვერძნი და ბორცენი — ვითარცა კრავნი ცხოვართანი“ (ფსალმუნნი, 113, 4).

გვ. 224. „**ისთქვა მემკვიდრემან შელომოსიმამ**“ — პოეტის მამას შელომოს (სოლომონი) ერქვა. ამ კონტექსტში, რაკი წინა სტრაჟონებში სიბრძნეზეა ლაპარაკი, შელომოს ნაშიერობა, შესაძლოა, სოლომონ მეფის მემკვიდრეობასაც გულისხმობდეს. ასეთი პოეტური მოდიფიკაციები მიღებული იყო შუა საუკუნეების ებრაულ პოეზიაში. შდრ., მაგ., შელომო იბნ გებიროლის აკროსტიქი, სადაც თავკიდური ასოების ჯამი „შელომო ჰაკატან“ (სოლომონ მეცირე) სოლომონ ბრძენის ნათესაობაზე მიანიშნებს, ან ბიბლიური სამუელის (შემუელ) მოხსენიება შემუელ ჰანაგიდისადმი მიძღვნილ ლექსში და სხვ.

გვ. 226. „**აპა, სახლი და აღსაყუდელი იეჰუდასი, იეჰუდასი**“ — აღზარაზის სახელი, იეჰუდა, თავისი წარმომავლობით, ებრაელთა ისტორიის უძველეს ხანას განეკუთვნება. ასე ერქვა იაკობის ერთ-ერთ ძეს, რომელსაც ბიბლიური ლეგენდა იუდეველთა ტომის მამამთავრობას მიაწერს.

ს ა რ ჩ ი ვ ი

წინათქმა (ჯ. აჯიაშვილი)	5
შეშუელ ჰანაგიდი	11
„ქება ვით გკადრო, ყოვლადქებულო...“	13
იოსებისადმი	17
ცისკრის ვალობა	24
ნაქალაქარი	29
დაბადებიდან აღსასრულამდე	32
სიკვილის ელეგიები	33
შელომო იბნ გებირილი	49
„...სად ჩაიცალა ნათლის ჩქერალი...“	51
მწუხრის საგოდებელი	52
რაბი ჰაის დატირება	55
ზამთრის ლიტანია	57
„...ნათელო ჩემო...“	59
„სულო, რა ხელყრი...“	60
იეკუთიელის დატირება	61
მოშე იბნ ეზრა	67
ჟამთა საგალობელი	69
საით ილტვიან სოფლის მდგმურები	76
ბედისწერა	76
სებისადმი	78
ხილვა ნათლისა, სიზმარეული	83
სასაფლაონი	87
ჰომნი მზისადმი	87
მიდის მდინარე, მიეფინება	89
ხმა მეთეფისა შემეზრახება	94
სულთა რონინი უდაბნოებში	95
მეაკენენი და მესაფლავენნი	104
ხმა განტეცების გზაჯვარედინზე	104
იეპულა პალევი	113
საქორწინოდ მორთულ დედოფალს	115
წუხელ მეზმანე, ეპა, სება	116
ვანმკურნე, ღმერთო	117



კთომილება და ქეშმარიტება	120
ჟამგადასული სიყვარულის საგალობელი	121
ხმა, ზეგარდმოით შეგონებული	125
ზღვა	126
კათხები	134
სიმღერა სულამითისა	134
მეგობრისადმი	139
ოფრას სამღურავი	142
გამოცხადების საედრებელი	142
„ისევ შორად ხარ, შორით მინათებ...“	147
„ო, მშვენიერო, მთიების, შვიდის...“	150
საქორწინო სიმღერა	152
მოძღვრის პასუხი მოწაფისადმი	161
სიყვარულის სიმღერა	161
ძილში ხმა მესმა	162
შაბათის საგალობლები	163
აბრაჰამ იბნ ეზრა	195
„რომელთა გასხენან სასმენელნი...“	197
ამაოების მლაღადებელი	199
„რაიც ყოფილი, თაო ჩემო, იგიე ყოფადი...“	207
აღამ, სადა ხარ!	208
„ცის გუმბათებზე აღჩნდა ნათელი...“	213
ძის დატირება	214
იეშუდა აღხარიზი	221
გამოცხადება	223
სოქვა მემკვიდრემან შელომოსამ	224
ჟანუელ რომაელი	229
ქება სიყვარულისა	231
შენი შენები (გ. აჯიაშვილი)	233

Средневековая еврейская поэзия
(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1979

157/ფ
88538

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ბ. ბრეგვაძე
გამომცემლობის რედაქტორი ლ. იმერლიშვილი
მხატვარი ი. დინაგორცევა-გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი რ. მახარაძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორი თ. ტურიაშვილი
გამომშვები ა. სააკაძე

ს. ბ. № 350

გადაეცა წარმოებას 28/VII-77. ხელმოწერილია დასაბეჭ-
დად 14/III-79. საბეჭდი ქაღალდი № 1, 60×84¹/₁₆. პირობითი
ნაბეჭდი თაბახი 14,64. სააღრ-საგამომცემლო თაბახი 11,39.
ტირაჟი 8000. შეკვეთა № 2525.
ფასი 90 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პო-
ლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კო-
მიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. 7.

Тбилисская книжная фабрика, Государственного
Комитета Совета Министров Грузинской ССР
по делам издательств, полиграфии и книжной
торговли, пр. Дружбы № 7

საქართველოს
ბიბლიოთეკა

